# ახალი საუნჯე

ტექსტების და კონტექსტების ჟურნალი

№1 (67) იანვარი-თებერვალი, 2019 წელი ფასი 2 ლარი

1970
2019 №1

## ნომრის ავტორები

გურამ დოჩანაშვილი & მიგელ დელიბესი



**მწერლის არქივიდან**
ომარ თურმანაული

**პოეზია**
დიმიტრი წიკლაური
დურმიშხან ტაბატაძე

**პროზა**
თეა თოფურია
ლაშა ბუღაძე

**კრიტიკა**
ლელა კოდალაშვილი
– ჟოანა ბრუდაზე

**ახალი თარგმანები**
ტ. ს. ელიოტი
დაჩა მარაინი

## ნომრის ავტორები

*გურამ ოდიშარია*

ელისო მეტრეველი – გურამ ოდიშარიას უღელტეხილი – 3
გურამ ოდიშარია – ფრაგმენტები რომანიდან „შენთანუშენოდ“ – 10
ამონარიდები – 15

*მიგელ დ'ორსი*

*მოამზადა ქეთი ჯიშიაშვილმა*

ბიოგრაფია – 16
მიგელ დ'ორსი: სიჩუმის ფსკერზე დაბადებული პოეზია (ინტერვიუ) – 18
მიგელ დ' ორსი – ლექსები – 21

## მწერლის არქივიდან

ომარ თურმანაული – ავტობიოგრაფია – 24
ომარ თურმანაული – პირველად იყო... და არა იყო რა
(ავტობიოგრაფიული ზღაპარი) – 25

## პოეზია

დიმიტრი წიკლაური – ყვავები, ჯამბაზები, მეთევზე და ანასტასია – 34
დურმიშხან ტაბატაძე – ლექსები ცოცხალთა გორაკის ანთოლოგია – 44

1

2

3

ეროვნული ბიბლიოთეკა

## პროზა

თეა თოფურია – სხვაგან – 55
ლაშა ბუღაძე – ნინოს ღმერთი – 58

## კრიტიკა

ლელა კოდალაშვილი – დაუჯერებელი ისტორია ბავშვზე, რომელიც ძაღლების ენაზე ლაპარაკობდა – 64

## ახალი თარგმანები

ტ. ს. ელიოტი – წიგნიდან „ბებერი ოპოსუმის წიგნი კატათა ნაირსახეობის შესახებ" (ინგლისურიდან თარგმნა ანი კოპალიანმა) – 67
დაჩა მარაინი – ხელები (იტალიურიდან თარგმნა მაია ტურაბელიძემ) – 70

4
5
6

პროექტის ავტორი:
ვაჟა წოწკოლაური

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი:
შოთა იათაშვილი

რედაქტორი-სტილისტი:
ლელა კოდალაშვილი

დიზაინი და დაკაბადონება
ნიკა ხვედელიძე

სარედაქციო კოლეგია:
დავით ანდრიაძე
გია ეძგვერაძე
დათო ტურაშვილი
ეკა ქევანიშვილი
ზაზა შათირიშვილი
დავით ჩიხლაძე
გია ხადური

ნომერზე მუშაობდნენ:
ელისო მეტრეველი
გურამ ოდიშარია
ქეთი ჯიშიაშვილი
დიმიტრი წიკლაური
დურმიშხან ტაბატაძე
თეა თოფურია
ლაშა ბუღაძე
ლელა კოდალაშვილი
ანი კოპალიანი
მაია ტურაბელიძე

გამომცემლობა – „საუნჯე"
მის.: ალ. ყაზბეგის 32/34
ტელ.: 2141214, 2395587, 2397188
ელ-ფოსტა: akhalisaunje@gmail.com
Facebook: გამომცემლობა საუნჯე/Saunje publishing http://www.facebook.com/saunjee
www.newsaunje.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 1 ნომრის ავტორები

# გურამ ოდიშარიას ულელტეხილი

*ელისო მეტრეველი*

ორმოცი წლის რომ ხდებოდა, 1994 წლის სექტემბერში, ბოლოჯერ გამოიხურა თავისი სახლის კარი და დატოვა სოხუმი. დატოვა ქალაქი, სადაც სკოლა და უნივერსიტეტი დაამთავრა, შექმნა ოჯახი, ზრდიდა შვილს. დატოვა ქალაქი, სადაც ლექსებს წერდა და სადაც „ზღვის მწერლების კლუბის" შექმნას აპირებდა. და ათასობით დევნილთან ერთად დაადგა ულელტეხილის გზას.

გურამ ოდიშარიას ცხოვრებაში მხოლოდ ეს ერთი ულელტეხილი არ ყოფილა. ის, რაც მაშინ დაიწყო, მერეც გაგრძელდა. გაგრძელდა გზა დევნილობის, მწერლობის, მინისტრობის და ისევ მწერლობის „ულელტეხილებზე". გზა, რომელმაც ისევ ჩაიყვანა სოხუმში, როგორც შერიგებისა და მოლაპარაკების ჯგუფის წევრი, როგორც სახალხო დიპლომატი და მწერალი.

გურამ ოდიშარია ამბობს, რომ, როგორც მწერალს, სოხუმში უფრო კარგად იცნობენ. იციან მისი ლექსები, პუბლიცისტიკა, მოთხრობები და რომანები – „სათვალიანი ბომბი", „დევნილთა ულელტეხილი", „ზღვა, რომელიც შორია", „შავი ზღვის ოკეანე", „სოხუმში დაბრუნება"... და „პრეზიდენტის კატა". წიგნის მთავარი გმირის, სოხუმელი მიხეილ ბლაჟბას სიცოცხლისა და სიკვდილის დოკუმენტურ-მხატვრული ამბავი აფხაზურად თვითონ აფხაზებმა თარგმნეს.

ის ხშირად ლაპარაკობს „ამრას" სამ კვადრატულ მეტრზე, დანაღმულ ველზე სიარულის ოსტატობასა და საჭიროებაზე, შერიგებისა და დაბრუნების იმედზე. ლაპარაკობს იმ ტექსტებზე, რაც უკვე დაიწერა და რაც კიდევ უნდა დაიწეროს, რადგან ქართველებისა და აფხაზების შერიგება ჯერჯერობით ყველაზე კარგად ტექსტებში გამოდის. მის ტექსტებსა და ილუსტრაციებში, როგორც ისტორიის წიგნში, როგორც რუკაზე, ისე დევს აფხაზეთის მთელი ამბავი და ტერიტორია.



**„ეს იყო ედემის ბაღიდან გამოსვლა ცეცხლით და მახვილით. სოხუმში დარჩა ყველაფერი: მეგობრები, ურთიერთობები, სახლი, ალბომები, კინოფირები, მამაჩემის საფლავი, ყველაფერი. ულელტეხილზე მოხდა ჩემი ცხოვრების გარდატეხა. მე მეგონა, რომ ბიბლიის რომელიღაც გვერდზე მოვხვდი, ბიბლიის ფურცლებზე, სადაც არ არის ჯვარი ჯვარს როგორ ამარცხებს და ჯარისკაცები როგორ გარბიან. არა, ულელტეხილზე მოდიოდნენ ოჯახები – პატარა ბავშვები, მეძუძური ქალები, მოხუცები, ინვალიდები ეტლებით, ომში დაჭრილები. მოდიოდა უამრავი ხალხი. რაღაც მანძილს რომ გავივლიდი და გავხედავდი, ზღვასავით ჩანდა. ახლაც მახსოვს ტალახიანი ფეხის ხმა. აზელილი წითელი მიწა და ხმა, ტალახში ნაბიჯის გადადგმისას რომ ისმოდა. არავინ ლაპარაკობდა, მხოლოდ ეს ხმა იყო. ჯერ მანქანით მოვდიოდით, მერე აჟარაში გავჩერდით, შემდეგ ამოვედით საკენში და მერე ულელტეხილზე ფეხით. ექსტრემალურ**

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

**სიტუაციაში ყველაფერი ხდება, ასეთ დროს სხვანაირად გამოაჩენს ხოლმე თავს ადამიანი. ვილაც მუჭში გამოჭამს საჭმელს, ვილაც, მშიშარა რომ გგონია, ლომგული აღმოჩნდება. თბილისი ულელ-ტეხილის გაგრძელება იყო ჩემთვის – შუქი არ არის, პურის რიგები. მახსოვს, კიროვზე დიდი რიგია, ვხედავ, რომ ერთ ადგილს არ ეკარე-ბა ხალხი. მივედი, კაცი წევს, მკვდარია, წვიმს. პურის რიგში მოკვ-და. ვერავინ იცნო და გაზეთები გადააფარეს მთელ სხეულზე. ხალხი არ იშლება, თავის რიგს ელოდება. წვიმს და ეს გაზეთები ნელ-ნელა დნება და ნიღაბივით ედება სახეზე. უკვე ჩანს ცხვირის, თვალების, მთელი სახის ფორმა“.**



ჭუბერის ულელტეხილი, რომელიც ათასობით დევნილმა გადმოიარა, გურამ ოდიშარიასთვის სულ სხვა ცხოვრების და სხვა მწერლობის დასაწყისად იქცა. ამ გზამ და ულელტეხილ-მა ის დევნილად და პროზის მწერლად აქცია. დევნილთა საცხ-ოვრებლები, ნაქირავები ბინები, უსამსახურობა თუ სამსახურე-ბი სიმბოლური ხელფასებით, როგორც ყველა დევნილისთვის და როგორც უმეტესობისთვის იმ წლებში. და კიდევ, ორ ქალაქში ერთდროულად ცხოვრების სასოწარკვეთილი მცდელობა და შეუ-ძლებლობა.

**„მამაჩემს საკუთარი სახლი ჰქონდა სოხუმში და ჭიშკარს თა-ვისებური ჭრიალის ხმა ჰქონდა. აქ რომ ჩამოვედით, ნაძალადევში ვიქირავეთ ბინა, კარგა ხანს ვცხოვრობდით ქირით. იქ იყო კერძო სახლები და ერთ-ერთის ჭიშკარი ზუსტად ისეთ ხმას გამოსცემდა. რომ მეძინა და დილით ეს ხმა ჩამესმოდა, უცებ მეგონა, რომ ჩვენი ჭიშკარი გაიღო. ძაღლებიც ჩვენი ძაღლებივით ყეფდნენ. ერთი-ორი წლის შემდეგ, თბილისის ზღვაზე ავედი, არ ვიყავი ნამყოფი და ნიავმა რომ დაუბერა და წყლის სუნი მოიტანა, უცებ სოხუმის სუნი დამეტა-კა. თავიდან ნახატებს ვაკეთებდი, კოლაჟებს, მერე დავკარგე სადღაც. თბილისის პეიზაჟებში სოხუმს ვსვამდი. ვთქვათ, რუსთაველის თეატ-რი და გვერდით სასტუმრო რიწა. მინდოდა ეს ორი ქალაქი შემეერთე-ბინა. ძალიან დიდხანს ვიცხოვრე „თბილისსოხუმში“. მერე დრო გავიდა და დამშორდა ის ხმები, სუნი, ჭიშკრის ჭრიალი უკვე აღარ მესმლება. „სოხუმში დაბრუნებას“ რომ ვწერდი, თავიდან ვერაფრით სახელი ვერ მოვუფიქრე. სტამბაში ვიყავი და ერთი სოხუმელი კაცი შემხვდა, ლამაზი კაცი, ახლა ცოცხალი აღარ არის. გურამო, მითხრა, რომ ჩამოვედი, მთელი ერთი წელი არ მეძინა, მერე ერთ რაღაცას მი-ვაგენიო. ყველა რომ დაიძინებს, მეც დავწვები და წარმოვიდგენ, რომ სოხუმში ვარ. გამოვედი ფრუნზეს ქუჩაზე, შემოვედი „ბრეხალოვკა-ზე“, ვხედავ, ყავას სვამენ, რაღაცაზე კამათობენ, მგონი ფეხბურთზე. მერე ვიღაც ამბობს, წამოდი „ამრაში“ ავიდეთ, შამპანური დავლიოთ. ავდივარ, ზღვას გადავხედავ, სანაპიროზე ხალხი დადის და... მეძინე-ბა. და უცებ მივხვდი, რა უნდა დამერქმია – „სოხუმში დაბრუნება“, ანუ ჩემი გმირი ბრუნდება სახლში“.**

გამოცემული აქვს ლექსების რამდენიმე კრებული. ლექსებს მხოლოდ სოხუმში წერდა. ამბობს, რომ ომის შემდეგ ლექსი აღარ დაუწერია. მთელი ომის პერიოდი სოხუმში გაატარა. არ ვიბრძო-დი, მაგრამ რითიც შემეძლო, ყველას ვეხმარებოდიო. რა თქმა უნდა, ლექსის წერა შემიძლია, მაგის ტექნიკაც მაქვს და შესა-ძლებლობაც, მაგრამ არ მინდა, არ ვიქნები გულწრფელი, ეს ის არ იქნება, რაც ადრე იყოო. თავისი პირველი წიგნი, „საგალობლები შენთვის“ ერთ გოგოს მიუძღვნა. თავიდან უნდოდა „ფსალმუნები შენთვის“ დაერქმია, მაგრამ ცენზორებმა არ დაუშვეს, ეს რელი-გიურია, როგორ შეიძლებაო.

**„მაქვს პოემა „სონატა სოხუმსა და შენზე“ ანუ ქალზე და ქა-ლაქზე, ქალქალაქზე. ზღვისპირა ქალაქები უფრო ქალებს ჰგვანან, აი, უდაბნოსთან და კლდეებთან რომ ქალაქებია, ისინი უფრო კაცებს. ნამდვილ ქალად იქცევა ხოლმე ზღვისპირა ქალაქი, თოვ-ლი რომ მოდის, წყალი რომ ლურჯია და დაისი რომ ცას ავარდისფრებს. ზღვისპირა ქალაქში დიდი სინათლე და ბევრი ფერია. ზღვა ირეკლავს უზარმაზარ სივრცეს და იქ მწვანე უფრო მწვანეა, თეთრი უფრო თეთრია და წითელი უფრო წითე-ლი. მთელი ეს მზისა და ზღვის ენერგია დაჰქონ-დათ სოხუმელ მწერლებს. მე მხოლოდ ეს ქალაქი მაწერინებდა ლექსებს, ჩემი ქალაქი იყო ჩემთვის ალტაცების, აღმაფრენის და მუზების წყარო. ვნახე ცეცხლში გახვეული პალმები და რაფიოლეპისე-ბი, არაუკარიები და ლირიოდენდრონები, სხვაგან სათბურები რომ სჭირდებათ და აქ ჩვეულებრივ ცოცხლობდნენ; ვნახე ჩამოგდებული თვითმფრი-ნავიდან გადმოვარდნილთა და დახვრეტილთა ზღვის ტალღებზე მოტივტივე ცხედრები; ვნახე, როგორ ინვოდა „რიწა“ და მეცხრამეტე საუკუნის ულამაზესი შენობები; ვხედავდი, როგორ იწვოდა და ინგრეოდა ადამიანთა ურთიერთობებიც. საერ-თოდ, ომი თუ ლამაზ ქალაქს ატყდება თავს, შედეგი ორმაგად სასტიკია ხოლმე“.**

ჯერ ხატვა დაიწყო. სკოლაში დადიოდა, როცა მისი ნახატები „პიონერში“ დაბეჭდეს. შემდეგ ლექსებიც გამოქვეყნდა. ბევრი ნახა-ტი სოხუმში დარჩა. თავს მოყვარულ მხატვრად მიიჩნევს, თუმცა თავის წიგნებს დღემდე თვი-თონვე აფორმებს. ფიქრობს, რომ ყველა წიგნში იკითხება ავტორის ბუნება, კაცთმოყვარეა თუ არა ადამიანი. მისი აზრით, მწერლის და შემოქმე-დის მიზანი ადამიანის გამხნევება და თანადგომა უნდა იყოს. თუმცა არიან სისასტიკის მთქმელი გენიოსებიც, წიგნებს წერენ, ფილმებსაც იღებენ და ამასაც თავისი დანიშნულება აქვს.

„ერთი ევროპული ჟურნალის რედაქტორმა მითხრა, ჩემს ჟურნალს ბევრი კითხულობსო. ვკითხე, რა არის მიზეზი, რას აკეთებთ-მეთქი. იცი, რა არისო, ჩემთან რომ მოაქვთ მოთხრობები და ლექსები და ვკითხულობ, ვგრძნობ, ამ კაცს უყვარს თუ არა ადამიანები და კაცობრიობა საერთოდო. თუ არ უყვარს და ეს იგრძნობა ნაწერებში, არ ვბეჭდავო. ბევრი მწერალი ვიცი ძველი და თანამედროვეც, ერთხელ თუ წაიკითხე, მეორედ აღარ მიუბრუნდები. შეიძლება ცუდმა ადამიანმაც დაწეროს კარგი ნაწარმოები და კარგმა ადამიანმაც აჩვენოს ნაწარმოებში სისასტიკე. თავის დროზე ეს გეხმარება, სამყაროს შესახებ ბევრ სიმწარეს გეუბნება და განვითარებაში გეხმარება. მეც მითქვამს მწარე რაღაცები. თუმცა საბოლოოდ მაინც მგონია, რომ ისეთი წიგნი არ უნდა დაწერო, წაკითხვის შემდეგაც კაცმა თავი მოიკლას. არც ისეთი ფილმი უნდა გადაიღო, რომ კაცმა ხელი ჩაიქნიოს და აპათიაში ჩავარდეს. მეგობარი მყავდა, საოცარი კაცი, მუსიკოსი, საქსოფონზე უკრავდა. ცოლი რომ ცხვირს ჩამოუშვებდა, ეს ეტყოდა, ნელი, შეხედე, ონკანიდან წყალი მოდის; გაიხედე, როგორი მზე ამოვიდა; ჩვენი ყვავილები ნახე. ამაში პოულობდა ბედნიერებას. ეს კაცი ომის დროს დახვრიტეს. ერთხელ ვიბადებით, ერთი ცხოვრება გვაქვს და საოცრებაა ეს სიცოცხლე. სიცოცხლე რომ საოცრებაა, ეს ყველაზე კარგად იციან ომგამოვლილებმა და სიკვდილს გადარჩენილებმა, ვინც იცის, როგორ კვდებოდა".



ახლა კიდევ უფრო მეტს ფიქრობს იმ დროზე, როცა „მერეგის ბიჭები" ზღვას უყურებდნენ და ერთმანეთს ეკითხებოდნენ, რა მოხდება „კომეტას" თუ ავიყვანთ ეკიპაჟიანად, 40 წუთში ნეიტრალურ წყლებში ხომ ვიქნებითო?.. აინტერესებდათ, რა იყო „იქით". უნივერსიტეტის ლექტორები ამბობდნენ, რომ „იქით" მხოლოდ ცუდი იყო. არადა, სოხუმში შემოდიოდა უცხოური გემები, მეზღვაურებისგან ყიდულობდნენ ჯინსს, მაისურებს, მუსიკალურ ჩანაწერებს. შემოდიოდა ინფორმაცია. საერთოდ, იმ დროს სოხუმი ყველაზე „ღია ქალაქი" იყო, უცხოელებით, ზაფხულობით ოთხჯერ გაზრდილი მოსახლეობით, ღია კაფეებით და უზარმაზარი სივრცით.

**„ჩვენ დღესაც სტერეოტიპების ოკეანეში ვცურავთ. გამოვა ვიღაც და იტყვის, აი, იმ დროს უბედური ვიყავი, რადგან 24 საათი საბჭოთა კავშირის დანგრევაზე და საქართველოს გათავისუფლებაზე ვფიქრობდიო. ჩვენც გვიფიქრია გაქცევაზე, სხვა სამყაროზე, „კაგებეს ყურადღებასაც" ვგრძნობდით, თუმცა ბედნიერებიც ვიყავით. ამ ბედნიერებაზე რომ არ დამეწერა, სხვას რას დამიჯერებდა მკითხველი. ის ჩვენი დრო იყო, ჩვენი ახალგაზრდობის დრო. მეორეჯერ 20 წლის ვერ გახდები, მეორეჯერ 25 წლის ვერ იქნები. კარგი დრო რომ მოვა, მერე შეიძლება ჩემსავით 67 წლის იყო და ის გოგო რომ მოგწონდა, ისიც მაგ ასაკის და... სოხუმშიც აღარ ვარ. ამიტომ არ ღირს გადადო ბედნიერება არცერთი რეჟიმის დროს, არცერთ გარემოში, და, რა თქმა უნდა, არცერთ ასაკშიც. ადამიანის ცხოვრება არის ადამიანის ცხოვრება და ის არ არის დამნაშავე, სადღაც რომ დაიბადა. ახალგაზრდა და ბედნიერი ვიყავი იმ დროში და ლექსებსაც მაგიტომ ვწერდი. რატომ ველარ დავწერე მერე? დამოუკიდებელ საქართველოში ბულბულივით უნდა ავმღერებულიყავი. მწარედ წავიდა ცხოვრება, იმიტომ კი არა, რომ დამოუკიდებლობა ცუდია, არა, უბრალოდ, გარდამავალ პერიოდში მოვხვდით, ომებში მოვხვდით".**

კულტურის სამინისტროზეც ისე ლაპარაკობს, როგორც ულელტეხილზე, მისი ცხოვრების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეტაპსა და რთულ საქმეზე. იმაზე, რისი გაკეთებაც მოასწრო ან ვერ მოახერხა, რასაც აპირებდა. გურამ ოდიშარია თითქმის ორი წელი იყო საქართველოს კულტურის მინისტრი. ფეისბუკზეც დაწერა და ინტერვიუებშიც ბევრჯერ ილაპარაკა იმ ორი წლის პოლიტიკაზე, მინისტრობაზე, ფრანკფურტზე, საყდრისსა თუ იმ სხვა გადაწყვეტილებებზე, რომელთა მიღებაც იმ დროს შეძლო ან ვერ შეძლო. არ ნანობს, რომ მინისტრობას დათანხმდა და არც თანამდებობის დატოვება მინანიაო, ამბობს. არა, მინისტრად აღარასოდეს დაბრუნდება, თუმცა აპირებს დაწეროს იმაზე, რაც იქ ნახა და რაც თავს გადახდა, თუნდაც იმიტომ, რომ სხვებმა იცოდნენ და გაითვალისწინონ. ყოველგვარი ხუმრობის გარეშე ვამბობ, ომგამოვლილი კაცი რომ არ ვყოფილიყავი, ამას ვერ გავუძლებდიო.

**„არის ასეთი აზრი, რომ მწერალი და საერთოდ, ხელოვანი არ უნდა იყოს საჯარო სამსახურში, მით უმეტეს მაღალ თანამდებობაზე. თუმცა ვაცლავ ჰაველი ამის საპირისპირო მაგალითია. ეს კაცი იყო შემრიგებელი, ბრძენი კაცი, კარგი მმართველი. იდეოლოგია არ არის ცუდი სიტყვა, კარგი სიტყვაა, თუ სწორად გამოიყენებ. საფრანგეთში მეოცე საუკუნის სამოციან წლებში დე გოლმა კულტურის მინისტრად დანიშნა მწერალი ანდრე მალრო. 11 წელი**

**იმუშავა ამ თანამდებობაზე. მის სახელს უკავშირდება ფრანგული კინოს აღმასვლა, საფრანგეთის რეგიონებში კულტურის ცენტრების დაარსება და განვითარება. ის ცენტრები ახლაც მუშაობს. აქ, მაგალითად, გურიაში კაცი კარგ მოსავალს რომ მოიყვანს, ყოველდღე რომ მუშაობს, საღამოს რას აკეთებს? ვერაფერს. სახლში თუ დალევს, მეტს რას იზამს, ვერც კინოში წავა და ვერც კონცერტზე. დავიწყეთ კულტურის პოლიტიკაზე მუშაობა, დავდეთ კონცეფცია, მერე უკვე გამოვაცხადეთ მისი სხვადასხვა ასპექტზე უფრო ღრმა სამუშაო. ბევრი პროექტი გვქონდა: ფრანკფურტი გადაწყდა, დიდი ხნით გაჩერებული ლიტერატურული ჟურნალების დაფინანსება აღვადგინეთ. თითქმის ორი წელი ვიმუშავე, მერე მოხდა რაღაცები და ვთქვი, რომ უნდა წავიდე. იმ პერიოდში ვერ ვწერდი, მაგრამ ჩანაწერებს ვაკეთებდი, რომლებიც მერე გამომადგა. ჩემი ახალი რომანის მთავარი გმირიც კულტურის ცენტრში მუშაობს".**

უნდოდა სამინისტროს დაფინანსება გაზრდილიყო, მეტ-ნაკლებად სამართლიანი და გამჭვირვალე სისტემა აეწყოთ, რადგან ჩვენს ქვეყანას, რომელიც არც „მერსედესს" აკეთებს და არც რობოტებს, მხოლოდ კულტურა აქვს მსოფლიოსთვის საჩვენებლადო. ამას კი სჭირდებოდა ფინანსები, მხარდაჭერა, პოლიტიკური ნება. ყველაფერი უნდა გამეკეთებინა ფრანკფურტში მოსახვედრად და დიდი წინააღმდეგობებიც გვხვდებოდაო. და კიდევ, ამბობს, რომ დღემდე ვერ გავთავისუფლდით საბჭოთა კავშირისგან.



*ოთარ ჭილაძესთან ერთად*

**„ჯერჯერობით მხოლოდ კულტურას გავყავართ მსოფლიოში – ფოლკლორი, ფილმები, მწერლობა, მუსიკა. როდესაც ჩამოვიდა ფრანკფურტის ბაზრობის ხალხი, მათ უნდა დაენახათ, რეალურად რა იყო საქართველო, რა იყო ქართული მწერლობა, ქართული კულტურა. ამ პროექტზე მუშაობა ჯერ კიდევ ნიკა რურუამ დაიწყო, მერე ჩვენ გავაგრძელეთ. კულტურის სამინისტრო არასოდეს ფინანსდებოდა საკმარისად. მაგალითად, ბალტიისპირეთის ქვეყნების სამინისტროების წარმომადგენლებს რომ ვეკითხებოდი, მეუბნებოდნენ, რომ ბიუჯეტიდან დაფინასების გარდა, იქ სხვა სისტემაც მუშაობს, მაგალითად, ყოველი გაყიდული სიგარეტიდან და ალკოჰოლიდან პროცენტი მიდის კულტურის სფეროს დასაფინანსებლად. ამისთვის ბრძოლასაც ვაპირებდი, მინდოდა კულტურის სამინისტროს მეტი ფინანსები ჰქონოდა, უფრო მეტი გამჭვირვალება. ზოგჯერ ისევ საბჭოთა კავშირში ვართ, ჯერ კიდევ ვერ გავუშვით საბჭოთა კავშირი – ისევ ნეპოტიზმით, დაქალძმაკაცობის დონეზე წყდება რაღაცები. არადა, ძალიან საინტერესო ახალი თაობა მოვიდა მწერლობაშიც და ცხოვრებაშიც, ამიტომ მაშინაც მიმაჩნდა და ახლაც ვფიქრობ, რომ ხელისუფლებამ მათთან უფრო უნდა იმუშაოს. შეიძლება ცუდი სიტყვაა მუშაობა, მაგრამ მათთან მეტი ურთიერთობაა საჭირო".**

ამბობს, რომ თავისუფლებისთვის არასოდეს უღალატია. როცა ლექსებს წერდა, სულ ეუბნებოდნენ: ეს არ არის კლასიკური ლექსი, ცხოვრებაში მოკრძალებული ხარ, ზედმეტ სიტყვას არ იტყვი, აქ სხვად იქცევიო... – სითამამეს აბრალებდნენ ლექსის წერის თავისუფლებაში. ომის შემდეგ კი, როცა უღელტეხილზე გადმოვიდა, როცა აღარაფერი დარჩა ზურგს უკან და წინაც ბევრი არაფერი ჩანდა, მოვიდა კიდევ უფრო მეტი თავისუფლება, უცნაური, მაგრამ მაინც თავისუფლება: ვერავინ ეტყოდა, ასე არ დაწეროო, გაქრა იმის შეგრძნება, რომ შეიძლება ცენზორებს რაიმე წაემალათ.

**„მე მყავდა ჩემი მკითხველი სოხუმშიც და აქაც. პოეზიაში ვცდილობდი ცოტა სიტყვით ბევრი მეთქვა. მინიმალისტური იყო ჩემი თხრობის მანერა, მაგრამ თამამი. როცა ვწერდი „დევნილთა უღელტეხილს" და „სოხუმში დაბრუნებას", ყველაზ თავისუფალი ვიყავი, ვინც დამნაშავედ მიმაჩნდა ვამბობდი, რომ დამნაშავე იყო, პოლიტიკოსებით დაწყებული და ხალხით დამთავრებული „პრეზიდენტის კატაში" არის ისეთი რაღაცები რასაც ადრე ცენზურა არ დაუშვებდა. ამ ახალ რომანშიც ბევრი ისეთი რამეა, რასაც ადრე ვერ დაწერდი. ზოგჯერ ვნანობ, ამ დროში რომ არ დავიბადე, ვისწავლიდი მსოფლიოს რომელიმე კარგ უნივერსიტეტში, ახლა ამის ფანტასტიკური შესაძლებლობებია. ათი წლის შემდეგ კიდევ უფრო მეტი იქნება. ნებისმიერი მიმართულებით მუშაობაა შესაძლებელი. ძალიან საინტერესო პერიოდია შემოქმედისთვის. ახლა გაცილებით მეტი თავისუფლება და ხელშეწყობაა. ახლა ყველაფერი დამოკიდებულია ნიჭიერებაზე, გამოცდილებაზე, ემოციების სიღრმეზე. ძალიან ცოტა რამ არის დაწერილი და გააზრებული. ამის ისე დაწერა შეიძლება, რომ მსოფლიომ წაიკითხოს. აი, ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე ძალიან ბევრმა ნახა და გაიცნო საქართველო. ეს უძველესი წიგნის ქვეყანა ყოფილა და არა ბანდიტების და ქურდების პოსტსაბჭოთა რესპუბლიკაო. მალე, ალბათ, პარიზის წიგნის ბაზრობაზეც ვიქნებით. ესეც ძალიან დაგვეხმარება".**

ლიტერატურა სხვანაირად ინახავს ომსაც და ისტორიასაც. საუბედუროდ თუ საბედნიეროდ, მწერალს ბევრ მასალას აძლევს ომი. მწერლები ომებს ეძებენ ხოლმეო, ამბობს გურამ ოდიშარია, ოღონდ ძალიან ცოტას შეუძლია ომიდან ჰემინგუეისნაირად „ამბების" გამოტანაო. თუმცა იმასაც ამბობს, რომ ომი ღლის ხალხს. ახლა ნამ-

დვილი ომები მიდის დედამიწაზე, უამრავი ნაწარმოები იწერება, ფილმებს იღებენ... და იღლება სამყარო, ამიტომაც უფრო ღირებული ხდება მშვიდობაზე, შერიგებასა და სიყვარულზე დაწერილი ტექსტები.

„თავიდან ვერც მე, როგორც ბევრი სხვა, ვერ წარმოვიდგენდით, რომ შეიძლება ომი დაიწყოს, მერე ვერ წარმოვიდგენდით, რომ ეს ომი ამდენ ხანს გაგრძელდებოდა, მერე ვერ წარმოვიდგენდით, რომ ეს ყველაფერი ხალხის, ჩვენი გამოძევებით დამთავრდებოდა. წარმოუდგენელი იყო ის, რაც ულელტეხილზე ვნახე. არც ის მეგონა, რომ დევნილობა ამდენ ხანს გაგრძელდებოდა. ვფიქრობდი, მოილაპარაკებდნენ, დავბრუნდებოდით. იყო მოლაპარაკების შანსები, არ ვიცი, ჩვენ არ გამოვიყენეთ ეს, შიშმა შეგვიშალა ხელი თუ რაღაც კონკრეტულმა ძალებმა, მაგრამ ფაქტია, ვერ მოვილაპარაკეთ. არ ვიცი, როგორი მწერალი ვიქნებოდი, ომი რომ არ ყოფილიყო, შეიძლება სულ ლექსები არ მეწერა. როდესაც სოხუმში ჩავედი პირველად, აფხაზი ბიჭები მოვიდნენ, გიცნობთო. როგორც უკვე გითხარით, იქ უფრო პოპულარული ვარ, როგორც მწერალი. „პრეზიდენტის კატა" აფხაზებმა თარგმნეს. სპექტაკლი „ზღვა, რომელიც შორია" 100 დისკზე ჩაწერეს უცხოელებმა და ისე ჩაიტანეს სოხუმში. როგორც ვიცი, უნივერსიტეტშიც უყურებდნენ და განხილვას აწყობდნენ. უცხოელებმა მას „თეატრალური ხიდი" შეარქვეს. ჩვენ გვჭირდება ის ადამიანები, რომლებმაც იციან დანაღმულ ველზე სიარული. ჩვენსა და აფხაზებს შორის არის დიდი დანაღმული ველი. იქნება ბევრი და ბევრნაირი წინააღმდეგობა ყველა მხრიდან, მაგრამ უნდა ვცადოთ".

პროფესიით ისტორიკოსი უფრო ფილოსოფიურად უდგება ყველაფერს. არის მომენტები, როცა დარწმუნებული ხარ, რომ აღარაფერი შეიცვლება, რაღაც ისეთი ხდება, ადამიანის ძალებისთვის დაუძლეველი რომაა. მაგრამ რაც არ შეუძლია ერთ ადამიანს ერთ დროში, შეუძლია ისტორიას სხვა დროში და სხვა ადამიანის ხელით. მანამდე კი ფიქრობს, რომ ურთიერთობა უნდა აღდგეს. ამ საქმეში კი, მისი აზრით, საჭიროა სწორედ ის, „დანაღმულ ველზე მოსიარულე" ადამიანები.

„ისტორიკოსი ვარ და ვიცი, არაფერი უნდა გამიკვირდეს. აჭარა მრავალი წლის განმავლობაში არ იყო საქართველო; გერმანია უზარმაზარი კედლით გაიყო, ერთმანეთის დამოუკიდებლობა აღიარეს და გაეროში ფედერაციული და დემოკრატიული რესპუბლიკების ელჩები გვერდიგვერდ ისხდნენ. ვინ იტყოდა, რომ ისტორია ასე შემობრუნდებოდა. არის მომენტი, რომელსაც წინასწარ ვერ განსაზღვრავ, ლოგიკას არ ექვემდებარება. პირველად სოხუმში რომ ჩავედი, მობილური არ მუშაობდა. მითხრეს, წამოდი „ამრაზე", იქ იჭერსო. მხოლოდ ერთ ადგილას დაიჭირა. წინ გადავდგი ნაბიჯი და გაითიშა – მარჯვნივაც, მარცხნივაც. დაახლოებით სამი კვადრატული მეტრი იყო, სადაც დაკავშირება შეიძლებოდა. დავრეკე თბილისში. ჩემი ცოლი გაგიჟდა, სამი დღეა არ დაგირეკავს, ცოცხალი ხარ? ვუთხარი, აქ არძინბას მრავალცოლიანობის კანონი მიუღია და ვრჩები-მეთქი. მართლა მიიღეს ასეთი კანონი. კვდებოდნენ ესენი სიცილით. მერე ერთმა მთხოვა, დეიდაშვილთან დამარეკინეო, მეორემ ბიძაშვილთანო. ლაპარაკობდნენ. ორ დღეში ყველა ბარათი დავხარჯე. მეორე დღესაც რომ ავედით, ვიღაც ქალი იდგა და რუსულად ეუბნებოდა ვიღაცას, როგორც კი ენგურის ხიდზე გადმოხვალ, იქ დაგხვდებიო. როცა მაცილებდნენ, ვთქვი, ჩემი გამოანგარიშებით, სამი კვადრატული მეტრია, რომელიც დღეს ჩვენს შორის მუშაობს და მინდა ხვალ ეს 30 გახდეს, მერე 300, მერე 3000, მერე 300 000, 3 მილიონი და მივიდეთ იმ უსასრულობამდე, რაც მანამდე გვქონდა ერთმანეთთან ურთიერთობისთვის-თქო".

ხშირად დადის კონფლიქტის ზონებში. აინტერესებს ომი, როგორც მწერალს და როგორც ადამიანს. ომის კანონები და კანონები ომში. 2004 წელს სოხუმში პირველად რომ ჩავიდა, ჯერ მამის საფლავი ნახა. მერე თავის სახლთან მიიყვანეს. ავიდეთო, შესთავაზეს, იუარა. რატომ უნდა ავსულიყავი, იქ ასვლა იქნებოდა გამოხდომა და უჭკუობაო. მის სახლში ახლა სხვა ცხოვრობს და ომს თავისი კანონები აქვსო. 12 წელი იყო გასული სოხუმის დატოვებიდან. მაშინაც და დღესაც დარწმუნებულია, რომ მთავარი ქართულ-აფხაზური ურთიერთობების აღდგენაა, მერე ყველაფერი აღდგება და დაბრუნდება, მერე ყველაფერზე მოლაპარაკება იქნება შესაძლებელი, სახლზეც და საფლავებზეც.



„ჩვენ ვერ გავექცევით ერთმანეთთან ურთიერთობას. ყველაფერს უნდა დაერქვას სახელი. რუსეთმა რაც დააშავა, დააშავა, აფხაზებმა რაც დააშავეს, დააშავეს, მაგრამ ამ დანაშაულების თანაავტორები ჩვენც ვართ. მე ყოველთვის მიმაჩნდა და ვწერდი კიდეც, რომ ის, რაც ჩვენ დაგვემართა, ნაწილობრივ მაინც შეგვეძლო თავიდან აგვეცილებინა. კი, გადამწყვეტი რუსეთის პოლიტიკა აღმოჩნდა, მაგრამ როცა შენ აქეთ ხარ და შენი ძმა კი მეორე მხარესაა და ეს იცი, რატომ ესვრი?.. მართლა ვიცნობდი ორ ძმას, რომლებიც ამ ომში ერთმანეთის წინააღმდეგ იბრძოდნენ. პირდაპირ ვერ ხედავდნენ ერთმანეთს, მაგრამ ერთმანეთის მხარეს ხომ ისროდნენ?.. დღეს ხშირად ანალიტიკოსები ეყრდნობიან მედიას, სოციალურ ქსელებს. ეს არასწორი მგონია. ღია სივრცეში ხშირად იქით მხარესაც გამოხატავენ აგრესიას და აქეთაც, მაგრამ ეს მთელი მოსახლეობა არ არის. იქ არის ხალხი, რომელიც დაიღალა, არ უყვარს რუსეთი და შერიგება უნდა; არიან ნეიტრალურად განწყობილებიც, ვინც ელოდება, რა მოხდება; ზოგს ხმის ამოღების ეშინია და ისიც ელოდება. ბევრი შერეული ოჯახია. ბევრი გააკეთა სამედიცინო პროგრამამ, კიდევ უფრო მეტს გააკეთებს საგანმანათლებლო პროგრამაც, თუ დაემატება".

არასდროს შემიწყვეტია შერიგებაზე ფიქრიო, ამბობს გურამ ოდიშარია. ბოლო ორი წელი არ ყოფილა სოხუმში, თორემ ისე ხშირად ჩადის. რამდენიმე წლის წინ ერთობლივი პროექტიც გაკეთდა: სამი უმძიმესი კონფლიქტი ხუთ ლიტერატურაში. აფხაზი, ოსი, ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი მწერლების ერთობლივი კრებული შეადგინეს და გამოსცეს. წავიდა სოხუმში, ცხინვალში, ერევანში, ბაქოში, შეკრიბა მწერლები, ტექსტები. აფხაზი მწერალი დაურ ნაჭყებია მის სახლში ცხოვრობდა ორი კვირის განმავლობაში.

„სოხუმში ცხოვრობს მწერალი დაურ ნაჭყებია, რომელიც მე ვთარგმნე. ძალიან საინტერესოდ წერს, ჰუმანური დამოკიდებულებით გამოირჩევა. აღწერილი აქვს, როგორ ყაჩაღობდნენ სოხუმის დაცემის შემდეგ აფხაზები, როგორ ხოცავდნენ ხალხს. შევადგინეთ სამხრეთკავკასიური კრებული. ეს იყო იმაზე, თუ რას ვაკეთებთ მწერლები ამ კონფლიქტების მოსაგვარებლად, ადამიანების ერთმანეთთან დასაკავშირებლად. ეს არ იყო პოლიტიკური ნაშრომები და ეს იყო მეორე მხარეზე ფიქრი, ტკივილზე ფიქრი და კონფლიქტის გააზრების მცდელობა. დიდი გამოხმაურება მოჰყვა იმ დროს, მაგრამ გაგრძელება არა. დაურ ნაჭყებია მერე სოხუმში მინისტრი გახდა, პროექტის ოსი მონაწილე ახალგაზრდა ქალიც მინისტრად დანიშნეს ცხინვალში. თითქოს იყო რაღაც ნიშნები ურთიერთობის აღდგენის გზაზე, მაგრამ უბედურება იყო ის, რომ მაშინ ამით არავინ დაინტერესდა, ეს საკითხი სახელმწიფო დონეზე არ დადგა".

გურამ ოდიშარიას „დევნილთა ულელტეხილი" სკოლის სახელმძღვანელოში შეიტანეს. ხშირად ეპატიჟებიან საჯარო ლექციებსა და შეხვედრებზე. მისი აზრით, ახალმა თაობამ სიმართლე უნდა იცოდეს, უნდა ჰქონდეს დოკუმენტური ინფორმაცია, რადგან დრო სწრაფად გადის, ბავშვები სწრაფად იზრდებიან და მათთვის უახლესი წარსულიც კი ზოგჯერ სრულიად უცხო და გაუგებარი ხდება.

„მე მაინც მიმაჩნია, რომ თავი და თავი ყველაფრის არის ზნეობა. ძალიან განათლებული ადამიანი ჯერ კიდევ არ ნიშნავს ზნეობრივს; არ ნიშნავს იმას, რომ ის ომს არ დაიწყებს. ვერავინ იტყვის, რომ ჰიტლერი გაუნათლებელი იყო ან ჰიმლერი. გერინგს ხუთი ფაკულტეტი ჰქონდა დამთავრებული, მაგრამ საკონცენტრაციო ბანაკების ერთ-ერთი იდეოლოგი და სულისჩამდგმელი იყო. დამოუკიდებელი გავხდით და მაშინვე დაიწყო ბრალდებები, დღემდე გრძელდება: აგენტი, მოღალატე, არაქართველი... ჩვენ ერთმანეთთან ომში, ერთმანეთთან წინააღმდეგობაში იმხელა ენერგია გვაქვს დაკარგული, ეს რომ შენებაში დაგვეხარჯა... სინდისი არცერთ კოდექსში არ წერია, მაგრამ არ ნიშნავს, რომ არ არსებობს. აფხაზებს აქვთ საინტერესო ზნეობრივი კანონი „აფსუარა", აი, ჩვენთან რომ იტყვიან, „არ ეგების". ძმა რომ ძმას აგინებს – არ ეგების. თბილისშიც დავხოცეთ ერთმანეთი და სხვაგანაც. როცა ქართველი ქართველს ესვრის, შენს ქვეყანაში მცხოვრები სხვა ეროვნების ადამიანი სხვანაირად გიყურებს. ძმის მკვლელს აღარავინ ენდობა ძველებურად. სუფრასთანაც რომ იჯდეს ასეთი კაცი და ცამდე მართალი რომ იყოს, არ გსიამოვნებს, არ გინდა მასთან ურთიერთობა. დამოკიდებულება უნდა შევცვალოთ, უნდა ჩამოვყალიბდეთ, იმ ხალხად უნდა ვიქცეთ, ვისაც ომი არ უნდა".

ომამდე ლექსის წერა ანიჭებდა ბედნიერებას, ახლა ბედნიერია, როცა რომანზე მუშაობს. ის, რაც ადრე ლექსებს აწერინებდა, დაკარგა და ისეც, ფიქრობს, რომ ახლა უფრო პროზის დროა, სცენარების, პიესების, პუბლიცისტიკის, ბევრი სათქმელის. ომამდე, სხვადასხვა წელს მუშაობდა სოხუმის რადიომაუწყებლობისა და აფხაზეთის საოლქო გაზეთის კორესპონდენტად, იყო აფხაზეთის მწერალთა კავშირის ლიტერატურული კონსულტანტი, ჟურნალ „რიწის" მთავარი რედაქტორი და გამომცემლობა „მერანის" აფხაზეთის ფილიალის დირექტორი. შემოსავლიანი მწერალი რომ ვიყო, აგენტი მეყოლებოდა და მე მხოლოდ დავწერდიო. ახლა პრემიერ-მინისტრთან მუშაობს კონსულტანტად კონფლიქტების დარეგულირების მიმართულებით, ბევრი დრო არ მაქვსო. მალე ახალი რომანი გამოვა. მასში სოხუმიცაა და თბილისიც, დევნილობაც და სიყვარულიც, ქალებიც და ისევ ულელტეხილი, რომელიც ბევრმა გამოიარა და მაინც ყველამ თავისებურად.

„ეს არ არის ბოლომდე აფხაზეთზე. თავის ცხოვრებას ჰყვება 75 წლის კაცი, რომელიც დაიბადა სოხუმში. ცხოვრობდა იქ და იმასაც დაემართა ომი, ისიც გადმოვიდა ულელტეხილზე. მოხვდა თბილისში. მევიოლინეა და იქ ტურბაზის ანსამბლში გიტარაზეც უკრავდა. თბილისში სიმფონიურ ორკესტრსა და რესტორანში ვიოლინოზე უკრავს, ბერდება, წლები მიდის და ერთხელაც ჩადის ზღვისპირა ქალაქში, ბათუმში. განმარტოვდება და ფიქრობს, რა იყო ეს ცხოვრება მისთვის და იგონებს ყველაფერს. ცალუღელა კაცია, ოჯახი არ ჰყოლია და იგონებს თავის საყვარელ ქალებს. როგორ შეუყვარდა პირველად, როგორ აკოცა პირვე-

ლად, ქეიფები, მარიხუანა და ბოლოს ახსენდება თავისი ყველაზე დიდი სიყვარული. ამ წიგნში არის ქალების ისტორიები და თითოეული ქალი არამხოლოდ მის ცხოვრებასთან არის დაკავშირებული, არამედ საქართველოს ისტორიასთანაც. ძალიან თამამად აღწერს მათთან სიყვარულს, თამამი აღწერებია, ასე ახალგაზრდები წერენ ხოლმე, მაგრამ მწერალი ხომ არასდროს არ უნდა დაბერდეს?.. საბოლოოდ ერთი ქალი უყვარდა და იმ ქალის ამბავი დაკავშირებულია ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებს, მაგრამ ამას ახლა არ გავამხელ. მალე გამოვა და მკითხველმა თავად უნდა ნახოს. კალეიდოსკოპური თხრობაა. იუმორი, ტრაგედია, უღელტეხილი".

„პრეზიდენტის კატა" პირველად 2007 წელს გამოვიდა, მერეც რამდენჯერმე დაიბეჭდა. შემდეგ იყო „სათვალიანი ბომბი", ახალ რომანს კი პირობითად ჰქვია „შენთანუშენოდ". გურამ ოდიშარიას მხატვრული ტექსტები და პუბლიცისტიკა 15 ენაზეა თარგმნილი. პიესა „ზღვა, რომელიც შორია" თემურ ჩხეიძემ დადგა, ეს იყო ორი მეგობრის შეხვედრის ამბავი. სოხუმში პირველად რომ ჩავიდა, ძველ მეგობრებს შეხვდა და ბევრი ვილაპარაკეთ. აქ ორი მეგობარი ლაპარაკობს და არა ორი კონფლიქტოლოგი. პიესაში ყველაფერი კიდევ უფრო გაამძაფრა. „რატომ ვესროლეთ ერთმანეთს?" – კითხულობენ პიესის მთავარი გმირები და ამ კითხვაზე პასუხის გაცემის მცდელობა თვითონაც არასოდეს შეუწყვეტია.

„ფაქტობრივად, სულ ვმუშაობ. ჩანაწერები, პუბლიკაციები, თუ ბოლო რომანს წელიწადი და სამ-ოთხი თვე მოვანდომე, იმდენი მასალა მაქვს უკვე, რომ მომდევნო რომანი, შეიძლება ერთ თვეში დავასრულო. სხვა ტიპის იქნება და უფრო მცირე მოცულობის. სტილითაც განსხვავებული. ვოცნებობ, რომ ერთი კარგი პიესა დავწერო, ისეთი, ისევ ბატონმა თემურ ჩხეიძემ რომ დადგას. კიდევ ვაპირებთ ფილმი გადავიღოთ უღელტეხილზე, სცენარი უკვე დაწერილი გვაქვს. მე და გიორგი ოვაშვილი ვმუშაობთ, ახლა დაგვემატა „ოქროს გლობუსის" მფლობელი, ცნობილი ავღანელი რეჟისორი სიდიქ ბარმაკი, რომელიც ახლა საფრანგეთში ცხოვრობს. ჩვენთან ერთად იმუშავებს, როგორც თანასცენარისტი და თანარეჟისორი. ამ ფილმში არ იქნება მარტო ჩვენი უღელტეხილი და მარტო საქართველო. სხვა კონფლიქტებზეც იქნება. როგორია ადამიანი და როგორ იქცევა ის ომში, ამაზე იქნება. საერთოდ კი, ყველაზე დიდი ბრძოლის ველი არის ადამიანის გული, ჯერ ადამიანის გულში მიმდინარეობს ყველა ბრძოლა – კეთილის და ბოროტის, ღმერთის და ეშმაკის. ერთი დაავადება აქვს ჩვენს პლანეტას – 250 „ცხელი წერტილია" და დღემდე ვერ გვიპოვია გზა აქედან გამოსასვლელად".

„საქართველოში კარგადაა ცნობილი მშვიდობის ასეთი ირონიზება – „მშვიდობის მაძიებელი", რომელსაც ხშირად უსაქმური ან უცნაური კაცის მისამართით იყენებენ („აი, მოვიდა მშვიდობის მაძიებელი") და იმავდროულად, ტრადიციულ, ქართულ სუფრაზე, პირველად მშვიდობის სადღეგრძელო წარმოითქმის. ასე რომ, ქართველს შეუძლია ერთი წუთით ვინმეზე იხუმროს – ის კაცი „მშვიდობის მტრედიაო", ხოლო მეორე წუთს მთელი სერიოზულობით წარმოთქვას მშვიდობის სადღეგრძელო. ჩვენი მშვიდობა ლაღ ღიმილსა და მწარე ჩაფიქრებას შორისაა გახირული". – *„მშვიდობა", გურამ ოდიშარიას „ჩანაწერები".*



# რომანიდან „შენთანუშენოდ“

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ტურბაზა „კომკავშირული გზა“

*გურამ ოდიშარია*

ტურბაზის ერთ-ერთ ოთახში საწოლზე ვწევარ და ღია ფანჯარაში ცას ავყურებ. ცხელა, შუა აგვისტოა.

ბაქოს კონდიციონერების ქარხანა დაპროექტებულიც რომ არ არის, ის დროა. ანუ ქვეყანაში არ არსებობს კონდიციონერები და ცხელა ყველგან: სახლებშიც, სამსახურებშიც, მაღაზიებშიც, კინო-თეატრებშიც, სასტუმროებშიც... მანქანებზე არაფერს ვამბობ.

და, რა თქმა უნდა, ცხელა „კომკავშირული გზის“ კოტეჯებშიც და კორპუსებშიც.

მხოლოდ ზღვის ნორჩი ნიავილა აცოცხლებს ტურბაზის ეზოს, ნაზად არწევს კიპარისების კენწეროებს, აშრიალებს ჭადრების ფოთლებს.

დილიდან თავი მტკივა, წუხელ გვიანობამდე ვსვამდით, ჯერ ღვინოს, შემდეგ – კონიაკსაც და ლიქიორსაც... ავურიეთ სასმელი.

ეზოს რომელიღაც კუთხიდან სანიჩის ხმა ისმის, მეეზოვეებს შენიშვნებს აძლევს.

კარზე კაკუნის ხმაზე თავს ვწევ, მაგრამ ეს ჩემი ოთახის კარზე კი არა, გვერდით, „ლუქსად“ წოდებული სასტუმრო-აპარტამენტის კარზე აკაკუნებენ.

„ლუქსი“ განსაკუთრებულად პატივსაცემი სტუმრებისთვისაა განკუთვნილი. ახლა იქ კომპარტიის ცკ-ს პასუხისმგებელი ჩინოვნიკი ცხოვრობს, ერთი კვირის წინ ტურბაზაში დააბინავეს, საოლქო კომიტეტის მუშაობას ამოწმებს.

ჩინოვნიკი ჩამოსვლის დღესვე ვნახე, მაღალი, წელში ოდნავ მოხრილი, დაახლოებით, სამოცდაათი წლის მკაცრი სახის კაცი აუჩქარებლად გადმოვიდა შავი „ვოლგიდან“ და მძიმე ნაბიჯებით შევიდა კორპუსის შესასვლელში. საოლქო კომიტეტის ორი ინსტრუქტორიც, რომლებიც დიდ სტუმარს აეროპორტიდან მოაცილებდნენ, ასევე დინჯად და მოწიწებით მოჰყვებოდნენ, ცდილობდნენ მისთვის აეწყოთ ფეხი. კარგადაც გამოსდიოდათ. ერთს მისი პორტფელი მოჰქონდა, მეორეს – ჩემოდანი...

– და, და... – ლუქსის ღია ფანჯრებიდან ცეკას კაცის დახშული ხმა ისმის.

კარი იღება.

– შეიძლება? – კითხულობს ქალის ხალისიანი, ნარნარი ხმა და ოთახში ფეხსაცმელების (სავარაუდოდ, მაღალქუსლიანი) კაკუნით ვიღაც შემოდის.

ჭრიალებს საწოლი, იჭიმება, მერე ერთბაშად ეშვება მისი ზამბარები. ანუ ცეკას კაცი საწოლიდან დგება.

– ოჰ?! – ისმის მისი გაოცებული ხმა.



ჩემი ფანჯრიდან ჩანს, როგორ ეფერებიან ხეების კენწეროები თეთრ, სიფრიფანა ღრუბლებს. მტკივა თავი, თან აგენტივით ვუსმენ „ლუქსს.“

– გამარჯობა! – ამბობს ქალი.

– მოგესალმებით... რამ შეგაწუხათ... უკაცრავად და... ვინ ბრძანდებით?

– შეიძლება ჩამოვჯდე?

– რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა, მაპატიეთ...

სხდებიან.

სიჩუმე.

– გისმენთ, – ამბობს კაცი და თითებს მაგიდაზე ათამაშებს.

– ეს მე გისმენთ თქვენ, – კისკისებს ქალი.

და ვცნობ ქალის ხმას. ანჟელაა! ქალაქელი ლამაზმანი ანჟელა. ანჟელა და მილენა დები არიან, მაღლები, ლამაზები, ყელალთმიანები, მმართველი ელიტის მეგობრები, მათი ლალი ქალები.

– ეს როგორ? – გულწრფელად უკვირს კაცს, – თქვენ მისმენთ მე?..

– ნუთუ ვერ ხვდებით? – კისკისებს ანჟელა, – მე თქვენი საჩუქარი ვარ.

პაუზა... აგვისტოს სიცხესავით მოთენთილი პაუზა, გაბრუებული.

– თქვენმა მეგობრებმა გამოგიგზავნეს ჩემი თავი... საჩუქარი ვარ...

– საჩუქარი?.. ოჰ, ეს მეგობრები, – ზანტად იცინის კაცი, – გემოვნებიანი მეგობრები რომ მყავდა, კი ვიცოდი, მაგრამ... ასეთ ლამაზ საჩუქარს თუ გამომიგზავნიდნენ, არ მეგონა... არ ველოდი... სიურპრიზია, მოლოდინს გადააჭარბეს, ბრავო, ბრავო!

კაცს აშკარად ეტყობა, რომ ქალებთან ურთიერთობის დიდი გამოცდილება აქვს.

ანჟელას კისკისი ფანჯრებიდან ილვრება, ტურბაზის სხვა ოთახებშიც აღწევს, იფრქვევა ეზოშიც, მიუყვება კიპარისებსა და მაგნოლიებს და, საბოლოოდ, ჩიტების ჟღურტულთან ერთად, ზღვისკენ მხიარულად მიწკრიალებს.

ანჟელას სიცილი თავის ტკივილს რამდენიმე წუთით მავიწყებს.

კაცი დგება, ბოლთას სცემს.

– შესანიშნავი საჩუქარია, ნატიფი, ნატიფი... – ამბობს კაცი და ცოტა ხნის შემდეგ ამატებს, – ჩვენს საერთო მეგობრებთან ერთად გუშინ გვიანობამდე ვიქეიფე. კარგი ღვინო ვსვით, მაგრამ რატომღაც დილიდან თავი მტკივა...

გაოცებისაგან ვკრთები, მეჩვენება, ის კაცი მე ვარ, ჩემს სათქმელს ამბობს – ეს ხომ მე მტკივა თავი და წუხელ მეგობრებთან ერთად მე ვიქეიფე.

– თქვენ ამ საღამოს მიემგზავრებით? – კითხულობს ანჟელა.

– აბა, მატარებლით... რა იჩიქჩიქებს... არადა, რა კარგი ღვინო ვსვით, ყველაფერი მაღალი დონის იყო – ქამბალას საცივი, ელარჯი, ხაჭაპური... მაღალი პილოტაჟის კულინარია...

კაცი სკამს აჭრიალებს.

– იცი, რა გითხრა, ლამაზო?.. პირდაპირ გეტყვი, საქმიანი კაცი ვარ, კონკრეტიკა მიყვარს... მოდი, მოვილაპარაკოთ... მოკლედ, რა გადაიხადეს ჩემმა მეგობრებმა ამ ფანტასტიურ საჩუქარში?

ყურებად ვარ ქცეული.

– ამის ცოდნა აუცილებელია?

– გამიგე, მე ხომ უნდა ვიცოდე, როგორი პატივი მცეს მეგობრებმა, მე ხომ მათ ღირსეული მადლობა უნდა გადავუხადო?..

– მესმის, – ნაზად კნავის ქალი, – ათასი მანეთი...

– ათასი მანეთი?.. ასეთი საჩუქარი ნაკლები არ ღირს, პირიქით, მეტიც... მართლა, მართლა... ეს ხომ არ არის ჩვეულებრივი საჩუქარი.

კაცი ჩუმდება, თითებს მაგიდაზე ათამაშებს:

– თან თავი მტკივა...

ისევ ვკრთები, აშკარად ჩემს სათქმელს ამბობს კაცი.

– წინ კიდევ, გრძელი გზა მაქვს... ვერ ვიძინებ მატარებელში.

ოთახში სიჩუმე ისადგურებს.

– იცი, რა ვქნათ?.. – ამბობს კაცი, – ჩვენ საერთო მეგობრები ხომ გვყავს? გვყავს! ანუ ჩვენც მეგობრები ხომ ვართ? ვართ! ლოგიკურად ასეა, გვინდა თუ არა, ასე გამოდის... ჰოდა, მეგობრებმა ხომ უნდა გაუგონ ერთმანეთს? უნდა გაუგონ, რა თქმა უნდა!.. განა არა?..

– ამით რისი თქმა გსურს? – ქალი მოულოდნელად და მკვეთრად „შენობითზე" გადადის.

– რისი იცი?.. მე კონკრეტიკა მიყვარს და პირდაპირი საუბარი, ვატყობ, რაღაცით ვგავართ ერთმანეთს, ჩემნაირი ხარ... მოკლედ, ასე – შუაზე გავიყოთ ის ფული, ხუთასი შენ, ხუთასიც – მე...

– ხუმრობ...

– შეიძლება სიგარეტი მოვწიო?

– რა თქმა უნდა.

ორიოდე წუთში დეფიციტური „Philip Morris"-ის სუნი ჩემს ოთახში აღწევს.

– არ გამოვა ეგ საქმე, – ისმის ჩაფიქრებული ანჟელას ხმა – ჯერ ერთი, ნაწილი უკვე დავხარჯე, გარდა ამისა, ვალებიც მაქვს...

– როგორ, შენისთანა ქალს ვალები აქვს?.. გამორიცხულია ბლეფია... ჩემი გადაგდება გინდა.

– არ გატყუებ, – კატეგორიულია ანჟელა.

– შენისთანას?.. შენისთანა ლოლობრიჯიდა ქალს ვალები აქვს? არ გამაცინო... ლიმონათს ხომ არ დალევ?

– ცივს ოღონდ.

– მაცივარში მაქვს. რომელი გირჩევნია – მსხლის თუ ლიმნის? ბავშვობიდან ვგიჟდები ლიმონათზე, ნახე, მეგობრებმა მაცივარი როგორ გამომიტენეს ლიმონათის ბოთლებით? სპეც ჩამოსხმაა...

– ლიმნის მირჩევნია.

– ლიმნის... აი, ამაშიც ვგავართ ერთმანეთს... გემოვნებაშიც

ცეკას კაცი მაცივრიდან ბოთლს იღებს, ხსნის და ჭიქაში ასხამს.

ლიმონათის დასხმის ხმაზე ნერწყვი მერევა.

„ლუქსში" ლიმონათს აუჩქარებლად სვამენ.

– მომისმინე, ჩემი მეგობრები ხშირად გყიდულობენ... ყიდულობენ... ყიდვ... – იბნევა კაცი.

– ვერ გავიგე.

– ხშირად გყიდულობენ, როგორც საჩუქარს... მეგობრები, ჩვენი მეგობრები...

– ააა, სეზონს გააჩნია, ზაფხულში – ხშირად, ზამთარში – იშვიათად, თუმცა ხანდახან მაშინაც არც თუ ისე იშვიათად.

– ესე იგი, ზამთარშიც არც თუ ისე იშვიათად. ანუ შემოსავალი კარგი გაქვს... ყველაზე მაღალი შემოსავალი პროფესორებს აქვთ – ხუთასი მანეთი თვეში... და კიდევ მეშახტეებს... ქმარი, საყვარელი თუ გყავს?..

– ეს შენ რაში გეხება?.. მე ჩემი საქმე მაქვს, შენ – შენი...

– კარგი, კარგი... იქნებ...

– რა იქნებ?

– იქნებ სამასი მაინც... მოკლედ, სამასი მანეთი მომეცი და დანარჩენი შენია...

– არა, არა-მეთქი... აზრზე მოდი, ეს რომ გაიგონ, ჩვენი მეგობრები რას იტყვიან შენზე?

– შენც ხარ რა... როგორ გაიგებენ?..

– სინდისი არ გაქვს?.. მე ხომ საჩუქარი ვარ და არა ვაჭარი.

კაცი დგება, სკამს ხმაურით გაწევს. მისი სანთებელას განკაპუნების შემდეგ, ცოტა ხანში, ჩემს ოთახში კვლავ ამერიკული სიგარეტის სურნელი აღწევს.

– რადგან ასეა, რადგან ასე ჯიუტობ, მაშინ კარგი... მაშინ კარგი... მაშინ დაწექი! ახლავე! – კაცს ხმაში ბრაზი ერევა.

– ჯერ აბაზანაში შევალ, ცხელი წყალი ხომ მოდის?

– მოდის, მოდის!.. მაგრამ ხანდახან ჟანგიანი წყალიც მოდის. ამასაც „ლუქსი" ჰქვია რა!.. მღვრიე წყალი... მოვახსენებ ამაზეც იქ... სადაც საჭიროა...

ქალი აბაზანაში შედის.

– შენ რა გქვია?.. ჰო, რა გქვია-მეთქი, გეკითხები რა... როგორ?.. ანჟელა? ანჟელა, ესე იგი...

კაცი ბოლთას სცემს...

მოგვიანებით „ლუქსიდან" საწოლის ჭრიალი ისმის.

ჭრიალებს საწოლი ზარმაცად, მძიმედ, მძიმედ... როგორც ქალაქიდან ახლადგასული მატარებელი.

# ლანა

სადაც კი მომიხერხდებოდა, ყველგან ლანას პორტრეტს ვხატავდი, ლექციების რვეულში – ავტოკალმით, თითით – დაორთქლილ მინაზე, პალმის ტოტით – ზღვის სანაპიროს ქვიშაზე, ცარცით – სამუსიკო სასწავლებლის აუდიტორიის დაფაზე, ასფალტზეც, ჯაყვითაც ამოვჭრიდი ხოლმე – მოსეს ჯიშის ბამბუკებზე ბოტანიკურ ბაღში, ბულვარის ძელსკამებზეც...

ჩვენი მეგობრები უმალ ცნობდნენ დახატულ ლანას – შუაში გაყოფილი, მხრებზე ჩამოშლილი თმით, დიდი თვალებით, მაღალი ყელით... ლანას პორტრეტს ასობით ვამრავლებდი მთელს ქალაქში და რაც უფრო ხშირად ვხატავდი, მეჩვენებოდა, რომ თანდათანობით ჩემი განუყოფელი ნაწილი ხდებოდა.

ჩვენი გაცნობის დღის მეორე წლისთავი გაგრაში ალვნიშნეთ, შავი ზღვის ყველაზე ეგზოტიკურ ქალაქში. მაშინ ლანას დედ-მამა უნგრეთში იმყოფებოდა, ბუდაპეშტში მელვინეთა დიდი შეკრება ტარდებოდა.

გაგრაში წასვლამდე მაჯის საათი გამიფუჭდა, მესაათეს მივუტანე, შემიკეთა, უკვე საათივით მუშაობსო, გამიცინა, ხუთი მანეთი მთხოვა, ათი მივეცი, მიხაროდა, რომ მალე ისევ განვცალკევდებოდით ლანა, მე და გაგრა. გაგრა მშობლიური ქალაქივით მიყვარდა. იმ დღეს ყველა საგანი და მოვლენა ჩარლზ პარკერის მუსიკასთან ერთად ფირფიტასავით ტრიალებდა და ტრიალებდა, ლივლივებდა ჩემს გარშემო მთელი სამყარო.

წასვლის დღეს დილაუთენია ავდექი, პირი გავიპარსე, გრძელი თმა მაკრატლით შევისწორე, ანუ მერამდენედ გავხდი საკუთარი ავტოპორტრეტის ავტორი.

ლანას ქალაქის შუაგულში, დიდი საათის ქვეშ ველოდებოდი. მანქანის მინაზე ათივე თითით მომიკაკუნა, ფრთხილად, რომ არ შევეშინებინე, თანაც ისე, თითქოს როიალზე უკრავსო.

მიუხედავად სოლიდური ასაკისა, ჩემი „მოსკვიჩი" მაინც ყოჩაღად, ჯიხვივით მიქროდა. ორ საათში გაგრაში ვიყავით კიდეც, ქალაქში, სადაც მთები და ზღვა ერთმანეთთან ისე ახლოსაა, რომ პირველად ჩასულ კაცს ძალიან უკვირს – მათ შორის ქალაქი როგორ ჩაეტიაო, თანაც მთების მწვანე და ზღვის ლურჯი ფერი ერთმანეთშია აჭრილი.

იანვრის ცივი ამინდი იდგა, ჩვენს თავზემოთ ჩამოღაბლებული ღრუბლები მდუმარე მუსიკასავით მიგვაცილებდნენ. მანქანა ძველი ქალაქის ბოლოს, გაგარინის მოედანზე გავაჩერე. კარგახანს ვისეირნეთ ჟოლკვარას პარკში, სადაც ასწლოვანი ხეები ხარობდნენ და ტბორებში დაწყვილებული გედები და ყარყატები ცხოვრობდნენ. დროგამოშვებით, პარკში ფარშავანგების ყივილი გაისმოდა, მთებზე, მარადმწვანე ხეებს შორის, ზღაპრული სასახლეებივით ჩანდნენ პრინცის მიერ აგებული ქვის სახლები.

ლანამ თქვა, როდესაც ფარშავანგი ყვირის

იწყებს, ეს იმას ნიშნავს, რომ მალე ინვიმებსო. ან დათოვს-მეთქი, ვუთხარი, ჰაერში თოვლის სუნი იგრძნობოდა.

ზღვის ტალღები მსუბუქად მოედინებოდნენ და მერე მძიმედ ასკდებოდნენ სანაპიროს. ზღვა ბორგავდა.

— ლანააა, ლანააა!.. — რამდენჯერმე დავიყვირე და ქარმა ჩემი ხმა ზღვის გუგუნში გაწნა.

მალე წვიმაც დაიწყო. ჯერ წამოწინწკლა, რომელსაც ზღვისპირული თავსხმაც მოჰყვა. თავი პარკის კაფეს შევაფარეთ, სადაც ერთი ბოთლი წითელი ღვინო და ჩანახი შევუკვეთეთ. კაფეში ჩვენს გარდა კიდევ ერთ მაგიდას უსხდნენ — ქერათმიანი ტურისტი ქალი და ჭაღარა მამაკაცი. ღვინო ოჯახური იყო, უფრო შავი, ვიდრე წითელი, სქელი, ზამთრის ღამესავით ცივი, მომწკლარტო.

ჭაღარა კაცი და ქერა ქალი კოქტეილს სვამდნენ. მოდი, ჩვენც გავსინჯოთ-მეთქი და კოქტეილიც შევთავაზე ლანას. შევუკვეთეთ. კოქტეილის მაღალ ჭიქებში ევერესტის ყინული წკრიალებდა. მთელ სხეულში სითბომ დამიარა, ვთვრებოდი. ვუყურებდი ლანას და ვგრძნობდი, რომ სადღაც, ცაში, ღრუბლებზე და მთვარეზე მაღლა, ვარსკვლავების სიახლოვეს, უხილავი ვერცხლისფერი ფრინველები გალობდნენ. მესმოდა კიდეც მათი ხმები.

ლანას ხელები ცივი ჰქონდა, ვცდილობდი, ხელისგულებით გამეთბო, თითებს ვუკოცნიდი. წვიმა გადაღებას არ აპირებდა. ჩვენ კი უკვე სახლებში უნდა დაებრუნებულიყავით. საღამოს 4 საათი იყო, კაფე რომ დავტოვეთ, გავშალეთ ქოლგა და სირბილით დავუბრუნდით მანქანას, ჩავსხედით და აღმოჩნდა, რომ მანქანა არ იქოქებოდა, რაღაც გაუფუჭდა. მიღალატა ძველმა მეგობარმა. არ ვიცოდი, რა მექნა. ჩვენგან ერთი კილომეტრის სიშორეზე „გაგრიფში" იმყოფებოდა, ძველი სასტუმრო-რესტორანი, უზარმაზარი საათით დამშვენებული.

სანამ ლანას ქოლგას თავშეფარებულებმა სასტუმრომდე მივირბინეთ, კარგადაც გავილუმპეთ. ლანას ვუთხარი, სახლში უკვე ვერ დავბრუნდებით, ღამე აქ უნდა გავათენოთ-მეთქი. თავი დახარა, მოახლეს უნდა დავურეკო, ვთხოვო, მამაჩემთან არ გამცეს, თორემ თუ გაიგო, რომ ღამით სახლში არ ვიყავი, არ მაპატიებსო. მოგვიანებით დაურეკა კიდეც.

ლანა მისაღებში დავტოვე და სასტუმროს მორიგესთან შევედი, ვთხოვე, მანქანა გაგვიფუჭდა და ღამე უნდა გაგვათენებინოთ-თქო. ჯერ უარზე იყო, მაგრამ ფული რომ მივეცი, უმალ დაგვთანხმდა, მხოლოდ ერთი ღამით, თქვენ არც პასპორტები გაქვთ, და არც ცოლ-ქმარს გავხართო.

ჩვენს ოთახში ციოდა, გათბობა მხოლოდ ჩვენი დაჟინებების შემდეგ ჩართეს. ფართო, მომრგვალებული ფანჯრების ფარდები ბოლომდე გადავწიე, წვიმით განაცისფრებული ზღვა ისე ჩანდა, როგორც ხელისგულზე. წვიმა თანდათანობით თოვაში გადადიოდა.

ლანა კანკალებდა. გულში ჩავიკარი და სახე დავუკოცნე. პალტოები გავიხადეთ, ელექტროღუმელზე ფეხსაცმლის გაშრობაც მოვახერხეთ. დივანზე ვისხედით, ლანა თვალს ვერ მისწორებდა — ოთახში პირველად ვრჩებოდით ღამით ერთად. ხელებზე ვეფერებოდი. შემდეგ რესტორანში ჩავედით, იქ ძალიან თბილოდა. რამე დავლიოთ, ამ წვიმასა და სირბილ-სირბილში სრულიად გამოვფხიზლდი-მეთქი, ვუთხარი.

სასტუმროდან პირდაპირ XX საუკუნის დასაწყისში პარიზის საერთაშორისო გამოფენიდან ჩამოტანილ, ხის ვეებერთელა რესტორანში გადავედით. ძველევროპული სტილის დარბაზში ხალხმრავლობა იყო. დიდ, ოვალურ სარკმლებში კარგად ჩანდა, როგორ ბარდნიდა ზღვაზე.

დარბაზში პირველი თოვლით გამოწვეული ამაღლებული განწყობა იგრძნობოდა. თითქოს ყველას სახეზე ეწერა სიტყვა „თოვლი". უკრავდა კვარტეტი. მუსიკას, დროგამოშვებით, ქალების კისკისი და კაცების მხიარული, ხმამაღალი შეძახილები ფარავდა. ოფიციანტმა, ლამაზად მოღიმარმა კოხტა გოგომ, ერთადერთ თავისუფალ მაგიდასთან მოგვიპატიჟა, გაგვიცინა და გვითხრა, ბედი გქონიათო. მაგიდა სცენის სიახლოვეს იდგა.

ყველაფერი ლანათი იყო გაჟღენთილი, ჩემი საათიც, ჰაერიც რესტორანში და მის გარეთაც, თოვლიც ლანა იყო...

ლანას უმალ გადაედო დარბაზის განწყობა — თვალები გაუცისკროვნდა, სახე გაუნათდა, ხელი ხელზე დამადო. ოფიციანტს შამპანური და ხაჭაპური შევუკვეთეთ, კიდევ — შემწვარი თევზი, შავი ზღვის ქამბალა.

— მოდი, ჩვენი ანგელოზები გავაერთიანოთ, — ვუთხარი.

და შამპანურით სავსე ფუჟერი ავწიე. შამპანურის თითო ბუშტუკში თითო ანგელოზი იჯდა და თითოეული მათგანი მხიარული კისკისით შეყვარებული ქალივით ნაზ და მიბნედილ, უსასრულო სივრცისაკენ მეპატიჟებოდა.

გვერდით მაგიდაზე სიმპატიური მოხუცი კაცის დაბადების დღეს აღნიშნავდნენ. საერთოდ, იმ დღეს იმ რესტორანში ყველა ლამაზი ჩანდა. სუფრას მოხუცის მეგობრები და ოჯახის წევრები უსხდნენ. ცოტა ხანში უზარმაზარი ტორტიც შემოიტანეს. მიუხედავად იმისა, რომ საიუბილეო ტორტზე სანთლები ძლივს ეტეოდა, მოხუცი მაინც შესანიშნავად და ყინჩად გამოიყურებოდა. ისე იყურებოდა, თითქოს საიდანღაც მოფრენილ, ჩვენთვის უხილავ, ზეციურ არსებებს ხედავსო, თან კეთილი ღიმილით აკვირდებოდა რესტორნის შუაგულში მოცეკვავე წყვილებს, განსაკუთრებული ინტერესით კი — ქალებს.

მომეჩვენა, მისი მზერა უფრო ქალების მკერდსა და თეძოებს ელამუნებოდა განსაკუთრებულად. აი, რატომ გამოიყურება ასე კარგად-მეთქი, გადავულაპარაკე ლანას. ვიცინეთ.

მიუხედავად საერთო მხიარულებისა, მოხუცი მაინც ნაღვლიანი ჩანდა. კვარტეტს დროგამოშვებით ხუთკაციანი საესტრადო ანსამბლი ენაცვლებოდა.

გარეთ, ცაში და ზღვის თავზე, ფიფქები ისე ტრიალებდნენ, როგორც წყვილები დარბაზში. ლანა ღიმილით სვამდა შამპანურს, უფრო – მოსვამდა ხოლმე, მე კი წვეთსაც არ ვტოვებდი. შამპანურის ანგელოზები მხიარულად დაფრინავდნენ ჩვენშიც და ჩვენს გარშემოც, შემდეგ კი მიფრინავდნენ მაღლა და მაღლა, რესტორნის უსასრულოდ მაღალი ჭერისკენ, თავს აღწევდნენ სახურავს და ცისკენ მიქროდნენ, ფიფქების ფრენის საპირისპიროდ, იქ, საიდანაც იმ ღამეს უცნაურად მოღიმარი ღმერთი დაგვყურებდა.

რომელიღაც სიმღერის შემდეგ სცენაზე თმა-წვერმოშვებული ახალგაზრდა კაცი გამოვიდა, პოეტი. ისეთი მთვრალი იყო, წყალზე არეკლილ გამოსახულებასავით ირწეოდა. რამდენიმე ლექსი წაიკითხა, ძალიან მგზნებარედ და ძალიან არტისტულად. სცენიდან ჩამოვიდა და ლანას ხელზე ემთხვია. ლანაც იცინოდა, მეც, მთელი დარბაზიც, და ტაშს ვუკრავდით პოეტს. როგორც მახსენდება, იმ დროს, განსაკუთრებით პოეტები და მსახიობები ცდილობდნენ, კრიმინალურ ავტორიტეტებზე არანაკლებ პოპულარულები ყოფილიყვნენ.

ჩვენს რესტორანში შეკრებილი კაცობრიობის ნაწილის წარმომადგენლები ერთმანეთის მაგიდებთან მიმოდიოდნენ, ლოცავდნენ ერთმანეთს და ჭიქებს სიცილ-ღიმილით უჭახუნებდნენ. სხვადასხვა ხმაზე წკრიალებდნენ შამპანურის მოზეიმე ფუჟერები, კონიაკის არისტოკრატიული, ღვინის ლაღი ჭიქები და არყის ნახევრადველური სირჩები... სხვადასხვა ხმაზე წკრიალებდნენ, მაგრამ მაინც ერთ საერთაშორისო ენაზე ებაასებოდნენ ერთმანეთს: ჩჰეერს!.. ჩჰეერს!.. ჩჰეერს!..

მთელი დანარჩენი მოსახლეობის ნაწილი, კიდევ სულ რაღაც, ხუთ მილიარდზე მეტი ადამიანი, ნეტავ ამ რესტორანში ამყოფა-მეთქი, ვნატრობდი და ერთ ხელში მხიარულად და იდუმალად მოჩურჩულე შამპანურის ფუჟერი მეჭირა, მეორე ხელით კი კვლავ ლანას ხელს ვეფერებოდი, რომელიც იმ ღამეს ზღვისპირა ქალაქის რესტორანში გაერთიანებული კაცობრიობის პრინცესა გახლდათ.

გვიან დავიშალეთ, ნაშუაღამევს, უცნობებიც ხვევნაკოცნით გამოვემშვიდობეთ ერთმანეთს. რადგანაც სასტუმროში მხოლოდ ლანა და მე ვრჩებოდით, სხვები კეთილი მასპინძლებივით გავაცილეთ. ისინი კიბეზე დაეშვნენ და ორიოდე წუთში თოვლში გაქრნენ.

რესტორანში და მის შემოგარენში მდუმარებამ დაისადგურა, თოვლის სიჩუმეს ფიფქების სიჩუმე ემატებოდა, გადათეთრებული იყო სანაპიროს პალმები, მარადმწვანე გაზონები, აგავები, საქვოიები, აურაკარიები... ზღვაც... წავიდნენ მუსიკოსებიც, რომელთა რაოდენობაც ერთ დროს, პარიზიდან ფიცარ-ფიცარ ჩამოტანილი რესტორნის აწყობისას, აქ, გაგრაში მომსახურე სამხედროების რაოდენობას აღემატებოდა. მაშინ ქალაქი ამით თავს ძალიან იწონებდა.

ჩვენს ოთახში ავედით, ფანჯრები ფართოდ გავაღე თუ არა, ფიფქები ოთახში შემოფარფატდნენ და იატაკს მოეფინენ, თითქოს გველოდნენო... თითოეულ ფიფქს ლანა ერქვა... შორს, ზღვაში, ნაძვის ხესავით განათებული გემი მიცურავდა.

ლანას ყოველ მოძრაობას ბეჯითი მოწაფესავით ვიმახსოვრებდი, ასევე არ მინდოდა, მისი ერთი სიტყვაც გამომპარვოდა. მისმა სუნთქვამ მოქსოვა მთელი ოთახი და ღამის ფანჯრებში ააფრიალა ჰაეროვანი, ფიფქებითა და ზღვის ჰაერით მოქარგული მაქმანები.

მთელი ჩემი ცხოვრება ერთ წერტილში დაეტია, რომელიც სულ მალე ფოიერვერკებად გადმოიფრქვა და მთელი სხეულით ვიგრძენი ის უხსოვარი დრო, როდესაც ღმერთი არაფრისაგან ყველაფერს ქმნიდა.

ვიგრძენი, რომ საბოლოოდ შემომეფეთა ის სიყვარული, რომელსაც ერთი ადამიანის სიცოცხლე არ ყოფნის. ჩავიკარი მაგრად... და ჩვენ ვიქეცით იმ ორ ადამიანად, რომლიც ერთად ნებისმიერ კონტინენტზე დიდია და დანარჩენი კაცობრიობა მხოლოდ დამატებაა იმ ორის.

ვუკოცნიდი სახეს, თმებს, ტუჩებს, მხრებს, ყელს, ხელისგულებით შეუჩერებლად ვეფერებოდი თეძოებზე და მკერდზე... მთლიანად ჩემი იყო, მეჩვენებოდა, სამუდამოდაც. მეც მისი ვიყავი, მთლიანად და სამუდამოდ... პირველად ვნახე შიშველი... თითქოს პირველად ვკოცნიდი ქალს... მერე ლოგინში, როგორც თოვლში, ჩავეფლეთ, რამდენიმე წამით ერთმანეთი დაგვეკარგა, მერე ვიპოვნე სუნამოს სურნელით, აჩქარებული სუნთქვითა და გულისცემით... და მერე თითქოს ზღვის ფსკერიდან ამოტივტივდა მისი სიშიშვლე, ზღვის ლურჯ ნისლში გამოკრთა, ამოანათა ჩემს დაბადებამდე სადღაც გამქრალმა.

და ჩავიძირეთ ერთმანეთის უფსკერო სხეულებში და ჩვენი სულების მსგავსად უკვ ჩვენი სხეულებიც გაეცნენ ერთმანეთს, გაერთიანდნენ ჩვენი ბაბუაწვერასავით მსუბუქ სისხლის ზღვები სამყაროს გულივით მტოკავ რიტმში, რიტმში, რომელიც ერთ წამში მილიონჯერ მთავრდება და იწყება, ისევ მთავრდება და ისევ იწყება, რათა შეისვენოს და კვლავ განაგრძოს ფეთქვა ოთახში შემოფრენილ ფიფქებთან, ზღვის მარილის და იოდის სურნელთან, ქალაქთან, მთებს და ღრუბლებთან, დედამიწასთან... კოსმოსთან, იანვრის თოვლიან სანაპიროზე აყლერებულ ნაღვლიან საქსაფონთან და მარტოხელა ძაღლის ყეფასთან ერთად.

გურამ ოდიშარიას „სოხუმში დაბრუნება“ ჩვენი სამშობლოს ტკივილითაა აღსავსე და, უწინარესად, საკუთარ სულში ჩაგვახედებს.

*რეზო ჭეიშვილი*

სპექტაკლში „ზღვა, რომელიც შორია“ ურთულესი პრობლემაა დასმული უაღრესადა ნიჭიერი და პატიოსანი მწერლის, გურამ ოდიშარიას (პიესის ავტორი) მიერ.

*გიგა ლორთქიფანიძე*

ვხედავდი, როგორი აცრემლებული თვალებით გამოდიოდნენ სპექტაკლიდან „ზღვა რომელიც შორია“ აზერბაიჯანელი და სომეხი ჟურნალისტები, თავადაც კონფლიქტის მხარეების წარმომადგენლები. გურამ ოდიშარიას პიესაში არ არის არც ერთი ყალბი სიტყვა. პიესა არის არა მხოლოდ მშვიდობისყოფელი, არამედ ძალიან ობიექტურიც.

*ელენე კუკი*
*(ინგლისელი ფილოლოგი, კონფლიქტოლოგი)*

გურამ ოდიშარიამ თავის თვისტომებთან ერთად გოლგოთის გზა გამოიარა. გაიარა გზა გოლგოთაზე. პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით. და, შესაძლოა, ეს მეორე გზა – ყოველივე მომხდარის გაცნობიერებისა და ზნეობრივი ალქმის პირველზე უფრო მტანჯველი იყო.

*ზაზა აბზიანიძე*

გურამ ოდიშარიას რომანში „პრეზიდენტის კატა“ მთავარი გმირისა და მისი გარემოცვის აღსაწერად გამოყენებული აქვს ხედვის ისეთი ფერადოვანი სპექტრი, რომელიც გაოცებს თავისი მასშტაბური შეგრძნებებით და მკითხველს თანაავტორობის საოცარი თავისუფლების საშუალებას აძლევს, მკითხველს ანუ იგივე მაყურებელს, რადგან აშკარაა მწერლის ვიზუალური თხრობის მანერა და ნაწარმოების ოსტატურად აწყობის ნიჭი, რომლის მიღმაც იგრძნობა ავტორის ზუსტი გათვლები ფაქიზ ინტუიციასა და დიდ პროფესიონლიზმთან ერთად.

*ტატიანა მიულბაიერი*
*(ესტონელი კინორეჟისორი)*

გურამ ოდიშარიას ვრცელ მოთხრობაში „ძმისშვილი“ ქართველ ჯარისკაცს, ვალერის, რომელმაც ხელში იარაღი აიღო, რათა შური ეძია მამის მკვლელობისათვის, ცეცხლმოდებული სახლიდან აფხაზი ჩვილი ბავშვი გამოყავს, რომელიც ეს-ესაა მოევლინა ქვეყნიერებას. ავტორი თხრობას ისე წარმართავს, რომ იბნევი, ეს ვალერიმ გადაარჩინა ბავშვი, თუ ბავშვმა – ვალერი. ფაქტობრივად, მათ ერთმანეთი გადაარჩინეს. ომის საშინელებაში ყველასაგან და ყველაფრისაგან ნალალატევ ჯარისკაცს მომავლის იმედად მხოლოდ ის ბავშვი შემორჩა.

*ლეონიდ ტერაკოპიანი*
*(სომეხი მწერალი, კრიტიკოსი)*

„ჩვენ მოგვატყუეს მიტინგებით, შეძახილებით, მოლაყბეებით, ტახტებით, დროშებით, გაზეთებით, ტელევიზიით, ანგარიშსწორებით, ბელადობით!“ – წერს აფხაზეთიდან დევნილი მწერალი გურამ ოდიშარია თავის წიგნში „სოხუმში დაბრუნება“, რომელიც 1995 წელს გამოიცა თბილისში. ქართველმა მწერალმა სოხუმი 1993 წლის 27 სექტემბერს დატოვა. სხვებთან ერთად კოდორის ხეობა ფეხითა გაიარა, თუმცა არც მტრის ხატი შეუქმნია და არც შურისძიებაზე უფიქრია არასდროს.

*გოგი გვახარია*

„სონატა სოხუმზე და შენზე“ არის წიგნი, რომელიც, ფაქტობრივად, საფუძვლად უდევს პოემას „პრეზიდენტის კატა“, რომელსაც ენოდება რომანი. ისეთი სტრუქტურითაა წიგნი აგებული, რომ ნებისმიერ ადგილას შეგიძლია გადაშალო და დაიწყო. აქ არის როგორც ჩანართები, საინტერესო ისტორიები, ფაქტობრივად, ანეკდოტებამდე დასული ამბები, ასევე გრძელი, სენ-ჟონ პერსისა და უოლტ უიტმენის სტილში შესრულებული სადღეგრძელოები. ავტორს უნდა, გაიხსენოს ის, რომ არის პოეტი და ამისთვის ასეთ მხატვრულ ხერხს იყენებს: მიხეილ თემუროვიჩის სადღეგრძელოებს მიმართავს.

*შალვა ბაკურაძე*

პოსტსაბჭოთა ლიტერატურა უკვე 25 წელს ითვლის. მთელი ამ ხნის განმავლობაში ხდებოდა სოციალისტური რეალიზმის რევიზია. მაშინდელი გმირები თანდათანობით გაშარჟდნენ ან ბოროტ სულებად იქცნენ. სხვანაირად თითქოს, ალბათ, წარმოუდგენელიც კია. ამ მხრივ ჩემთვის ძალიან საინტერესო ფენომენი იყო გურამ ოდიშარიას რომანი „პრეზიდენტის კატა“. საინტერესო იყო იმ მხრივ, რომ რომანის მთავარი გმირი არის 60-80-იან წლებში აფხაზეთის ცეკას პირველი მდივანი. გურამ ოდიშარიას რაკურსი მოულოდნელია. ის არ თხზავს სოციალისტური რეალიზმის დაგვიანებულ ნიმუშს და არც პოსტსაბჭოთა სარკაზმით თუ პოსტმოდერნული თამაშებით ცდილობს საკუთარი პროტაგონისტის პორტრეტის დახატვას. როგორია ოდიშარიას მიერ დახატული ბლაჟბა? გარდა იმისა, რომ აქვს ისეთი თავისთავად დადებითი თვისებები, როგორიცაა გულისხმიერება, ხალისიანობა, სამართლიანობა, არის ფანტაზიორი, ცულლუტი, ავანტიურისტი, ცხოვრების არეული წესის მქონე და სწორედ მისი ეს თვისებები ქმნის საბჭოთა მოხელის იმ ტიპაჟს, რომელიც არ ეწერება საბჭოთა და პოსტსაბჭოთა ლიტერატურულ მოდელებში. გურამ ოდიშარია ისე წერს, რომ არ გიჩნდება ასეთი ტიპის შეკითხვა: რამ დააწერინა ამ კაცს ახლა წიგნი საბჭოთა მოხელეზე და, თანაც, დადებითი? გურამ ოდიშარია კრებს სხვადასხვა ადამიანებისგან მოგონებებს თუ გადმოცემებს მიხეილ თემუროვიჩის შესახებს, ამატებს საკუთარს და ქმნის კოლაჟს, ქმნის ერთგვარ მითოსს მის ირგვლივ, ქმნის სოხუმის უახლოეს ფოლკლორს...

*შოთა იათაშვილი*

# მიგელ დ'ორსი



# MIGUEL D'ORS

დაიბადა 1946 წელს ესპანეთში, სანტიაგო დე კომპოსტელაში. მისი ოჯახი ესპანელ ინტელექტუალთა საზოგადეობისთვის კარგადაა ცნობილი. მამამისი, ალვარო დ'ორსი რომის სამართლის პროფესორი და კათედრის გამგე გახლდათ, ბაბუა, ეუხენიო დ'ორსი კი ცნობილი კატალონელი ფილოსოფოსი და ესეისტი.

მიგელ დ'ორსი ლიტერატურულ ასპარეზზე 1960-იანი წლებიდან გამოჩნდა. ამ დროიდან მოყოლებული დღემდე მას თექვსმეტი პოეტური კრებული აქვს გამოქვეყნებული. 1988 წელს მისი წიგნი „უცოდინრობის უმაღლესი კურსი" პრესტიჟული ლიტერატურული ჯილდოს – „კრიტიკის ეროვნული პრემიის" მფლობელი გახდა.

მიგელ დ'ორსს ხშირად მეოცე საუკუნის დასასრულის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ესპანელ პოეტად მოიხსენიებენ თუნდაც იმ წვლილის გამო, რაც მან თანამედროვე ესპანური პოეზიის განვითარებაში, კერძოდ კი ახალი თაობის ესთეტიკის ჩამოყალიბებაში შეიტანა. იმ დროს, როცა ყველას ეგონა, რომ სიძველეები დავიწყებული და საგულდაგულოდ სხვენში იყო გადანახული, გამოჩნდა დ'ორსი, რომელიც წლების განმავლობაში რომანტიკული, ინტიმური მსოფლშეგრძნების გამო ძველი პოეზიის ეპიგონად იყო მიჩნეული. აღმოჩნდა, რომ სწორედ მისი ინტიმური, ღრმა რელიგიურობით გაჯერებული სამყარო გახდა სიახლის მაძიებელი ახალგაზრდა პოეტების შთაგონების წყარო. კრიტიკოსები ხშირად დ'ორსს ჯგუფ „ნუმენორის" პოეტურ მამადაც იხსენიებენ. თავად პოეტი ამ გავლენებზე საუბარს გადაჭარბებულად მიიჩნევს, თუმცა არ უარყოფს, რომ

ახალგაზრდებმა მართლაც აღმოაჩინეს მის პოეზიაში გარკვეული მოდელი.

დ'ორსის პოეზია საინტერესოა იმით, რომ იგი ეხმიანება არამხოლოდ თანამედროვე ტენდენციებს, არამედ კავშირს ინარჩუნებს წარსულთანაც. იშვიათი ორიგინალობით, ყოველგვარი ნარცისისტული პრეტენზიების გარეშე, პოეტი გვესაუბრება ყოველდღიურობასა და იმ ფუნდამენტურ ეგზისტენციალურ პრობლემებზე, რაც ადამიანად ყოფნას ახლავს თან. იგი თითქოს ერთდროულადაა აღფრთოვანებული მოვლენათა სიღრმით და მათი ზედაპირული, ყოფითი გამოვლინებებით. მხატვრული ფორმა მომცველი და ამავე დროს საოცარად გასაგებია. მაღალი ოსტატობის წყალობით, მისტიკური ჩვენს თვალწინ სიცხადეს იძენს და გასაოცრად ხელმისაწვდომი ხდება, ბანალური კი – ტრანსცენდენტულობისა და სიწმინდის სიმაღლემდე ადის.

დ'ორსის შემოქმედებაში აშკარად იგრძნობა კლასიკური პოეზიის გავლენა, ბერძნული და რომაული ხელოვნებით აღფრთოვანება. ხშირად საუბრობენ პარალელებზე უოლტ უიტმენთან. ვრცელი ჩამონათვალი, რაც ორივე პოეტის საყვარელი მხატვრული ხერხია, საწყისი იდეის დაზუსტებას, მის მაქსიმალურად ამომწურავ გადმოცემას ემსახურება. დ'ორსს ეს დინამიკა იმდენად ფართო ხედში გადაჰყავს, რომ მკითხველი გაოგნებული რჩება ფინალური პანორამის მასშტაბებით.

გავლენებსა და სახეთა ნათესაობაზე დ'ორსიც ხშირად საუბრობს. მაგალითად, ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული ლექსის, „პატარა ანდერძი"-ს შესახებ იგი აღნიშნავს, რომ ძირითადი იდეა ადრიან ჰენრის „უკანასკნელი სურვილი და ანდერძიდან" მომდინარეობს. „გარდა ამისა, ეს ჩემი უიტმენითა და ბორხესით გატაცების შედეგია. ზოგიერთი სახე რამონისგან, სათაური კი ვილიონისგან ვისესხე. პუნქტუაცია, რა თქმა უნდა, ჩემია" – ხუმრობს პოეტი.

გაგვიჭირდება დავასახელოთ სხვა, უფრო ავტობიოგრაფიული პოეტი, ვიდრე მიგელ დ'ორსია. ხანდახან გეჩვენება, რომ მისი ლექსები გულის მოოხების მცდელობაა და სხვა არაფერი. ალბათ, ცხოვრების ღრმა ცოდნის შედეგია ისიც, რომ პოეტი ლექსებს პარადოქსის პრინციპზე აგებს, ჩვენს თვალწინ აყირავებს თვალსაჩინოებებს, უცვლის მათ პოლუსს. ეს განსაკუთრებით თანამედროვე სოციუმზე წერის დროს იგრძნობა. დ'ორსი მას „შეზღუდულ საზოგადოებას" უწოდებს". მისი ერთ-ერთი კრებული სწორედ ამ სათაურს ატარებს. „დღევანდელ საზოგადოებას არა აქვს უნარი მზერა მოწყვიტოს ფიზიკურს, რაციონალურს, საჭიროს და მომგებიანს". ჩვენი დროის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა ისაა, რომ მკითხველს არ შეუძლია კითხვა, რადგან დღევანდელ მსოფლიოში ეკრეტაზე წინ ქმედება დგას. იმისთვის, რომ შეჩერდე ან წაიკითხო, აუცილებლად რაღაც უნდა ხდებოდეს. მიგელ დ'ორსის განსაკუთრებული დამსახურება ის არის, რომ მისი ლექსები პოეზიის კითხვას ასწავლის და აყვარებს იმ ადამიანებს, ვისაც ამის ინტერესი არასოდეს ჰქონია. მიგელ დ'ორსი ბავშვობისდროინდელ მჭვრეტელობით სამყაროში გვაბრუნებს და ამ დავიწყებულ სიამოვნებას ხელახლა გვაგრძნობინებს.

გარდა პოეზიისა, მკითხველი კარგად იცნობს მის ესეებსა და ლიტერატურულ კვლევებს. იგი წლების განმავლობაში იყო ნავარასა და გრანადის უნივერსიტეტების პროფესორი, ფლობს ფილოსოფიისა და ლიტერატურის დოქტორის ხარისხს, დღემდე აქტიურად თანამშრომლობს ლიტერატურულ ჟურნალ-გაზეთებთან. არის ათობით ლიტერატურული კვლევის ავტორი, რომლებშიც განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ესპანურ და კლასიკურ პოეზიას. შესრულებული აქვს ჯოვანი პასკოლის პოემების ესპანურენოვანი თარგმანი. 2007-2010 წლებში გამოვიდა მისი ჩანაწერების კრებულები სახელწოდებით: „სახელოსნოს უპირატესობანი" და „კიდევ ერთხელ სახელოსნოს უპირატესობის შესახებ". მისი ლექსები შესულია არაერთ ანთოლოგიაში და ნათარგმნია სხვადასხვა ენაზე.

*მოამზადა ქეთი ჯიშიაშვილმა*



საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

# სიჩუმის ფსკერზე დაბადებული პოეზია

ეროვნული ბიბლიოთეკა

*გთავაზობთ ინტერვიუების ნაწყვეტებს ჟურნალებიდან „Poesia Digital“ (2011) და „Ritmos 21“ (2014), სადაც მიგელ დ'ორსი საკუთარი მსოფლმხედველობისა და შემოქმედებითი ღირებულებების შესახებ საუბრობს.*

**თქვენი აზრით, რა არის პოეზია?**

პოეზია ენის ფლობაა, ოღონდ უფრო ინტენსიურად, ანუ „donner un sens plus pur aux mots de la tribu".[1]

**როგორ მიგაჩნიათ, პოეტად იბადებიან თუ მერე ხდებიან ხოლმე?**

ახლა ვფიქრობ, რომ ორივე ერთად.

**შესაძლებელია არსებობდეს პოეზია გრძნობის გარეშე? ყველაფრისგან დაცლილი პოეზია?**

პოეზიას სჭირდება გრძნობა, თუმცა მხოლოდ გრძნობა მის შესაქმნელად საკმარისი არ არის. გრძნობაში მაინცდამაინც ტირილი არ იგულისხმება, არსებობს უამრავი სხვა რამ, რაც გრძნობასთანაა დაკავშირებული.

**პოეზიაში ყველაფერი გამოგონილია?**

(იცინის)

**პოეზია შინაგანი გადასახლებაა თუ საკუთარი თავის რეპატრიაცია?**

აბა, რა გითხრათ, მე მხოლოდ ზედსართავები, აქცენტები, ალიტერაციები, ხატები, კონოტაციები და მსგავსი რაღაცები გამეგება.

**როგორ მივხვდეთ, ლექსი ცუდია თუ კარგი?**

მანამდე ათასობით კარგი პოეზია უნდა გქონდეს წაკითხული.

**გჯერათ შთაგონების? რა მოვლენაა ეს? თვითონ მოდის თუ საგანგებოდ უნდა მოუხმო?**

დიახ, მჯერა. თითქოს რაღაც, რაც შენ მიერ უნდა დაიწეროს, მუდმივად და დაჟინებით ითხოვს თავისას. შთაგონება თავისით მოდის მაშინ, როცა თავად ინებებს. ასე რომ, რა აზრი აქვს მის მოხმობას?

**ცნობილია, რომ 80-90-იანი წლების თაობისთვის დამახასიათებელია მკითხველის ხელახლა მოპოვებისაკენ სწრაფვა. როგორ ატყობთ, შესაძლებელია ამის პრაქტიკულად განხორციელება? წლების შემდეგაც ძველებურად გაინტერესებთ ეს მოვლენა?**

1980-1990-იან წლებში მართლაც მოხდა მკითხველთან დაახლოება. თანაც, ჩემი აზრით, ყველაზე ღირებული პოეტების მხედველობაში მყავს ახალგაზრდა თაობა, მაგალითად: კარლოს მარსალი, პედრო სევილია, ხოსე მატეოსი, აბელ ფეუან ხავიერ ალმუსარა და ისინიც, ვინც არც ისე ახალგაზრდა იყო ამ პერიოდში: ლუის ალბერტო კუენკა, ვიქტორ ბოტასი, კავიერ სალვადო, ელოი სანჩეს როსალიო, ფერნანდო ოტრისი და ჯონ ხუარისტი. მაგრამ აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ საუბარია არა




ნებისმიერი მკითხველის ხელახლა დაპყრობაზე ნებისმიერ ფასად, არამედ ინტელექტუალური მკითხველის მოპოვებაზე და თუ ინტელექტს კულტურაც ახლავს თან, კიდევ უკეთესი.

ახალი საუკუნის მიჯნაზე ასაკიანებმა დაწყებული გზა გავაგრძელეთ. ახალგაზრდებსა და ასპარეზზე გამოსულ ახალბედა პოეტებს კი აშკარად დაეტყოთ სრულიად გასაგები გადაღლილობა იმისგან, რასაც „გამოცდილების პოეზია" ეწოდება. ეს რამდენიმე ახალი მიმართულების გაჩენის მიზეზი გახდა. ზოგიერთმა მათგანმა, შეიძლება, ყველაზე ნიჭიერებმა, მაგალითად კარლოს მარსალმა, ვისენტე გალიეგომ ან ლორენცო ოლივანმა „მისტიკური პოეზიის" მიმდინარეობა შექმნეს. დანარჩენების არჩევანი გაბედული, თუმცა ნაკლებად პასუხისმგებლობიანი აღმოჩნდა – მათ ავანგარდულ ირაციონალურობას მიმართეს. ეს არის ხაზი, რომელიც, ჩემი აზრით, ეროვნული პოეზიის უკანასკნელ ანთოლოგიაში იკვეთება და რამაც, მართალი გითხრათ, იმედი გამიცრუა.

**თქვენს პოეზიას „ფიგურატივიზმს", „გამოცდილების პოეზიას" უწოდებენ. მისი მთავარი პოს-**

[1] ფრანგ. „წმინდა სიტყვას უბოძებს ადამიანებს" – სტეფან მალარმე, „ედგარ პოს საფლავი".

**ტულატია „მოხდეს „მე"-ს ფუნქციონალიზაცია პერსონაჟის ან ნიღბის მეშვეობით". ახლა როგორი დამოკიდებულებაა თქვენს შინაგან დ'ორსებს შორის, რაიმე საფრთხე ხომ არ ემუქრება ამ ურთიერთობას?**

მე პირადად, „მე"-ს ფუნქციონალიზაციის არ მჯერა. ამის შესახებ ჩემი უკანასკნელი წიგნის შესავალ სიტყვაშიც ვსაუბრობ: მაშინაც კი, როცა გინდა თავი მოაჩვენო, არსებული გამოცდილებისკენ ხელის განვდენა მაინც არ აგცდება. როგორ უნდა შეინიღბო რამით, რაც არ იცი, როგორია? თუ პოეტს ნიღბის შექმნა სურს, ისღა დარჩენია, იგი იმ ნაწილებისგან შექმნას, რომელიც საკუთარ სახეს ჩამოგლიჯა. სხვა საქმეა, თუ ჩვენ საგანგებო შემუშავებაზე, მანიპულაციაზე ვსაუბრობთ, როცა გამოცდილება ყალბდება იმისთვის, რომ შეიქმნას კარგი ლექსი. მაგრამ სულ სხვაა იმის მტკიცება, რომ პოეტი ნოტარიუსივით ან ჭორიკანა ქალივით ორ ან სამ პერსონას აერთიანებს საკუთარ თავში და შემდეგ მათ ლექსებში ახვედრებს ერთმანეთს.

**როგორც ამბობენ, პოეზიაში სამი თემაა: ღმერთი, სიკვდილი და სიყვარული. როგორ ასახავდით ამ თემებს თქვენს ლექსებში? შეიძლება თუ არა ვისაუბროთ ამ თემების ინტენსიურობაზე თქვენს სხვადასხვა კრებულში?**

ალბათ, ყველა დიდი თემა საბოლოოდ სამ თემამდე დადის: შემოქმედთან ურთიერთობა, ურთიერთობა საკუთარ თავთან და დანარჩენ ქმნილებებთან. ამ დანარჩენებს შორის იგულისხმება ბუნება, ყოფიერება თავის დრო-სივრცით საზღვრებში, სხვა ადამიანებთან ურთიერთობა (როგორც საზოგადოებასთან, ასევე ინდივიდებთან) და საყვარელი ქალი. ჩემს ლექსებში მე ყველა მათგანს ვეხები. ძირითადი თემები იგივე რჩება. ერთადერთი, ფოკუსის შეცვლა შეიძლება. მაგალითად, ჩემი პირველი სასიყვარულო პოემები არსებითად ქიმერულ ქმნილებას ეძღვნებოდა (ახლა მახსენდება, რომ ერთ მათგანს „ლექსი თეთრ კონვერტში" დავარქვი), დანარჩენები კონკრეტულ ქალს მივუძღვენი, რომელიც ამასთან სრულიად კონკრეტულ სიტუაციებში იყო „მოთავსებული": ოჯახური ცხოვრება, სახლი, ბავშვები, ყოველდღიურობა და ა.შ. უკანასკნელ თხზულებებში გარემოებები კვლავ კონკრეტულია, მაგრამ საყვარელი ქალი სურვილის ობიექტად იქცა.

**ხანდახან, როცა თქვენს ლექსებში ვმოგზაურობთ, აღმოჩნდება, რომ რომელიღაც სრულიად ცხადი და გასაგები მოვლენა ყოფიერების ფუნდამენტური საიდუმლოების სიბნელესაც შეიცავს. ლექსის დასრულებისა და მასში ჩაწვდომის შემდეგ კი ეს სიბნელე სინათლედ და სიბრძნედ გარდაიქმნება. როგორ ახერხებთ, რომ გასაგები და სახიერი უცებ სადღაც ფსკერზე, მისტერიის ზღურბლთან აღმოჩნდება ხოლმე?**

ალბათ, ბევრ ადამიანს დღეს მისტიკაზე არასწორი შეხედულება აქვს. ისინი მას სხვა სივრცეში მოიაზრებენ, ჩვენი ყოველდღიური ცხოვრებისგან მოშორებით, თითქოს ჩვენ აქ ქვემოთ ვიყოთ და ის კი მაღლა, როგორც ეს „კონდე ორგასის დასაფლავებაშია". სინამდვილეში, საიდუმლო ჩვენს გვერდითაა, მჭიდროდ ჩაქსოვილი ჩვენს ყოველდღიურობაში. ნებისმიერი რამ შეიძლება გამოდგეს კარად. როგორც ერთ ჩემს ადრინდელ ლექსში ვამბობ, „ჰაერის უხილავ ზღურბლს მიღმა".

**ერთ-ერთ ძველ ლექსში პოეზიას ბედნიერების ფორმას უწოდებთ. იქნებ განგვიმარტოთ, რისი თქმა გსურდათ ამით.**

ეს იმიტომ ვთქვი, რომ ვფიქრობდი და ვფიქრობ, რომ ყოველთვის თუ არა, საკმაოდ ხშირად პოეზია ეგზისტენციალური სიცარიელის ამოსავსებად იწერება. ვეჭვობ, რომ ის, ვინც სიცოცხლეს სრულად შეიგრძნობს, იგი, უბრალოდ, ცხოვრობს. მას თავში არ მოუვა, დაწეროს, როგორი კმაყოფილია. ყოველ შემთხვევაში, პროცესის დასრულებამდე მაინც. სხვათა შორის, თუ დროსა და სივრცეს გადავავლებთ თვალს, დავრწმუნდებით, რომ სინანულის გამო გაცილებით მეტი ლექსია დაწერილი, ვიდრე საზეიმო განწყობის მიზეზით.

**თქვენს ლიტერატურულ კვლევებში ახსენებთ ჩესტერტონს, ლუისს და ტოლკიენს, როგორც თქვენი პოეზიის რეფერენტებს. გაქვთ თუ არა თანამედროვე პოეზიის რაიმე ნიმუში? რას კითხულობს მიგელ დ'ორსი განსაკუთრებული ყურადღებით თანამედროვე პოეზიიდან, შემდეგ კი იყენებს მას თავის სამყაროში?**

მე მგონი, ჩემთვის ეს სამი ავტორი უფრო მეტია, ვიდრე რეფერენტები. ეს უფრო „ნუმენორის" წევრებზე შეიძლება ითქვას, რომლებსაც, სავსებით არამართებულად, ჩემს მოწაფეებად მიიჩნევენ მხოლოდ იმიტომ, რომ კათოლიკეები არიან და ეს მათ პოეზიაზეც აისახა. მე ტოლკიენის ლამის არაფერი წამიკითხავს. მისი სახელწოდება „ფანტასტიკური ლიტერატურა" უკვე მაშინებს და მოსაწყენად მეჩვენება. ლუისის რაღაცეები წამიკითხავს. მხოლოდ ჩესტერტონს ვიცნობ და საკმაოდ კარგადაც, მაგრამ არა მგონია, მის დიდ გავლენას განვიცდიდე. თუ გავლენებზე მიდგა საქმე, მე უფრო კიტსს, უიტმენს, ჰარდს, ფროსტს დავასახელებდი.

**თქვენს შემოქმედებაში ყოველთვის იცავდით პატიოსნებისა და გულწრფელობის კრიტერიუმებს როგორც თემატიკასთან, ისე თქვენი ლექსების რეფერენტებთან მიმართებაში. არასოდეს მორგებიხართ იდიოლოგიურ და პრაგმატულ სტანდარტებს. გვითხარით, აქედან გამომდინარე, რომელი კარი გაიღო ან რომელი დაიხურა თქვენს წინაშე?**

მართლაც, იყო რამდენიმე წელი, როდესაც „ლიტერატურული სამყაროს" რაღაც წრეებში უგულვებელყოფილი ვიყავი. იდეოლოგიური ვნებები... ხომ გესმით. მაგრამ თანამედროვე ინკვიზიტორები, მათთვის სავალალოდ, ამგვარი „ბლოკადით" სინამდვილეში დიდ სამსახურს მიწევდნენ: შემთხვევითი ესკიზების, სისულელეების მხოლოდ ვალდებულებისთვის გამოქვეყნება არ მომიწია. ასე რომ, ძალიან მადლობელი ვარ მათი. სხვა მხრივ, 1987 წლისთვის უგულვებელყოფა, რაც ბოლომდე გაქრობას მაინც არ ნიშნავდა, ნელ-ნელა შესუსტდა. იმ დროიდან მოყოლებული, უამრავი მკითხველი მყავს. ჩემი ლექსები არაერთ

ანთოლოგიაში დაიბეჭდა და გულწრფელად გითხრათ, ხანდახან ვფიქრობ, რომ ასეთი პრესტიჟი გადაჭარბებულიც კია.

**თქვენ ყოველთვის გახასიათებდნენ როგორც ადამიანს, რომელიც, კულტურული მოვლენების ცვალებადობის მიუხედავად, საკუთარ გზას აგრძელებს. თუკი მეტი გაყიდული წიგნი მეტ პოპულარობას ნიშნავს, ეს კი საშუალებას გაძლევს, გააზიარო შენი სათქმელი, რაც მკითხველისთვისაც საინტერესოა, რატომ არ შეიძლება დანებდე ბაზარს?**

მოდით, თანმიმდევრულად მივყვეთ ყველაფერს. ყოველთვის პროვინციებში ვცხოვრობდი, და ეს ჩემი ნებით ხდებოდა. მე მხიბლავს პროვინციული ცხოვრება (არა სოფლური). დიდად არც „ლიტერატურული ცხოვრება" მიზიდავს, რაც ავალდებულებს ადამიანს, დრო სწორედ ლიტერატურას მოაკლოს. ასე რომ, ძალიან კმაყოფილი ვარ იმით, რომ იშვიათად ვჩნდები მედიაში. მაგრამ არა მგონია, რომ ვინმესთვის შენიღბული საიდუმლო ვიყო: როცა სათანადო დაჟინებით მთხოვენ ინტერვიუს ან საჯარო გამოსვლას, საბოლოოდ ყოველთვის ვნებდები. პირველ რიგში იმიტომ, რომ არ მინდა უხერხულობა შევქმნა, მეორე კი იმიტომ, რომ ნამდვილი თავმდაბლობა ისაა, რომ თავი არ დაიფასო.

რაც შეეხება ჩემი წიგნების გავრცელებას, გეთანხმებით, არც ერთი მათგანი არ გამოსულა გრანდიოზული ტირაჟით, მაგრამ მკითხველი, რომელიც მე მაინტერესებს, ხუთას ადამიანს არ აჭარბებს. იმ ხალხს, ვინც წიგნებს „კორტე ინგლესში"[2] ყიდულობს, ჩემი პოეზია ბევრს არაფერს ეტყვის. მე პრინციპულად არ მსურს კაპიტალისტური საგამომცემლო მანქანის ჭანჭიკად ვიქცე. ეს ჩემთვის საზიანო იქნებოდა. სულ ესაა. რაღაც პერიოდიდან მოყოლებული, ჩემი წიგნები კარგად იყიდება (ძალიან კარგადაც, თუკი ესპანეთში პოეზიის გაყიდვებს გავითვალისწინებთ). „უცოდინრობის უმაღლესი კურსი", „ნერწყვის შემდეგ" და „სხვა წმინდა სინათლისკენ" მეორედ გამოიცა. 2001 წლიდან არც ერთი ეგზემპლარი აღარ დარჩა. საყვედური ნამდვილად არ მეთქმის.

**ამას წინათ ანტონიო კოლინასი ამბობდა, რომ პოეტი ყოველთვის დინების საწინააღმდეგოდ მიცურავს. ისტორიის პარადოქსებს თუ დავაკვირდებით, ისე გამოდის, რომ ხშირად დინების საწინააღმდეგოდ ისინი მიდიან, ვისაც ეს არც კი უფიქრია. თქვენს შემოქმედებას კონტრკულტურულად მიიჩნევთ? თუ ამგვარი კლასიფიკაცია აბსურდულად ჟღერს თქვენთვის? რა მასშტაბს იძენენ სიმართლე და ერთგულება თქვენს შემოქმედებაში?**

ეს შეკითხვა კი არა, სამი პროვოკაციული განცხადებაა. რთული საქმეა. მხოლოდ ორიოდე სიტყვით შემიძლია ჩემს შემთხვევაზე მოგახსენოთ: როცა მთელი ქვეყანა უკან მიდის, ის, ვინც აუღელვებლად მიიწევს წინ, არაკონფორმისტად მოჩანს. ჩვენს ინსტიტუციონალური ჰეტეროდოქსიის დროში, რომელიც ლამის თავსმოხვეულ ვალდებულებად გადაგვექცა, ორთოდოქსობა წინააღმდეგობად აღიქმება.

**რამდენად ასატანი ტვირთია პოეტისა და ადამიანისთვის, იყოს თქვენი გვარის წარმომადგენელი და სახელად ერქვეს მიგელი?**

ვერ გეტყვით, ცნობილი გვარის ტარება სინამდვილეში გეხმარება თუ ხელს გიშლის. დანამდვილებით მხოლოდ ის ვიცი, რომ საქმეს ართულებს. ერთი მხრივ, მეტ-ნაკლებად გაცნობიერებული გაქვს, რომ ეტალონს უნდა შეესაბამებოდე და ხშირად ამის გამო შენი ყველაზე ღრმა შინაგანი ჭეშმარიტების გაწირვა




ეროვნული ბიბლიოთეკა

გიწევს. თანაც, ხედავ, რომ ხალხი წინასწარ შექმნილი სტერეოტიპებით გაფასებს. იმასაც აცნობიერებ, რომ შენს წინ თითის განძრევის გარეშეც იღება ბევრი კარი, თუმცა, უსამართლოდ იკეტება კიდეც. არ მინდა რაღაც სატელიტური პერსონაჟი ვიყო, რომელმაც ასახელა ჩვენი გვარი. ისიც ცხადია, რომ შეუძლებელია წინაპრებს ეტოლებოდე. მაგრამ ამასთან ერთად, ამ გვარის ტარება გულისხმობს გარკვეულ გენეტიკურ მემკვიდრეობას, გარკვეულ გარემოს. იმას, რომ იბადები სახლში, სადაც უამრავი წიგნია, სადაც მისდევენ ღირებულებათა სისტემას, რომლისთვისაც მთავარი ქონება და ყიდვა არ არის.

**რატომ ახსოვთ პოეტები?**

გულუბრყვილად გაიჟღერებდა, რომ მეთქვა, მათი ლექსების გამო-მეთქი, ამიტომ ვგონებ, საჭიროა განვასხვავოთ ხანმოკლე და ხანგრძლივი მეხსიერება. თუკი ხანგრძლივს ვგულისხმობთ, მაშინ ეს მართლაც ასეა. ხანმოკლე მეხსიერებისთვის უამრავი მოტივი შეიძლება არსებობდეს. მაგალითად, პოეტის აქტიურობა „ლიტერატურულ ცხოვრებასა" და მედია-საშუალებებში. მისი პირადი ცხოვრების თავისებურებანი, პოლიტიკური მრწამსი, მის ტექსტებზე შექმნილი სიმღერები. ხანმოკლე წარმატება ხშირად გაუგებრობის შედეგია.

**დაბოლოს, როგორც დამკვირვებელს, როგორც მჭვრეტელს მინდა გკითხოთ, როგორი იქნება მომავლის პოეზია? რა ახალ ჰორიზონტებს უნდა ველოდოთ?**

სიმართლე გითხრათ, წარმოდგენა არა მაქვს.

*მოამზადა ქეთი ჯიშიაშვილმა*

---

[2] საჯარო ცენტრების ქსელი ესპანეთში.

ელექტრონული ბიბლიოთეკა

## მცირე ანდერძი

მე თქვენ გიტოვებთ მდინარე ალმოფრეის,
ჩაძინებულს მაყვლებს შორის, შაშვებით სავსეს,
სურისას ნიფლებს, ორქიდეების უფსკერო ცისფერს,
მარტორქებს, ტანკებივით რომ დააქვთ ტანი.
ფლამენკოებს – მზის გასაღებს ცის კაბადონზე
და კრაზანებს – პატარა ვეფხვებს.
მარწყვებს, მაინის კლდეებს, ანაპურნას,
ნიაგარას ჩანჩქერს, ქერათმიან ელვარე ასულს,
ედელვაისებს ორდესას პარკში, ხელს რომ ვერ ახლებ.
ირმის ნახტომს, ბულბულს უთვალავს.

მე თქვენ გიტოვებთ გზატკეცილებს,
მდუღარე სუნთქვას რომ აფრქვევენ უკაცრიელ შუადღის ხვატში,
დე ლა კრუსის „ქებათა ქებას" და პელეს გოლებს,
შარტრის ტაძარს, წელში მოხრილ ოქროს თავთავებს,
უფიცის კლდეებს მიღმა ალლუნილ ლოცვას
და ტაჯმაჰალს, ტბაში მთრთოლვარეს.
ავტობუსებს, მოჯაყჯაყეს სან პაულოსა და მომბასას გზებზე,
შავკანიანებსა და ბედნიერ ცხოველებს რომ დაატარებენ.

თქვენ გეკუთვნით ეს ყველაფერი, ჩემო შვილებო,
ბედს სურდა ალბათ, რომ გყოლოდათ მდიდარი მამა.

## როგორც წყალი

როგორც წყალი,
მდუმარედ ილვწის
თავთავეთა ფეხქვეშ.
როგორც მინა,
მოკრძალებით ამუშავებს ლითონს,
მშვენიერებას რომ შესძინოს
სიმაღლე ვარდის.
ასე, ამგვარად,
დაწერ შენს ლექსებს.
მხოლოდ სიჩუმის ფსკერზე
შეიძლება, რომ გაღვივდეს კაშკაშა სი

## სიჯიუტე

ჩემი ცხოვრება:
რამდენი ხანია არ ვყოფილვარ კუსკოსა და სიენაში,
თუნდაც გრენობლში.
რამდენ თვითმფრინავში არ ჩავმჯდარვარ,
ცას რომ სერავდნენ.
რამდენი მხურვალე ხმა არ შეხებია
ჩემი გულის ფსკერს.
მხოლოდ დრო, ცარიელი,
ტრამალივით სულისშემძვრელი,
მხოლოდ ორშაბათი, სამშაბათი, ოთხშაბათი, ხუთშაბათი...
და ერთადერთი, რაც ისევ ჯიუტად ხდება –
კბილის პასტა „კოლგეიტია".



ეროვნული
ბიბლიოთეკა

## მეუღლეს

შენი თბილი თვალებით
ვიღაც მიყურებს, ვიღაც, ვინც შენ არ ხარ.
მეჩვენება, რომ შენი სიყვარული სხვა, გამოუთქმელ სიყვარულში მერევა.
ვიღაცას ვუყვარვარ შენი „მიყვარხარ“-ით,
ვიღაც შენი ხელებით ჩემს ცხოვრებას ეალერსება
და ვგრძნობ მის ფეთქვას ყოველ შენს კოცნაში.
ვიღაც, ვინც დროის მიღმაა, ჰაერის უხილავი ზღურბლის მიღმაა.

## ოქტომბერი ჩემს ფანჯარაში

ბინდი ნელ-ნელა ნვება დაბლობზე.
უზარმაზარი ბრინჯაოს ღრუბლები
რომანტიკულ სურათს ხატავენ.
დაბურული მუხები, სოფლის სახლები, ვერხვების ალი...
ყვითელი სიო ახუჭუჭებს ზეთისხილის ბაღს.

მინდა ვუყურო ოქროს სიჩუმეს,
მაგრამ გული მეუბნება, რომ ეს მინდვრები ჩემი არ არის
და არც ეს ცაა ჩემი.
რომ წინაპართა სისხლით არ შობილა ეს სილამაზე.

ფანჯრის რაფას ჩამოვაყრდნობ ჩემს მარტოობას.
გავცქერი მთების განელილ ჩრდილებს.
მშვენიერია ეს ფიქრები,
მაგრამ ეს მხოლოდ ფიქრებია,
ჩემი ცხოვრება მათში არ არის.
არც ჩემი გამჭვირვალე ბავშვობაა მათ კენწეროებთან,
ფედერალობანას რომ ვთამაშობდით ბიძაშვილები.

დღე იწურება და მასთან ერთად
ჩემი სამშობლოს ხანგრძლივ წვიმებს ვუახლოვდები.

## კონტრასტი

ისინი,
ვისი ცხოვრებაც წარმატების პროჟექტორებქვეშ
ოვაციების თანხლებით გადის.
მსუბუქი კაბრიოლეტებით,
მშვიდი, ლაჟვარდისფერი აუზებით და ვარდებით ირგვლივ,
განსაკუთრებული ძაღლებით,
შამპანურივით თავბრუდამხვევ, კრიალა გოგონებს შორის რომ იცინიან,
მაგრამ არ არიან ბედნიერნი.
და მე, რომელსაც არაფერი მაქვს ამ ქუჩების გარდა,
მძიმე განრიგი, იაფფასიანი კვირადღე მდინარის პირას,
მეუღლესთან და ბავშვებთან ერთად, რომლებსაც ვუყვარვარ.
არც მე ვარ ბედნიერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კიდევ ერთი ლექსი სიყვარულზე

რა ბედნიერებაა, რომ არ ვარ მაცუო ბასიო,
რომლის ხმაშიც ქლიავები ყვავიან ნაზად.
რომ არ ვარ ბეთჰოვენი, მობჯენილი შუბლზე ქარიშხლით,
არც ტომას მორი ჰოლბეინის სახელოსნოში.
რომ არ მაქვს ბუნგალო დენვერში (კოლორადო)
და ფიცროის მწვერვალებიდან არ გადმოვყურებ
პატაგონიის მინერალთა გარინდებას შებინდებისას.
ბედნიერი ვარ, სენ-მალოში მოქცევების სურნელს რომ არ ვგრძნობ
და ვარ აქ, შენთან. გსუნთქავ და ვუცქერ
ჭაღის ანარეკლს შენს თვალებში.

## ქალაქი ჩემში

(სანტიაგო)[1]

*„უცნაური ქალაქია, ერთდროულად მშვენიერი და უშნო"*
*(როსალია დე კასტრო, „სარის ნაპირებზე" „წმინდა სქოლასტიკა", III, 1)*

მე არაფერი ამირჩევია: გავახილე თუ არა თვალი,
წვიმა, ღამე და ქვები იყო ჩემი ცხოვრება.
მხოლოდ მოქეითინე ლამპიონების სველი ჩრდილები...

ჩემი ბრალი არ არის, ამ სიზმრებს ნაცრისფერი სამრეკლოები,
ხავსი და ლიტურგიული ბალდახინები რომ დაეპატრონენ,
და ეს ქვასავით მძიმე ღრუბლები.

ჩემი ბრალი არ არის, მელანქოლია რომ აღმოჩნდა ჩემი სამშობლო,
ერთგული ჩვევა უხმაუროდ ჩავლილი წლების.

და არც ის, რომ ახლაც, სადღაც ღრმად, ჩემში ისევ წვიმა ხმაურობს,
წვიმა, რომელიც...
სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით...
სანტიაგოს ქვებს უნაპიროდ ჩაძირავს ფიქრში.

## არაფერი

ტყვიისფერ წვიმას
ლამპიონების შუქი აკრთობდა.
ასე, უბრალოდ გასცქეროდე ღამეს
და არ ელოდო აღარცერთ წერილს.
იყო ოცდათხუთმეტის
და ჩაგესმოდეს, როგორ თანდათან გშორდებიან მატარებლები
და სინანულით ფიქრობდე იმას,
რომ არ ყოფილხარ სტივენსონი
და არც გრაფი ჰენრი რასელი.

[1] სანტიაგო დე კომპოსტელა – პოეტის მშობლიური ქალაქი – ერთ-ერთი ყველაზე ნალექიანი ქალაქია ესპანეთში და განსაკუთრებულ როლს თამაშობს ქალაქის სახის ესთეტიკაში. აღსანიშნავია ისიც, რომ სანტიაგო დე კომპოსტელაში მდებარეობს წმინდა იაკობის საფლავი, რომელსაც ტრადიციულად უამრავი პილიგრიმი სტუმრობს.

*ესპანურიდან თარგმნა ქეთი ჯიშიაშვილმა*

ეროვნული ბიბლიოთეკა



*23 მარტს, სტრასბურგში გარდაიცვალა მწერალი და მთარგმნელი – ომარ თურმანაული. ქვემოთ წარმოდგენილი ტექსტი მისი ერთ-ერთი ბოლო ნაწარმოებია, რომელიც 2011 წელს გაგრძელებებით იბეჭდებოდა ელექტრონულ ჟურნალ „ოქსიმორონში". ესაა რომანი, რომლის დასრულებაც მან ვერ მოასწრო, თუმცა ომარმა დაწერა ამ ტექსტის მოდიფიცირებული, სრული ვერსიაც ფრანგულ ენაზე, რომელიც დაიბეჭდა საფრანგეთში.*

# ავტობიოგრაფია

*ომარ თურმანაული*

დავიბადე ფშავში, სოფელ ხილიანაში, დავამთავრე მაღაროსკარის საშუალო სკოლა, შემდეგ თბილისის სავაჭრო ტექნიკუმი სასურსათო საქონელმცოდნის სპეციალობით, ვმსახურობდი საბჭოთა ჯარში, უკრაინის ქალაქ ვინიცაში და ძალიან მომწონდა უკრაინელი გოგოები. ჯარის მერე ბეტონის ქარხანაში ვმუშაობდი ერთხანს და მერე ამ ქარხნის დირექტორის, თემურ ნოდიას დაკვალიანების შემდეგ მის ძმას, ოთარ ნოდიას მივაკითხე და იქ დავიწყე მუშაობა მთარგმნელობით კოლეგიაში. ამავე პერიოდს უკავშირდება ჩემი პირველი ლექსების გამოქვეყნება ჟურნალ „ცისკარში", ისევე, როგორც უცხო ენათა ინსტიტუტში სწავლის დაწყება და ლოთებისა და პოეტების (მთარგმნელებისაც) საიდუმლო ორდერში ღიად გაწევრიანება. გამოცემული მაქვს ლექსების კრებულები: „დღე-ღამის დედა", „ცოდვები და გვირილები", „რა", ასევე „აფხაზეთი... ჯარისკაცის ჩანაწერები", და პროზა „დაისი" (ეს უკანასკნელი გამოცემისთანავე ბიბლიოგრაფიული იშვიათობა იყო. ტირაჟი – 40 ცალი!)

აფხაზეთის ომიდან დაბრუნებული ორი წელი ქუჩაში ვყიდდი წიგნებს, ვლოთობდი, ვშიმშილობდი და მთავრობას ვაგინებდი, როგორც ყველა ქართველი (ან როგორც უმეტესობა).

1995 წლის ბოლოს კი, არაყში და სასოწარკვეთაში რომ არ ჩავმხრჩვალიყავი, „ძაღლი სახლში არ უნდა მოკვდესო", ვთქვი, ნათესავ-მეგობრებში გზის ფული მოვაგროვე და ტურისტული ვიზით საფრანგეთისკენ დავახვიე. სამი წელი იქაც უსაბუთოდ მივედ-მოვედე, ვიდრე რაღაც მყარ (მყარი ამ ქვეყანაზე არაფერია) ადგილს ვნახავდი. საფრანგეთში გამოქვეყნებული მაქვს მოთხრობები „Ephéméride du village" (სოფლური ეფემერიდა), „La veuve,l'hirondèle et le voyant" (ქვრივი ქალი, მერცხალი და მკითხავი), ასევე ვთარგმნე (მარი ფრერინგთან ერთად) და გამოვეცი ბესიკ ხარანაულის „წიგნი ამბა ბესარიონისა". რეგულარულად განვაგრძობ ლოთობისა და სიგარეტისთვის თავის დანებებას და თავისუფალ დროს კი კითხვას, თარგმნას და ხანდახან წერასაც კი ვანდომებ. ვმუშაობ თარჯიმნად ასოციაციაში „Migrations Santé d'Alsace".

როცა მოვიცლი, მაგარ რაღაცას დავწერო, ვიძახი, მაგრამ ისიც კარგად ვიცი, რომ მოცლილები უკვე სასაფლაოზე არიან და იმათი არც დაწერილი უნახავს ვინმეს რამე, არც რაიმე სხვა დიადი საქმე (მოცლის შემდეგ გაკეთებული).

# პირველად იყო... და არა იყო რა

## ავტობიოგრაფიული ზღაპარი

*ომარ თურმანაული*

0.

მწერლობა იმდენად სერიოზული რამეა, რომ... გაგეცინებათ. მით უფრო, დიდი მწერლობა. მოკვდებით სიცილით. თუ, რა თქმა უნდა, სერიოზულ რამეზე თქვენც ჩემსავით გეცინებათ...

მწერლობა, ჯერ ერთი რომ, ცხოვრებაა თვითონ, მწერლის ცხოვრება. როგორც კალატოზობაა კალატოზის ცხოვრება, გლეხისა – ხვნა, თესვა, მესაქონლეობა, ბოზისა – ბოზობა და ა.შ... ცხოვრება კი იმდენად სერიოზული რამეა, რომ... მეცინება. ძალიან სერიოზული რამ ჩემთვის ძალიან სასაცილოცაა...

თანაც მწერლობა მარტო მწერლების კი არა, ერთგვარად მკითხველების ცხოვრებაცაა. მკითხველი ხომ თითქმის ყველა ვართ და, აქედან გამომდინარე, მწერლობა თითქმის ყველას ცხოვრებაა. ჩემი, შენი, მისი... ჩვენი, თქვენი, მათი... ეს ძალიან სასაცილო, ანუ ძალიან სერიოზული რამეა. ეს. მწერლობა...

რეალისტური მწერლობა ხომ არის ყველანაირი გაგებით ცხოვრება? არის! არარეალისტური მწერლობაც რეალური ცხოვრებაა. ყოველ შემთხვევაში ავტორისთვის მაინც აუცილებლად. კაფკას სიზმრისეული მწერლობა მისი რეალური ცხოვრება არ იყო?

ან... „იყო და არა იყო რა...“ არაა ცხოვრება?

მეტსაც ვიტყვი: უპირველესად სწორედ ეს „იყო და არა იყო რა, იყო ერთი...“ იყო.

იგი იყო „იყო და არა იყო რა...“ და „იყო და არა იყო რა ...“-სთან იყო

და ყოველივე მისგან იშვა...

ეს იმდენად სერიზული და იმდენად სასაცილოა, რომ სიცილით გაიგუდები. მოკვდები.

სიკვდილზე უფრო სერიოზული და სასაცილო კი (მისი სერიოზულობის გამო) სხვა რაა, თუ არა ისევ სიცოცხლე, რაც ცხოვრებასა და მწერლობასაც გულისხმობს.

ვინლა არ წერდა – ჰამურაბი თუ მერაბი...

რის შესახებ აღარ წერდნენ და...

რაღაზე არ წერდნენ და არ წერენ – თიხის ფირფიტაზე, ქვაზე, ხეზე, კომპიუტერის ეკრანზე თუ... სილაზე...

ვინც სილაზე წერდა, უთუოდ სკეპტიკური თვალით უყურებდა მწერლობასაც, მწერლებსაც და მკითხველ-მწიგნობრებსაც, უთუოდ იცოდა, რომ არის მწერლობა დამწერლობის გარეშე, არის სიტყვა, რომელიც წარმოთქმისთანავე თავისით იწერება ადამიანის სუფთა გულზე, როგორც ბავშვის გულზე „იყო და არა იყო რა...“ რომლისგანაც ყოველი იშვა.

რასაც ვამბობ, ამას სკეპტიციზმი ჰქვია.

მე სკეპტიკოსი... არა... სკეპტიცისტი ვარ... ესაა ჩემი ცხოვრების ფილოსოფია.

მე ვარ სკეპტიცისტი, რომელიც ოპტიმისტია.

მე მინდა მოგითხროთ ერთი სკეპტიცისტი ადამიანის ცხოვრება.

1.

ყველაფერი, რაც ადამიანმა მარადისობის ღირსად მიიჩნია, ქვაზე აკეთა – ქვაში კვეთა, ქვაზე წერა და... მერე დიდხანს ისევ ქვაში კვეთა, წერისთვის კი უფრო მოხერხებულ, სველი თიხის ფირფიტებზე წერისა და შემდეგ მისი გაქვავების მეთოდს მიაგნო...

„რა ამოძრავებს კვიპაროსის ტანს» უკვე ქაღალდზე დაიწერა და მისივე საშუალებით მოვიდა ჩვენამდე...

როგორც ნივთიერება, ქაღალდი ქვაზე გამძლე ვერაა, მაგრამ ჩემთან, თქვენთან, ჩვენს შვილებთან და შვილიშვილებთან მისვლისთვის მეტი საშუალება ჰქონდა, ვიდრე ქვას და... მოვიდა...

ვინმეს თუ წაგიკითხავთ სილაზე დაწერილი წიგნი: რომელიმე ქვეყნის ისტორია, ან რომანი, ან მოთხრობა, ან ზღაპარი ან... ლექსი მაინც?

წაგვეიკითხავს სილაზე დაწერილი „გივის + ნანა = სიყვარულს“ ან „ამინას + ...“ და რაღაც მსგავსი...

ამინა, ლალი, ქალთამზე, გივი, ნანა და ა.შ. მხოლოდ სახელები არაა, მხოლოდ ქვიშაზე დაწერილი სიტყვები არაა სიტყვის გრამატიკული გაგებით, მათ უკან ნამდვილი სიტყვები იგულისხმება, სიტყვის სახარებისეული გაგებით, ესე იგი არსი, ამ შემთხვევაში კი ადამიანი, ისიც ქვიშით, სილით, თიხით, მიწით ქმნილი, ლამაზი და საინტერესო, ღმერთის სახე, ღმერთის ხატი, მაგრამ მყიფე და ადვილად შლადი, როგორც ყველა სილაზე დაწერილი სიტყვა. ქარის ერთი შემობერვა კმარა, ზღვის ერთი ტალღა და ამ ლამაზი, სიყვარულთან ტოლობის ნიშნით დაკავშირებული სიტყვისგან მხოლოდ სილა დარჩება...

ამინა შემთხვევით არ მიხსენებია:

...დღეს სტრასბურგის საავადმყოფოს ონკოლოგიურ განყოფილებაში თარჯიმნად დამიბარეს. წინასწარ ყოველთვის არ ვიცი, ვისთვის ან რა ენაზე (ქართულად თუ რუსულად) მომიწევს თარჯიმნობა. ახლაც ასეთი შემთხვევა მქონდა. ექთანმა ბოდიში მომიხადა, ექიმი დაკავებულია, მოცდა მოგიწევთ და, თუ გსურთ, მოსაცდელში დაელოდეთ, თუ არადა, პალატაში შე-

გიძლიათ შეხვიდეთ და პაციენტს გაესაუბროთო. მოსაცდელში ლოდინი, პაციენტთან ერთად თუ მის გარეშე, ხშირად მიწევს ხოლმე. ან პაციენტს ვეცნობი და ვესაუბრები, ან იქ დახვავებული ჟურნალებიდან რომელიმეს ამოვირჩევ ხოლმე და, გააჩნია რა შინაარსის ჟურნალს წავაწყდები, ან ნახევრად შიშველი ლამაზმანების გამოხედვას რიგრიგობით ვუსწორებ მზერას, ან რაიმე ფილოსოფიური თუ ფსიქოლოგიური სტატიის გაგებას ვცდილობ. ერთნაირი გატაცებით. მოსაცდელში არც ჟურნალები არ იყო, არც ვინმე, რომ მასთან საუბრით გამერთო თავი. პალატაში შევედი – ორი საწოლი, ორი ავადმყოფი ქალი ვენებში მიერთებული წვეთოვნებით. საწოლების პირდაპირ, კედელზე ორი ტელევიზორი. ერთს (ჩართულს) ორმოცდაათიოდე წლის ქალი მისჩერებოდა და ჩემს რუსულ მისალმებაზე არავითარი რეაგირება არ მოახდინა. აქეთა საწოლში ახალგაზრდა ქალის გადაპარსული, ლამაზი თავი გაინძრა და ვიდრე რუსულ მისალმებაზე მიპასუხებდა, ერთხანს დიდი, ცისფერი, გაოცებული ტბებით მიყურა. მერე რუსულადვე მიპასუხა და... ცისფერმა თვალებმა გაოცება განაგრძეს. მე ვუთხარი, რომ თარჯიმნად ვარ მისთვის დაბარებული. დაბრძანდითო, მითხრა. სკამიდან იასამნისფერი ბამბის ხალათი აეილე და ვიდრე საწოლის საზურგეზე მოვუნახავდი ადგილს, ერთხანს თითებში ვჭმუჭნიდი. დავჯექი. თვალები დაიხუჭნენ და ახალგაზრდა ქალის გადაპარსული თავის, მაღალი ყელის და შიშველი მხრების ყურება მდუმარედ, მისი სილამაზით თანდათან გაოცებულმა განვაგრძე. თითქოს ეს მშვენიერება არ კმაროდა, ზეწრიდან მკლავი, შიშველი, გამოცურდა, კიდევ ერთი ცალკე, ერთი ქალის სამყოფი სილამაზე...

ვენაში წვეთოვანით...

ექიმის მოსვლამდე უკვე ვიცოდი მისი სახელი – ამინა – და გვარი (....), მისი წარმომავლობა – ჩეჩენი, ასაკი – ოცდასამი წლის, სამი წლის ბავშვი ჩეჩნეთში, დედამისთან დაუტოვებია. ბავშვის მამა? – შევეკითხე. რატომღაც მოველოდი, რომ ომში დაიღუპაო, მეტყოდა. გამშორდა! – მითხრა და, არ მომჩვენებია, გაიღიმა. ექიმის მოსვლის შემდეგ ექიმისთვის მიცემული მისი პასუხებიდან უფრო მეტი შევიტყვე. მშობიარობის შემდეგ იღლიის ქვეშ ჯირკვალი გაუსივდა. დიაგნოზი – ლიმფური ჯირკვლების კიბო. სად და რა მკურნალობა ჩაიტარეთ? – ქიმიოთერაპია ორგზის, მოსკოვში და ნალჩიკში. მათ შუალედში ასევე რადიოთერაპია. რადიოთერაპიის შედეგად მარცხენა ფილტვის ზედა მხარე დაუზიანდა და სუნთქვაც უჭირს. ქიმიოთერაპიის დროს რა წამლებს ღებულობდით? ჩამოთვალა წამლების სახელები, რომლებიც ექიმმა უკეთ იცოდა, ვიდრე მე და თარგმნა არ დამჭირვებია. ახლობლები გყავთ აქ ვინმე? არა, მხოლოდ რამდენიმე ნაცნობი... თითქოს ამის დასტურად ამ დროს პალატაში თავზე ხილაბანდწაკრული ქალი შემოვიდა (ჩეჩენი ქალების უმეტესობა აქაც ხილაბანდით დადის)... ექიმმა ცოტახანი გამოკითხვა კიდევ განაგრძო, ვიდრე იტყოდა: „მკურნალობის მხრივ ყველაფერი სწორადაა ჩატარებული, ჩვენც ალბათ იმავე მკურნალობას ჩავატარებდით, ან თითქმის იმავეს... რა თქმა უნდა, ვეცდებით რომ მდგომარეობა შეგიმსუბუქოთ. თუმცა ილუზია არ უნდა შევიქმნათ... ტკივილები თუ გექნებათ, არ მოგერიდოთ, გვითხარით... შეკითხვები გაქვთ?“ ამინამ, არაო და, თვალები დახუჭა. შემდეგ ისევ გაახილა: „კი... ერთი შეკითხვა... შეიძლება?“ „გისმენთ!“ „თუ, ვთქვათ, ფეხმძიმობის დროს უკვე დაავადებული ვიყავი, არის ბავშვის დაავადების საფრთხე?“. კითხვა ექიმს ვუთარგმნე და შემდეგ მისი პასუხი – არა! ეს გადამდები დაავადება არაა! – ამინას. იმან ერთხანს მე მიყურა ეჭვით, თითქოს ექიმის კი არა, ჩემი არ სჯეროდა. მე ექიმს შევხედე. ექიმმა კიდევ ერთხელ გაიმეორა პასუხი. მეც კიდევ ერთხელ ვთარგმნე. ამინამ ისევ დახუჭა თვალები...

პალატის გარეთ ხილაბანდიანი ჩეჩენი ქალისთვისაც მომიწია თარჯიმნობა. იმის უფრო ზუსტად გაგება სურდა, თუ რა შანსი რჩებოდა ამინას. ვიდრე ექიმის პასუხს ვუთარგმნიდი, რამდენიმე წამით მე თვითონ ჩამივარდა ენა. მერე ვთარგმნე – ყველაფერს ვილონებთ მაგრამ სასწაულის გაკეთება არც ჩვენ შეგვიძლია. თვითონ პაციენტმაც უნდა იცოდეს ეს, რომ სწორად განსაზღვროს, როგორ მოიქცეს, დაბრუნდეს სამშობლოში და რამდენიმე დღე შვილს უყუროს კიდევ, თუ აქ რამდენიმე დღით გაიხანგრძლივოს სიცოცხლე... ყველაფერი შეიძლება რამდენიმე კვირაში, ან რამოდენიმე თვეში დამთავრდეს.

ამინა, ნანა გიორგი თუ მამედ მხოლოდ სახელები, მხოლოდ სიტყვები არაა მათი გრამატიკული გაგებით. მათ უკან ნამდვილი სიტყვა, არსი იგულისხმება, ისიც ასევე თიხაზე თუ თიხით ლამაზად დაწერილი და მყიფე – ქარის ერთი შემობერვა, ზღვის ერთი ტალღა კმარა ამ მშვენიერების გასაქრობად...

მიწა იყო, მიწად მიიქცა...

ამინა!

2.

ვირტუალურ სივრცეში, ვირტუალურ გვერდებზე წერა ისეთ შეგრძნებას მიტოვებს, თითქოს სილაზე ვწერდე – ერთი ქარის შემობერვა, ზღვის ერთი ტალღა საკმარისია და ყველაფერი გაქრება...

არაა ეს სასაცილო?

ჩემი მეგობრებიც ქვიშაზე დაწერილი სიტყვებივით გაქრნენ, წაიშალნენ!.. რა აზრი აქვს მათი სახელების ხელახლა ქვიშაზე ჩამოწერას, რა აზრი აქვს მათზე წერას ამ ქვიშაზე, მაგრამ მაინც... უნდა ჩავჯდე სილაში და ყველაფერზე და ყველაზე ვწერო, ვინც და რაც გამახსენდება. მერე ქარი დაუბერავს, ან ზღვის ტალღა მოვარდება და მეც და ჩემს ნაწერსაც წაგვშლის... ან დედა დამიძახებს. მანამდე კი დრო მაქვს. მგონია, დრო მაქვს...

3.

იყო და არა იყო რა, ერთხელ... გავჩნდი. გონს რომ მოვედი – არ მახსოვდა, როდის და საიდან გავჩნდი. ახლაც თავს ვიმტვრევ

ხანდახან ამაზე, მაგრამ ვერ ვიხსენებ. გონს კი ასე, ხუთიოდე წლისა მოვედი, მთებს ვუყურებდი... უფრო მთების დასალიერს და... მეშინოდა.

ამ შიშმა მომიყვანა ცნებას? შიშმა მშობა, ვითომ?

ქვეყანა, სადაც ვიყავი, ერთი შეხედვით პატარა არ იყო, – სახლი, ეზო, ირგვლივ მთები, შუაში მდინარე... მთელი დღე, ან ორი დღეც რომ მელოღიალა, ბოლოში მაინც ვერ გავიდოდი, მარა... ერთ დღესაც რომ მთის, «დედამიწის» კიდეზე მისულს ფეხი დამცდენოდა და გადავშვებულიყავი იმ... სიცარიელეში, მერე?... დედაჩემი იქვე სიმინდს თოხნიდა, შიშისა არაფერი ეტყობოდა. ეს ცოტა მამხნევებდა, რომ იქვე არ ჩამეფსა და ღნავილი არ მომერთო. ან როგორ უნდა ამეხსნა ეს შიში დედისთვის, ლაპარაკი არ ვიცოდი. ასე რომ, სხვებისა არ ვიცი, ჩემთან კი სიტყვა კი არა, შიში იყო პირველი. სიტყვები მერე იშვნენ შიშისაგან. სიტყვების უპირველესი ფუნქციაც ესაა – გამოხატონ შიში და ეჭვი. ალტ-აცების გამოხატვას, ჩვენ კი არა, ცხოველებიც ახერხებენ. შიში გვაიძულებს ჯერ აზროვნებას, მერე მეტყველებას.

მოკლედ, შეიძლებოდა ასეც მეთქვა: ხუთიოდე წლისამ ჰორიზონტს შევხედე, გონს მოვედი, შემეშინდა და ენა ამოვიდგი:

– იმ მთების იქით რა არის, დედი?! – ვიკითხე

დედა თოხის ტარს ჩამოეყრდნო, დაღლილმა ერთხანს ღია პირით ისუნთქა. გაღიმებულმა მიყურა, მერე ხელის ზურგით შუბლიდან ოფლი მოიწმინდა და თვითონაც მთებს გახედა. – მთების იქითაც მთებია, შვილო!-ო და გაღიმებულმა გააგრძელა თოხნა, ვითომც არაფერი.

„მთების იქითაც მთებია?..." ქვეყნის საშიშმა დასალიერმა ერთი ხეობით იქით კი გადაიწია და ცოტა კი დავმშვიდდი, მაგრამ... იმ მთების იქითა მთების იქით ხომ აუცილებლად მთავრდება დედამიწა და... ერთ დღეს...

4.

მოგვიანებით რენემ (დეკარტმა) დაახლოებით ასეთი რამ მითხრა – რაიმეში ეჭვი რომ შეიტანო, ამისთვის ხომ ჯერ შენ უნდა რაღაცა იყოო? – ალბათ-მეთქი, ვუპასუხე არცთუ მთლად დარწმუნებულმა, იმან კი ეს ჩემი პასუხი ერთმნიშვნელოვან თანხმობად მიიღო და გაუტია – ვაზროვნებ, მაშასადამე ვარსებობო! – დავფიქრდები-მეთქი და თავი დაეხარე. თავდახრილს კი რენეს მიმართ ასეთი შეკითხვა გამიჩნდა – რენე, ძმაო, ეჭვი იმაში რატო არ გეპარება, რომ ყველაფერში ეჭვი გეპარება-მეთქი? და დარწმუნებული როგორა ხარ, რომ ნამდვილად აზროვნებ, იქნებ ეგაც გეჩვენება-მეთქი? – კაიო, მითხრა, ვთქვათ და ყველაფერი მეჩვენება, მარა რომ მეჩვენებოდეს ყველაფერი (ან რაიმე), ჯერ ხომ მაინც მე უნდა ვიყოო? აქ თავის დახრა აღარც დამჭირვებია, რადგან შემდეგი კითხვა უცებ მომივიდა თავში – რენე იქნებ გეჩვენება ისიც, რომ ხარ და ისიც, რომ აზროვნებ-მეთქი!? – ეეე, ძმაოო, მითხრა, შენ, მგონია, ძველ ბერძენ სკეპტიცისტებსაც გადააჭარბეო, ხელი ჩაიქნია და წავიდა... იმის მერე ჩემი დანახვაც აღარ უნდა. საზოგადოებაშიც თვალს მარიდებს, ვითომ არც მიცნობდეს. მოვიმდურე ძმაკაცი! ოდესმე წერილს მივწერ, ვეცდები შემოვირიგო. ვეტყვი, რომ მისი წყენინება სულაც არ მინდოდა და რომ პირიქით, მინდოდა მასავით რაიმე ამოსავალი, რაიმე რეალური საყრდენი წერტილი მეპოვა ამ ილუზიურ სამყაროში და... რომ ვერ ვახერხებ...

5.

ერთი ხანობა ფროიდის კითხვამ ისე გამიტაცა, ისიც ვიფიქრე, სამყარო ღმერთის ფალოსის გარშემო ბრუნავს-მეთქი! ეს კოპერნიკული აღმოჩენა, ვიდრე ამისათვის ჯორდანოსავით ცეცხლზე ცოცხლად დამწვავდნენ, მე თვითონვე გალილეისავით უარვყავი, ოღონდ ჩემი ნებით, ყოველგვარი მუქარისა და ზეწოლის გარეშე... არანაირი იდეა არ ღირს იმად, რომ კოცონზე თავი ცოცხლად შევაბრაწვინოთ ვიღაც ბრიყვებს! კი, ცხოვრება და ცხოვრებისეული, ყოველივე ილუზიაა, სიამოვნებაც და ამაღლებული იდეებიც! კი, მხოლოდ ტანჯვაა რეალური ცხოვრებაში! მაგრამ ცხოვრების რეალურობაში დასარწმუნებლად მაინცდამაინც ეშაფოტზე ასვლა არ ღირს! არც ბრიყვების სიბრიყვეს ეშველება ამით რამე – სიყვარულისთვის ჯვარცმულის სახელით ისევ ბოროტებებს ჩაიდენენ, ჭეშმარიტებისთვის კოცონზე შებრაწულის სახელით – ახალ სიბრიყვეს გამოგვიცხადებენ ჭეშმარიტებად! წავიდნენ, მაგათი დედაც! თავი რაზე მოვაკვლევინო! მე რაც ვიცი, ჩემთვის ვიცი, სახალხოდ კი ვაცხადებ, რომ სამყარო არც ჩალითაა დახურული და არც ღმერთის ფალოსის გარშემო არ ბრუნავს! დაარქვით ამას კომპრომისი, კონფორმიზმი, ლაჩრობა... რაც გინდათ!

6.

რენეზე უფრო მაგარი ეს თომაა (აქვინელი). უჰ! მართლა მაგარია! ნახეთ, რას ამბობს: „თუ ჭეშმარიტება არაა, მაშინ ჭეშმარიტება ისაა, რომ ჭეშმარიტება არაა, ეს კი, არ შეიძლება იყოს ჭეშმარიტება, თუ არ არის ჭეშმარიტება. მაშასადამე, ჭეშმარიტება მარადიულია". აჰა! რა გინდა რომ უყო ამას?

მეჩვენება, რომ თომა აქვინელის ამ ლოგიკას ცოტა სოფიზმის სუნიც უდის... ასეც რომ არ იყოს და, დავუშვათ, რომ „კი ბატონო, არის ჭეშმარიტება!" რა არის ეს ჭეშმარიტება? ღმერთი? რა არის ღმერთი? აი, ეს ვერ გავიგეთ მე და ჩემმა „ზემლიაკმა" პილატე პონტოელმა. როგორ გინდა იწამო ის, რაც არ იცი, რა არის! თუ ვინმემ იცით, მითხარით...

7.

ფილოსოფოსებს და დიდ ორატორებს, ქოთნისთვის ნებისმიერი კუთხიდან ყურის შებმის ამ დიდოსტატებს რომც შევეშვათ და ხალხურ სიბრძნეს, ხალხის რეალური ცხოვრების გამოცდილებიდან გამოტანილ დასკვნებს გადავავლოთ თვალი, ანუ ანდაზებს, აფორიზმებს, ფრთიან გამონათქვამებს... რა იპყრობს პირველ რიგში იქ ჩვენს ყურადღებას? ამ გამონათქვამების ესთეტიკური მხარე, ლაკონიურობა, იუმორი...

და მხოლოდღა ამის შემდეგ – მათში ჩადებული აზრი... ეს აზრები თავიანთი წინააღმდეგობრიობით ერთმანეთს აბათილებენ. რჩება ფრაზების სილამაზე... ამ სილამაზის წყალობით გაუძლეს მათ დროს და არა მათში ჩადებული სიბრძნისა.

გვეყოფა... მოგვიანებით გავაგრძელოთ ესენი.

იმ ბიჭთან მივბრუნდეთ, მთის წვერებისკენ ჰორიზონტს რომ გაჰყურებს და ეშინია – ჰგონია, რომ იქაა ქვეყნის დასალიერი, იქაა დედამიწის კიდე...

„ხიდი ვიყავი. ხიდი, უკვე აშენებული. ხიდობას თავს ველარ დააღწევს, თუ არ დაინგრა." – ფრანც კაფკა.

იმ ბიჭს, მთის წვერისკენ ჰორიზონტს რომ გაჰყურებს და ქვეყნიერების კიდე რომ იქ ჰგონია, ამისი რომ ეშინია და ლამის შიშისგან რომ იფსამს, რას ეტყოდით გასამხნევებლად? დედამისმა უთხრა, შვილო, იმ მთების იქითაც ასეთივე მთებიაო და ცოტა დამშვიდდა; თქვენც უთხარით – მთების იქითური მთების იქითაც რომ მთებია და იმის იქითაც... მთლად შორს – დედამიწა მრგვალიაო – ნუ გაუტევთ; ამას ვერ გაიგებს და შეიძლება უფრო დაფრთხეს... ნუ დააშინებთ, დაამშვიდეთ... ეს ბავშვი ზღაპრის ბავშვია... გმირი არაა: გმირები სხვაგან, სხვაგვარ ზღაპრებშია, სხვაგვარ ლეგენდებში, სხვაგვარ რომანებში. აქ მხოლოდ მოქმედი პირები არიან... უმოქმედონიც – გარდაცვლილები – საკმაოდ არიან; ჯვარ-ხატებიც... ჰო, ჯვარ-ხატებზე უნდა გითხრათ, რომ ამ ზღაპრის ზოგი პერსონაჟი მათ გმირებად კი მოიხსენიებს, „გმირო კოპალავ", „გმირო იახსარო"-ო, მაგრამ ლიტერატურული გმირის, გინდა ზღაპრის, გინდა რომანის გმირის გაგებასთან მათ საერთო ცოტა აქვთ. კი, დევები აქაც არიან და ეშმაკებიც – ზღაპარია მაინც ეს და უმათობა არ გამოვა – მაგრამ შეამჩნევთ, რომ არც ისინი არა ჰგვანან სხვა ზღაპრებისას. და კიდევ ერთი – სხვა ზღაპრული ამბებისგან განსხვავებით, ეს ამბავი ცხრა ზღვისა და ცხრა მთის იქით კი არა, აქეთ ხდება და ასე იწყება:

„იყო და არა იყო რა, თბილისიდან ოთხმოციოდე კილომეტრის დაშორებით, ფშავში, ერთი პატარა, შვიდკომლიანი სოფელი იყო.

ამ სოფლის სახლებს ზღაპრული არაფერი ჰქონდათ და თვითონ სოფელსაც, ფშავის სხვა სოფლებისგან – ყოფჩა, ჩარგალი, ჭიჩო, კანატია, წიფრანი და ა.შ. – განსხვავებით სახელიც კი მეტისმეტად მიწიერი, ხილიანა ერქვა. ეს მის ზღაპრულობას არაფერს აკლებს. პირიქით – რაიმე არაჩვეულებრივ ზღაპარში ყოველდღიური, ჩვეულებრივი საგნის და მოვლენის სახით გვეჩვენება; მერე კი, როდესაც მის არაჩვეულებრივობას ვინმე შეამჩნევს (ან ბავშვი, ან ბავშვურად ცნობისმოყვარე), აღტაცდება და შესძახებს, „ვაა!" ან „ევრიკაა!" თუმცა... არანაირი აღმოჩენა საბოლოო არაა. საბოლოო ის იქნება, რაც დასაწყისში იყო, ანუ... არაფერი... იყო და არა იყო რა!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

8.

არც დედამიწა ბრუნავს მზის გარშემო და არც მზე – დედამიწის ირგვლივ. ევრიკა!

ვიცი, რომ არაფერი ვიცი!

დედამიწა მრგვალიაო, რომ აღმოვაჩენთ ერთ დღეს და რომ წავალთ იმის გარშემო სამოგზაუროდ, რომ ვივლით, ვივლით, ვივლით და... მესამედაც იქვე რომ მივალთ, საიდანაც წავედით... ეჰ!.. სხვა ზღაპრებში ზღაპრის გაბრაზებული გმირი შიკრიკ-მეგზურს შეუტევს: „შიკრიკო გზანი გაიხვენ, თუ არ ხარ თავის მისანი, თორე აგილე გაგთალე, ვით საკიდობნე ფიცარი!" იმ ზღაპარში, საიდანაც ეს სიტყვები ამ ზღაპარში გადმოვიტანე, მეგზური გზამკვლევს შეეშინდება უსუპისა (თუ ამირანისა) და გზას „გაიხვენის", ზღაპრის გმირებს დანიშნულების ადგილზე მიიყვანს... ამ ზღაპრის ბიჭმა ვის შესჩივლოს? ვის დაემუქროს? მისი შიკრიკი გზამკვლევები წიგნებია და მუქარით რას გამორჩება? იმაზე მეტს რას ათქმევინებს, რაც მათში არაა!

ოცდაექვსი წლისა რომ გახდება, კი მიხვდება, რომ ერთსა და იმავე ადგილს უტრიალებს გარშემო და კი იტყვის, რომ: „ოცდამეექვსე წელიწადია, რაც გზაში ვარ და ჯერ კერას ვერ გავცილებივარ"-ო, მაგრამ ამის იქით მისი აღშფოთება არ წავა, არავის არ დაატყდება თავზე რისხვად, „შიკრიკო, გზა გაიგნე, თორემა!..."-ო... არაფერი მსგავსი! ოცდამეექვსე შემოდგომას გასძახებს ერთხელ მისი ფანჯრიდან: „საიდან მოდიხარ, შემოდგომავ, ან საით მიდიხარ? ჩემი საშველი არაფერი იცით?", მაგრამ შემოდგომა ბრმა და ყრუა, სირბილ-სირბილით ჩაუვლის ამ ოცდაექვსი წლის ახალგაზრდას და თვალს მისთვის პასუხის გაუცემლად მიეფარება.

9.

ოცდამეექვსე ზამთარი და ოცდამეშვიდე გაზაფხულიც – ასევე.

ახალგაზრდა კი, სხვა რა გზა აქვს, ისევ სვლას გააგრძელებს... სვლას თუ – კალოზე დაბმული ვირივით – ერთ ადგილზე ტრიალს. ვირისგან განსხვავებით მხოლოდ ის იცის, რომ ერთ ადგილას ტრიალებს. ვირისგან განსხვავებით იმასაც ფიქრობს, რომ პირდაპირ სიარულს იქნება სწორედ ეს, ერთ ადგილზე დაბმული ვირივით ტრიალი სჯობიაო; იქნებ ადამიანი საკუთარი თავის გარშემო ტრიალით აკეთებს ღვთიურ საქმეს – საკუთარი თავის გარშემო ტრიალით ლეწავს ღვთის კალოსო! თავს ინუგეშებს ასე, თორემ არც ამაში არაა დარწმუნებული. არჩევანი როცა არა გვაქვს, რაცა გვაქვს, იმისთვის ვცდილობთ აზრის მინიჭებას. ერთხელ უკვე ადამიანად დაბადებულს კი, როგორც ერთხელ უკვე აშენებულ ხიდს, ადამიანად (ან ხიდად) არსებობის გარდა, სხვა არჩევანი არა აქვს „თუ არ დაინგრევა...". ხიდებისგან განსხვავებით ის კი ვიცით, რომ ვართ და ისიც, რომ, ვიდრე ვართ, არჩევანი არა გვაქვს – ყველაფერმა, ყოველგვარმა სიბინძურემ, ყოველგვარმა სიწმინდემ ჩვენზე უნდა იაროს. ხიდებისგან განსხვავებით ჩვენს „ხიდობას" გამართლებას ვუძებნით. გაჭირვებით... და როცა ამას ველარ მოვახერხებთ, ხიდებისგან განსხვავებით შეგვიძლია თვითონვე დავინგრეთ...

ის ახალგაზრდა იმასაც იფიქრებს ამ ზღაპარში, რომ ადამიანი სულაც არაა ვალდებული მისთვის ვიღაცისგან, მის დაუკითხავად მინიჭებულ არსებობას გამართლება უძებნოს. უმჯობესია, გავჩუმდეთ და დავაკვირდეთ ჩვენს არსებობასო, იტყვის, ყურადღებით ვადევნოთ თვალი, შემდეგში რა მოხდებაო. ამბიციური მოსწავლის მსგავსად სულ ხელაწეული კი არ უნდა ვცმუკავდეთ სკამზე და სულ კი არ უნდა ვიხვეწებოდეთ, ჩვენ გვათქმევინეთ პასუხიო! გვათქმევინეთ, რომ ამ მთების იქითაც მთებია და ამ „ცოდნით" ყველას წინაშე თავი მოგვაწონებინეთო!

10.

ბორბლების დახმარებით იოლია მგზავრობა, მაგრამ მის გამოგონებას ხანგრძლივი შრომა სჭირდება; ან უფრო მის აღმოჩენას, რადგან რისი გამომგონებელია ადამიანი! აღმოაჩენს ხოლმე უკვე არსებულს და შემდეგ აღმოჩენილის გამოყენებას ცდილობს მისი გზის, მისი ცხოვრების გასაიოლებლად... აღმოჩენას, რაიმეს დანახვას ეძახის ადამიანი „გამოგონებას".

ბორბალი რაა? წრეა! რაიმეს ირგვლივ – დედამიწის, საკუთარი თავის ან სულაც სიცარიელის ირგვლივ – შეკრული წრე! რაც უფრო დიდია ეს წრე, მით უფრო ჰგავს მისი მცირე მონაკვეთი წრფეს – სწორ ხაზს... აი, წავედი ბრტყელი დედამიწის ხილიანად წოდებული ერთი ზღაპრული წერტილიდან ფეხით, ვიარე დასავლეთის მიმართულებით, გადავიარე ცხრა მთა, ცხრა ზღვა, ამდენივე ტყე-ველი, დავისვენე ცოტა... გავაგრძელე გზა. ცხრაჯერ ცხრა მთა და ამდენივე ტყე-ველი რომ კიდევ გავიარე და ხილიანას, ზღაპრულ წერტილს რომ მეორე მხრიდან, კუჭეჭის მთიდან მივუახლოვდი, ის უკვე ბრტყელი კი არა, მრგვალი დედამიწის სოფელი იყო! თვითონ სოფელს ამითი არც რამე მიმატებოდა და არც მოკლებოდა. ყოველ შემთხვევაში კუჭეჭის მთის წვერზე რომ შევდექი და გადავიხედე, შორიდან ისეთივე ჩანდა; ეგ კია, სოფელში მისულს იქ არავინ დამხვდა... ზაფხულის ამ დღეს ყველა ადგილის დედის სალოცავშია გასული... დაღლილი მუხლები ძალისხმევით გავშალე, რომ სოფელიც გამეელო. ხატისგორაზე ქშენა-ქშენით ავედი და ხევისბერსა და მლოცველებს ბორბალივით დავუდე ჩემი აღმოჩენა:

„ხალხნო და ჯამაათნო!
მლოცავნო,
დიდნო და ბატარანო!
ქუდოსანო და მანდილოსანნო...
დედამიწა მრგვალია!
ჩემი თვალით ვნახე სიმრგვალე დედამიწისა,
ისემც გეწეოდეთ ამ ადგილის დედის სალოცავი!"

ძნელია, უამრავი გამოხედვა ერთბაშად ეჭვითა და შიშით რომ აივსება და ყველა შენზე რომ გაჩერდება. მათ შორის ხევისბრის მზერაც. განსაკუთრებით ხევისბრის მზერა! მიყურებდნენ. ხმას არ იღებდნენ. ხევისბრის ხელში [illegible] დასამწყალობნებლად დანთებული სანთელის [illegible] და. ბოლოს ისევ ხევისბერმა, ალბათ ადგილის დედის მადლით სძლია ჩემი ეშმაკეული აღმოჩენით მოგვრილი ჯადო და ხმა ამოიღო. ჩემი სანუგეშო არაფერი უთქვამს – „დახელთილა სანყალიო" ჩაიუბნა; იმისმა ღვთიური მადლით სავსე ხმამ გაქვავებული მლოცველები ჯადოსგან მაინც დაიხსნა. შეირხნენ. მზერაში სიცოცხლე ჩაუდგათ. ჩემგან ამ მზერის აძრობა შესძლეს და ერთმანეთს შეხედეს. ზოგმა გაცინებაც მოახერხა... ტყუილს ვერ ვიტყვი – ხევისბერს ჩემი კოცონზე დაწვა არ უბრძანებია, თუმცა დანაც კი არ მოვუკვეთივარ. ოდენ სახელი დაარქვა ჩემს გამოხდომას – სიგიჟე – და ხალხიც დამშვიდდა, სალოცავიც...

11.

ბორბალი რაა? წრეა ერთი წერტილიდან იმავე წერტილამდე. წრე ხილიანადან – კანატიის, თუბინგენის, პარიზის ან პეკინის გავლით – ხილიანამდე. ბორბალი დიდი წრეა: „არაფერი ვიცი"-დან, სწავლის გავლით, „ვიცი რომ არაფერი ვიცი"-მდე. ბორბალი წრეა ასევე არყოფნიდან, ყოფნის გავლით, კვლავ არყოფნამდე; ეს ბორბალი ადამიანს არ შეუქმნია, მან ის უკვე არსებული აღმოაჩინა. მე ის უნდა ხელახლა აღმოვაჩინო, ვიდრე ხელახლა გზას გავუდგები. საკუთარი უვიცობის გარშემო ორი წრე უნდა შევკრა, ორი ბორბალი და... ორი ბორბლიდან ველოსიპედამდე რაღა დარჩა? მერე შემიძლია ამგვარი ტრანსპორტით საკუთარ თავს უამრავჯერ შემოვუარბინო. საკუთარი უვიცობის, საკუთარი სიცარიელის გარშემო უამრავი წრე შევკრა... როგორც კალოზე დაბმულმა ვირმა, მაგრამ ვირმა... ველოსიპედზე!

დავუბრუნდეთ ისევ ღვთიური ფალოსის საკითხს:

გონებისთვის ეს წარმოუდგენელია, მიუწვდომელი!

მაგრამ გული მკარნახობს რომ... მთელი სამყარო ღმერთის ფალოსის გარშემო ბრუნავს. ნურავინ მეტყვის „დაგვიმტკიცე!"-ო. ან „რად უნდა ღმერთს ფალოსი"-ო! ღმერთის ფალოსი განუსაზღვრელია, როგორც თვით ღმერთი – გულით უნდა მივიდეთ მასთან, რადგან გონით ვერვინ მისწვდებით... რა ფორმისაა? რა სიდიდის? მკრეხელური შეკითხვებია!

დანარჩენი ცხოველებისგან ადამიანს იუმორის გრძნობა განასხვავებს. ამიტომ ვფიქრობ, რომ სწორედ ესაა ერთადერთი გზაც ჭეშმარიტების შესაცნობად.

გული მიგრძნობს ასევე, რომ ადამი და ევა ღვთიური ხუმრობაა, რის შემდეგაც უფალმა «იხილა რამეთუ კეთილ» და თავისთავს უთხრა (ეს ბიბლიაში არ წერია): მაგარია, ჩამეთვალაო!

„შეიცან თავი შენი" ნიშნავს შეიცნო ღვთიური იუმორი.

ვიდრე ამას არ ვაღიარებთ, მანამდე თავს ვერ შევიცნობთ და, როგორც ახლა, დავიტანჯებით.

ჯოჯოხეთი იუმორის არარსებობით გამოწვეული ტანჯვაა, არის, ჯერ ამქვეყნად, მერე...

12.

ამ ზღაპრის ბიჭი, როგორც ადამი სამოთხეში, იმთავითვე უკვდავად იყო ღმერთისაგან ჩაფიქრებული. მისი სოფლის სახელში კი (ხილიანა) თავისთავად ხეხილისა და ღვთისგან ბოძებულ

ნადირ-ფრინველის – შინაურის და გარეულის – სიუხვის გარდა, საფიქრალია რომ სამოთხე იგულისხმება

მოკლედ... იყო და არა იყო რა, უკვდავი ვიყავ. ადამისგან განსხვავებით დედაც მყავდა, და-ძმებიც, მეზობლებიც, ორი მოსანი ბებოც და კიდევ რავი, ვინლა არა (ყველა უკვდავი, რაღა თქმა უნდა) და ამგვარად თავს ადამზე უკეთაც ვგრძნობდი. არც ევას საჭიროება (ყოველ შემთხვევაში თავიდან) არ მქონია... მშვენივრად ვიყავი. მაგრამ კაცს ეშმაკი არც სამოთხეში რო არ მოასვენებს... შემომიჩნდა ეჭვის ეშმა, გამახედა ძალიან მწვანე მთების დასასრულისკენ და „ერთ დღეს, ამ მთების იქით, უსასრულო სიცარიელეში რომ გადავარდეო?“ მეუბნება და... მაშინ იყო შეშინებულმა დედას რომ ვკითხე:

– იმ მთების იქით რა არის, დედი?!

13.

კეთილისა და ბოროტის ცნობადის ხიდან ნაყოფი ადამს არ გაუსინჯავს. არც იმის ევას. რომ გაესინჯათ, ავისა და კარგის გარჩევას ჯერ თვითონ ხომ შესძლებდნენ და მერე ჩვენც – შთამომავლები... ჩვენ რა გვეტყობა გონიერების? და აქედან გამომდინარე, არც ღმერთს გამოვუძევებივართ სამოთხიდან. არა. გინახავთ მამა რომ შვილებს სწავლის გამო სჯიდეს და სახლიდან აგდებდეს? პირიქით: „კეთილისა და ბოროტის ცნობადის ხიდან ნაყოფი რაც შეიძლება ბევრი ჭამეთო, ბევრიიი...“ ასე ურჩია მამა უფალმა თავის ბავშვებს. ბავშვებს კი ის არ უნდათ, რასაც უფროსები ურჩევენ... არა ჭამეს. მაინცდამაინც სწორედ იმ ხის ნაყოფს არ გაეკარნენ. ამის გამო უვიცები და მარად ცნობისმოყვარენი დარჩნენ და მერე... ბიბლია ამაში მართალია: შემდგომში ევას ცნობისმოყვარეობამ (ქალები ბუნებით უფრო ცნობისმოყვარეები არიან) სტიმულატორის როლი ითამაშა: "ადამ, არ გაინტერესებს იმ მთების იქით რა არისო?" ჰკითხა. ადამმა მთის წვერებს გახედა და „მართლაც რა საინტერესოაო – თქვა – წამო აბა ვნახოთო“ დედა არც ევასა ჰყავდა, არც ადამს, რომ ღიმილით ეთქვა: „მთების იქითაც ასეთივე მთებია, შვილოო“. რომც ჰყოლოდათ დედა და რომც ეთქვა ეს, მაინც წავიდოდნენ. იტყოდნენ, ყურმოკრულს თვალმოკრული სჯობიაო და წავიდოდნენ. არც იმ ხის ნაყოფის გასინჯვა უნდოდათ, თორემ სამოთხიდან ფეხის მოუცვლელად გაიგებდნენ, რა იყო მარტო იმ ერთი მთის კი არა, ცხრა მთის გადაღმა. მამა უფალიც, დიდი მებაღე, ამბობენ, იმ მომენტში სახლში არ იყოო და... „ნეტავ იმ მთების იქით რა არისო“ დაიძრნენ და გაუდგნენ გზას ადამ და ევა. უმეთვალყურეოდ მიტოვებული ბავშვებივით. იარეს, იარეს... სამოთხეს ისე გასცდნენ, ვერც შეამჩნიეს. როცა მიხვდნენ, რომ მძღნერი ჭამეს, ინანეს: „ვაშლი რომ გვეჭამა არ ჯობდაო?“... გვიანი იყო. დაიკარგნენ. სამოთხის გზას ველარ მიაგნეს...

14.

სამოთხეში მანამ ვცხოვრობთ, ვიდრე ვიკითხავთ:

– იმ მთების იქით რა არის (დედი)?

ეზოში ხილი ბევრი გვქონდა, მსხალიც, ვაშლიც... მაგრამ ის ხე, ბოროტისა და კეთილის ცნობადისა, ჩვენს კლიმატურ პირობებში არა ხარობდა. ან შეიძლება კიდეც ხარობდა, მაგრამ მსგავსი თვისებების ნაყოფს – რომ შეჭამ და დაგეხვნება გონების თვალი – ვერ იძლეოდა. მაგალითად ის, ჩვენი მიწური სახლის წინ რომ უზარმაზარი, მეწლეური ვაშლის ხე იდგა. ნახევრად ველური. ლამაზი. ძალიან ლამაზი. ყველანაირად სამოთხიდან გადმორგულს ჰგავდა. დანარჩენიც ყველაფერი ისე იყო, სამოთხის წესზე – ყოველივე მარადიული და უსასრულო, დროც, სივრცეც, სიხარულიც... ვიდრე ეს კითხვა არ გამიჩნდა და...

თეოლოგები დღესაც ეძებენ პასუხს კითხვაზე – იმ გველს თუ ავსულს სამოთხეში რა უნდოდა, როგორ გაჩნდაო. არის სხვადასხვა მოსაზრებები და ვერსიები, კამათი, გაწევ-გამოწევა და ეშმას ხარხარი.

მეც არ ვიცი ამის პასუხი...

არც ძაან არ მაინტერესებს. თეოლოგებმა იმტვრიონ თავი.

მე ხომ გითხარით, რომ ამ საკითხზე საკუთარი ვერსია მაქვს: არც გველი და არც ბოროტი სამოთხეში არ არსებულა. ლოგიკურად ეს არ გამოდის. ადამ და ევამ თავისი ნებით დაახვიეს და წამოვიდნენ. თავიანთი უვიცობით მიატოვეს უკვდავება და... იმათ შემდგომ მათ შეცდომებს ჩვენ ვიმეორებთ...

ბებოჩემი მენანება, ჩემი მარადიული ბებო; ისეთივე იქნებოდა ბებო დღესაც, საკუთარ სულში რომ ჩამებრუნა მაშინ მზერა და გარეთ, შიშის ეშმას თითისთვის არ მიმეყოლა და მისი კითხვა, „იმ მთების იქით რა არის, თუ იცი“-ო, ერთი ყურიდან შეშვებული, იმწუთასვე რომ გამომეშვა მეორედან. და ამაზე აღარ მეფიქრა. აღარასოდეს...

მენანება მეორე ბებოც – ბებოჩემის და... აღარც ის არის.

დედაჩემი, იმ დროს ახალგაზრდა ქალი, „მთების იქითაც ასეთივე მთებიაო“, რო მითხრა და რო გამიღიმა და რო დაიწყო დაბერება ამ ამბის შემდეგ, დღეს ძლივსღა დადის; ერთიც არ უსაყვედურია, ეგ რა ჰქენი, რა იკითხეო... ნაღვლიანად კი გაიღიმა და...

15.

მეც ზრდა დავიწყე

16.

თუმცა, აი... უდროობიდან დროში გადასვლა უცებ არ ხდება. სულ თავიდან ძლივს ვამჩნევდი... დროს მაშინ ვგრძნობდი, როცა მტკიოდა, როცა მშიოდა, როცა მაკლდა რაღაც, ანდა რო მეშინოდა... ამეებით კი – შიმშილ-სიცივით, რამის არქონით, რამის შიშით იმდროინდელი გარემოება ბავშვებსაც კარგად გვამარაგებდა, გვეხმარებოდა დროის გრძნობაში...

17.

პაპაჩემიდან დავიწყებ, მოდი...

ის რომ მცნობოდა, მასშიც რამე ადამიანურს

უსათუოდ ვიგრძნობდი და დავინახავდი. ისეთი ავი მაინც როგორ იქნებოდა რომ ჩემთვის, მისი შვილიშვილისთვის, ერთხელ თავზე ხელი მაინც არ გადაესვა, ერთი კანფეტი არ ეჩუქა, ან ბოლო-ბოლო ერთი თბილი სიტყვა არ ეთქვა? გულ-გონში ამ კარგს ჩავიტოვებდი და ამ ზღაპარში მის სიცუდეზე არას ვიტყოდი; თავზე ხელის გადასმაზე მოვყვებოდი ცხრა-ათი გვერდის განმავლობაში, დანარჩენზე, ათას გვერდიან მის სიავეზე – გავჩუმდებოდი. მაგრამ პაპას, დედის მამას, ვერ მოვესწარი... ან, უფრო ერთურთს ვერ მოვესწარით. სხვების ნაამბობიდან კი... კაი კაცი არა ყოფილა. არ უნდა ვთქვა?... ჩემთვის ეს ძალიან მტანჯველია: რომელ შვილიშვილს ეიოლება იმის თქმა, რომ პაპამისი ბოროტი იყო? მაგრამ ბებოჩემის, დედაჩემის თუ მეზობლების მოყოლილ ამბებს პაპაჩემის სიავეზე, გულში და ხსოვნაში რომ ჩამრჩა, რა უნდა ვუყო? თან წავიღო საიქიოში და იქ პაპა ივანეს რომ გავიცნობ, იმას ვუთხრა რომ ნამუსი შეგინახე და შენს სიავეზე ჩემს ზღაპარში ერთი სიტყვაც არ დავძრიო?

ბავშვობაში პირველად მისი არსებობა, ან მისი უკვე არ არსებობა ასე გავიგე: ერთხელ ჩემმა დეიდამ და თან დედის კარის მეზობელმა (დედაჩემის მამიდაშვილმა) თეკლემ, მასთან მოსულ, მაგიდასთან მოკალათებულ ასაკოვან სტუმარს, ორი-სამი დღის პირგაუპარსავ ჩია ტანის გამხდარ კაცს, ამ თეკლესაგან მორთმეულ ხაჭო-ერბოს რომ შეექცეოდა, ზედ ხილის არაყს აყოლებდა და უკვე შექეიფიანებული რომ ლაპარაკობდა, საჩხრეკელას ხელი წამოუვლო და დასცხო და დასცხო ლანძღვა-მუქარით. თეკლეს ლანძღვა მთელ სოფელში ცნობილი იყო, მაგრამ ამგვარი საქციელი? სახლში მოსული და მაგიდასთან მჯდომი სტუმრის ასე მოპყრობა?.. ვერ გავიგე და როგორც ყოველთვის, ამგვარ გაურკვეველ სიტუაციაში ვიქცეოდი, ღნავილი მოვრთე... ჩია მოხუცი (ბავშვი ვიყავი და მოხუცად აღვიქვამდი ჭაღარანწვერას, თორემ ალბათ ორმოცდაათი-სამოცი წლის იქნებოდა) ნაბდისქუდზეხელწაფარებული გავარდა გარეთ...

– ჰაი, შე გველო! შე უნამუსო!.. ჩემ სახლში მოსვლა როგორ გაბედე?! – კაკაჩუნას (საჩხრეკელას) ქნევით მიჰყვა ფეხდაფეხ თეკლე. მახსოვს, იმდენს არა სცემდა, რამდენსაც საჩხრეკელას ქნევითა და წყევლით ემუქრებოდა, მაგრამ ან საწყევარს რას ემართლებოდა, ვერა ვხვდებოდი და... ვღნაოდი. უჭკუო ბალღის ღნავილისთვის იმ მძიმე მომენტში ვინ მოიცლიდა. სახლს კოტაზე რომ გააცალა უბედური სტუმარი, დეიდაჩემმა დევნა შეწყვიტა, მაგრამ როგორც თავისი სიფხიზლით კმაყოფილმა ნაგაზმა ყეფა, მთელი სოფლის გასაგონად წყევლა კიდევ დიდხანს, ამის მერეც გააგრძელა, როცა წყევლის და მუქარის ობიექტი აღარა ჩანდა.

ეს მუქარის ობიექტი კი (როგორც გავიგე მოგვიანებით, ძველი ყაჩაღი, რუსის მეფის დროს ცარისტული რეჟიმის მტერი, კომუნისტების დროს – კომუნისტებისა), უკვე ასაკში შესული, უსახლკარო და უპატრონო, აღარავის და ვეღარავის მტერი ვერ იყო: კარდაკარ დადიოდა და ხალხის გულმოწყალებით განაგრძობდა არსებობას. ისე თვრებოდა, აღარ ახსოვდა, სად რას ამბობდა. ასამლისა და ასაკის გამო ძველი სიფრთხილეც, ის ინსტინქტი მოჩლუნგებოდა, რომლის წყალობითაც თავის დროზე ჯერ მეფის ახრანას დაუძვრა, მერე კიდევ კომუნისტებიც გააცურა და... თეკლესთან კი იმ ამბავს მოჰყვა, ერთხელ, ოციოდე წლის ბიჭმა, მდინარის გაღმა მთის ფერდობიდან, როგორ „გამაუწვადა" ბერდენკა მდინარის გამოღმა, ასევე მთის ფერდობზე, თავის ეზოში ბარვით გართულ მეფის პრისტავს, ივანეს და როგორ დაჭრა... მეფის პრისტავი ის პაპაჩემი ყოფილა თურმე.

პირდაღებული უსმენდა თეკლე, მასპინძელი, დეიდაჩემი, მაღალი, შავგვრემანი ქალი, მერე თქვა, ეს ამბავი არ ვიცოდი, თორემ სახლში როგორ შემოვუშვებდიო.

„...ივანე რომ მისი სახლისაკენ დაჭრილი წაფორთხდა, მეორეჯერ სროლა აღარ დამცალდა..." – ჰყვებოდა მთვრალი ნაყაჩაღარი... რასაც ჰყვებოდა, ყველაფერი ზუსტად ახსოვდა. მონადირეთა და მეომართა უმრავლესობას ეს ყაჩაღი თუ ნაყაჩაღარი იმით არ ჰგავდა, რომ არასდროს არაფერს არ აზვიადებდა... მხოლოდ მშრალი ფაქტები და მოვლენები. თან ისე ზუსტად, თითქოს ამ ამბებიდან ორმოცი წლის კი არა, ორმოცი წუთის შემდეგ მას პირდაპირ აქ, თეკლესთან, აღელვებულ-აქოშინებულს და დამთეულს და მოწყურებულს შემოერბინოს... მაგრამ მთვრალს და ასაკმორეულს ის არ ახსოვდა, რომ ეს თეკლე, დეიდაჩემი, ამჟამინდელი მასპინძელი, იმ ივანეს, იმ პაპაჩემის, მეფის პრისტავის დის შვილი იყო... და ყიბლას (მეტსახელად ასე ეძახდნენ), თოფის სროლა იმ პრისტავისთვის მეორეჯერ რომ ველარ მოასწრო, თუ რატომ – ვერა, ამისი თქმა მასპინძელმა აღარ აცალა: კაკაჩუნას ხელი დაუვლო და გამოუნთო...

თეკლეს (ცოცხალი აღარც ისაა, მისი სული აცხონოს ღმერთმა) მისი ამგვარი საქციელისთვის ვინ გაამტყუნებს! მეც რომ ავდგე და ყიბლას სახელი ახლა, ამ კალმით ტალახში ვსვარო და ამნაირად პაპაჩემისთვის შური ვიძიო, გამემტყუნება? თავისიანის, თუნდაც ცუდის გამართლებაზე და დაცვაზე ბუნებრივი და გასაგები არაფერია: ეს თვითდაცვის ინსტინქტია, ყველა ცხოველს, და მათ შორის ცხოველთა-ცხოველს, ადამიანსაც რომ გააჩნია... მე კი მაინც ჩემს პაპაზე და ყიბლაზე როცა გიამბობთ, ისე გიამბობთ, როგორც სხვებმა და სხვებმა მიამბეს; არც ერთსა და არც მეორეს არ ვესვრი მე ტალახის გუნდას, არც ქვას არ დავკრავ, და არც ცეცხლის საჩხრეკელათი დავემუქრები...

იმ ცხონებულ თუ იმ შეჩვენებულ პაპას, ბებო... თუმცა რა ბებო!.. თხუთმეტი წლის ბავშვი, ყოფჩიდან (ცხრა ზღვისა და ცხრა მთის აქეთ ერთი ასეთი სოფელია ფშავში) მოუყვანია. თხუთმეტი წლის ბავშვი, ობოლი. კი ათხოვებდნენ იმ დროს ამ ასაკის გოგოებს, ეს სულ არ მიკვირს... მე ის მაინტერესებს... ჯერ ერთი, ამ ორმოცი წლის პრისტავს ცოლი რატო არა ჰყავდა მანამდე? მეორე, რადა იმ ბავშვს დაადგა თვალი და თანაც ობოლს! სხვა არავინ არ გაჰყვა ცოლად? მერე მესამე, იმ ყოფჩიდან ხილიანამდე, თვითონ ცხენზე ამხედრებულმა, ოცი კილომეტრის მან-

ძილზე, ბავშვი უკან ფეხით რად მიიდევნა? არც ცუდს ვამბობ და არც კარგს პაპაზე, უბრალოდ მაინტერესებს-მეთქი...

ყიბლას, ყაჩაღ-ანარქისტს ამის გამო რომ ესროლა თოფი ივანესათვის, ეს ზღაპარი კი არა, რომანტიულ-პეროიკული რომანი გამოვიდოდა ჩემს უნებურად. თუმცა რის გამოც ესროლა, ესაც არანაკლებ საინტერესოა და გიამბობთ... მოგვიანებით... ეხლა... დღეს სტრასბურგში ისეთი რამე შემემთხვა სამუშაოზე, რომ არ ჩავიწერო აქვე და მერე კი დამავიწყდეს... გული დამწყდება...

დედამ მითხრა:

„სიკეთე ჰქენ და ქვაზე დადეო!". თბილი ნაცრით სავსე გუდა ზურგზე მეკიდა. შორი გზისთვის ვემზადებოდი. ამისი თქმა და შეხსენება რაღად მინდოდა დედაჩემისაგან? სიკეთის ქმნაში არც საქებარი არის რამე, არც საძრახისი! არც იმის ქვაზე დადებაში – სიკეთე თუ ქვაზე არ დასდე, სიკეთე ხომ აღარ იქნება. მეც, ა, შემხედეთ, ფარღალალა საბძელსა ვგავარ – ცხოვრების ქარს ერთი მხრიდან რაც შემოაქვს, მეორე მხრიდან უკლებლივ გააქვს! თვითონ ხავსივით, ფესვებიან-ბუსუსიანა, ქვაზე არ ვდევარ? ხან ვინ ჩამოსდებს თავის საჯდომს ჩემზე და ხან ვინ! ზოგისთვის ეკლად ქცევაც რომ მსურდეს, ვერ მოვახერხებ! „სიკეთე ჰქენ და ქვაზე დადეო!" მითხრა დედამ, ის მითხრა, რაც თვითონ იყო და როგორიც იყო! სხვას რას მეტყოდა!..

18.

საავადმყოფოს ფსიქიატრიულ კლინიკაში თარჯიმნად ვარ დაბარებული. პაციენტი ჯერ არ მოსულა. მოსაცდელში მყოფ სხვა პაციენტებთან საუბრის ხასიათზეც არა ვარ. ვერც იმათ ვატყობ ამის სურვილს – ჩუმად არიან. ყველა თავის მშფოთვარე თუ მწუხარე სულს ჩასჩერებია. სკამზე ვჯდები, თვალს ვხუჭავ და მეც ჩემს სულს ჩავყურებ. მერე ნიცშესას... მაგარია ფ. ნიცშე, გადასწონის მთელ ფსიქიატრიულ საავადმყოფოს...

მერე... ქ. ნაზარეთელი, ფ. ნიცშე და მე, ო. თურმანაული ზღვის პირას მივსეირნობთ და... ესრეთ იტყოდა ნაზარეთელი: ცხვრის მორალი გერჩივნოსო მტაცებლის მორალს. ხოლო ნიცშე ესრეთ იტყოდა: რას ასწავლი კაცო ამ ხალხსო!? მერე... ქ. ნაზარეთელმა გადაავლო თვალი ევროპას, შემდეგ ისევ ფრიდრიხს შეხედა ...მერე ნისლის ფთილად იქცა, პლიაჟზე მწოლი ნუდისტების სხეულებს ნაზად გადაუარა და გაიფანტა.

პაციენტი ჯერ არა ჩანს. ფ. ნიცშე კი... ესრეთ იტყოდა:

„ბუდა მოკვდა და მისი სიკვდილის შემდეგ კვლავ დიდხანს, საუკუნეთა განმავლობაში მიუთითებდენ იმის აჩრდილზე ერთ-ერთ ქვაბულში. ღმერთი მოკვდა და: ადამიანთა ბუნება კი იმგვარადაა მოწყობილი რომ ალბათ კიდევ ათასეული წლების მანძილზე იარსებებს ქვაბულები, სადაც ისინი ისევ მის ლანდზე მიუთითებენ".

ეს შობელძაღლი, აზრს რომ სულ არ იზიარებდე, ლამაზად ამბობს, მოგეწონება და... – ჰაჰ! – ვიცინი... მოპირდაპირე სკამიდან ფრანგი პაციენტი, გამხდარი დიდთვალება გოგო, სევდიანი დაეჭვებით მომჩერებია. რა აშფოთებს? საგიჟეთში არა ვართ აქ, თუ? მაინცდამაინც მასავით მელანქოლიკი გიჟი უნდა იყოს ყველა? ან შიგა აქვს, ან არასოდეს შიგ არა ჰქონია, ეს ვიღაცაა! ჩემი და ნიცშეს სიგიჟეც მყოფნის!

ისევ ფრიდრიხი:

„ყველგან, სადაც კი მორალია, არის ასევე შეფასება და დახარისხება ადამიანური ქმედებების და ინსტინქტებისა. ეს შეფასება-დახარისხება კი ყოველთვის საზოგადოებისა და ჯოგის აზრია: რაც პირველ – გინდაც მეორე და მესამე – რიგში სასარგებლოა ჯოგისათვის, იმითი ზომავს ინდივიდის ღირებულებას. ამ მორალის საშუალებით ყველა ინდივიდს ასწავლიან რომ ჯოგის ფუნქცია იყოს და თავისთავს მხოლოდ და მხოლოდ ამ ფუნქციასთან მიმართებაში მიანიჭოს ღირებულება. ხოლო რაკილა პირობები ერთი საზოგადოების გადასარჩენად, მეორე საზოგადოების შენარჩუნების პირობებისგან განსხვავდებოდა, განსხვავებული მორალიც სწორედ აქედან იშვა; ამ ჯოგების, ამ ჯგუფების, ამ სახელმწიფოებისა და ამ საზოგადოებების იმ მნიშვნელოვანი გარდაქმნების მიხედვით კი, რომელთაც დღესდღეობით ვუმზერთ, ან რომლებიც შეგვიძლია მომავალში წარმოვიდგინოთ, შესაძლოა იმის განჭვრეტაც, რომ მომავალშიც უამრავი განსხვავებული მორალი იარსებებს. მორალურობა არის ჯოგური ინსტინქტი ინდივიდში."

კარგი რა, ფრიდრიხ! მა როგორ გინდა, შე ჩემა? შენამდე მაგას ჰუმიც მიხვდა, მარა აი ასე, შენნაირად ყველასთვის თავზე არ დაუჯვია! არა, ისე ეს მაგარი თქვი: მორალურობა არის ჯოგური ინსტინქტი ინდივიდში. – ჰა, ჰა, ჰა, ჰა! და რატო მაინცდამაინც ჯოგური, შე ჩათლახო! საზოგადოებრივი, ან სახელმწიფოებრივი ინსტინქტი მაინც გეთქვა! აზრი ხომ იგივე დარჩებოდა... მაინცდამაინც ჯოგური? რომ მორალი მიწასთან უკეთ გაგესწორებინა, არა? ჰა, ჰა, ჰა, ჰა!...

საინტერესოა, რომ ვაჟა-ფშაველას რამოდენიმე პოემაც სწორედ ამ თემას, საზოგადოებისა და პიროვნების კონფლიქტს უტრიალებს და... რატომ არ უყვარდა ვაჟას ფრიდრიხი?..

„ჩემი პაციენტი" მოდის. ექიმის კაბინეტში შევდივართ

– Coment ça va, Madame Menabdé ? – ექიმი ეკითხება.

თარგმნა არ მჭირდება. მადამ მენაბდე ერთი წელია აქ არის და მარტივ კითხვაზე მარტივი პასუხის გაცემა შეუძლია:

– Ça va... – მე მხოლოდ მზერა გადამაქვს ჯერ ექიმიდან ქალბატონ მენაბდეზე, მერე ისევ ექიმზე და იმის მომდევნო შეკითხვას, გასაგებად ალბათ უფრო რთულს, ველოდები. თარგმნის დროს დაძაბული ვარ, უფრო სწორად, მობილიზებული.

– მიამბეთ ერთი, როგორ გაიარა ამ ორმა კვირამ, იმის შემდეგ, ბოლოს რომ შევხვდით? – ექიმი ეკითხება.

მე ვთარგმნი.

– ბევრი რამის თქმა მინდა ხოლმე, ექიმო... სანამ აქ მოვალ, ვფიქრობ ხოლმე, ესა და ეს უნდა ვუთხრა ექიმს... აქ რომ მოვდივარ... მავიწყდება... ყველაფერი მავიწყდება ამ ბოლო

დროს... ჰო... ამაზე გამახსენდა... მეშინია, საერთოდ არ დავკარგო მეხსიერება... სკლეროზი არ დამემართოს საერთოდ... ჩემს თავს არ ვჩივი... ჩემ დისშვილს ვინ მიხედავს... მინდოდა მეთხოვა, თუ რამე წამალი არსებობს... – ქალბატონ ნანას ხელით ვანიშნებ, რომ მაცალოს თარგმნა. მაცლის, მერე აგრძელებს – ...თუ რაიმე საშუალება არსებობს, ექიმო, მეხსიერების გასაუმჯობესებლად, იქნებ გამომიწეროთ... ჩემ დისშვილს ვინ მიხედავს, საერთოდ რომ გონი დავკარგო...

ვთარგმნი.

– მადამ მენაბდე... ამასწინათაც გითხარით, ეს სკლეროზი არაა... თქვენი მეხსიერების პრობლემა სტრესიდან გამომდინარეა... ამას წამალი არ სჭირდება... სიმშვიდე, დასვენება უნდა... რა წამლებსაც ღებულობთ, ეს ძილის მოწესრიგებაში გეხმარებათ... ხომ რეგულარულად იღებთ წამლებს?

ვთარგმნი.

– კი.

ვთარგმნი.

– გარდა ამისა, მე დამაწყნარებელიც გამოგიწერეთ, ანტიდეპრესორი... ღებულობთ?

ვთარგმნი.

– კი.

ვთარგმნი.

– ანტიდეპრესორი გვიანმოქმედი წამალია... ერთი, ხან ორი კვირაც სჭირდება, ვიდრე საჭირო ეფექტს აჩვენებს... ამის შემდეგ უნდა იმედი ვიქონიოთ, რომ მეხსიერების პრობლემაც თანდათან მოგვარდება...

ვთარგმნი.

ნანა მენაბდე თავს იქნევს. ექიმი კი განაგრძობს და მეც ისევ სიტყვასიტყვით ვადევნებ თარგმანს:

– სწორედ ამასთან დაკავშირებით მინდოდა მეკითხა: როგორაა თქვენი დისშვილი? საბუთების საქმე თუ მოაგვარეთ?

კითხვას ვთარგმნი და შემდეგ ქალბატონი მენაბდის ტირილით ნათქვამ პასუხსაც:

– ვაიმე... აღარ შემიძლიაააა... – ცრემლებს ერთჯერადი ცხვირსახოცით იმშრალებს – ასე მგონია, რომ გავგიჟდები, ექიმო...

ვთარგმნი, ოღონდ მე არ ვტირივარ...

ნანა მენაბდის დისშვილი, ერეკლე, მეც კარგად ვიცი, როგორაა: ოცდახუთი წლის ქერა, მაღალი, ლამაზი ახალგაზრდა. დეიდამისზე ერთი წლით ადრე ჩამოვიდა სტრასბურგში რაღაც ნარკოტიკით დადამბლავებული. ყოფილი სპორტსმენი, მოკრივე. ვეღარ ლაპარაკობდა და თავისი ისტორია, სავარაუდოდ შეთხზული (დაატყვევეს ოსებმა და რაღაც მანამდე უცნობი ნარკოტიკი გაუკეთეს ძალით, რის შემდეგაც რამდენიმე დღე კომაში იყო), კალმისა და ფურცლის საშუალებით მოუყვა დევნილთა სტატუსის მიმნიჭებელ კომისიას. გაჭირვებით. არ დაუჯერეს. ოსების ამბავი არც მე მჯერა, მაგრამ კომაში რომ ნამდვილად იყო ამ ნარკოტიკის შემდეგ, ეჭვი არ მეპარება. იმ იმედით ჩამოვიდა, რომ საფრანგეთში რაიმე საშუალებას ნახავდნენ მისი გადამწვარი ტვინის ფუნქციების აღსადგენად. მაგრამ ამაზე პოლიტიკური დევნილის სტატუსს არავის ანიჭებენ. ვერც ტვინის დაკარგული ფუნქციების აღდგენა შეძლო აქაურმა მედიცინამ. პირიქით, მისი მდგომარეობა უფრო გაუარესდა: სიარულიც უჭირს უკვე – მარცხენა ფეხს ითრევს და როგორც დეიდამისი ამბობს, ხშირად ეცემა... პოლიტიკური დევნილის სტატუსი ხომ არ მისცეს და გუშინწინ ჰუმანიტარული სტატუსზეც უარი უთხრეს... ახლა მთელი იმედი მისი დეიდაზეა, რომელმაც ახლახან მოითხოვა იგივე პოლიტიკური დევნილის სტატუსი. მისი ბედი კომისიას ჯერ არ გადაუწყვეტია... საქმეში, თუ აქედან რაიმე გამოვიდეს... აი, ამ ყველაფერს უყვება ქალბატონი ნანა მენაბდე ფსიქიატრს და... მე ვთარგმნი.

ფსიქიატრი ცდილობს, დაარწმუნოს მადამ მენაბდე, რომ თუ იგი ერთგვარ დისტანციას დაიკავებს დისშვილთან მიმართებაში, უკეთესი იქნება მისთვისაც, მისი დისშვილისთვისაც. დარწმუნება კი არ ხერხდება:

– ექიმო, ჩემი სიცოცხლის ერთადერთი აზრი მხოლოდ ესაა... დედამიწას გადავატრიალებ და თუ რამე საშუალება არის, ეუშველი...

მე ვთარგმნი.

ფსიქიატრი რჩევებს აძლევს მადამ მენაბდეს. თარჯიმნობის ფურცელზე ხელს მიწერს. გამოვდივართ. „მე აქ დავიცდი, – მეუბნება ნანა, – ერეკლე აქ უნდა მოსულიყო და აგვიანებს. შემდეგი შეხვედრა იმავე საავადმყოფოში, უროლოგიის განყოფილებაში და რუსულენოვან პაციენტთან მაქვს ნახევარი საათის შემდეგ. ვემშვიდობები ნანა მენაბდეს. ამ დროს მისი ტელეფონი რეკავს. იღებს, უსმენს და გაოცებული მე მომჩერებია, არაფერი ესმის: ვიღაც ფრანგულად ელაპარაკება. ტელეფონს მიწვდის. როგორც ტელეფონში მოსაუბრე მამაკაცის ხმამ მითხრა, ერეკლე სადღაც აქვე ახლოს ქუჩაში დაცემულა. პირველი დახმარების მანქანიდან რეკავენ. ამ შემთხვევაში თარჯიმნის ეტიკეტი დავარღვიე და ქალბატონ ნანას უფრო შერბილებით მოვუყევი ისტორია. ნანას მაინც გული მისდის და მეჭიდება. სკამზე ვსვამ. მოსულიერების შემდეგ ხელკავით მივაცილებ ტელეფონზე მითითებული ადგილისკენ. სამსახურში ვრეკავ, რომ მომავალ შეხვედრაზე თხუთმეტი წუთით დამაგვიანდება...

პირველი დახმარების მანქანა ისევ ადგილზე დგას. ერეკლე მანქანაში ჰყავთ გაშოტილი და ცხვირ-პირზე ჟანგბადის ნიღაბი ადევს. ნანას ისევ გული მიდის. ხელის შეშველებას ვასწრებ, რომ ასფალტზე არ დაეხეთქოს... პირველი დახმარების პერსონალი ახლა უკვე მისკენ მორბის...

იმას ვამბობდი, დედამ რომ მითხრა, სიკეთე ჰქმენ, ქვაზე დადეო... რა ვქნა, რა ვუყო... რით ვუშველო გინდა ნანას, გინდა მის დისშვილს, ჩემი შვილის ტოლ ერეკლეს?..

სად ერეკლე და სად... ფრიდრიხ ნიცშე? სად ქრისტე და სად პაპაჩემი? სად ქალბატონი მენაბდე და სად ღვთიშობელი? სად ჩემი ფშავში გატარებული ბავშვობა და სად ეს სტრასბურგი? მაგრამ მაინც დავუბრუნდეთ ისევ ბავშვობას...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 3 პოეზია

დიმიტრი წიკლაური

## ყვავები, ჯამბაზები, მეთევზე და ანასტასია

### 1. ქალაქის თავზე მფრენი ყვავები

*

ქალაქ როშრახში თუ ყოფილხართ?
ყვავების მდორე სამშობლოში უგრძესი სასაფლაოებით,
რომლის გასწვრივაც ჩანს ნანგრევები, ბაზილიკა და მწირი სენაკი,
ხოლო შორს, ზღვისა და მდინარის უვრცელეს სანაპიროზე,
თითქოს ჯოჯოხეთიდან სამოთხის ხედი იშლებოდეს,
პალმებია განლაგებული
და უდარდელ მდიდართა დიდებული აგარაკები,
შურიანთა ბოლშის საბაბი,
ფული სიმხნევეს რომ ჰგვრით და ყაშყაში სევდას,
ფერდობზე სკებიც ბლომად უდგათ და ყურს უგდებენ
ზანზალაკთა წკარუნა ბგერებს,
ფუტკრების ზუზუნს და ფოთლების სევდიან შრიალს.
შორს ოქროს ქვირფასი მტვერივით ელვარებს ქვიშა,
ხოლო მაღალ ამნეთა ჩრდილში,
ცაცხვები მომცრო კაქტუსებს ჰგვანან,
გზები წვრილ ძაფებს, გამვლელები მიდი-მოდიან,
ზოგ სულსწრაფად, ზოგ ქვასავით დამძიმებული,
ზედ დაჰყურებენ მოკუზული და მოკაზმული ლამპიონები,
ფარნები მათი თვალებია, გზებს გასცქერიან
მხნედწასულთა და თავჩაქინდრულ-მობრუნებულთა
და ყოვლის თანმდევი ჩრდილებიც რუხია და შთამბეჭდავი,
მკაცრ სამოსელში გამოწყობილ პროცესიას ჩაევლოს თითქოს...

*

როშრახის ტყის ლეგენდა თუ გაგიგონიათ?
მხეცებისგან მიტოვებულს
განდეგილი მელა რომ სტუმრობს.
ვერავინ ნახა თავის ძველი მეგობრებიდან,
უცხო იერი დასდებოდა არემარესაც(
სხვა რა გზა ჰქონდა, ყვავს მიადგა, მისთვის საძულველს,
თავის მჭახე და ავბედითი ყრანტალის გამო.
კი, მართალია, ჩხავის და მოთქვამს,
მაგრამ ზეციდან დანახულიც ბევრი რამ აქვსო.
ყვავი უმალვე განეშორა მის გამოჩენას,
თავის ენაზე წყევლა-კრულვა ყაშყაშით მორთო.
მელამ დაასკვნა, რომ ამ ტყეშიც შეიძლებოდა,
განდეგილობის გაგრძელება უტყვ გარემოში,
სადაც როშრახის ყვავთა ჰიმნს თუ გაიგონებდა,
ჩვეულ ტემბრით რომ ასრულებდნენ მის ორ ვარიანტს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

*

(როშრახის ყვავთა ჰიმნის 1-ლი ტექსტი)
— აქეთ ნუ ეძებთ ფრთოსან ქარავანს
და ანგელოზებს ნუ შეგვადარებთ!
ანგელოზები სულაც არა ვართ!
შავ ნილბებსა და ფრაკებს ვატარებთ!
დინჯად დავჩხავით პარტახ ლარტაფებს,
თითქოს აღვწერდეთ მის სილატაკეს.
სიშიშვლე გახლავთ ყოფნის სათავე.
ჰოდა, მობაძეთ ჩვენს სისადავეს.
ჩვენ არ გვჩვევია სიმდიდრის ძებნა,
მარაგის შოვნა და გადაზიდვა.
ბრაზით ვართ სავსე, ვყაშყაშებთ ერთხმად,
სხვებს კი ჰგონიათ, მოვთქვამთ ყასიდად...

*

(როშრახის ყვავთა ჰიმნის მე-2 ტექსტი)
ბუს ბრძენს უწოდებთ, ხოლო ჩვენ კი ბოროტად გვსახავთ,
ძველი კლიშეა, რას იტყვით ახალს?
ჩვენს თავზე დიდი წარმოდგენა რომ არ გაგვაჩნდეს,
ასე თავმდაბლად ვცხოვრობთ სამას წელს.
ვეჭვობ, ყრანტალით ჩავდიოდეთ საქმეს ამაზრზენს.
ხმის სიმჟახე თუ განგვისაზღვრა ჩვენივ ბუნებამ,
რატომ განიცდით? რა მიზეზით ამბობთ ამაზე,
დავითარსეთო, თუმც განაგრძობთ თქვენს გზას უვნებლად.
მიწის ნაწილი ჩვენც გვეკუთვნის, ჩვენც გვაქვს სავალი!
ყაშყაშს გვიკრძალავთ? გაგვითხარეთ ბარემ სამარეც!
ფრთები გვასხია, ცის მოხილვა ჩვენც დაგვევალა!
ავედევნებით უცხო-ფრთოსნებს, მსწრაფლს და ფრთამაღლებს...

*

მიწა უხეში მასალაა, ქვისებრ მყიფეა,
ცა კი ფაქიზი ქსოვილია და სიფრიფანა,
დავესესხები აზრს როშრახის ხუცეს თადეოზს:
— უნდა ისწავლო მორჩილება და წვრთნა ითმინო,
გაჩენის დღიდან საბრძოლველად მოემზადეო,
ფრთები აქ უნდა გამოისხა, იქ რომ იფრინო
და თუ არ გლანძღეს, ესე იგი, არც მოღვაწეობ!

*

— სულ სხვებს უპყრიათ მართვის სადავე,
ალარაფერი დაგვრჩენია ბედთან სადავო! —
ასე შესჩივლა საფეიქროს სახურავთან მფრენმა ყვავმა
გასწვრივ მსხდარ ყვავებს,
მიტოვებული საფეიქროს საქაღალდეში,
გადადღაბნილი მელანი შიგნით ატანდა,
ფეიქრის ფიქრებს ხატოვნად გამოხატავდა,
თუმცალა ფუჭად, ერთ სიტყვასაც ვერ გაარჩევდი...

## 2. მეთევზე

*

იცნობთ მეთევზეს, უბრს და ბრაზიანს,
ცოლად რომ უზის ანასტასია?
თუმც სამწუხაროდ ასე ჰგონია —
სჯობს, თევზს მიეცეს სავაჭრო დახლი!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მისგან ვისწავლოთ ეკონომია!
რადგან თავადაც საქმელიც გახლავთ
და დასალევსაც მისი ფასი აქვს.

*

ის უბრალო მეთევზეა და არცა აქვს პრეტენზია,
ეს კი გახლავთ ჟურნალისტი, დღე და ღამე ეთერშია,
თუმც არასდროს გააკეთებს გადაცემას მეთევზეზე
მდინარესთან ანკესგაწვდილ – ქარში, მზეში, მუდამ ზეზე...
გააკეთებს რეპორტაჟებს მანჰეტენზე, ვესტსაიდზე...
მეთევზეზე? მხოლოდ მაშინ, თუკი ოქროს თევზს დაიჭერს!

*

ერთი შეხედვით სიმართლის თხრობა ყვავილთა კრეფას ჰგავს,
მაგრამ სინამდვილეში ჭინჭრებში გადახვეწას გულისხმობს
და ნაწნალს ჭანჭრობთა სანაპიროზე, სადაც წვრილ თევზებს
ცივად აჟრჟოლებთ თოლიების ამოოხვრისას,
ხოლო ფერმკრთალ მეთევზეს, სველსა და გამხდარს,
მოზღვავებული ზღვისა და ადიდებული მდინარის შესართავთან
დინებაში წელამდე მდგარს, თითქოს საკუთარ ძვლებს რეცხავსო
საპნისმაგვარ ჟავლების ქაფში,
ქაშაყის მძაფრი სურნელება მეტად აღაგზნებს
და ხელში ანკესჩაბღუჯული წყლის სიღრმეში შეღწევას ცდილობს,
თუმცაღა არ ძალუძს მორევის მორევა
და დროდადრო გახედავს ხოლმე
დაბებკილ შესამოსელს, ნაპირზე მიმოფანტულს...

*

ქოხი, სადაც ანასტასია ცხოვრობდა,
ულამაზესი ბაღჩის შუაგულში იდგა,
რომელსაც ათასობით ფრთოსანი სტუმრობდა
და ანასტასიას ყოველ დილით საუცხოო ჭიკჭიკი აღვიძებდა,
სანამ ერთხელაც მეთევზე არ დაადგა როხროხა ხმით,
კარდაკარ რომ დადიოდა და თევზსა ჰყიდდა.
გოგონა გულში ჩავარდნოდა, ვით კლდის ნაპრალში,
ოდები უძლევნა და როშრახში გაიტაცა,
სასაფლაოების შორიახლო მდებარე კერიაში,
ზღურბლთან კატები რომ კნაოდნენ და კუდები აეპრიხათ,
ხოლო ნანგრევები და ნასახლარები
უსიყვარულობით განგმირულ გულებს ჰგავდა.
ნუგეშად მხოლოდ ბაზილიკა იდგა, რომლის მწირ სენაკშიც
მოძღვარი ცხოვრობდა, ბერი თადეოზი, თითქოს იმისთვის,
ანასტასიას გარემომცველი სიმკაცრე ნაკლებად რომ განეცადა,
და მის მწუხარე და უთქმელ სულს
საღვთო საუბრებში ეპოვა ნუგეში.
აქ მცხოვრებლებმა ლექსიც კი შეუთხზეს –
როცა მეთევზეს არა აქვს მოცლა,
ანასტასია კითხულობს ლოცვანს.
როცა მეთევზე ჭამა-სმაშია,
ნირვას ესწრება ანასტასია...

*

განა ყოველთვის უმართლებდა მეთევზეს?
იმ დღესაც ხელცარიელი ბრუნდებოდა ორიოდ თევზით,
კანტორის ღობის ლიობთან გაკრული აფიშა რომ შენიშნა –

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„დღეს, ორ ოქტომბერს, ღამის ათ საათზე,
რომშრახის მთავარ მოედანზე
ცნობილი ჯამბაზები ღია ცის ქვეშ სპექტაკლს დადგამენ
და სეანსი შუაღამემდე გასტანს."
მეთევზემ მყისვე იქით გასწია,
სადაც იდგმებოდა ცრემლნარევი კომედიები,
ძვირფას ხარახროებად ჩანდა კომოდები.
ხოლო ფერუმარილით გადაღლაბნილ მოლარეს,
თავი ულამაზესად რომ მიაჩნდა,
ისეთი გესლიანი ლაპარაკი სცოდნია,
დილაობით კბილებს შხამით თუ იხეხავდა,
არაფრისმთქმელი თვალები
გამოყრუებული ქოხის დარაბებს მიუგავდა.
მეთევზემ მომნუსხველი მზერა ტყორცნა,
თითქოს დარაბებზე ბრახუნი აეტეხოს.
მონეტების ნაცვლად თევზები გაუწოდა
და ხმა რომ ჩაეკმინდა,
ეშვებივით მოელვარე კბილებში რიხით გამოცრა:
– ორი ბილეთი!

*

ქარის ქროლვისას მოგრძო ვაშლებს,
ძირს რომ ცვიოდნენ და იბეჟებოდნენ,
ტოტზე მოწყვეტა ერჩივნათ...
მეთევზე დასწვდა, სახლის ზღურბლთან ცოლს გაუწოდა
და საალერსო სიტყვით მიმართა:
– სალამი, დუმფარავ, უზომოდ მიყვარხარ!
ვინც შენ აგატირებს, რომ შეეძლოს, ანგელოზსაც აატირებდა!
მე სევდისთვის გავჩნდი, შენ მხიარულებისთვის!
სევდისთვის შობილი არ უნდა მხიარულობდეს!
მხიარულებისთვის შობილი არ უნდა მწუხარებდეს!
აქამდე მოსვლა იმ მიზეზით დავაგვიანე,
ყვავები შენზე მიამბობდნენ ჩვეულ ყაშყაშით,
შენს სილამაზეს მიქებდნენ და რჩევას მაძლევდნენ,
რომ დღეს დიდებულ კონცერტზე დამეპატიჟე!
თქვა მეთევზემ და ბილეთებიააფრიალა.
ანასტასია სევდიანად გაეპასუხა:
– მე ვნერვიულობ ყოველ შენს დაგვიანებაზე,
და შენ ეს თითქოს არც გაღელვებს,
კონცერტს კი მიჯობს, ღამისთევის წირვას დავესწრო!
შემდეგ განაგრძო:
– გთხოვ, ნუ შემებრძოლები, ძლივს ვაგვარებ პრობლემებს,
რა დააცხრობს ეშმაკებს, ფეხდაფეხ რომ მოგვდევენ.
აღარც ძალ-ღონე შემწევს, იმათ რომ გავუმკლავდე,
დღევანდელი კოცონი ემსგავსება წუხანდელს.
ისინი არ გვტოვებენ, გეშით გრძნობენ ნაკვალევს,
ოჯახი რომ დალუპონ, გზებსაც გაიგრძელებენ.
გვიწოდებენ მშვენიერს, ფაქიზსა და საყვარელს
ამ სიტყვებით გვთაფლავენ ფლიდი გაიძვერები!

*

ვინ ყოფილან ეს მორწმუნეები?!
რა აძლებინებს უმწეო ცეცხლს გამთოშავ თოვლში?
ცუდ ხასიათზე დადგა მეთევზე,
ანასტასიას ზურგი აქცია

ეროვნული ბიბლიოთეკა

და გზას გაუყვა მარტო მდუმარედ.
როცა მოედანს მიუახლოვდა,
ერთი ბილეთი ვიღაც ქუჩის მეძავს გადასცა,
მშვენიერ ლუდზეც დაპატიჟა
და ღლაბუცში გაატარა მთელი ის ღამე სცენის სიახლოვეს,
ხოლო ჯამბაზთა სიტყვებზე, ფრაგმენტ-ფრაგმენტ რომ ჩაესმოდა,
აღტაცებას ხმამაღალი შეძახილებით გამოხატავდა...

**3. ჯამბაზები**

(სცენაზე ორი ჯამბაზი დგას, ერთი ნაწერებს ჩაჰკირკიტებს)

1 ჯამბაზი
ამას არავინ არ წაიკითხავს!
2 ჯამბაზი
არ წაიკითხავს? ნუ წაიკითხავს!
1 ჯამბაზი
ამას არავინ არ დაგვიბეჭდავს!
2 ჯამბაზი
არ დაგვიბეჭდავს? ნუ დაგვიბეჭდავს!
1 ჯამბაზი
ამას სცენაზე არავინ დადგამს!
2 ჯამბაზი
არავინ დადგამს? ნურავინ დადგამს!
1 ჯამბაზი
საყურებლადაც არავინ მოვა!
2 ჯამბაზი (ხალხზე მიუთითებს)
აბა, ესენი ვინღა არიან?
1 ჯამბაზი (მხრებს იჩეჩავს)
ძველს რომ ვიგონებ, სავსე ვარ სევდით.
მოგონებებმა ასე იციან.
სჯობს, ნაწერები გადავდოთ გვერდით
და ის გიამბოთ, რაც განგვიცდია!
მამლის ყივილი ხომ საიმედო
ათვლაა დროის მრავალნაცადი,
ჩასჭიდებია ქოხმახი ფერდობს
ნაქცევის პირას მყოფი ფასადით.
გაუწოდებენ მღებავს კიბეებს,
ფუნჯს, მხატვარივით რომ შეიფერებს,
ჩაუკერებენ შარვლის ჯიბეებს,
ეს ჩვევადა აქვთ მეჯინიბეებს.
კაპიკიც რომ არ გასცენ, ზოგადად,
ეტანებიან სხვის სანოვაგეს,
გარეთ ჭამენ და სახლში ზოგავენ.
ჰოდა, ეშმაკიც მანდ წამოაგებს!
2 ჯამბაზი
უპირატესად არემარე ჩიტისთვისაა,
ათას ტოტზე და კენწეროზე კორტნის მისამართს.
– ჭიკჭიკი გვესმის, თუმც ვერ გხედავთ, სად ხართ, ჩიტებო?
– გალობით შევთხოვთ უზენაესს, დღე გაგვითენოს!
1 ჯამბაზი
აგერ ის ფარშევანგი, თეატრის მარჩენალი,
გამოსცემს სილამაზის შეგრძნების ადრენალინს.
თეატრის დირექტორი, რომ ჰქვია გარსევანი,
ბურტყუნებს და სჩვევია საქმეთა გარჩევანი.
ირგვლივ ისმის ზუზუნი, ვით ბუზების ბუზღუნი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უსაზღვროდ ქანცგამწყვეტი, აბეზარი, უძლური
და დილამდე გრძელდება რძის ხვრეპა და ჩაის სმა
ორცხობილას ხრაშუნი და ჩაკბეჩა ბოლოკის,
გარსევანის სიტყვები ბრძანებებად გაისმის,
როგორც ბოროტის ხმა და მონღოლის მონოლოგი...
2 ჯამბაზი (ხალხს მიუბრუნდება)
აბა, რა გითხრათ? ყურადღებით თუკი გვისმენდით,
ჩვენს სიტყვებს უნდა მოჰყოლოდა აპლოდისმენტი...

*

სცენა უცებ გაჭექა გრძელმა ოვაციებმა,
– ბრავო! ბრავოს! – შეძახილს ტყვიის ჯერიც მიება,
ჯამბაზების უფროსო, სად შეგყრია ციება?
ღია ცის ქვეშ ვთამაშობ, ჰოდა, რა ვიცი, აბა!
1 ჯამბაზი
მესამე ჯამბაზი სად არის,
ქვეყნად რომ არ ჰყავს ბადალი?
2 ჯამბაზი
დღეს სტუმრადაა ჩვენი ძმობილი,
ყოველივეს რომ ჩარხავს ნისიად.
უხვად აქვს ზეთი და კარტოფილი,
ახლაც ქორწილის სამზადისშია
და არ აშფოთებს დიდად სოფელი.
მას არც მომავლის მწველი შიში აქვს,
არ შეეძცევა საჭმელს მომჭირნედ,
ყოველი მისი საბრძანისია.
ხვალ სად იქნება? თავის ქორწილში!
დღეს სად ბრძანდება? სხვის ქორწილშია!
1 ჯამბაზი (აქეთ-იქით იყურება)
შიშით შევყურებ კასრებს, დაგორდება და გამსრესს
და დანარჩენი კასრები გადამივლიან გასრესილს!
გაჩენის დღიდან სიკვდილი მეძებს,
მაგრამ ადვილად ვერა მპოულობს,
ადრე თუ მოვა, ბუზღუნს მოვრთავ: – ჯერ ხომ ადრეა!
გვიან თუ მოვა, ესეც ჩემი შეღავათია!
2 ჯამბაზი (მასზე უთითებს)
რა უხვადაა სცენაზე ჩითი და ბამბაზია,
სიკვდილის შიშს რომ განიცდის, პირველი ჯამბაზია.
იზეპირებენ ციტატებს, ყველა ერთამბავშია,
ვაითუ შეგვეშალოსო, ზოგიერთს განგაში აქვს,
ნიჭის ცეცხლი რომ დავანთოთ, არ ვსაჭიროებთ საბაბს,
არად დაგიდევთ თხელ ქეჩებს, თბილ ფანელსა და ბამბას,
ამდენი ჭრელაჭრულებიც ალარ შეგვშვენის ჯამბაზთ,
სულ სხვანაირი დრო დადგა, ჯამბაზი ჯამბაზს არ ჰგავს!
1 ჯამბაზი (ზემოთ აიხედავს)
ანეწილი ცაც ისე გამოიყურება,
თითქოს ღრუბლები გოლიათებს გადაეჯეგოს,
ხმაურიც მიწყდა და ფოთლებიც აღარ იძვრიან.
2 ჯამბაზი (ხალხს აკვირდება)
ნეტავ ჩვენს ზეიმს ვინ არ ესწრება?
1 ჯამბაზი
მხოლოდ ის, ვინც ბოლთასა სცემს გაღმა ნაპირზე,
ისევ ფონს ეძებს მოყვარული
მდინარის მშრალად გადალახვის!
2 ჯამბაზი (ოხრავს)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეჰ, რაც ღვინოს ვსვამ, თავს შეუძლოდ ვგრძნობ,
გახსოვს, ლექსი რომ მომიძღვენი? –
სახლამდეც ველარ ითმენ ესოდენ სულწასული,
მშვენიერ, წითელ ღვინოს გზაშივე ყლურწავ სურით!
1 ჯამბაზი
ეს თუ გახსოვს?
ყანწი აგიტაცია მარტორქების მეტოქევ
და სწევ აგიტაციას, როგორც ბრძენი ეზოპე.
არად აგდებ ავყიას, აქ რომ ცხოვრობს, მეზობლად,
შენს ფურხთით რომ აგდია, სმის დროს ღრმად რომ შეტოპა...
ახლაც მოგიძღვნი: – მეფესავით ვარ,
როდესაც ვაგნებ მოხდენილ რითმას!
შენ კი, ძმობილო, რაც ხარ, ღვინით ხარ!.
და წვეთსაც რომ არ სვამდი სავსებით
და მალალ ყანწებს რომ არ ავსებდი,
ერთი მითხარი, მაშინ ვინ იყავ?
2 ჯამბაზი
მაშინ ვიყავი მოგზაური!
მღვრიე ნაკადებს მივტოპავდი ძველი კალოშით,
თითქოს გასასვლელს გავაგნებდი სხვა სამყაროში!
1 ჯამბაზი (მდინარისკენ იყურება)
ნიჩბები ზემოთ აიშვირეს ცივმა ნავებმა,
ამ დროს სჩვევიათ წყლის ნაკადებს დაცოტავება.
2 ჯამბაზი
რა ნიჭიერი ჯამბაზი ხარ!
ერთ ბერს უთქვამს, ჯამბაზები ცხონდებიანო!
ბედნიერია, ვინც ჯამბაზად-იშვა საშოდან
და წუთისოფელს ასე გაშორდა!
1 ჯამბაზი (მოგონებებს განაგრძობს)
ცეცხლფარეშებთან მენახშირედ გამამწესეს ჯამბაზობამდე,
რასაც ოდესღაც განვიცდიდი, სასჯელად მექცა,
რადგანაც ზრუნვა ქვეყნად მხოლოდ ნარჩენებს ტოვებს.
საღამოობით პეშვს ვიწვდიდი ვარსკვლავებისკენ
და გამავებულ ხელებს ვუმზერდი.
მუდამ ნახშირი დამქონდა,
ქვარტლიც ამაზე მეტყველებდა და
წარბშეკრული, მდუმარე მიწაც,
სადაც მოკირწყლულ ქვაფენილს ვაპირკეთებდით
და გაკაფულ ულრანებს სკვერებად ვაქცევდით...
როგორმე უნდა დავივიწყოთ ჩვენი წარსული
და არქივის დოკუმენტებიც გავანადგუროთ,
ჩვენ ამაზე ადრეც ვიმსჯელეთ!
2 ჯამბაზი
უკვე ვიზრუნე, წინამძღოლო!
მე ვიცნობ ერთ კაცს, გავლენიანს,
ჯიუტი აღმოსავლელია!
საქმეს მარტო აგვარებს, არავინ ჰყავს მხლებელი,
და გახლავთ ზედმიწევნით კარგი შემსრულებელი!
მე მას დილითვე მოვურიგდი, როცა ინათა.
ძალზე ძუნწია, გამომართვა ფული წინასწარ!
ვაშლების ბაღში რომ სთხოვო ვაშლი,
დავთარში ჩაწერს, ჩაგითვლის ვალში.
თანაც სულელს უგავს სახე,
მაგრამ ვერ უწოდებ სულელს.
ღვინის ტავერნაში ვნახე

და თანხმობა გამოვტყუე!
არაჯამბაზური წარსულისგან თავის დასაღწევად,
არქივის მასალების მოპარვა დავუკვეთე,
მძიმე რამ დაევალა, მოელოდა უკეთესს.
1 ჯამბაზი (სიხარულით ცმუკავს)
ამგვარად იქმნება ახალი ისტორია,
რომელიც სიდიდით ოკეანის ტოლია,
თუმცაღა საზღვარი ოკეანესაც აქვს,
ხმელეთის ნაპირებს ამაოდ მისწოლია,
რადგან იქ ქვების და ლოდების ზეიმია,
ხოლო ვრცელ მიწებსაც თავისი სიშორე აქვს!
2 ჯამბაზი (ამაყად განაგრძობს)
არქივის სქემა გადავეცი და დავარიგე:
დერეფანში გზას არ ასცდე, ტყვია რომ არ გესროლონ,
მარჯვენივ საპირფარეშოა, მარცხნივ საპროფესორო...
ყურს ნუ უგდებ უცხო ხმებს, სარდაფებს რომ იკლებენ,
სიმღერით რომ ბაძავენ სამხრეთ ამერიკელებს –
ეს მდინარე არაგვია, ია ია ია!
ის ქვეყანა პარაგვაი, აი აი აი!
მის სასახელოდ უნდა ითქვას,
დავალებას საუცხოოდ გაართვა თავი,
დაშტამპული ქაღალდები ცეცხლის ალს მისცა
და მწუხარე ფაქტები ჩვენი წარსულიდან
ცას შეერია უშავეს ბოლად...
კომშის ხეებს და კოშკებს უკანასკნელად ეკვრის,
სჯერა, რომ ჯამბაზები მას დავუფასებთ გარჯას,
აღიმართება სადმე აღმოსაელელის ძეგლი
და გავუხსენებთ ნაღვაწს, ჩვენ გამო განცდილ ტანჯვას.
აგერ, ახლახან კედლის გასწვრივ, ბოლთასა სცემდა,
სანამ შორეულ გზას არ გაუდგა მდევრების შიშით.
აქ დარჩენილებო, მძაფრ მზერას იქით ნუ მიმართავთ!
ფანრებიც ჩააქრეთ და ისე მოიქეცით,
თითქოს ჯერაც ლურსმნებით დაჭედებული ფარდების წინ.
იდგეს უსასოო და გალურსული...
1 ჯამბაზი (საქმის მოგვარებით კმაყოფილი მსმენელებს მიმარ-
თავს)
კარგია, წარსული რახან აღარა გვაქვს,
უფლება გვეძლევა გიცქიროთ ალალად!
2 ჯამბაზი
რომ ვხედავ ამ ცნობისმოყვარე სახეებს,
მათი მოლოდინი ინტერესს აწელებს,
რახან ვეღარაფერს ვერ წამოგვძახებენ,
ჭკუა დავარიგოთ ჩვენს ძვირფას მსმენელებს!
1 ჯამბაზი (ხალხს მიმართავს)
აბა, რა გითხრათ? თუ დღესაც ეძებთ,
წარმატებათა მიღწევის წესებს,
და სხვა არაფერს, რაიმე ზედმეტს,
ჩაგაწერინებთ იდეალურ ცხოვრების რეცეპტს:
საჭმელი შეკმაზული
და ცხენი შეკაზმული!
2 ჯამბაზი
ერთ ფარმაცევტულ საიდუმლოს მეც გაგიმხელდით:
ეკალბარდის ნაკაწრებს,
მარილწყალი აქარწყლებს.
1 ჯამბაზი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემს სულიერ გამოცდილებასაც გაგიზიარებთ:
უდაბნოს ხრიკებია – ხრიოკები,
იქ ვნებებს ამაოდ იოკებენ...
2 ჯამბაზი
ცხოვრების უცვლელ ფილოსოფიასაც აგიხსნით:
შვილიშვილს მზე ესიზმრება, რადგანაც მოხუც ბებიას
საძინებელში ნათურის ჩაქრობა დავიწყებია...
სულდგმულნი ურთიერთთაგან დიდად არ განსხვავდებიან,
ბავშვები იბადებიან, ბებრუხანები კვდებიან.
სიბერე ადამიანის უკანასკნელი წლებია,
ხშირად ყველაზე ხანგრძლივად ისინი იწელებიან...
1 ჯამბაზი
რა ძნელი არის მოსაგონრად უმნიშვნელო დროც,
როცა ყოველი გენატრება, რაც შენ გეხება,
თვით ის ევალიც, ერთგან სისხლი რომ შეატოვე
და გზა განაგრძე გაკაწრულმა... ალბათ მოხუცებს
მეხსიერება იმიტომაც უქვეითდებათ,
რომ გახსენებამ ძველი სისხლი არ აუჩქროლოთ,
ადიდებული წყლის მოვარდნას ვერ გაუძლებდნენ,
ძველ წისქვილივით დაშლილ ფარდულს რომ დაემსგავსა...
ჰოდა, ქკუასაც დაგარიგებთ:
ყოველ დღეს ისე შეეგებე, როგორც ბოლო დღეს,
არც სასოება დაკარგო და არც გაბოროტდე!
ცეცხლთან რომ დგახარ, არ მიეცე სხვა რამ საფიქრალს,
ასე მოეპყარ სიყვარულსაც, რომ არ ჩაგიქრეს...

*

შეკრთა მეთევზე, ეს სიტყვები როცა ჩაესმა,
თავისი ცოლი მოენატრა, ანასტასია,
ვის გულისთვისაც დაითმენდა დარდს და საესავს,
ვინც იყო მისი ერთადერთი ანესთეზია...
და გაიფიქრა, როგორ წარვდგე მე შენ წინაშე?!
მე კონცერტზე ვარ იმ დროს, როცა შენ ხარ წირვაზე!
ფეხზე წამოხტა, ფართო სცენა ჯერაც ელავდა,
სპექტაკლის შემდგომ გაგრძელებას არ დაელოდა.
გარეთ გამოიჭრა სკამების ჭრაჭუნში,
რიჟრაჟი იგრძნო დილის,
ძირს ბლომად ეყარა ქერქი და ნაჭუჭი,
თხილის და მზესუმზირის...

## 4. დაბრუნება

*

ანასტასია, ჩემო, შენ სულ სხვა ვინმე ჩანხარ!
შენთან მოვზიდავ ისევ ჩემს მწირ ბარგსა და ბარხანს.
თუმცალა ეშმაკები უმალ ატეხენ ხარხარს,
და რა ჩახედავს მერე იმათ დაფჩენილ ხახას...
ზღვა აივსება წვიმით, ტალღებს ეტყობათ დაღლა,
შენ კი არა წყვეტ ტირილს, რადგან ამ ქვეყნის არ ხარ!
დილა, ვით ღრუბლის ფთილა, მიწას აჩნდება ჯანღად,
შენ კი განაგრძობ ტირილს, შენ სხვა სამშობლოდან ხარ...

*

მიაქვს სიცოცხლის წლები უნებისყოფო დღეებს
და რომ არ დავმორჩილდე ფუტურო, დამღლელ წამებს,
როცა იქნება გვიან, გლოვა მეყოფა მერეც,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცხოვრება რახან ჰქვია, მოიცავს ათას რამეს –
ღალატს და ერთგულებას, დევნას და გვერდში დგომას,
ათასში ერთხელ ბრიყვსაც ეძლევა ბრძენის წვდომა,
ხელის კვრას სჯობს განვდევნა. მისთვის, ვინც დაძლევს მტრობას,
ბედნიერების ტახტი არასდროს დაემხობა.

*

ტრამალის გადაღმა სხვა ხედებს გადაშლის,
რომელიც წალკოტში მოხვედრას გვთავაზობს
და მოჩანს შორ მთათა უცვლელი ლანდშაფტი.
მე ვცდილობ, რომ უკან დავბრუნდე, ლამაზო!
შენ კი არ მპასუხობ, იქნება, დიდგულობ?!
თუმც ნაცნობ მიდამოს იმედით გავცქერი,
ეს ქვები, ოდესღაც ცამდე აზიდული,
გახლავთ იმ შორ მთათა წვრილ-წვრილი ნამსხვრევი,
სადაც იდუმალი ბგერები გვესმოდა,
ფერფლი რომ ცვიოდა დაფერთხილ თუთუნის,
მას ემატებოდა მოღუშულ ეზოდან
საცოდავ კატების ამკლები კრუტუნი...

*

ჩემი ცხოვრების სავალ გზაზე თუ რამ გამომრჩა,-
რა გაიხსენებს, რა მოჰყვება იმდენ საამბობს,
და როგორც ზეწრებს, მოფრიალეთ, ქარში გამომშრალთ,
მოულოდნელად დაწყებული წვიმა დაალბობს,
მე დამეუფლა ის შეგრძნება, განამაწია,
მოსვენებას რომ დაუკარგავს თავად მორჩილსაც,
როცა შევნიშნე მშვენიერი ანასტასია,
მრევლს შორის მდგარი, ვარდისფერი თავშლით მოსილი...

*

– ანასტასია! როგორ ხარ?
– ვეზიარე და ვიცხე ზეთი!
– სადაც შენა ხარ, იმ ადგილას
ცა ამაყია ცისქვეშეთით!
შენ არ გაგტანჯავს სიხარბე,
არად ჩააგდებ სიღარიბეს...
და უკანასკნელ მიხაკებს
უძღვენი ხატებს და სახარებას... –
მის საქციელში საყვედურის
ნატამალიც არ იგრძნობოდა.
ოქტომბრის დილა თენდებოდა,
გრილდება და იღრუბლებოდა.
ანასტასიამ მიმანიშნა,
იქნებ ბერს გავსაუბრებოდი,
რომელიც იქვე უბრად იჯდა...
მას ჩემზე დიდხანს ვუყვებოდი...
– ლოცვებს ესწრები? თუ ამაო
საზრუნავებში გაგყავს წლები? –
– ვერა! – ვპასუხობ მე მამაოს –
თუმც უსათუოდ დავესწრები!
– ხვალიდან? – მკითხა უცხო სევდით,
თითქოს მზილების მოერიდა,
თითქოს იესო ედგა გვერდით...
– ხვალიდან არა, ნოემბრიდან!
მაშინ აღნიშნა გულდაწყვეტით:
– შორსა ხარ სარწმუნოებიდან!...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლექსები ცოცხალთა გორაკის ანთოლოგიიდან

*გადაშლის ვინმე ქალაქურ გაზეთს?*
*გაამთლიანებს წიგნად ჩემს ლექსებს?*
*როგორ ვნატრობდი სიყვარულს!*
*როგორ მწყუროდა სიცოცხლე!*

***ედგარ ლი მასტერსი***
*სპუნ-რივერის ანთოლოგია*

**ტარიელ მაისურაძე (დ. 1931): ცოცხალი ვარ და მიხარია**

სამი ოჯახი დავკარგე, შვილი დავკარგე, ცხოვრება დავკარგე,
ყველაფერი, და როგორ შემიძლია მაინც, ყოჩაღ მე!

ვემსახურები ხალხს, სანამ შემიძლია. ადამიანი თუ ხარ,
ადამიანურად უნდა მოეპყრო ყველას. უნდა იყო კაცი,
უნდა იყო ერთგული შენი ქვეყნის, შენი ხალხის.
სიყვარული უნდა დაიმსახურო.

მე სულ ხომ არ ვიცოცხლებ, მოვკვდები,
ის კი არ უნდა თქვან, ცუდი კაცი იყოო,
უნდა თქვან, კარგი კაცი იყო,
ცოდო იყო, რომ წავიდაო...

ქუჩაში გამვლელები ყრიან რალაცეებს,
მაგრამ ლანძღვა საჭირო არ არის.
იმ ადამიანმა ნაგვის ლაყრით თავი დაიმცირა
და მე კიდევ აღარ დავამცირებ, არ გავლანძღავ.

ჩემთვის მთავარია ცოცხალი ვარ და მიხარია,
რომ ჩემი ხალხის ლამაზ და სუფთა გარემოზე ვზრუნავ.

ჩემი ხნის ხალხი, ზოგი ველარც დადის.
გუშინ მოხუცმა კაცმა გაიარა ჯოხით.
ჩემგან ცოტა მოშორებით მანქანამ დაუსიგნალა და წაიქცა.
მივედი და ავაყენე.

**არიელ ანტურია (დ. 1933): ჭუჭყი**

ჭუჭყიანია ფული, გთხოვ, დაიბანე ხელი;
ხელის ჭუჭყია ფული, გთხოვ, დაიბანე ხელი.

სხვისი ჯიბისკენ გაგექცა ურჩი, ჯიუტი ხელი?
ვიდრე თავს ბანი დაგექცა, გთხოვ, დაიბანე ხელი.

გთხოვ, დაიბანე ფული, ჭუჭყიანია ხელი;
გთხოვ, დაიბანე ფული, ფულის ჭუჭყია ხელი.

სხვისი ლექსისკენ გაგექცა ანცი, კუდრაჭა ხელი?
ვიდრე რითმები წაგექცა, გთხოვ, დაიბანე ხელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჭუჭყიანია ჯიბე, რომელშიც იდო ფული,
შენს ტვინს მიადგი კიბე, არ მოიყვანო გული.

გთხოვ, დაიბანე ჭუჭყი, ჭუჭყის ხელია ფული;
სტყორცნე კაცური პურჭყი ასფალტს, ხელია ფული.

მაშ, თუ ჭუჭყია ფული, მაშ, თუ ხელია ფული,
მაშ, თუ ტვინია ფული, მაშ, თუ გულია ფული,

ნუ გაგექცევა ხელი სხვისი ჯიბისკენ; გელის,
სულელი ხარ ხარ თუ ხელი, იქ, სხვის უბეში, გველი.

## ქრისტინე ახალაშვილი (დ. 1938): ყვავილების გამყიდველი

ეს იები ჩვენს მთებში დავკრიფე.
ჩემი ცხოვრება სულ გაჭირვებაში გავატარე.
დედა ადრე გარდამეცვალა,
დავრჩით ობლები.

დედინაცვალი სულ მცემდა.
მივიდოდი ტყემლის ხესთან
და როცა მშიოდა,
სულ იმას ვჭამდი ხოლმე.

მათრობდა თუ რა იყო, არ ვიცი,
დამეძინებოდა ტყემლის ხის ქვეშ.
გამეღვიძებოდა და ისევ ხის ქვეშ ვიწავი.

დავოჯახდი 14 წლის ასაკში.
ჩემი მეუღლე დუშეთში გავიცანი.
გარდამეცვალა უკვე.

ახლა ჩემ დასთან ერთად
სოფელ ზნავისში ვცხოვრობ, მარტო.

## ლენა გაგუნია (დ. 1939): ემიგრანტი

სამი ბიჭი,
4 შვილიშვილი
და 2 შვილთაშვილი მყავს.
არცერთი არ მუშაობს,
რადგან სამსახური ვერსად იპოვეს.

ოჯახის ერთადერთი შემოსავალი
ჩემი ხელფასია,
რომელსაც საქართველოში
ყოველთვიურად ვაგზავნი.

ჯანმრთელობის კუთხით
მეც პრობლემები მაქვს,
გული მაწუხებს.

ექიმები მეუბნებიან,
არ შეიძლება შენი მუშაობაო,
მაგრამ სხვა რა გზაა.

## ნათელა მამულაშვილი (დ. 1941): 40 წელი

მუშაობის 39-წლიანი სტაჟი მაქვს.
ახლა კიდევ მუშაობა როგორ უნდა შევძლო?

სამუშაო კი არ უნდა შემოგვთავაზონ,
პენსია უნდა გაგვიზარდონ
ან დახმარებები დაგვიმატონ.

ჩემი აზრით,
პენსია სამუშაო გამოცდილების
მიხედვით უნდა გვენიშნებოდეს.

ის, ვინც მთელი ცხოვრება დიასახლისი იყო
და მე, რომელიც თითქმის 40 წელს ვმუშაობდი,
ერთსა და იმავე თანხას არ უნდა ვიღებდეთ.

საერთოდ, ამდენი ახალგაზრდაა უმუშევარი,
ამდენი პრობლემები აქვთ
და იმათ მიხედოს მთავრობამ.

## მურთაზ ჩხარტიშვილი (დ. 1960): დატრიალება

სიძის მეზობლად ვცხოვრობ.
ქორწილი რომ დამთავრდა,
ქვაბებით წამოვიღეთ რესტორნიდან საჭმელები,
როგორც ხდება ხოლმე.
დატრიალდა ოჯახი
სუფრის სახლში გასაწყობად
და სადაა ან ჩანგალი, ან თეფში, ან რამე:
სიძე-პატარძლის საწოლი
და ქვეშაგებიც კი მოპარული იყო.
დაცარიელებული დაგვხვდა სახლი.
სიძე იძახდა, –
სად დავწვე ახლა მეო?!
მეზობლები დავტრიალდით მერე,
ზოგმა საბანი მოვუტანეთ,
ზოგმა ლეიბი და თეფში.

## ნონა ჯამასპიშვილი (დ. 1970): ვუძლვებით ცხოვრებას

ორი კურდღლის მდევარი რომ ვერცერთს დაიჭერს,
ეს სიბრძნე მე გამოვცადე.

სანდრო და პაპუნა –
ორივე მიყვარდა სხვადასხვაგვარად.
პაპუნას ოჯახი ჩემთვის დასაყრდენი იყო,
რასაც ვერ ვიტყოდი სანდროზე.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მისი მშობლები გაყრილები იყვნენ,
სანდროს მამას სხვა ცოლი ჰყავდა,
დედას კი — სხვა ქმარ-შვილი.
სანდრო ბებიასთან იზრდებოდა.
ამ არეულ ოჯახში ვიპოვიდი კი ბედნიერებას?

30 წელს რომ გადავცდი,
მარტო დარჩენის შემეშინდა
და გავყევი კაცს,
რომელმაც ხელი მთხოვა.
შვილიც შეგვეძინა, ელენე.

ჩემი მეუღლე მშრომელი,
ნორმალური ადამიანია,
ვუძღვებით ცხოვრებას,
მაგრამ ეს ის არ არის, რაც უნდა იყოს.

სიყვარულით შექმნილი ოჯახები მაინც სულ სხვაა,
თან მდევს უკმარისობის განცდა
და ვცდილობ, ამ თემაზე არ ვიფიქრო.

სამაგიეროდ, ჩემს შვილს შთავაგონებ,
რომ უსიყვარულოდ არ გათხოვდეს.

### სოფო იმერლიშვილი (დ. 1990): უვადო პატიმრობა

უდანაშაულო პატიმარი ვარ,
სასჯელიც შესაბამისი მაქვს – უვადო.
მხოლოდ ერთი ფანჯარა მაქვს,
საიდანაც სულ ერთი და იგივე სურათი მოსჩანს
წელიწადის ყოველ დროს.

ვფიქრობ, ბუნება მაინც იცვლებოდეს,
ცვიოდეს ხეებს ფოთლები
და იბადებოდეს ახალი სიცოცხლე.

არამც და არამც, მხოლოდ ამინდი იცვლება
და ისე მიხარია ეს ყველაფერი, თვალს ვერ ვწყვეტ.

ტუსაღი ვარ, რომელიც კვირაში ერთ დღეს ელოდება,
გარეთ გავიდეს და სუფთა ჰაერი ჩაისუნთქოს.
ზედამხედველი მყავს, უფლის წყალობით, კარგი,
არ მაქვს მკაცრი კონტროლი
და მეც პირნათლად ვიხდი სასჯელს,
ბედმა რომ მარგუნა.

ბევრი დრო მაქვს ფიქრისთვის,
ვფიქრობ წარსულზე, მომავალზე, აწმყოზე.
გტკივა, უსაშველოდ გტკივა
სხეულის ყველა ნაწილი, ყველა ორგანო.
პასუხს ეძებ კითხვაზე: რატომ?
და პასუხსაც ვერ პოულობ.

თავს იიმედებ იმით,

რომ ამ უვადო პატიმრობაში თანხას გიხდიან,
რომლითაც აბედნიერებ შვილებს,
უზრუნველყოფ მათ სწავლას,
უქმნი კარგ მომავალს და ეს ძალას გმატებს.
გენატრება ტკივილამდე.

თურმე როგორ შეგძლებია დატოვება
შენი სულის და გულის.
ფიქრებში მიდიხარ შორს,
თავს ადანაშაულებ და მიზეზსაც ვერ პოულობ.
იმედს იტოვებ, უდანაშაულო პატიმრობისთვის
მოგიწევს ამნისტია და იხილავ შენს მზეს,
შენ სულსა და გულს.

ამით იმშვიდებ თავს,
დღეები გადის,
წლებიც და ახალგაზრდობაც.

### ნინო ზამბახიძე (დ. 1978): რატომ? – ამაზე პასუხი არ მაქვს

8 წელი ახალციხეში ვიცხოვრე იმ იდეით,
რომ ხარისხიანი პროდუქტი მეწარმოებინა,
გრანტებიც მოვიგე და საქართველოს რეალობისთვის
დიდი ფერმერული მეურნეობის მეპატრონეც გავხდი.
ბევრი გამოწვევა იყო...

მახსოვს 2010 წელს მოგებულ ტენდერზე
გაფორმებული ხელშეკრულება როგორ შემიწყვიტეს
და ასობით ათასი ვალი როგორ დაგვედო კომპანიაში,
მაგრამ რაც არ გკლავს, გაძლიერებს პრინციპით – გავიტანეთ თავი.

დაიწყო ახალი ერა – სოფლის მეურნეობის აყვავების,
ამ პერიოდში ფერმა დავხურეთ,
ძროხები ბრუცელოზით დაავადდა.
რატომ? – ამაზე პასუხი არ მაქვს.
ბევრი მიზეზი დასახელდა და დაკელა მოგვიწია,
აქაც ასობით ათასი ვალი დავიდეთ,
ეხლაც მოგებული ტენდერი წავაგეთ!

ბევრი რომ აღარ ვილაპარაკო,
ყველაფერს – რასაც შევწირე თავი,
რის გამოც სოფელში გადავედი საცხოვრებლად
და შვილები ფაქტობრივად დედის გარეშე დავტოვე,
რასაც შეეწირა ჩემი ოჯახი,
ანუ ჩემს ფერმერულ მეურნეობას – ვყიდი!

### ლია ლეკვეიშვილი (დ. 1979): განსაცდელი

ამას წინათ დიდი განსაცდელის წინაშე აღმოვჩნდით.
ჩემს ქმარს ახალგაზრდა ქალმა შვილი გაუჩინა.
თბილისში რა დაიმალება! მესამე პირისგან შევიტყვე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შვილებისთვის არ გამიმხელია,
არც ქმრისთვის მითქვამს რამე.
უხმოდ მივილე ეს ტკივილი
და ვეცადე გამკლავებას.

რაც უნდა მოხდეს, ოჯახს არ დავანგრევ,
არც ჩემს ქმარს გადავუქცევ ცხოვრებას ჯოჯოხეთად!

ის ქალი თავისთავად უკვე დიდი საფრთხეა,
მაგრამ უმწეო ბავშვმა არაფერი დააშავა, რომ დაიბადა.
რამხელა ძალისხმევა სჭირდება ცოლს,
ეს რომ მოინელოს და გადალახოს.

## ქეთევან დარბაიძე (დ. 1979): პირისპირ

რთულ მდგომარეობაში აღმოვჩნდი.
ჩემი ქმრის მეჯვარე და შვილის ნათლია, გიო,
რამდენიმე წელია უცნაურად იქცევა,
ლამის სიყვარულს მეფიცება.
სარგებლობს იმით, რომ ქვრივი ვარ
და გასაქანს არ მაძლევს.
შესაძლებლობას მართმევს, ჩემი ცხოვრება მქონდეს.
კვირაში ორჯერ მოდის ჩვენთან
პროდუქტებით დახუნძლული.

ერთი მხრივ, მადლიერი ვარ, ასე რომ ირჯება,
მაგრამ, მეორე მხრივ, თავს უხერხულად ვგრძნობ.
მეზობლები ხედავენ და მეუბნებიან,
ბედი გქონია, რა სახელი დატოვა შენმა ქმარმა,
რომ ძმაკაცები მის ცოლ-შვილს
ასეთ პატივს სცემენ, თავს გევლებიანო.

ვინ იცის, გულში რას ფიქრობენ,
ალბათ მჭორავენ კიდეც, კუდებს აბამენ.
ან სად ხედავენ ჩემი ქმრის ძმაკაცებს –
გიოს გარდა არავინ მოდის, არავის ვახსენდები.

რატომ უნდა მითხრან, ბედი გქონიაო?!
ასე რომ ყოფილიყო, 34 წლის ასაკში არ დავქვრივდებოდი
და აპოლონივით ქმარს არ ჩავდებდი მიწაში.

მაშინ ჩვენი შვილი, ნიკა,
2 წლის იყო, ახლა 12 წლისაა.
მარტოს მიწევს გაზრდა.
ზოგჯერ ძალიან მაბრაზებს, არ მემორჩილება.
იმასაც მეუბნება, ქალი ხარ და ამ ცხოვრების რა გაგეგებაო.
ახლა სჭირდება კაცის ხელი.
ძმა არ მყავს, რომ ყურადღება მიაქციოს.

ჩემს შვილს სიგიჟემდე უყვარს.
იმ მამაშვილურ სიყვარულსაც გრძნობს,
რაც მამასთან არ დასცალდა.

ზოგჯერ შეიძლება შუალამით დამადგეს თავზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოგვიკითხავს და პირს თუ არ ვუჩვენებ, მიდის.
მგონი, შამონშმებს, მარტო ვარ თუ არა.
ყოფილა შემთხვევა, ბავშვი გამილვიძებია,
გიოსთან მარტო რომ არ ვყოფილიყავი პირისპირ.
ზოგჯერ ისეთი ლტოლვა მოდის მისგან...

ხომ უნდა ესმოდეს, რომ ჩვენ შორის არაფერი მოხდება?!
ბევრი წინაღობაა: ჩემი გარდაცვლილი ქმრის მეგობარია,
ჩემს დაქალს ჩაუვარდა გულში,
ეს ჩემთვის უკვე ბარიერებია.
და რაც ყველაზე მთავარია,
ნათელმირონობა გვაკავშირებს,
ამიტომ ჩვენი ურთიერთობა
უფლისგან კურთხეული არასოდეს იქნება.

იმდენ სითბოსა და ყურადღებას იჩენს,
ძნელია რამე ვთქვა.
ქალისთვის, ხომ იცით, რას ნიშნავს
სითბო და მზრუნველობა?
თანაც სიმპათიურია, კაცურად მიმზიდველი.

ჯერ კიდევ ახალგაზრდა ვარ,
ხომ შეიძლება ისე წავიყვანო ცხოვრება,
რომ მარტო არ დავრჩე?

შვილი გაიზრდება, ცოლს შეირთავს,
თავის გზას დაადგება, მე კი...
ასაკოვანი ქალებისგან გამიგია,
ყველაზე დიდი შეცდომა ის არის,
ცხოვრებაში მარტო რომ დავრჩითო.

გიო არ მიშვებს იქამდე.
მოვეწონე ერთი-ორს, მაგრამ დამიფრთხო.
არ ვიცი, რა უთხრა ისეთი, ჩემკენ აღარ იხედებიან.

ჩემი ძმაკაცის ხსოვნისთვის შენს თავს არავის დავაჩაგვრინებო.
როცა უნდა, იხსენებს ჩემს ქმარს,
როცა უნდა, თავისად მთვლის.

### ლელა კვიჟინაძე (დ. 1980): რადიკალური განსხვავება

სწორედ ტყუილია ბოროტების სათავე.
არამარტო ქმარს, საკუთარ თავსაც ვატყუებდი.
ხან ცეკვაზე სიარული ავიხირე, ხან ცურვაზე.
მინდოდა, სამსახურის შემდეგ დრო გამეყვანა.

ქმარი არაფერს მიშლიდა,
მთავარი იყო, კერძი დახვედროდა თავის დროზე
და მოწესრიგებული სამოსი.

რაც დამემართა, ამას არანაირი გამართლება აქვს,
თუმცა მაშინ სხვაგვარად ვფიქრობდი.
ზნეობრივი ადამიანი ამას არ ჩაიდენს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მე კი თავს სრულებითაც არ ვთვლიდი უზნეოდ.

გავიცანი თორნიკე, რომელსაც მოვეწონე.
ჩემი ქმრისგან რადიკალურად განსხვავდებოდა.
ბევრად უფრო ვაჟკაცური, ძლიერი ჩანდა.
ფლირტით დაიწყო და დროთა განმავლობაში
სერიოზულ ურთიერთობაში გადაიზარდა.

ღალატი არ მიფიქრია, მეგონა განვიტვირთებოდი.
ამასობაში შემიყვარდა.
ფიქრით ვღალატობდი, სხეულით – არა.
სანამ ქმართან ვცხოვრობდი,
თორნიკესთან სქესობრივი კავშირი არ მქონია.
უგონოდ შევუყვარდი, არ მეშვებოდა.
რას აღარ აკეთებდა სიყვარულის გამო,
ოცნების კოშკებს მიგებდა.

ბუნებით არ ვარ მოღალატე.
ვერასდროს წარმოვიდგენდი,
სხვა თუ შემიყვარდებოდა,
ვასოზე წინ თუ დავაყენებდი ვინმეს,
მაგრამ ასე მოხდა.

თორნიკესთან შედარებით
ვასო უსუსურ კაცად მეჩვენებოდა,
მის ნაკლოვანებებს უფრო მძაფრად აღვიქვამდი
და შევიგრძნობდი.
მისი ყველა სიკეთე დავივიწყე,
ისიც კი აღარ მახსოვდა, ადრე რომ მიყვარდა.
ვფიქრობდი, თორნიკე ჩემი პირველი,
ერთადერთი სიყვარულია-მეთქი.
ყოვლისშემძლედ წარმომედგინა.
იდეალურ მამაკაცად მიმაჩნდა,
არ მჯეროდა, რომ ბედმა მისი ღირსი გამხადა.

თორნიკემ ცოლობა მთხოვა.
იმ ზომამდე მივედი, რომ თავი ვაიძულე,
სიყვარულის გამო ოჯახი დამენგრია.
არც ქმარს გავუწიე ანგარიში, არც ოჯახს,
არც მშობლებს და არც შვილს.
ვიფიქრე, ბავშვი გაიზრდება და გამიგებს-მეთქი.

გაყრიდან რამდენიმე თვის შემდეგ
თორნიკეს ცოლად გავყევი.

თორნიკეს მშობლებმა არ მიმიღეს,
განათხოვარი, შვილიანი ქალი რძლად არ ინდომეს.
წლების განმავლობაში წვალებ-წვალებით პატარა ბინა ავიშენეთ.
მანამდე გირაოთი ვცხოვრობდით.
ორი შვილი შეგვეძინა.

ლიკუნას თავიდან ძალიან გაუჭირდა,
მაგრამ მერე ბავშვებმა გაახალისეს.
გიჟდება პატარებზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თორნიკეც არ გამოდგა ცუდი მამობილი ლიკუნასთვის,
ყოველთვის ანგარიშს უწევს.

მაინც ვფიქრობ, რომ პირველი ოჯახი არ უნდა დამენგრია,
არ უნდა გამერთულებინა არც ჩემი და არც სხვისი ცხოვრება.

შეყვარებული კაცი ქმრად რომ იქცევა,
იდეალურ სახეს კარგავს და უბრალოვდება.
ჩემი ახალი ქმარი სულაც არ გამოდგა ისეთი ძლიერი,
როგორიც თავის დროზე მესახებოდა.

მთელ ოჯახს ჩემი მხრებით მივათრევ.
თორნიკეს ძმაკაცებში სირბილი ყველაფერს ურჩევნია.
თავისი ბავშვების ჭიჭყინს ვერ იტანს,
თითქოს სხვისი შვილები არიან.
ვასოს უწყინარ ბუზღუნსაც კი ვერ ვიტანდი
და თორნიკეს სახით უხეში ქმარი შემრჩა ხელში.

### გურამ მანგოშვილი (დ. 1987): პირველი აგური

როცა სხვების ნახირს მივყვებოდი,
საკუთარზე ფიქრს არ ვეშვებოდი
და მიზნის მისაღწევად გეგმებს ვაწყობდი.

ცხრა წლის წინ ერთ კაცთან ვმუშაობდი,
ძველ სახლებს ანგრევდა და აგური გაჰქონდა.
ნამუშევარი ფული აღარ მომცა
და ამ თანხაში დამიტოვა ადგილი,
რომელზეც დღეს ჩემი ფერმაა.

მისთვის აქაურობა არაფერს ნიშნავდა,
ჩემთვის კი ეს იყო მიწა,
რომელზეც პირველი აგური დავდე
მომავალი ოცნების ასაშენებლად.

ნელ-ნელა, ეტაპობრივად დავიწყე,
საქონელს საქონელი ემატებოდა
და წლიდან წლამდე ვზრდიდი ფერმას
და აქამდე მოვედით.

### ვალერი კუხალაშვილი (დ. 19??): უფსკრული

წარმოდგენა არა აქვს ადამიანს,
რა ხდება იმ შახტში,
როგორ ადგილებზე
და სად ვმუშაობთ.
ბოდიში და
ვირთხებივით დავძვრებით.
და როდის დაარტყამს
ეს სამთო დარტყმა
და მოგვკეტავს იქეთ,
უფსკრულში,

გამოუსვლელ ადგილას,
საიდანაც შანსი არ არის,
ცოცხალი რომ გამოხვიდე,
არავინ იცის.
თან ეს ყველაფერი
28 ლარად.

## მურმან აშოთია (დ. 19??): გადარჩენა

საშინელება მოხდა,
პირველად სახეში შემომეყარა,
თავიდან ტკივილით არ მტკენია,
გამიკვირდა, მივიხედე, რა მოხდა-თქო.

მერე, ცოტა მწარედ რომ მომხვდა სახეში,
ხელები ავიფარე და შევტრიალდი.
ზევით დავაპირე წასვლა,
ვიფიქრე, გავასწრებ-თქო,
მაგრამ იქამდე ველარ მივედი.

ქვემოთ ჩასასვლელი იყო,
ფეხით უნდა ჩავსულიყავი,
მაგრამ თავით ჩავვარდი.

წელს ზევით ძირს ვიყავი,
ფეხები ზევით მქონდა,
ქვები მხვდებოდა ფეხებზე.

საშინელი წნევა იყო,
წამებში ხდებოდა ყველაფერი.
თავი კიბის საფეხურს დავარტყი.

ფეხზე წამოვდექი
და ქვემოთ დავაპირე წასვლა,
სიბნელე იყო და ვერ ვხედავდი.

სამი ნაბიჯი გადავდგი,
მაგრამ სიარული ვერ შევძელი,
დაჟეჟილი ვიყავი,
დამეწყო ტკივილი, კანკალი.

ფიცარზე, რომელიც კიბეზეა მიმაგრებული,
თავი დავიმაგრე და დავიწყე ყვირილი –
„ირაკლი მიშველე!"

ის ჩემზე გაჭირვებულ დღეში ყოფილა.
წამოვიდა ჩემთან.

სანამ მოვიდოდა,
დისპეჩერისთვის ტელეფონით უთქვამს,
ასეთი მდგომარეობაა და ხალხი მოგვაშველეო.

დამიძახა, ნუ გეშინია, მოვდივარო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მუქმა რომ შემოანათა,
ვიფიქრე მეშველა, აღარ მოვკვდები-თქო.

ამოვიდა ირაკლი,
ხელი მომკიდა და ჩამიყვანა.
მალე ერთად გამოგვიყვანეა გარეთ,
სასწრაფო დაგვხვდა
და საავადმყოფოში წაგვიყვანეს.

## ბაგა გამეზარდაშვილი (დ. 19??): შრომის უსაფრთხოება მოწესრიგდეს

ბაზარში შევდიოდი, ხილ-ბოსტანზე ვმუშაობ.
6=ის რაღაც წუთები იყო, ჩემმა ბიძაშვილმა რომ დამირეკა
და მითხრა, მიხო დაკარგულია და არ ჩანსო.
მაშინვე გამიელვა თავში, რაც ხდებოდა.
როცა არ ჩანს, ესე იგი გადასმულია ყველაფერზე ხაზი.

მივედი შახტთან. არავინ ჩანდა.
მხოლოდ ჩვენნაირი მუშები იდგნენ.
მისამძიმრებდნენ, მე კიდევ იმედი მქონდა.
როცა დაკარგულია ადამიანი,
1%-ს ყველა იტოვებს და ღმერთს შევთხოვდი,
ყოველ წუთს ლოცვას ვკითხულობდი,
რომ გადაერჩინა, მაგრამ არ მოხდა ასე.

მეუბნებიან, მიმდინარეობს ექსპერტიზა და გამოძიებაო.
რა გამოძიებაზე მელაპარაკებიან.
გამოცდილი მაქვს და ვიცი, როგორც მოიქცევიან.
ხვალ მოვალთ, თანხას მოვიტანთო.
რა თანხაზე ლაპარაკობენ – ასე ყიდულობენ სიცოცხლეს?!

შახტის დახურვაში გამოსავალს ვერ ვხედავ, ხალხს სესხები აქვს.
იქ 1200 ოჯახი მუშაობს და ყველა მათგანი მშიერი რჩება.
ჩათვალეთ, რომ ტყიბული დაიცლება.
ამიტომ ყველაფერს ჯობია, რომ შრომის უსაფრთხოება მოწესრიგდეს.
მუშებს ნუ აწვებიან, შეზღუდვები მოუხსნან.

მამაჩემი 35 წელიწადი მუშაობდა შახტში.
გუშინდელ დღემდე თითიც არ უტკენია,
ისეთი გამოცდილება ჰქონდა.

რაც მოხდა, ეს ყველაფერი
შრომის უსაფრთხოების დარღვევაა,
თორემ ასე უბრალოდ არ ხდება.

ნახეთ, ხელები როგორ აქვს დაკეცილი.
უჰაერობის გამო არის მოგუდული.

ელექტრონული ბიბლიოთეკა

4 პროზა

# სხვაგან

*თეა თოფურია*

კარგა ხნის გაღვიძებული, თვალების გახელას მაინც არ ჩქარობდა ხოლმე, მაგრამ ახლა იგრძნო, რომ რაღაც ისე არ იყო. მართალი აღმოჩნდა. იმ ოთახში იწვა, რომელშიც არ დაუძინია. მეტიც, პირველად ხედავდა ამ ოთახს, საერთოდ ასეთ ოთახს ხედავდა პირველად.

– სად ვარ? – გაიფიქრა.

ოთხივე მხარეს შუშის კედლები ოთახს ტერარიუმს ამგვანებდა. თავადაც პირდაპირ იატაკზე იწვა, სრულიად შიშველი.

– ეს რაღა ოხრობაა, რატომ ვარ შიშველი? – აქ ცოტა გულზე მოეშვა, გაიფიქრა, რომ მეგობრები აშაყირებდნენ. როგორც ჩანს, გუშინდელი ხმაურიანი წვეულების შემდეგ დივანზე რომ ჩაეძინა, ღამე აქ გადმოიტანეს. მეშვიდე კლასში ამაზე მართლა იცინებდა, მაგრამ ამ ასაკის ხალხისთვის მთლად ჩვეულებრივი ამბავი არ იყო. ეტყობა, მთვრალებს უკეთესი ხუმრობა არ მოაფიქრდათ. ჯანდაბა მაგათ! ახლა მთავარი იყო, რამე ჩასაცმელი ეშოვა.

წამოდგა და ოთახი მოათვალიერა. არც ფარდები იყო, არც მაგიდის გადასაფარებელი, არც მაგიდა, არც... მარცხენა დიდი კედელი მთლიანად გვერდზე გაიწია და ოთახში კაცი შემოვიდა, მასაც არაფერი ეცვა.

– გამომყევი.

– რა? – მაინც გაჰყვა, „რაღაც აბანოში დამტოვეს", ფიქრობდა გზადაგზა, – მე ფრისკე მქვია.

ახლაღა შეამჩნია, შუშის მართკუთხედებს შორის მიდიოდნენ, ზუსტად ისეთების, როგორიც მისი ოთახი იყო. მერე გარეთ გავიდნენ. დაბლა მიწის მაგივრად ქვები ეფინა. ბევრი ხალხი იყო. მთელი ქალაქი ხალხი. ყველა შიშველი. ფრისკე შეჩერდა, ერთი წუთით მოეჩვენა, რომ ყველა მათგანს ერთდროულად შეხედა სახეში.

– სად ვარ?

* * *

ნახევარი წლის შემდეგ ფრისკე ისევ თავის შუშის მართკუთხედში იწვა. უკვე იცოდა, მეგობრებს მისი გაშაყირება არც უფიქრიათ. იმაშიც დარწმუნდა, ეს ყველაფერი არ ესიზმრებოდა. თუმცა, ამის იქით საქმე არ წასულა. ფრისკემ ბოლომდე ისიც კი ვერ გაარკვია, ისევ დედამიწაზე იყო თუ რომელიმე სხვა პლანეტაზე. ერთი პირობა ფიქრობდა, სანამ მეძინა, დროში ხომ არ გადავინაცვლეო, მაგრამ პასუხი ვერც ამაზე მიიღო. აქაურები დროს მტკავევლებად ჰყოფდნენ და ისიც მხოლოდ დღე-ღამის გასაზომად. ცნებები: კვირა, თვე, წელი... აქ არ არსებობდა. არ იცოდნენ წერა, კითხვა, ლაპარაკი. ერთმანეთის აზრების გასაგებად სახის გამომეტყველება სავსებით საკმარისი იყო. ფრისკეს წარმოდგენა არ ჰქონდა, საიდან შეიძინა ეს უნარი, მაგრამ ფაქტია, რომ მაშინაც კი, როცა ეგონა, ვლაპარაკობო, სინამდვილეში მხოლოდ ფიქრობდა.

მაშინ ამის აღმოჩენამ ფრისკე თითქმის კანკალამდე მიიყვანა. მანამდე იმედი ჰქონდა, რომ ეს შიშველი ხალხი რაღაცას მალავდა და დღეს თუ არა ხვალ მაინც მიაგნებდა პასუხს. მაგრამ აღმოჩნდა, რომ აქ ყველას ერთი ცოდნა ჰქონდა. ეს დაახლოებით იმას ჰგავდა, ძველი ტომები ერთი გობიდან რომ ჭამდნენ საჭმელს. ნახევარი „წლის" შემდეგაც ფრისკემ ერთი ადამიანიც კი ვერ ნახა, რომელიც მის მარტივ კითხვებს უპასუხებდა: „სად ვარ", „აქ როგორ გავჩნდი", „ახლა რა ვქნა".

* * *

ზღვა ხანდახან უზარმაზარ ლოდებს ისროდა. იმ დღესაც ფრისკე ძლიერმა ლაწანმა გააღვიძა. შუშის ოთახების აღმოსავლეთ ნაწილი სავარაუდოდ ნამსხვრევებად იყო ქცეული. წამოდგა და მზეს გახედა. აქ მზე ცამდე არასდროს ადიოდა, მხოლოდ ზღვას უვლიდა გარშემო. ამის გამო ფრისკე მას ვეშაპს ეძახდა ხოლმე.

გარეთ გავიდა. ნამსხვრევები ალბათ ხალხს მოიყოლებდა ქვეშ. დაშავებულები უნდა გამოეთრიათ. შემდეგ ლოდს ისევ ზღვაში ჩააგდებდნენ. ფსკერამდე ჩაჰქონდათ, საიდანაც წყალი დიდი ხანი ვერ ამოიტანდა ზედაპირზე. მთელი ცხოვრება ამით იყვნენ დაკავებულები, ზღვიდან გამოტყორცნილ ლოდებს უკან აბრუნებდნენ, შემდეგ ის ისევ ისროდა და ასე გაუთავებლად.

– ერთი და იგივეს რატომ აკეთებთ? – იკითხა ერთხელ ფრისკემ.

– სხვა რა უნდა ვაკეთოთ?

– ათასნაირი საქმე არსებობს. ჩვენ დედამიწაზე...

– დედამიწა რა არის?

ასეთ დროს ფრისკე ცდილობდა ყურადღება სხვა რამეზე გადაეტანა და ფიქრი შეეწყვიტა. თუმცა, მისი ფიქრები აქ არავის უკვირდა. არა იმიტომ, რომ ადრეც გაეგონათ მსგავსი, უბრალოდ, აქ გაკვირვებას არ იყვნენ მიჩვეულნი. ყველაფერი იყო, როგორც იყო. თუ ვინმე ფიქრობდა, რომ აქ მოსვლამდე სხვანაირი ცხოვრებაც არსებობდა, ესე იგი, ვიღაც ფიქრობდა, რომ აქ მოსვლამდე სხვანაირი ცხოვრებაც არსებობდა.

ფრისკემ უკვე მესამე დღეს შეამჩნია, აქაურებმა სიცილი და ტირილი არ იცოდნენ, უფრო გვიან შეამჩნია სხვა რამეც – არც კვდებოდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუმცა, მეგობრობა შეეძლოთ.

ფრისკეს ამის გასაგებად ექსპერიმენტის ჩატარება მოუწია. ერთ-ერთი ამოარჩია და ფიქრებით მუდმივად ესაუბრებოდა. მალე პასუხიც მიიღო. აქ სახელი არავის ერქვა, მაგრამ ფრისკემ ამ ბიჭს გუნებაში ფლავდია შეარქვა. სწორედ ფლავდია მოვიდა მასთან ღამე გულიდან შუშის დიდი ნაჭრის ამოსაძრობად.

– ზღვამ შენი ოთახისკენ ისროლა ქვა?

– თვითონ ჩავირტყი, თავის მოკვლა მინდოდა.

და აქ ფრისკემ გაიგო, რომ ამ უცნაურ ადგილას საკუთარი სურვილით ვერავინ კვდებოდა. უფრო სწორედ, ამას მანამდეც მიხვდა, როცა ჭრილობის მიუხედავად მაინც ცოცხალი და ჯანმრთელი იწვა. მხოლოდ სისხლის პატარა გუბე გაუხდა ასაწმენდი.

– ვკვდებით, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როცა ვადა გაგვივა.

– ანუ სიბერით?

– ეგ რაღას ნიშნავს?

არც ბებრები არ იყვნენ. იმ დღეს ორივემ დიდხანს ილაპარაკა და ფრისკე ბედს შეეგუა. ფლავდიამ ვერ აუხსნა, რამდენი დღე ან წელი გრძელდებოდა აქ ცხოვრება, მაგრამ როგორც არ უნდა გაგრძელებულიყო, ბოლოს მაინც დამთავრდებოდა.

ამის შემდეგ ფრისკეს ისე ძალიან აღარ უჭირდა. დილით სხვებივით დგებოდა სამუშაოდ, შუშის ოთახებს აგებდა და ლოდებისგან თავგატეხილი ადამიანები სამკურნალოდ გადაჰყავდა. დაჭრილები მალევე მოიკეთებდნენ ხოლმე. აქაურებს თვითაღმდგენი ორგანიზმი ჰქონდათ, ამასთან აღდგენილი სხეული ადრინდელზე ბევრად ლამაზი და ჯანმრთელი იყო. იმ ადგილასაც, სადაც ფრისკემ შუშა ჩაირტყა, კანი გაცილებით გლუვი გახდა.

* * *

ლოდს სამი ოთახი მოეყოლებინა. დაჭრილების გამოთრევაში ფრისკეს მოხმარება არ დასჭირვებიათ, უკვე ცალკე იწვნენ. ახლა შუშებს კრეფდნენ გადასაყრელად. მერე ქვა ისევ ზღვაში ჩააგორეს. ტალღამ შადრევანივით ამოხეთქა. ფრისკეს უყვარდა ამის ყურება, თითქმის ისეთივე ლამაზი იყო, როგორც ხის ნაქცევა ტყეში. რაც უფრო დიდ ლოდს ჩააგდებდნენ, მით უფრო ლამაზი სანახაობა გამოდიოდა.

სანამ მშენებლობას დაუბრუნდებოდნენ, დაშავებულები სამკურნალო ოთახში გადაიყვანეს. შუშა რომ გაირჭო გულში, მაშინ თავადაც აქ მოუწია მკურნალობამ. დიდი არაფერი სჭირდა, მაგრამ ფლავდიამ მაინც წაიყვანა. მეო-

რე დღეს ვიღაც ქალიც მიუწვინეს გვერდით, ისიც შიშეელი. ფრისკე ბოლომდე ვერასდროს შეეგუა ამ სიშიშვლეს. თავისდაუნებურად მიიწია მისკენ. ქალმა თვალები გაახილა და თავი მოატრიალა. ფრისკეს ისევ ის გრძნობა გაუჩნდა, თითქოს ყველას ერთად შეხედა სახეში. აქ ქალი და კაცი არ იცოდნენ.

ერთხელ ფლავდიასაც ჰკითხა, როგორ იბადებითო:

– ჩვეულებრივ, შუშის ოთახში კიდევ ერთი ადამიანი ჩნდება და ეგ არის.

– საიდან ჩნდება? დედამიწიდან?

– დედამიწა რა არის?

– მანამდე რაც არის, ამ ცხოვრებამდე.

– არა, მანამდე არაფერი არ არის.

– ჰო, მაგრამ საიდანღაც ხო მოვედით?

– ეგ ვინ იცის.

– მე ვიცი, ფლავდია, მე დედამიწიდან მოვედი.

– ფლავდია რა არის?

* * *

ამ მიწაზე დაახლოებით სამი ათასი ადამიანი იქნებოდა, თუკი შეიძლება მიწა ერქვას ქვის ნატეხს, რომელიც შუა ზღვაში ამოზრდილიყო. რა ხდებოდა ზღვის იქით, ზუსტად არავინ იცოდა. სხვა მიწა და სხვა ადამიანები აქ არ ენახათ.

– ამის იქით რა არის?

– წყალია.

– იქნებ, სხვაგანაც არის მიწა?

– მერა რა, თუ არის.

ფრისკე დიდი ხანია შეეჩვია, რომ აქაურები ჩვეულებრივი ადამიანებივით არ აზროვნებდნენ, და კაცმა რომ თქვას, არც იყვნენ ადამიანები. არაფერს ჭამდნენ, ანუ არც საკვების მოსაპოვებლად იბრძოდნენ, არც მოსავლის მოსაწევად, არც უამრავი სხვა რამისთვის, რაც დედამიწაზე მთავარი საზრუნავი იყო.

– ვერაფრით გამიგია, რისთვის ცხოვრობთ? – უთხრა ერთხელ ფლავდიას. – საქმელი არ გაქვთ, სიყვარული არ იცით, შვილები არ გყავთ, არაფერს იგონებთ, არაფერს ქმნით.

– რა უნდა გამოვიგონოთ?

– თუნდაც თვითმფრინავი.

– თვითმფრინავი რად გვინდა?

– ფლავდია, მიშველე რამე!

– არ ვიცი, რა გჭირს. გულში შუშა რომ გქონდეს, ამოვიღებდი, მაგრამ არ გაქვს.

– შუშაზე უარესი მაქვს, ფლავდია. ვერ ვიგებ, აქ როგორ მოვხვდი.

– როგორც ყველა ჩვენ-მეთქი, ოთახში გაჩნდი.

– ოთახამდე რა იყო?

– ჩვენ არავინ ვიცით, ოთახამდე რა იყო.

– მე მახსოვს, დედამიწა იყო, იქ 40 წლამდე ვცხოვრობდი, სამსახური მქონდა, მეგობრები მყავდა, ცოლი და ბავშვი მყავდა.

– და დედამიწაზე როგორ მოხვდი?

– დავიბადე, დედამიწაზე ყველა იბადება.

– მანამდე სად იყავი?

– მანამდე არ ვიყავი.

– ეგ როგორ?

– აი, ასე, არ ვიყავი და მერე დედამიწაზე დავიბადე. ჩვენთან ყველა ეგრე იბადება.

– მანამდე რა არის, არ გახსოვთ?

– არა, არ გვახსოვს. ვერ გაიგე, ჰო?

– პირიქით, ეგ ზუსტადაც კარგად გავიგე.

* * *

უკვე ათი „წელი" იყო გასული, ფრისკემ პირველი მიცვალებული რომ ნახა. დილით ერთ-ერთი ოთახის მკვიდრი იატაკიდან აღარ ამდგარა. გარეთ გამოიტანეს და ზღვაში ჩაუშვეს. გარეგნულად სხვებივით ახალგაზრდულად გამოიყურებოდა. „ნეტავ რამდენი წლის იყო", – გაიფიქრა ფრისკემ, იმ ხალხს მიჰყვებოდა უკან, მიცვალებული რომ წაასვენა.

– მისი სული სად წავა? – იკითხა.

– ვინ იცის?! იქიდან ჯერ არავინ დაბრუნებულა.

კარგა დაღამებული იყო, ფლავდიამ ზღვის ნაპირას რომ იპოვა.

– შენს ოთახში ვიყავი და ვერ გნახე.

– დღეს ერთი კაცი გარდაიცვალა.

– ეგ ხომ დილითვე ჩაუშვეს ზღვაში.

– კი.

– ისევ ის დაგემართა, ჰო, რას ეძახი ხოლმე – დარდი.

– ვდარდობ? უფრო ვფიქრობ. რად გინდა ამხელა ზღვა, თუ ნაპირზე არ ჩამოჯექი და არ იფიქრე.

– რას ფიქრობ?

– აქ როგორ გავჩნდი, ფლავდია? რას ვაკეთებ? სულ აქ ვიქნები? რომ არ ვიქნები, სად ვიქნები?...

– მაგას ვინ გეტყვის...

# ნინოს ღმერთი

## დღენი და მოქალაქობაი განმანათლებლისა ჩუენისა ნინოსი

ლაშა ბულაძე

### *1. შობა და აღზრდა განმანათლებლისა*

პირველად ვახსენოთ დღენი ცხოვრებისა არა ერთი და ორი წმინდისა და ნეტარისა ჩვენისა და ყოვლისა ქართლისა განმანათლებლისა მოციქულისა, სახელი ესე, რომელი არს – ნინო.

იყო ესე: მათ ჟამთა შინა, ოდეს ინამა ყოვლად ქებული და დიდებული მთავარმოწამე გიორგი კაბადუკიელი, მისვე ქალაქსა შინა იყო კაცი ვინმე თანაზიარი და მეგობარი წმინდისა მოწამისაი. ესე კაცი იყო კეთილად მორწმუნე და ძლიერი და ნარჩინებული და განთქმული ბრძოლათა შინა სიბნელისა მიმართ, რომლისა სახელია ზაბილონ. და ჰყვანდა მას ცოლად სათნო და კეთილ და ნიგნიერ და ქმრისებრ მებრძოლი აზრია სიბნელეთა მიმართ სოსანა, რომლისგანაც შვა მხოლოდ ღირსი და ყოვლად ნეტარი ნინო, ხეთაგან კეთილთა ნაყოფი კეთილი და სათნოი ღმერთისაი.

და ვითარცა იქნა იგი ათორმეტისა წლისა, შეითქუნეს მშობელნი მისნი და განყიდეს ყოველი ქონაგები მათი და მუნ გაიღეს ესე სიმდიდრედ, რაიც არს ცოდნა და სინათლე გონისაი. ხოლო იგი მორჩილი ღმრთისა ნეტარი ნინო დღენიადაგ სწავლობდა საღმრთოსა სჯულსა, რამეთუ მეცნიერ იყო ყოველსავე განგებულებასა ღმრთისასა: ხარებასა და ნათლისღებასა, ჯუარცმასა და აღდგომასასა, თანასწორობასა ღმრთის წინაშე და ჯუარისათვის და კუართისა, რომელი იგი ჰხუდა წილად გონნათელთა კაბადუკიიდან ჩრდილოეთით, რომელიც აწ წარმართთა მიერ იყვნეს დატყვევებულ.

### *2. ზმანებად გაცხადებული მოვალეობა: ნადი, ქართველთ ასწავე!*

ხოლო ერთ ღამესა გამოუჩნდა ღირსსა ნინოს ძილსა შინა ღმრთისშობელი და რქუა:

„წარვედ ქუაეყანად ჩრდილოეთისა და დედაქალად ამა ქვეყნისა მცხეთას და უქადაგე სახარებაი ძისა ჩემისაი, და ჰპოო შენ მადლი წინაშე ღმრთისა, და მე ვიყო მფარველი და ხელის ამპყრობელი შენი".

ხოლო იგი ეტყოდა შეძრწუნებული: „დედოფალო, ვითარ შესაძლებელ არს ეგე ჩემ მიერ? რამეთუ მე დედაკაცი ვარ უნდოი და სწავლად დაყუდებული უსანაელელი, ანუ რაი იყოს სასწაულად საქმისა ამის?"

მაშინ წმინდამან დედოფალმან ხელი მიჰყო ზედა კერძო ცხედრისა მისისა მყოფისა მას რტოსა ვაზისასა და კუეთა მისგან და შექმნა ჯუარი და მისცა ხელთა ღირსსა ნინოს და ჰრქუა: „ესე იყოს მცველი შენი და ამით სძლო ყოველთა წინააღმდგომთა შენთა, და წარემართოს ქადაგებაი შენი, და მე ვიყო შენ თანა და დაგიტეო შენ".

ხოლო იგი ეტყოდა: „სადა არს მცხეთაი?"

მან კი რქუა: „ესე არს მიწა საშკვიდრებელი წარმართთა შორის სპარსთა და ოვსთა და მხედართა გზით ჩამომავალი სკვითთა სამეფოდან, და არის ერი, რომელი ესე დაბნეული ქმუნავს, რაკი ბნელსა ნათლად ხედავდეს და ნათელს ბნელად."

ესე რაი იხილა ნეტარმან ნინომ, განილვიძა და აქუნდა ჯუარი იგი ხელთა მისთა. და ვითარცა გათენდა, წარვიდა და ყოველი ესე მოუთხრო მშობლებსა და უჩუენა ჯუარიცა იგი, და ცალკერძ დაიბნიენ და ცალკერძ განიხარნეს დედამან და მამამან მისმან, რაის უწყოდა სიზმარი ესე, და რქუა ნინომან მშობელსა: „წარმავლინე, მამაო, ვითარცა ბრძანებულ არს ჩემდა საღმრთოისა მიერ ბრძანებისა".

და შეშინდა ფრიად მამა და ჰრქუა: „ვითარ აღასრულებ წადილსა შენსას, საცა არც განათლებაა ქვეყანასა იმას და არც პატიოსანი ქცევა ერს შორის?"

ხოლო დედამან მისმან სოსანამ ჰრქუა: „უფალო ღმერთო ჩუენო, შემოქმედო ცათა და ქუეყანისაო და დამბადებელო ყოველთა ხილულთა და უხილავთაო! შენ შეგავედრებ ქალიშვილსა ამას მხნესა და წარვავლინებ ქადაგებად ღმრთეებისა შენისა, საცა იჩინოს შენმან სახიერებამან – სიყვარულმან მოყვასისამან, მცველად დგომამ თანასწორობისა მიმართ, სუსტის გამხნევებამ და ბნელისა ნათლით მხილებამან, შენ წარუძღუ და იქმენ თანამოგზაურ და ამისსა და და შეზღუდე ესე წმიდითა სულითა შენითა, რათა უშიშრად ვიდოდეს შორის ასპიტთა და იქედნათა და მიუთხრობდეს ჭეშმარიტებასა ღმრთეებისა შენისასა, რამეთუ დიდებულ ხარ უკუნისამდე. აჰა ესერა წარვავლინებ მინდობითა წყალობითა შენთა ურიცხუთა ელჩსა ამასა ახალი აზროვნებისასა".

### *3. სვლა ქართუელთათჳს*

და მზად იდგა სვლად ნეტარი იგი ნინო გზასა წინადაგებულსა მისსა, თუმცა გულში თვინიერ ჰკითხავდა საკუთარ თავს: „რაი არს სიზმარი ესე? რაი არს ძალა ჯუარისა ამის? სად არს რწმენა, რომელი ესე კერპთა შემუსრავს?"

და ვითარცა მოიწია ზაფხული, აღმოვიდა მთათა ჯავახეთისათა და შიემთხვია ტბასა, რომელსა ეწოდების ფარავნაი და მიიღო საზრდელი მეთევზურისგან და ჰმადლობდა ღმერთსა. ხოლო იყვნენ იმავე ადგილთა მწყემსნი და იკითხავდა მათგან ვინაობასა და სადაობასა. ხოლო მათ მიუგეს: „რომელნიმე აქაურნი და რომელნიმე ქალაქისგან მცხეთისა."

და ვითარცა ესმა ხსენებაი მცხეთისა, ფრიად ნუგეშინის ეცა.

და ჰკითხა, თუ:

– სადათ არს მცხეთა?

მწყემსმან მან ესრეთ აუწყა, რომელ:

– მდინარე გასდის ტბასა ამას მცხეთას მისვლად.

და კუალად მიხედნა და იხილნა მთანი ჩრდილოეთისანი ჟამსა ზაფხულისასა სავსენი თოვლითა, და შეძრწუნდა და ილოცვიდა და მოადინნა ცრემლნი.

და მერე მიიღო ლბილი ქვაი და დაიდვა და მიწვა განსუენებად. და ვითარ მიიძინა, წარმოუდგა მას კაცი ბრწყინვალეი ხილვითა და მისცა წიგნი დაბეჭდილი, რაიც ეცნო როგორც წიგნი მისი სწავლულების დროისა, და რქუა: „აღდეგ და წიგნით განააჯე ესე მეფესა წარმართთასა მცხეთას!" ხოლო მან ცრემლით მიუგო: „უფალო, მე დედაკაცი ვარ უცხოი და ვიდრე ვიდე უცხოთა ნათესავთა თანა, რომელთა ჩემი ნესები არა იციან?" და განხსნა წიგნი იგი. დაწერილი იყო ჰრომაულად სახელი იესუისი, და იტყოდა რამეთუ: „არა არს მამაკაცი და არცა დედაკაცი, არამედ თქუენ ყოველნი ერთ ხართ ქრისტეს მიერ, წარვედით და მოიმოწაფეთ ყოველნი წარმართნი და ასწავებდეთ მათ, რამეთუ ნათელი გამოიბრწყინვებად არს მათ ზედა. და სადაცა იქადაგოს სახარებაი ესე, მუნცა ითქმოდეს დედაკაცი ესე".

და რა განიღვიძა, შემდგომ წარემართა მდინარესა მას ტბისას, და დინება იყო დასავლეთით კერძო. და მიუდგა გზათა ძნელთა და ფიცხელთა, ნახნა ჭირნი დიდნი გზათაგან, სიღარიბეი და უწესრიგობაი დიადი და დია შიში მხეცთაგან, ვიდრელა მიიწია ადგილსა მას, სადა წყალმან აღმოსავლეთით იყო დინება. და მიერითგან იქმნა ლხინება მისი, რამეთუ პოვნა მან მოგზაურნი, რომელთა თანა მიიწია სანახებსა ქართლისასა.

### *4. დავიწყებულნი მოქალაქენი ქართუელთა სამეფოის მიერ*

და რქუა მათ:

– რა არს ენაი თქვენი, ჰრომაულ, ჰურიათთა, იბერთ თუ სომეხ?

ხოლო ერთმან მიუგო:

– იბერთ.

და რქუა შემდგომ:

– თუმც ვცხოვრობთ მიწაზე ქართლისაითა, არარაი ვიცით ენათა სომეხთა და არარაი იციან ამათ ენაი იბერთა, ვინაითგან მიტუებულ არიან იგინი სამეფოთა ქართუელთა და არცა ამბავლითა და არცა ხელობითა ფიქრი ესე არ არის მათთა.

და უჩინა მათ მხარსწორ მომავალი გლეხნი სომხითაისნი, რომელთა ენა არ იცოდნენ არცა იბერთა და არცა ჰრომაული, რომელი ესე მეტყველი იყო ნეტარისა ნინოსგან.

და რქუა თანამგზავრს ნეტარმან:

– და რად არს ესე?

ხოლო იმან მიუგო:

– ვითაითგან არა არს ნდომა და ფიქრი ქუეყნის მუნ კიდესა მცხოვრებელთა მიმართ, არა არს სარჩო და ლხინებაი მათთვის, და აჰა მივილტოდეთ ერთნი და ორნი ამა ბოროტების წინაშე საბრძოლველად ვითარცა სწავლულნი და მასწავლებელნი, თუმც მეურვეუბაი ჩუანი ესე ზღვაში წვეთია. ღმრთის წინაშე თანასწორ არს ყოველნი, მაგრამ არა სამეფოის მიმართ. დაწუნებულ არიან მოქალაქენი ესე სხვა მოქალაქეთა წინაშე.

მოისმინა რა ნეტარმან უბნობაი იგი სევდიანი თანამგზავრისა მისისა, მოიწყინა ფრიად და გულში ვედრებით შესთხოვა დედასა ღვთისასა, ვისი წილხვდომილ იყვნეს მიწაი ესე:

„დედაო ღმრთისა ჩემისაო, გააგონე ენაი ამათ ერთმანეთისაი, ძალითა სულიწმინდისა აუმატყველე აზრი ცოცხალი და ჰქმენ საჩინოდ სიბრძნეი იგი, ვით უნდა შეიგონოს ძმამ დისგან, დამ დისგან, ძმამ დისგან და დამ ძმისგან".

და შესმენილ იქნა ლოცვაი მხურვალე და სასწაულებრივ გასაგები და საჩინო გახდა საუბარი თანამგზავრთათვის: განეხსნათ გულნი ურთიერთს მიმართ, და შესმენილ იქმნა იბერის მიერ სომეხი და სომხის მიერ იბერი და არც იბერთა ენა იყო ესე, არცა სომეხთა და არცა ჰრომაელთა, არამედ იყო ენა გულთა ადამიანთა, საცა ყოველი თანასწორად შეისმინების.

და რქუა სწავლულმან თანამგზავრმან ნეტარი ნინოსამან:

– სასწაული ვიხილეთ: წელნი და დღენი გავლიეთ ენათა აღქმის სწავლულებად და ჯაფა კი იყო დიდი, მცირე იყო შედეგი ხილული, და აწ წამიერ იქმნა შედეგი ხელქმნილი.

ხოლო ნეტარმან ნინომან გულით განიხარდა და მადლობა შესწირა დედასა ღმრთისასა, თუმც კი უწყოდა, რომ სასწაული ესე ჭეშმარიტად ზღუაში წვეთი იყო.

### *5. ჯაფა დაუფასებელი მოღვაწეთა კაცთა და ქალთა არა მთავრობისათა*

და რქუა სწავლულ თანამგზავრს:

– დიდია ძალა ღმრთისა, და საცა ერთურთს უსმინონ, იქავ ღმრთისასას გაიგონებენ.

ხოლო მეორე თანამგზავრმან, რომელი ესე სომეხი იყო და თრდატ მეფის სამეფოსა იწევდა ცხოვრებად, თუმც კი შობილი იყო ქართლის სამეფოში, ცალკერძ სასწაულის ძალით იბერიულად ამეტყველებით გახარებულმან, ცალკერძ დაღონებულმან მრავალთა მიზეზთა გამო, ნეტარს ესრეთ შეავედრა:

– მაგრამ არ არს ქვეყანასა ამას სიყუარული ერთა მცირეთა მიერ, თუნდა მკვიდრთა, თუნდა უცხოტომელთა, არა არს

სიკეთე მცირეთა მიმართ ყოველთა, არის ძაგება და ბოროტად ცქერა: აჰა, სომეხოვ, აჰა, ტომითა და გვარითა უცხოვ, ნადი და იქავ იდექ, საცა გვართა და ტომითა შენებრ ცხოვრობენ, აქავ უცხოით გხედავ და გმტრობ, ვითარცა საშიშს... თქმა და ქცევაი კვალია ესე სისხლის გულზე და არის მერე ბოღმა და წყენა გულისთქმად, რაიც კვებავს ბოროტ სულს სიძულვილისას და რაიც ავ თესლად ძევს ნაწყენთა გულებში...

და რქუა იქავე სწავლულმან თანამგზავრმან იბერიელმან:

– გვაღგას ჯაფა არა მთავრობის კაცთა და ქალთა, რათა ყოველთა მათთა შევაგონოთ სიბრძნეი ესე: არა შეიძულო უცხოტომელი, არა ნარსტყუვნა წეს-ჩვეულებანი მათნი, შეეთავსე და შეითავსე იგი, რაკი შენა ხარ ბატონი შენი სამეფოსი და ნუ დაუტევებ უცხოთ მონებად და ნუ უბნობ მათზე: საძაგელოვ და მტეროვ, ვითარ მართალ მტერს, არა გქონიყოს არცა ტაძარი შენი სალოცავი, არცა პატივისცემა რითიმე შენი, და თქმაი კი ესე აჩენს მტერსა ამას არარაისგან. დიდი ძალი და თმენაი გვინდეს და შრომა და ჯაფა განუზომელი, ვით უნდა სძლიოს მცირეთა ერთობამ არა მთავრობისათა სწავლულ ქალთა და კაცთა, როცა ბნელთა აზრთა ფესვები ღრმად და განვრცობით გასულა უმრავლესთა მკვიდრთა სამეფოისა ჩუენისა: გეძაგს უცხო.

და კვლად მოიწყინა ნეტარმან ნინომ და ისმინა სიტყვები ესე ცრემლთა დალტობითა, და კვლად შეავედრა მის მეოხსა და ქომაგსა დედასა ღვთისასა:

„მასწავე, დედაო, ვითარ ვასწავლო ნილხვდომთ შენთა, რომ კლავს და აბეჩავებს შიში და არა სიყუარული..."

## 6. ქართუელთა ადათი და ხილვა კერპთა ამათი

და მიინია ნეტარმან ნინომან მოგზაურთა თანა მცხეთასა მახლობელ ბაგინეთს, სადა იგი იხილა ერი უცხო თესლთა ღმერთთა მსახური, რამეთუ ქვათა, ძელთა და მხეცთა სახიერ ღმერთთა თაყუანისცემდეს, რომლისათვისცა შეეურვა სულსა ამას წმინდისასა.

და ხედვიდა წმიდა ნინო კერპთა მსახურთა და ერთა ცთომასა. და ტიროდა წმინდა ნინო წარწყმედასა მას ზედა მათსა და იგლოვდა უცხოობასა თვისსა: „ღმრთისა მათისა თაყუანის ცემად აღვლენ, რომელი არა რაი არს სხუაი, გარნა კერპი უსულოი".

და აჰა, ესერა, დღე იყო ხმა ოხრისა და საყვირისა, გამოვიდა ერი ურიცხვი, ვითარცა ყვავილნი ველისანი, და აღივსეს მთანი იგი სიმრავლითა ერისაითა. და შემდგომად მასსა გამოვიდა მეფე მირიან და ცოლი მისი ნანა და ებისკოპოსნი და კაცნი წარჩინებულნი და იქმნეს ხმანი ებნებისა და ნესტუებისანი. და ხედვიდა საკვირველებასა მას მეფისა და ერისასა და საოცრებასა მას კერპისასა განიცდიდა. რამეთუ დგა კაცი სპილენძისაი და ემოსა ჯაჭვი ოქროისაი და სამხრენი ოქროისანი, და თავსა ებურა ჩაფხუტი ოქროისა, და აქუნდეს თუალად მისსა ქვანი ბაერიტი და იაკინთი, და ხელთა აქუნდა ხრმალი, და ვითარცა ელვაი იქცეოდა ხელთა შინა მისთა, და რომელიცა მიეახლის, სიკუდილად წარინირის თავი თვისი. ხოლო მარჯვენით კერძო უდგა კაცი ოქროისაი და სახელი მისი – გაცი, და სხუაი ერთი მარცხით – ვერცხლისაი, და ეწოდა მას – გაემ.

და ერნი ეტყოდეს: „ნუუკუე ღმერთნი სხვანი ამათაცა გარდა".

ესრეთ აოცნებებდა მათსა შორის ეშმაკი.

და რქუა წარჩინებულმან ებისკოპოსმან:

– ღმერთნო ჩუენნო, გაც და გაემ, წარწყმიდე და დასაჯე მტერნი ჩვენი ერისა და სარწმუნეობისა, მტერნი მეფეთა და ებისკოპოსთა ჩვენთა, მტერნი ადათისა და რწმენისა ჩვენისა, და გააფანტე ბილწი მტვერი იგი მონაბერი ზღვეთითგან, რაიც მტერია ყოველი ჩუენისა და მკვიდრისა, და რაიც შხამად მოუდის ყოველთა მორწმუნეთა ჩუენთა, რაიც ულმრთოობის გესლად შთაინთქმის გულთა ამათ ცდუნებულთათა, რაიც აამაყებს უჭკუოთა ამათ ადამიანთა – ბავშვთა თუ მოხუცთა, და რაიც ბუნების წესად დაწესებულის შერყვნისას აწესებს: მუნ კაცთა და კაცთა იქორწინიონ, მუნ სკოლაში ასწავონ მრუშობაი და გარყვნილებაი ბავშვთა, თითქო ცოდნა სხეულისაი, მუნ არღარა იყვნეს წესი და კანონი ქალთა და კაცთა შორის, და კაცნი წოლიან კაცთაგან და ქალნი ქალთაგან...

და აყვირდეს ერნი მამაკაცებისანი:

– ცოდვილთა კვლად, ცოდვილთა მუსვრად!

ებისკოპოსმან რქუა, თუ:

– ღმერთთა ჩუენთა, გაც და გაემ, საჩინოდ არს, ვინაითგან მოდის დამღუპველი გესლი ესე: ურჯულოთა უცხოტომელთა მიერ, რომელი ესე ჯდიან ზღვათა ჩუენთა მიმოდასავლეთით და დღენიადაგ ჭმუნავენ მასზედ, რაღათიმე სულნი და ხორცნი წაგვიწყმიდნონ, და აქუთ მათ ტაძარნი, რომელნი ავრცელებენ ათას ჭირთა და სნეულებათა და ბაქტერიათა, სულიერ და ხორციელ წამლავენ ხალხსა, და იღვანიან, რათა რწმენისა ჩვენისა ქომაგი, დიდი სამეფოის მეუფეით მეუფე – მოსკოვის ხელმწიფე შეჰმუსრონ და მოსტყუვნან, რაკი ისღაა აწ და მარადისით მფარველი რწმენისა ჩვენისა, და არც არავინ გვყუანს ჩუენ მცირე სამეფოს ქომაგი და დამცველი გარდნა მისსა.

და დგა მდუმარებით მეფე მირიან და აჩნდა თვალთა მას ზედა, რომ არა იგი, არამედ წარჩინებულნი ებისკოპოსნი არიან მეფენი მისნი.

ხოლო ერმან ღაღადისი ყო:

– კვდომა ცოდვილთა, კვდომა ურწმუნოთა!

და რქუა წარჩინებულმან ებისკოპოსმან:

– ღმერთნო ჩუენნო, გაც და გაემ, დაჰსაჯე და მოსპე უკეთურნი მოკვდავნი ესე, და მიიღენ მსხვერპლი იგი სხეულთაგან ცდუნებულთაგანნისანი, ვითაითგან ერთნის დანთხეული სისხლით, სხვანი შეძრწუნდნენ!

და რქუა სხვა წარჩინებულმან ებისკოპოსმან:

– გაც და გაემ, მიიღო მსხვერპლად კაცი და კაცი ესე, რომელი ნეტარად იყავენ ძრიელ მრუშობაში!

და განიკვირვა და შეძრწუნდა ფრიად ნეტარი იგი ნინო ცქერისასა ამისა და თვის გულ-

ში ჰკითხულობდა: „ჭეშმარიტი იგი ღმერთი არა სჯის, არამედ – კერპი, რა ღმერთია იგი, რომელი ესე საკურთხველი ცოცხალი კაცის სისხლით მოირწყას, ჭეშმარიტ ღმერთს სამსხვერპლო არ აქუს, იესუ თავად იყო მსხვერპლი..."

## *7. მარტვილობაი და შუელა შეყვარებულ ჭაბუკთა*

და აჰა, ალიყვანეს გაცსა და გაემს ფერხთით ასოთა შეკრულნი და გაკოჭილნი სამსხვერპლე კაცნი, ჭაბუკნი იერით, ტიტველნი და წითლად შეღებილნი ინით, განაწვინეს კერპთა ხრმალთა ქვეშ და მღერით და საყვედურით განამზადნეს ასოთა ამათ მოსაკვეთად.

და რქუა კერპთა ებისკოპოსმან:

– ასე ვითარ დაიკლას ცოდვილი ესე მამაკაცი, და მსხვერპლად შეეწირნოს გაცსა და გაემს, საჩინოდ ყოველთა მიმართ, რომელთა გულშიაც ლვიოდეს კერაი ცოდვისა...

ხოლო კაცთა იტყოდიეს:

– დაჰკარ მათ ხრმალი, გაც!

– დაჰკარ მათ, გაემ!

ხოლო მსხვერპლნი იგი ცრემლით ალტობდეა შესაწირავ ქვასა ამას სამსხვერპლოსასა, და შველასა და შენდობას ითხოვდიეს საწყალობლითა თვისითა ხმითაისაითა.

ესე ყოველი იხილა რაი ნეტარმან ნინო, სულთ-ითქუნა და ცრმელდოოდა სრულიად სიბრმავისთვის, სისასტიკისთვის, სიბნელისთვის და ცრუობისთვის ძლიერთა კაცთა ამათ გამო, რომელთა ღმრთის სიყვარულად ეთქმოდეთ სუსტთა და არა მათისებრთა ჩაგვრა-კვლა, და წარვიდა მცირედ და დადგა კლდისა რაისმე ძირსა და აღიპყრნა ხელნი ზეცად და ილოცვიდა და იტყოდა: „უფალო იესუ ქრისტე, ღმერთო ჩუენო და შემოქმედო ყოველთაო, ისმინე და ვედრებაი ულირსისა მონისა და მხევლისა შენისაი და აჩუენე ძლერებაი შენი ჟამსა ამას, და ყავ სასწაული, რათა პოონ ერთა ამათ მცნებაი შენი. და შენ მხოლოო გიცნონ და გაგიხსნენონ ღმერთად ჭეშმარიტად!"

და ესე ხმითა რქუა:

– რათა ადამიანს ჰყვარობდნენ შენი მცნებისამებრ და არა სძულდეთ სუსტნი და იერით, ქცევით თუ აზრით ამათგან სხვანი!

და მაშინ, ვითარცა სრულყო ლოცვაი, მყის გამოჩნდა დასავლეთით ღრუბელი ბნელი და ალდგეს ქარნი ძლიერნი და იქმნნეს ქუხილნი სასტიკნი და ხმანი საზარელნი და მეხისტეხანი შესაძრწუნებელნი, რომლისა მეფე და მთავარნი და ებისკოპოსნი ურთიერთას დასთრგუნავდეს და თითოეული ქალაქად მირბოდეს, ხოლო ადგილსა მას და კერპთა ზედა მოიწია სეტუაი თხრობად განსაკვირვებელი, ვიდრემდის სრულიად დამუსრნა კერპნი იგი, ხრმალნი და ტანნი განუბზარნა და ზღუდე და ყოველი შენებულებაი დაარღვია და უჩინოდ ყო.

და მოსაკლავად განწირულნი ჭაბუკნი დაუხსნეს თოკთა ამათ და უვნებელ დაშთნენ.

ხოლო ნეტარი ნინო ჟამსა მას საშინელსა ღმერთმან მადლითა უვნებლად დაიცვა. და ვითარ განწმინდა ჰაერი, წარმოვიდა წინა კერძო დასავალსა კლდისასა და პოვა ხე შუენიერი და გამოსახა მას ზედა ჯუარი და ექუს დღე დაადგრა მუნ და ილოცვიდა დღე და ღამე. და შემდგომ ამასა განიზრახა აგებაი სკოლისა მცირისა ყრმათათვის სწავლულებად და იქავ ალაგისა სულისა და სხეულის სნეულებათა საკურნებელი. ხოლო ერისა სიმრავლე კუალად განვიდა ხილვად ადგილსა მის, სადა დგომილ იყო ძირს შთენილი კერპი. და იხილეს რაი ადგილი იგი, იტყოდეს სიტყუათა სიცოფისათა ესრეთ: „მტერ არს ღმერთისა და ადათისა ჩუენისა ქალი ესე, და ესე ყოველი მის მიერ მოიწია რაც მოიწია გრძნეულ არს."

## *8. სამეფოის მაღალმოხელეთა და ებისკოპოსთა წყრომა ნეტარისა ჩუენისა ნინოს მიმართ*

და რქუეს ურთიერთში მისგან დამფრთხალმან და მისით განრისხებულმან მოხელეებმან სამეფოის ძალოვანთაგან და მეგობარ-ალმსარებლებმან ებისკოპოსთა:

– არა ოდენ გრძნეულ, არამედ მსტოვარ არს დასავლეთის მცხოვრებ უცხოტომელთა და ქრთამად ამღები ოქროისა და სამკაულთა ზურმუხტისათა, რათა აზრი და გონებაი სნეულ უქმნას ნორჩთა და ხედვით უმწიფარ ყრმათა, ასწავოს ამათ გრძნეულებაი ეშმაკეულ თავისუფლებისა და შვილნი მამათა მტრებად ყოს...

ხოლო რქუა ერთმა:

– და აწ ჭკვასუსტნი მოუდის და სწავლულობენ მისთას უსარჩოოდ არიგებენ საკვებსა ამას უუფლებოთა შორის, რათა ზნეკეთილად ხილულ იყვნენ თვალთა შინა ერისა და ათას სიბილწეს ასწავიან მისგან სწავლულნი: რომ არა ეგების მორჩილებაი ღმერთთა ჩუენთა, არა ეგების მორჩილებაი ებისკოპოსთა ჩუენთა და არა ეგების ადათთა ჩუენთა დაცულობა, ვითაითგან თითქო დრომოჭმულ არს.

და რქუა ხმადაბლა ცბიერმან ამათგან მორჩილმან ებისკოპოსისამან:

– და ჩუენი მეფე რაღად ითმენს უსამართლოსა საქციელსა ამისას?

ხოლო რქუა სხვამან:

– შიშობს ჰრომაელნი რას იტყვიან, ვითარ კურდღელს, ესრეთ ეშინია სამი მელიის: ჰრომაელთა კეისრისა და სპარსთა ხოსროსი... ხოლო ზეიდან მოსკოვიისა ბატონისა, მოამაგისა რწმენისა ჩუენისა ჭეშმარიტისა...

ხოლო კიდევ სხვამ რქუა, თუ:

– მოიწონიეს მეფემ უფლებანი უუფლებოთა, დაუყვავა სჯულგაყიდულთა ლოცვაი თვისი კერპთა უზღუდველად, და დასდვა აკრძალვაი ესე რწმენისა რომელიმესი ომი ერთა შორის, რაიც მიზეზი არს ესე უწესრიგობისა და კაცთა შორის ბნელ აზრთა განვრცობისა...

და რქუა ებისკოპოსმან:

– მეფე ესე გულჩვილი არს და მკაცრი კი უნდა იყვნეს, ენაი გლიჯოს გრძნეულსა ამას და განაგდოს ჩუენი სამეფოდან, რადგან სიტყუანი მისნი ერს გვიწამლავენ და საქმენი დაღუპვას უქადიან ადათთა საუკუნეთა...

და რქუა მოხელემან ძალოვანთამან:

– შესწავლილ უნდა იქმნეს ესე რაიც ფარულ არს ცხოურებასა ამას ახალ-გრძნეულისა, და თუ არ აქუნდეს რაიმე ცოდვილი, შეთხზილ იყვნეს ვითარცა ლექსნი პოეტისანნი და ზღაპარნი ჯერათ არსმენილნი, და გაცხადდეს თითქო ფარულ, მაგრამ ყველასთვის საჩინოდ ყოფა და ნეტარება პირადი ცხოურებისა ქალისა ამისა გრძნეულისა, რათა სახელი მისი შერცხუნდეს!

და მოჰყვა იქავე წუხილს მორჩილი ებისკოპოსისა:

– ერი დიოდა საფლავსა ამას წმინდისა ჩუენისა და იყო დია ლოცვანი და მსხვერპლწირვანი საკვირველნი, რაიც სარგებელი იყო მეურნეობით, იკვლოდიენ ხარნი და ცხვარნი და სხვა სულიერნი საფლავსა ამას ზედა, და აჰა მოვიდა გრძნეული ესე დედაკაცი და იწყო შეგონება ერისა ჩუენისა: რაისი გწამთა, რაით ეძიებთ ცოცხალთა მკვდართა შორის, რაით ამბორჰოფთ მკვდარ ძვალთა ამათ, შაგიერ ცოდნისა, რაი არს ცოცხალი და რაი არს მკვდარი, რაით არ უწყით, სად არს ცრუ და სად არს მართალი...

ხოლო ებისკოპოსი განრისხდა:

– მაშ, გაც და გაემ ცრუა და თვინიერ ჭეშმარიტი? დასავლითს ქრთამად სავსე, რაისღა ბედავს თვალთა ამას ჩუენსა წინაშე?! საფრთე არის ესე ქალი სწავლული ძალაუფლებისა ჩუენისა სამუდამოსი!

ასე ვითარ სწუხდნენ და შფოთავდნენ ძლიერნი ესე კაცნი სამეფოსი და ცხარედ განსჯიდნენ, ვით შეემუსრათ საშიშარი მათთვის და წმინდანი ჩუენთვის – ნეტარ-ძლიერი ნინო.

## *9. სასწაულნი და მოქალაქეობაი ნეტარისა ჩუენისა ნინოსი*

და ვითარცა სასწაულნი იგი დღითი დღე აღესრულებოდეს წმიდისა ნინოს მიერ და განითქუმებოდეს ურიცხუინი იგი კურნებანი:

აზრით ბნელთა და წერა-კითხვის უცოდინართა სწავლულება იგი საკვირველი.

გულით ხშულთა სხუათა შეჭირვებათა და დაძაბუნებათა მიმართ მარცვლისა მისისა თანაგრძნობისაი თესვა სულსავე მათსასა.

მკვდრეთით აღდგენაი იგი სასწაული მოქალაქეობრივ მკვდართა ამათ და ართმენილ და ცხოვლად მეტყველ მოქალაქეებრ ქცევა – დამაშვრალთად უფლებათა მრავალფეროვანთა, უმცირესობათა ერობრივ, სხეულებრივ თუ სხუათა...

თანხისა ამისა დიდისა და მეუნეობისა აღურიცხველისა ებისკოპოსთა და მღდუელთა ყაჩაღურისა გზითა მოპოვებულისა საზიარებელ პურის მარცვლად გარდაქცევა, და ქონებისა ქურდთა და მოხელეთა მიერ სახელისა მათისა განტმტიკებისთვის ებისკოპოსთათვის ძღვნად მირთმეულისა მომარხულეთა გამოქვაბულებად ქცევაი იგი საოცარი და ჩუენებისა მართლისა განწმენდისა გზისა – როცა არა ქცევაი იგი გარეგანი, არამედ სული ადამიანისა რწფელი არს, და არა ცრუობს აღარცთუ სხვისთვის და აღარცთუ თაეისთვის.

თვალთა ახელა ბრმათათვის, რომელნი ესე უქციროდიენ და შეისისხლხორცებენ ცრუთა ამას სიახლეთა მოსკოვიის სამეფოისა, რომელი იოცნებებდა სამყაროულ ბატონობაზე და მეფობაზე მცირესა სამეფოსა იბერიასა ზედა: და იტყოდიან და წერენ ცრუს, ვითარცა ჭეშმარიტს, რაიც აბინდებდა და სწამლავდა გონებასა ამას უფიქრალთა ერისა...

და ჰკითხულობდა და ხედვიდა ნეტარი იგი ჩუენი ნინო სიახლეთა ამათ ცრუთა და დაუჯერებელთა ბეჭდურ თუ ხმოვან და იკვლევდა ასავალ-დასავალთა ამათასა ბნელთასა და უკვირდა, ვითარ შეეძლო კაცსა და ქალსა უმეტესად მხცოვანთასა რწმუნებაი ბოროტ ზღაპართა ამდაგვარდა, და ყო სასწაული ესე: უეცარ ირწმუნეს ეშმაკეულ სიცრუე ბოროტ სიცრუეთა ესე და უკუაგდეს ჩვევაი იგი მავნე სყიდვისა ბილწისა საგაზეთო თუ ვითომდა სასიახლე საქონელისა ამისა...

და აჰა, სასწაულისა ამისა ბრმადყოფილნი იტყოდიენ: არა ვიცოდით რა ქვეყნისა და ადამიანის გამო, ცბიერ-ბნელი ნათელ გვეგონა და ჩაგრულ-ნათელი ბნელი, ღმერთნი გვეგონა ნამდვილნი და ცრუი ყოფილან, ვინაითგან ნეტარმან ამან ჭეშმარიტი იესუის ძალით ანგვიხილნა თვალნი და დაგვანახა, რაი არს ჭეშმარიტი.

და კიდევ ყო სასწაული საკვირველი და განაქრო ზღვარნი და ლობენი მავთულისანი მოსკოვიის სამეფოის მიერ დაწესებულნი სოფელთა და ბაღთა შორის იბერთასასა, საიდანმე იტაცებიენ ჯარნი იგი სასტიკნი ურჯულოთა ამათ მოყმეთა მოსკოვიის მეფისათა გლეხთა იბერთასასა თვის სახლთათა და ეზოთაგან, და განაქრო ესე ზღვარნი და განაქრო ჯარნი ესე გამტაცებელნი, და იხარობიენ და ლოცავდნენ წმიდასა ამას ნეტარსა ნინოსა იქავ მოსახლენი გლეხნი შეჭირვებულნი გამტაცებელთა მოსკოვიელთა მიერ...

ხოლო მრავალთა მხრითაგან შემინებული იბერთა მეფე მირიან ჭმუნდა ფრიად და წაქეზებულმან იანუსისებრ სახეთასა ორთასა მოხელეთა და კერპთა ებისკოპოსთა მიერ მუქარითა შეუთვალა წმიდასა ჩუენსასა ნინოს: „რომლისა ღმრთისა ძალითა ჰყოფ შენ კურნებათა და სასწაულთა ამათ? გასწი სამეფოთასა ამას ჩვუენსასა, ვინაითგან სახიფათო ხარ მიწისა და წესისა ამისა ჩუენისასა – გიცქირნეთ თმენით და მივილენით მტერი სახითა შენითა, და აჰა, გაქუს შენ დღენი არა ორი და სამი, არამედ ერთი, რათა დაუტევო სახლი შენი მოსახლეთა ამათ იბერთა და წაღილო თავი შენი საზღვრისა ქუეყნისას ამას გარეთ, და თუ არა ქმნა ესე, დაიტეხოს რისხვაი იგი თავსა შენსა გაცისა და გაემისა ხელითა მეომართა უსაფრთხოებისა მეფისასა!"

და ვით ესმა სიტყვა ესე მეფისა მირიანისა ნეტარსა ნინოსა, არა შედრკა, არამედ მძლეობა შესთხოვა ღმერთა ჩუენსა იესუ ქრისტესა, რათა

შიში გასულიყო მისგან, ვინაითგან შიში ეშმაკისგან არს.

## 10. ორსახოვნება მეფისა მირიანისა

და აღდგა მეფე მირიან იგი განრისხული და განვიდა ნადირობად და იტყოდა:

„უნდა შური ვიძიო მათგან შეურაცხყოფისათვის ღმერთთა ჩემთასა და ჩემი შეურაცხყოფისა, ვინაითგან ალმაცერად მიმზერენ იგინი იანუსნი ორსახოვანნი მოხელენი და ებისკოპოსნი ჩემნი, და ურთიერთს ბჭობენ, თითქო უძალო და ულონო ვიყო, და აწ ნახონ, სად არს ზღუდეი იგი თმენისა და ვითარ ვარ მკაცრი!“

და ვითარცა განვიდა იგი მთასა ზედა თხოთისათა, ჟამსა სამხრისასა დაუბნელდა მას განგებულებითა ღმრთისაითა, ვითარცა იგი პირველ პავლედ ქცეულ სავლეს, და ხმობდა იგი მონათა მიმართ და მთავართა, ვითარმედ: „დაბნელდეს თუალნი ჩემნი, ხოლო თქუენ ხედავთა ნათელსა?“ ხოლო იგინი ეტყოდეს: „ბრწყინვალედ ვხედავთ ჩუენ ნათელსა მზისასა!“ რქუა მათ: „ევედრენით გაცსა და გაემს, რათა გამინათლონ მე!“ ხოლო ყოველნი იგი ერთობით ხმობდეს სახელსა მათსა და არარაი საგებელ ეყო მას – ვინაითგან მზეი არ იყო მათი ჭეშმარიტი და არცა ღმერთნი მათნი. მერმე მოეგო გონებასა და რქუა გულსა შინა თვისსა: „შეუვრდე ჯვარცმულსა ამას, რომელსა-იგი ქადაგებს უცხოი იგი დედაკაცი...“

და მაშინ ხმა ყო და რქუა:

– ღმერთო ნინოისო...

და ხმა ყო კიდევ უფრო ძრიელ:

– ღმერთო ნინოისო!

და მესამედ ენით უფრო ცხადად, რაიც მკაფიოდ და საჩინოდ ქმნიდა ენასა და სულსა და გონებას მისას, რომელი იგი განძარცული უნდა ყოფილიყო ნინოს ღმრთის მიერ ხავსისაგან ძველისა კერპებისა:

– ნინოს ღმერთო! გამინათე ბნელში მყოფი ჩემი სული...

და განათდა სული და გონება მეფისა, სძლია შიში იგი, აღიქვა გზანი იგი თვისი და სამეფოს ბედისა, იხილა წარსული და იხილა ბედი ნაქსოვი წარსულითგან, აღივსო სიმტკიცით, აღივსო ნებით, რომ არაირაი არს ძალა, რომელი ესე წარმავალ არს, და რომ ძალა წარუვალი არს ძალა იგი სიყვარულის და აქუდანვეა ძალა ბნელის შემუსვრის, და აღაპრნა ხელნი აღმოსავლეთით, ლაღად-ყო და რქუა: „ჭეშმარიტად, შენ ხარ ღმერთი ჭეშმარიტი და შენ ხარ ღმერთი ღმერთთაი და უფალი უფლებათაი... და მრწამს, რამეთუ გინებს ხსნაი ჩემი, და ამიერითგან თაყუანის ვსცემ პატიოსანსა ჯუარსა ამას“.

და შემდგომად ამისსა წარვიდა აღვსებული სიხარულითა და შემკული ქრისტეს სარწმუნოებითა და ვითარცა მიეახლა ქალაქსა მას სამეუფეოსა, წინა მოეგებოდა თვით დედოფალიცა ნანა, რომელი ესე იქმნა გაკვირვებულ წმინდასა ნინოს საქმეთა მიმართ და ვითარ შევიდა მეფე პალატად, რქუა: „სადა არს უცხოი იგი დედაკაცი, დედაი ჩემი, რამეთუ ღმერთი, რომელსა ქადაგებს, არს ჭეშმა...“

...თუმც სიტყვათა ამათ თქმისას დადუმდა, ვინაითგან იხილა მოხელენი და ებისკოპოსნი თვისნი ბოროტი მზერით, და განათლებულმან სულით სულსა ამათ შინა იხილა ზრახვა ბოროტი, და შეშინდა თვისითა, ცოლისა და შვილთა გამო, და თვის გულში დაიდვა პირობა: „არა ვიტყუი ღიად, რომ ვიხილე ჭეშმარიტება, ვინაითგან ამა მრავალთა მიმართ დაუცველი ვარ, ან კვლას განიზრახავენ ჩემსას, ან შეშლილად შემრაცხიან, და იქნება დაცინვა, და განდევნა, და მცირეთა ჩაგრულთა შორის ჩემი დატყვევება, არა მაქუს მე გამბედაობა იგი ქალისა ამისა მტკიცესი, ნინოსი, და მჭირდება მე დღენი არა ერთი და ორი, რომ არ მეშინოდეს მე მრავალთა და მერჩიოს ყოფნა მცირეთთა შორის, და გულში ვიყვნე ქრისტიანი და გარეთგან დავშთე კერპთაყვანისმცემლად, ვსცე უგულოთ პატივი გაცსა და გაემს, და უკეთეს დროებას ველოდო, რათა ცხადი ვყო, სად და რაი არს ჭეშმარიტი ღმერთი: ღმერთი ნინოისი“.

## 11. ნეტარისა ჩუენისა წმიდა ნინოს განდევნა ქართუელთა მიერ მათი მიწიდან

და ჟამსა ამის შემდგომ ბრძანებითაისათა მეფისა, რომელი ესე არ იყო ჯერათ მამაცი, ვით ნეტარი ქალი იგი ბრძენი და არ იყო მამაცი, რომ ცხადად ეყო მრავალთა ხალხთა წინაშე რწმენაი თვისი, განაძევეს და განაგდეს უსამართლოდ და უჭკუოდ და ძაგებით დედაი ჩვენი წმიდა ნინო ქართველთა სამეფოიდან, არ აღიღეს სიბრძნე, სინათლე და ძალაი იგი სიყვარულის მისი ჯეროვნად და კვლავად კერპთა თაყვანისმცემლად დარჩუნდნენ, განაგდეს ისრეთ, თითქო არც შემოსულიყო ჯავახეთსა შინა, არ განევლო გზა ფარავნის ტბიდან ვიდრე მცხეთამდე, და თითქო არ მოეხდინა მრავალი სასწაული ესე საკვირველი სიბლელისა ამის წინაალმეგ, და თითქო ჯუარი არ ეპყრნა ხელთ.

მაგრამ დარჩუნდნენ სამეფოში ფარულნი მისნი მოწაფენი, რიცხვით მცირენი, თუმცა ძლიერნი, ვითაითგან სინათლე და სიახლე იგი ღვთაებრივი ყოველთვის მცირეთაგან მოდის და არა მრავალთაგან, და ფარული მოწაფეი არს მისი დედოფალიცა ნანა, და რძალი მისი სალომე უჯარმად მდგომი, და პეროჟავრი სავანელი, და კახთა დედოფალი სუჯი და სხვანი არცთუ მრავალნი დედაკაცნი და მამაკაცნი, რომელნი ფარულად არიან ქრისტეანნი და დღენიადაგ წმინდისა ნინოს ხელახალ შემოსვლას ელიან ქართუელთა მიწაზე, საითგან სიცრუის ტრფობის ჩვეულების, სხვათა მსგავსთა სიძულვილის და მოყვასთა მიმართ რისხვის, გაყინულ სულთა, აზრთა სიმცირის და ახლისა ცხოურებისა მიმართ მხილებათა გამო გააგდეს...

და აი, მორწმუნენი ესე ფარულნი და შეჭირვებულნი, დღითა და ღამით ამას ილოცვიან:

„ნეტარო დედაო ჩვენო, წმინდა ნინო, როდის მოხუალ ჩუენს განსანათლებლად?“

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დაუჯერებელი ისტორია ბავშვზე, რომელიც ძაღლების ენაზე ლაპარაკობდა

*ლელა კოდალაშვილი*

„როცა პატარა ვიყავი, მყავდა მშობლები. და კიდევ, ბიძა და დეიდა. მერე ბავშვთა სახლში მიმაბარეს. შემდეგ ომი დაიწყო, ყველასთვის. ომის შემდეგაც მყავდა მშობლები. და კიდევ, ბიძა და დეიდა. ოღონდ არა იგივენი." – ასეთი უცნაური ინფორმაციით იწყება თამარ ხოსრუაშვილის მიერ ფრანგული ენიდან თარგმნილი და გამომცემლობა „აგორას" მიერ სულ ახლახან გამოცემული ჯოანა გრუდას რომანი... და მერეც, მთელი ტექსტის განმავლობაში, როგორც ძაფის გორგალი კატის თათებში, ისე იხლართება გმირის ცხოვრება ისტორიისა თუ ბედისწერის ხელში. ხოლო ავტორი მეთოდურად ხსნის ყველა კვანძს, აბამს ნაწყვეტებს, რომ ძალიან საინტერესო, თითქმის დაუჯერებელი ამბავი მკითხველამდე გასაგებად მოიტანოს.

ოცდამეერთე საუკუნეში, როცა საბჭოთა კავშირის რკინის ფარდა დიდი ხანია დამსხვრეულია და ათეულობით წლის წინ მომხდარი ისტორიული ამბები მრავალგზის გადაღეჭილია საინფორმაციო საშუალებებით, დოკუმენტური თუ მხატვრული ფილმებით, წიგნებით, ბროშურებით, სტატიებით, პოპულარული თუ სამეცნიერო კვლევებით, რაღა უნდა დაწეროს მწერალმა ისეთი, რომ მკითხველი დააინტერესოს. რაღა უნდა შექმნას მეორე მსოფლიო ომის თემაზე, რომ პირველივე გვერდებიდან ჯერ ოციან, შემდეგ ოცდაათიან და ორმოციან წლებში შეგითრიოს და მოგხიბლოს. პასუხს მარტივად გაგცემთ – მოგითხროთ ყველაფერი ბავშვის პირით, ბავშვის, რომელიც თავის ოთხიდან თხუთმეტ წლამდე ცხოვრებას მთელი რომანის მანძილზე გიყვებათ.

ცალკე საუბრის თემაა რომანის სიუჟეტი, რადგან დღევანდელ მკითხველს ორიგინალური ამბებით ველარ გააოცებ: ყველა ამბავი ხომ უკვე მოთხრობილია, ყველა საინტერესო სიუჟეტი კი – გამოგონილი, მაგრამ მე ვიტყოდი, რომ „ბავშვი, რომელიც ძაღლების ენაზე ლაპარაკობდა" – ესაა თითქმის დაუჯერებელი ისტორია, რომელიც, დარწმუნებული ვარ, გააოცებს თვით ყველაზე სკეპტიკოს მკითხველსაც კი. ავტორმა ემიგრანტი მამის რეალური ისტორიის რომანიზებული ვერსია




შექმნა. ესაა პოლონელი ებრაელის ამბავი, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დროს პატარა ბავშვი იყო და ჯერ პოლონეთში, მერე კი საფრანგეთში ცხოვრობდა – და ამბავი ებრაელი დედისა (რომელიც, თქვენ წარმოიდგინეთ, აქტიური კომუნისტიც იყო), რომელმაც მოახერხა და თვითონაც ცოცხალი გადარჩა და შვილიც გადაარჩინა ებრაელი ნათესავებისა და თანამოაზრეების, ან, სულაც, უცნობი ადამიანების წყალობით.



ჯოანა გრუდა თეატრის მსახიობი და მთარგმნელია. იგი პოლონეთში დაიბადა და ორი წლისა მშობლებთან ერთად გადასახლდა კანადაში, სადაც ამჟამად ცხოვრობს. წიგნში „ბავშვი, რომელიც ძაღლების ენაზე ლაპარაკობდა", მოგვითხრობს ნამდვილ ისტორიას მამაშისის პატარაობის შესახებ, რომელსაც გამორჩეული, საოცარი ცხოვრება ჰქონდა – ისეთი, როგორსაც ვერანაირი ფანტაზია ვერ გამოიგონებსო, აღნიშნავენ ჟურნალისტები. ესაა მეორე მსოფლიო ომის წინა პერიოდის ვარშავა, კომუნისტური პარტიის დევნა, პოლონელი და რუსი კომუნისტების ურთიერთობა სტალინის მმართველობის პერიოდში, მეორე მსოფლიო ომი, პარიზის ოკუპაცია, საფრანგეთის პროვინციებში დამალვა, ომის დასრულება, გათავისუფლება, დანგრეულ პოლონეთში დაბრუნება, სადაც ახლიდან უნდა ისწავლოს პოლონური ენა, რომელიც დიდი ხანია, დაავიწყდა. ეს არის ამბავი ბავშვზე, რომელმაც უამრავი სახელი და გვარი, გამოგონილი ბიოგრაფია, ოჯახი, საცხოვრებელი ადგილი გამოიცვალა, რომელიც პირველ რიგში იუმორის, საკუთარი მოხერხებულობის, თვითგადარჩენის ინსტინქტის და ზოგჯერ, უბრალოდ, შემთხვევითობის მეშვეობით გადარჩა ცოცხალი. „ერთ-ერთი განგაშის დროს, მე და რამდენიმე ჩემი კლასელი ჩუმად გავიპარეთ და მდინარე მარნში ჩავხტით. აღარ გვეშინოდა, გამოცდილებამ გვაჩვენა, რომ დაბომბვისას მხოლოდ სხვები კვდებოდნენ." აი, ესაა ბავშვური ლოგიკა, რომელსაც თითქმის ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვაწყდებით რომანში. ბიჭუნას პოზიციიდან აღქმული დიდების სამყარო, რომელიც ჯერ კიდევ გასულ საუკუნეებში არაერთმა დიდმა მწერალმა აღწერა, ამ წიგნში მაინც ამოუწურავად საინტერესო და სასაცილოა.

წიგნში ბავშვის თვალით დანახული ისტორიული მოვლენები არანაკლებ საინტერესოა. კითხულობთ და ელოდებით, როგორია მეორე მსოფლიო ომის შეულამაზებელი, მიუკერძოებელი რეალობა, რომელზეც არ ლაპარაკობდნენ საბჭოთა კავშირის დაშლამდე. და მერეც, დაშლის მერე თვალსაზრისთა უსასრულო კასკადს თითქოს მხოლოდ ბავშვის თვალი აკლია. და აი, ეს თვალი ამ რომანში, რომელიც საოცარი, წარმოუდგენელი ჭუჭრუტანებიდან იყურება და ჩვენც იქიდან ვხედავთ ყველაფერს. არც კი იფიქროთ, რომ სადმე ერთი მოსაწყენი წინადადება მაინც გამოერევა. ყველაფერი ცოცხალი და ხალისიანია. თითქოს ტრაგიკულ მოვლენებს კი არა, თამაშის ამბებს აღწერდეს. და წიგნშიც, სად იწყება ბავშვური თამაშები და სად რეალური ამბები, შეიძლება, ერთმანეთშიც კი აგერიოთ.

და მოჰყვე ამ ყველაფერს ისე, რომ არ გააღიზიანო მსოფლიოს არცერთი მოქალაქე, არცერთი ქვეყანა, თან ისე, რომ ილაპარაკო ესპანეთის ომზეც, ინგლის-საფრანგეთის მოვლენებზეც, ახლო ხედით აღწერო გერმანელი ნაცისტები, მოჰყვე დაბომბვაზე, სისხლზე, შიმშილზე და არ ჩაგიქრეს იმედის ცეცხლი, გაიარო უმძიმესი ბავშვობა, ფაქტობრივად მაწანწალის ცხოვრება, ოღონდ არა ქუჩაში, არამედ ჭერქვეშ, რადგან რომანის წაკითხვის შემდეგ მიხვდებით, რომ შეიძლება ჭერიც გქონდეთ, საჭმელიც, მზრუნველი ადამიანებიც გყავდეთ, მაგრამ ყველაფერი ეფემერული, არასტაბილური, ქარივით მქროლავი იყოს, ხან სად და ხან სად რომ ახერხებს შენს მიგდებას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებსა თუ რეგიონებში

ჯოანა გრუდა კომიკოსი მსახიობია და სხვადასხვა დროს სხვადასხვა თეატრებში თამაშობდა, მუშაობდა აგრეთვე ჟურნალისტად, რედაქტორად, მთარგმნელად. „ბავშვი, რომელიც ძაღლების ენაზე ლაპარაკობდა", მისი სადებიუტო რომანია. ამ ქალის ბიოგრაფიას რომ ეცნობით, გაიფიქრებთ, რომ ერთი შეხედვით, საქმე მოყვარულ მწერალთან გაქვთ, რომელმაც რატომღაც ათას სხვა საქმესთან ერთად ერთხელაც აიღო და წერაშიც მოსინჯა თავი. მაგრამ მისი რომანი იმდენად დასრულებული მხატვრული ნაწარმოებია, რომ ავტორის დებიუტანტობას ვეღარც კი იჯერებთ. არ ვიცი, ვინმე მკრეხელობად ჩამითვლის თუ არა ამ პარალელს, მაგრამ ჯოანას რომანმა დანიელ პენაკის „კამოს თავგადასავალი" გამახსენა, რომელიც სწორედ გამომცემლობა „აგორამ" გამოსცა ახლახან და მეც მომეცა საშუალება, წამეკითხა. მხოლოდ „კამო" კი არა, შეუძლებელია, არ გაგახსენდეთ ზოგადად, პენაკის იუმორი, თხრობის ძალიან უშუალო, მარტივი და იმავდროულად რთული მანერა – მოჰყვე ამბავს ბავშვის პირით, როგორც ეს თუნდაც მის „სკოლის სევდაშია". მაგრამ ჯოანა გრუდას პერსონაჟი ბიჭუნა არავის არ ჰგავს. ის სულ სხვა ინდივიდია. სულ სხვა ბავშვური ხედვით, სხვა გამძლეობით, გულწრფელობის ხარისხით და ცხოვრებით.

პატარა იულეკი პოლონეთში, დედ-მამასთან იზრდება. უფრო სწორად, მას ჰგონია ასე. სინამდვილეში მამიდის და ბიძის სახლში ცხოვრობს. ნამდვილი მშობლები კი სტუმრად მოდიან ხოლმე და თავს მის ბიძად და დეიდად ასაღებენ. გარკვეული პოლიტიკური სიტუაციის გამო მდგომარეობა ირევა და უფროსები იძულებულნი არიან, ბავშვი პოლონეთიდან საფრანგეთში წაიყვანონ და ბავშვთა სახლში დააბინაონ, თან გაუმხილონ, თუ ვინაა მისი ნამდვილი დედ-მამა. ბავშვს ჰგონია, რომ ქალი, რომელიც თავს მის დედად ასაღებს, მისი გამტაცებელია და პოლიციელებთან კონტაქტს ცდილობს. თუმცა ნელ-ნელა ეგუება ბედს, მაგრამ ეს ისტორიის დასაწყისია. მალე მას სახელისა და გვარის შეცვლა მოუწევს და სხვაგან გადაბარგებას უბრძანებენ. იულეკს ცხოვრება ბროუნის მოძრაობის პრინციპით აფარფატებს, სამყაროს ახლის და ახალ-ახალ განსაცდელს უვლენს. და ეს ყველაფერი ხდება ბავშვის და შემდეგ მოზარდის ყველაზე რთულ ასაკობრივ პერიოდებში. ყველაფერს რომ თავის დავანებოთ, ახალ, უფროსების მიერ გამოგონილ „სახელებსა" და „გვარებს", ახალ „ოჯახებს", ახალი „და-ძმების" და „მშობლების" ვინაობების დამახსოვრებას ვეღარ აუდის. მაგრამ ვერაფერს ხდება. პოლონელი ებრაელები იდევნებიან. კომუნისტი მამა ციხეშია, დედა აქტივისტის პოზიციას ინარჩუნებს და ცდილობს, შვილი, რომელსაც წესიერად არც კი იცნობს, როგორმე ცოცხალი გადარჩეს.

იულეკი არაჩვეულებრივი ბავშვია. ის არასოდეს კარგავს იუმორის გრძნობას, საოცრად მალე ახერხებს, ადაპტირდეს ახალ გარემოსთან და ადამიანებთან. ის აღწერს ომის ისეთ ნიუანსებს, რომელთა აღწერა უფროსებს აზრად არ მოუვათ. ის იძულებულია, ითამაშოს სხვადასხვა პიროვნების როლი, მაგრამ როცა არაა ვალდებული ეს გააკეთოს, ის მაინც თამაშობს. ის ხან პარტიული აქტივისტია, ხან გაფიცულთა წევრი, ხან თავგადასავლების მაძიებელი ხულიგანი, ხან ქურდბაცაცა, რომელიც ბაღებიდან ყვავილების ბოლქვებს იპარავს, რათა თავისი პატარა ბაღჩა ააყვავოს.

248 გვერდის მანძილზე თქვენს წინაშე მხოლოდ მისი თვალით დანახული მეორე მსოფლიო ომი ცოცხლდება. ეს თავგადასავალი საოცარი მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება გადარჩე დაუჯერებლად მძიმე პირობებში. ის რევოლუციის შვილია. მისი დაბადებაც კი კენჭისყრას უკავშირდებოდა პარტიულ კრებაზე, სადაც დედამისს ნება დართეს, არ გაეკეთებინა აბორტი და იულეკი გაეჩინა. ის ნამდვილი საიდუმლო აგენტია, ასე არამარტო ჰგონია, რეალურადაც ასრულებს ერთ საიდუმლო დავალებას. სიფრთხილეს კი პროფესიონალი აგენტივით იცავს. ერთხელ ერთი აქტივისტი საიდუმლო წერილს გაატანს კონსპირაციულ ბინაში ერთი კონკრეტული ადამიანისთვის გადასაცემად, მაგრამ იულეკი უკან გამობრუნდება. „არ გადაეცი კონვერტი? – არა, ჩავთვალე, რომ სჯობდა არ მიმეცა. – რატომ? – ის კაცი, რომლისთვისაც კონვერტი უნდა მიმეცა, მარტო არ იყო. შენ კი მეორე კაცზე არაფერი გითქვამს. ჰოდა, ვიფიქრე, რომ ეს მეორე შეიძლება პირველის გამოჭერას ცდილობს-მეთქი და უკან გამოვბრუნდი. ის მეორე კაცი როგორ გამოიყურებოდა? – მაღალი იყო, უფრო შავგვრემანი, ჭაღარა წვერით. ძალიან სუფთად ეცვა. ჟენევიევი არაფერს მპასუხობდა. შევშფოთდი, იმედი ხომ არ გავუცრუე-მეთქი. ბოლოს, გადაიხარხარა და გულში ჩამიკრა. – ნამდვილი მებრძოლი ხარ, ჩემო ჟიულო. ძალიან კარგად მოიქეცი. მაგრამ ის მეორე ბატონი იმიტომ იყო მისული, რომ ეს კონვერტი აეღო. ახლა თავიდან ნადი და მიუტანე, ოღონდ სირბილით."

განსაკუთრებულია ის, რომ წიგნის ავტორი ქალია, ხოლო მთავარი პერსონაჟი, იულეკი კი პატარა ბიჭუნაა და თხრობა პირველ პირში მიმდინარეობს. ავტორის ამოცანაა, წიგნმა ზედმიწევნით აღადგინოს არამარტო ისტორიული მოვლენები, არამედ გმირის ხასიათი. ალბათ ძალიან რთულია, საშუალო ასაკის ქალი რამდენიმე წლის ბიჭუნად გარდაისახოს, მაგრამ ის, რომ გრუდე უბრალოდ ბიჭუნად კი არა, საკუთარ მამად გარდაისახება, ეხმარება მას, რესტავრაცია გაუკეთოს ათეულობით წლების წინ მცხოვრებ ადამიანს, რომლის მეხსიერებაშიც ახლა ძალიან ცოტა თუა შემორჩენილი მისივე ძველი თავისგან. ალბათ მხოლოდ ასეთი პირადი სიახლოვე მამის ხასიათთან და მასში გამოტარებულ ისტორიებთან დაეხმარა ჯოანა გრუდას. დაეხმარა-მეთქი, ვამბობ, რადგან ძირითადი ღირსება მისი მწერლური ოსტატობაა. არ ვიცი, როგორ ჟღერს რომანი ფრანგულად, მაგრამ ვფიქრობ, რომ თუ თარგმნილ ტექსტს მეორე ენაზე იუმორი, სარკაზმი და ფრაზეოლოგიური გონებამახვილობები უხვად გადმოაქვს, ესე იგი, საუკეთესო თარგმანია. თამარ ხოსრუაშვილმა კიდევ ერთი მასტერკლასი გვაჩვენა. ამჯერად სრულიად სხვა ჟანრში. ცალკე უნდა აღინიშნოს გამომცემლობა „აგორას" საქმიანობა. სხვა გამომცემლობები თუ აქცენტს ბესტსელერებზე, გაპიარებულ გვარებზე აკეთებენ, „აგორა" ხშირად ქართველი მკითხველისთვის სრულიად უცხო ავტორს თარგმნის, რომელიც ადამიანს საშუალებას აძლევს, ჯერ ერთი, ერთგვარ მსოფლიო სნობურ ფერხულში არ იყოს ჩაბმული, სადაც ყველა ერთი და იმავე მწერლითაა აღფრთოვანებული, და მეორე – აღმოაჩინოს, რომ გაპიარებული სახელების იქით შესაძლებელია, გამორჩეული მწერლების აღმოჩენა და შეყვარება. მე ვფიქრობ, ჯოანა გრუდა სწორედ ასეთი მწერალია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 6 ახალი თარგმანები

## წიგნიდან „ბებერი ოპოსუმის წიგნი კატათა ნაირსახეობის შესახებ"

*ტომას სტერნზ ელიოტი*




**გუსი – თეატრის კატა**

გუსი კატაა, ხშირად ნახავთ თეატრის კართან,
და, თუ არ ვცდები, მითქვამს ადრეც: ამ ბებერ კატას
ასპარაგუსი ჰქვია ისე, მაგრამ რებუსის
თავი ვისა აქვს?! დავუძახოთ უბრალოდ გუსი.

ფერდებჩაცვენილს სიგამხდრისგან, ქათიბით ქაჩალს,
ძველი დამბლისგან სამახსოვროდ ცახცახი დარჩა.
სიჭაბუკეში ცეცხლს აფრქვევდა, ახლა კი მისხლად
არ მოგაგონებთ ვირთაგვების უწინდელ რისხვას.

ეჰ, ალარ არის ის, ვინც იყო, იცის თვითონაც,
თუმც, როგორც ამბობს, ერთ დროს მასზეც კატა ითქმოდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და თუკი კლუბში (მეზობელი ლუდხანის უკან)
მეგობრებს ხვდება, რათა ერთად გატეხონ ლუკმა,

ის გაიხსენებს, თუ ვინმე სხვა უმასპინძლდება,
დროს, როცა ყველას პირს ეკერა მისი  დიდება,
რომ მსახიობი ბრძანდებოდა უმაღლეს ლიგის,
რომ თამაშობდა თვით ირვინგთან და თრისთან იგი,

რომ დიდ სცენებზე წარმატება ჰქონდა ისეთი,
„გელერიმ" შვიდჯერ გააბრუა კატპლოდისმენტით.
მაგრამ მთავარი მისი როლი – რაც იქცა ზღაპრად –
იყო აფერუმაფერისტი – აფრათაზაფრა.
იტყვის: ვფიცავ, თუ ვამატებდე ანდა ვაკლებდე –
სამოც მონოლოგს წყაროსავით ვარაკრაკებდი.
ფრთიან რეპლიკებს ყოველ მხარეს ვფანტავდი უხვად
და ბნელ სცენაზეც არასოდეს მოვჩანდი რუხად.

ვათამაშებდი მრავლისმთქმელად კუდს და ხერხემალს,
არ მღალატობდა არც გუმანი, არც მოხერხება.
სალი კლდის გულსაც დავადნობდი ჩემი აქცენტით
და თუნდ მცირე როლს უცებ მთავარ როლად ვაქცევდი.

ეს მე ვეჯექი სასთუმალთან საბრალო ნელის,
მე ჩამოვკარი ზარი, ომის მაუწყებელი.
არც პანტომიმის სეზონებზე ვწოლილვარ ზანტად –
უიტინგტონის მე შევცვალე ცნობილი კატა.
მაგრამ მწვერვალი ჩემი ნიჭის – ტაში და დაფნა –
იყო აფერუმაფერსიტი – აფრათაზაფრა.

მერე, თუ ვინმემ უწყალობა ჩარექა ჯინი,
მოყვება, როგორ გაიბრწყინა ერთხელ „ისტ ლინის"
დადგმაში. როგორ დაამშვენა დრამა შექსპირის,
რომელშიც კატას ეფერება მთავარი გმირი.

უთამაშია ვეფხვიც – მხეცი გაუგონარი –
წყალსაცავში რომ ჩაიტყუა მისტერ მორანი.
ჰყვება იმასაც, როგორ გაჰყვა უწვრილეს ბაწარს,
გადაარჩინა თოთო ბავშვი ხანძარში დაწვას.

აგრძელებს ოხვრით: „მსახიობის ძველი ზნეობა,
წაილო იმ დრომ, ვიქტორია როცა ზეობდა.
თანამედროვე კნუტი უკვე მცირედით ხარობს,
რგოლში თუ გახტა, ტაშს უკრავენ – არტისტი ხარო".
თან ბრძნულად მსჯელობს, თანაც იფხანს – სხეული ეწვის:
„აფსუს, დაკარგა ახლანდელმა დადგმებმა პეწი.
თეატრი, უწინ რომ ყვაოდა, უკვე სულს ლაფავს,
მას ულიმღამო არტისტებიც უთხრიან საფლავს
ან ვის ეყოფა ახლა ვნება
თუ ხელოვნება,
შექმნას აფერუმაფერსიტი აფრათაზაფრა."

ელექტრონული
ბიბლიოთეკა

## ᲑᲐᲡᲢᲝᲤᲔᲠ ᲯᲝᲜᲡᲘ – ᲥᲐᲚᲐᲥᲔᲚᲘ ᲙᲐᲢᲐ

ბასტოფერ ჯონსი, რომ იტყვიან, იხრჩობა ქონში,
ზედვე ეტყობა, რომ არ უწევს მარხვის ატანა.
მომლხენს და გამრთობს, რვა-ცხრა კლუბი უღებს კარს ფართოდ,
რამეთუ იგი სენტ ჯეიმსის ქუჩის კატაა!
თავს ვუკრავთ ყველა მოწიწებით, როდესაც რწევით
ჩაივლის ქუჩას შავ პალტოში გამოკვართული.
უბრალო ცინდლებს თვალს უყენებს მისი წინდები
და თავდაჭერა მედიდური და დიდკატური.
მთელ სენტ ჯეიმსზე უკეთეს დოსტს ვერსად შეიძენ,
ვიდრე ის არის – საკატეთის დენდი და ბოსი –
ჩვენც გულს გვიფონავს, უფრო მეტიც – თავსაც გვექონავს,
თუნდაც მცირედი ყურადღება ბასტოფერ ჯონსის.

ერთ-ორჯერ თვეში კლუბ „უმაღლეს სასწავლებელში“
თავჩაღუნული ის უკანა კარიდან შედის,
რადგანაც ნებას – დაეწაფოს იქ განათლებას –
არ აძლევს წესი „სიბრძნის სკოლის“ მუყაით შეგირდს.
იმავ განრიგით ნადირობის სეზონზე იგი
არ სწყალობს „მწევარს“, „დათვის თათის“ შესასვლელს ეძებს;
თუ სურს, რომ გულით მოილხინოს, „თეატრს და კინოს“
ესტუმრება და მუსრს გაავლებს ხამანწკის კერძებს.
მყვირალობისას მიაკითხავს „გულად მოისარს“
და ირმის ნეკნებს გაადინოს ნვენი ეგება,
მერე შეუვლის „მამალ ფუტკარს“, ერთ-ორს ჩაურტყამს
და შუაღამეს ვალმოხდილი შეეგებება.
თუკი იჩქარის, ესე იგი ინდური კარით
უმასპინძლდება „სიამი“ ან „მოთხვრილი დინგი“
და შუბლს თუ არ შლის, ესე იგი „ცივ აკლდამაში“
აკმარეს გუფთა, კომბოსტო და ბრინჯის პუდინგი.

ამგვარი დენით ბასტოფერის ცხოვრების დღენი
ილევა ხან ერთ, ხან მეორე კლუბში ტლიკინით,
და არ გადავთქვამ, თუ ვიტყვი, რომ ასე თვალდათვალ
ის იბერება და მრგვალდება სავსე ტიკივით.
უკვე გადასცდა თხუთმეტ კილოს, სულო ცოდვილო,
და ეგ რა არის?! ჭამას უფრო უმატა, ვფიცავ,
თვითონ კი გვიტევს: „ასე კოხტა შემოვრჩი მიტომ,
რომ კვების რეჟიმს სიყრმიდანვე ბეჯითად ვიცავ.“
„წყალს კი არ ვნაყავ, სიკვდილამდე დრო ასე გამყავს,“ –
ეს სიტყვებია კატათაგან ყველაზე სქელის.
და იცის ჯონსმა, ვიდრე თეთრი წინდები მოსავს,
მის გამოჩენას, ვით გაზაფხულს, პელ-მელი ელის.

*ინგლისურიდან თარგმნა ანი კოპალიანმა*

*ᲬᲘᲒᲜᲘ ᲡᲠᲣᲚᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲘᲪᲔᲛᲐ 2019 ᲬᲚᲘᲡ ᲑᲝᲚᲝᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝᲑᲐ „ᲘᲜᲢᲔᲚᲔᲥᲢᲘᲡ“ ᲛᲘᲔᲠ*

# ხელები

ეროვნული ბიბლიოთეკა

*დაჩა მარაინი*

*იტალიელი მწერალი, პოეტი, ესეისტი, დრამატურგი და სცენოგრაფი **დაჩა მარაინი** „სამოციანელების თაობას“ მიეკუთვნება. დაიბადა ქალაქ ფიესოლეში, 1936 წლის 13 ნოემბერს. მამა ტოსკანელი მწერალი და ეთნოლოგი ფოსკო მარაინი იყო, დედა კი პალერმოელი მწერალი და არისტოკრატიული ოჯახის შვილი ტოპაცია ალიატა.*

*დაჩამ ბავშვობა ოჯახთან ერთად იაპონიაში გაატარა (1939-1945 წწ.). ეს წლები მისთვის უმძიმეს პერიოდად ითვლება, რადგან ოჯახი ტყვეთა ბანაკში მოხვდა და ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის მსხვერპლი გახდა, რომ არაფერი ვთქვათ შიმშილზე. მიუხედავად ყველაფრისა, მწერალი იაპონიას მაინც არ იხსენებს სიძულვილით. იქ გატარებულ პერიოდს მან არაერთი ჩანაწერი, ლექსი, მოთხრობა და რომანი მიუძღვნა. განსაკუთრებით აღსანიშნავია 2001 წელს დაწერილი რომანი „გემი კობეს მიმართულებით“, რომელშიც დიდი ემოციით გვიხატავს ბავშვის თვალით დანახულ და აღქმულ სისასტიკეს. იტალიაში დაბრუნებისას მათ ჯერ სიცილიაში, დედის მშობლებთან, იცხოვრეს, მერე კი რომში გადავიდნენ. ყველაფერი ეს კარგადაა მოთხრობილი რომანში „ბაგერია“.*

*1972 წელს დაჩა მარაინიმ მაგდალენას თეატრი ჩამოაყალიბა, რომელშიც მხოლოდ ქალები მუშაობდნენ. მწერალს სამოცზე მეტი თეატრალური ნაწარმოები აქვს დაწერილი, რომლებიც ცნობილია არამარტო იტალიაში, არამედ უცხოეთშიც. სწორედ თეატრში მუშაობისას გაიცნო მან ცნობილი იტალიელი მწერალი ალბერტო მორავია. მათ შორის წარმოქმნილი სიყვარული უზარმაზარი იყო. მათ 20 წელი ერთად იცხოვრეს.*

*შთამბეჭდავი შემოქმედებისათვის დაჩა მარაინის არაერთი პრემია და სიგელი გადაეცა. მას ეკუთვნის რომანები „მტრედი“, „სამყაროს თამაში“, ბოლო ღამის მატარებელი“, მოპარული სიყვარული“, „გოგონა და მეოცნებე“...*

*2016 წელს დაჩა მარაინის ქალაქ არონას საპატიო მოქალაქის წოდება მიენიჭა. სწორედ, ამ ქალაქში ეწყობა ყოველ წელიწადს თეატრალური და ლიტერატურული ფესტივალი, რომელსაც თავად მწერალი ხელმძღვანელობს. 2018 წლიდან ის სათავეში უდგას პალერმოს სამეცნიერო კომიტეტს და არის ლიტერატურული ჟურნალის „ახალი არგუმენტები“ პასუხისმგებელი ხელმძღვანელი. გარდა ამისა, ვეგეტარიანელია და საჯაროდ გამოდის ცხოველთა უფლებების დასაცავად.*



ნოემბერი. ოთხშაბათი
მოხარშული კარტოფილი და კვერცხი. ჯერ
კიდევ შუა კვირაში ვართ და სახლში ერთი ლი-
რაც არ გვაქვს. ამ ღამით ინდაური მესიზმრა,
აქეთ-იქით დარბოდა და ფრთებს აფართხუნებდა.
მერე მუცელი გადაეხსნა და ციდან წაბლები გად-
მოცვივდა. პირს ვაფჩენდი, მაგრამ ვერცერთის
მოხელთებას ვერ ვახერხებდი. ნახევარი საათის
შემდეგ ასე პირდაღებული რომ ვიდექი და ყბებიც
ამტკივდა, როგორც იქნა, კბილებს შორის რაღაც
მოვიქციე; შევხედე, მძღნერის ბურთი იყო.
პარასკევი
ბულიონის უგემური კუბები და წვრილი მა-
კარონი. სახლში სხვა არაფერია. ტანო ჩივის, სი-
ცივეა და ცხიმები მესაჭიროებაო. ხვალ ფაშვს
გავუკეთებ წვენში. ჯორჯო ამბობს, ტანო სულე-
ლიაო, ტანო კი – ჯორჯო ტვინის ნამლებიაო.
ამასობაში მარტა მირეკავს. წავიდეთ კინოში?
არ ვიცი, რა უნდა. მაგრამ რაღაცის თქმას კი
აპირებს.
შაბათი
ხელფასი. ტანოსთვის ბატკნის ხორცი და
ფაშვი ვიყიდე; ყასაბსა და მეპურეს თანხა მივეცი,

სინათლე და გაზი გადავიხადე. ორი ათასი ლირა დამრჩა და მომავალ შაბათამდე უნდა ვიმყოფინო. მარტა მირეკავს, ჯორჯო სად არის? მე რა ვიცი, ჯორჯოს მეთვალყურე კი არ ვარ! ტანოსთან ერთად იქნება სადმე წასული. საბედნიეროდ, ფაბრიკაში სიცხეა. ცუდი სუნიცაა, მაგრამ ხუთი წუთის შემდეგ ვეჩვევი. ახალი ფეხსაცმელი უნდა ვიყიდო.

კვირა

გვიანობამდე მძინავს. როგორც კი ვიღვიძებ, ტანოს სექსი უნდება, მაგრამ დილაობით არ მსიამოვნებს. საღამოს კი, როცა მე მინდა, მას აღარ უნდა. ლობიო და კარტოფილი, ცოტა ზეთიანი თევზი. ტანო ამბობს, სიცივეაო. ცხიმიანი ხორცი უნდა. უამრავი პერანგი მაქვს გასარეცხი, მაგრამ კვირაობით ძილი მირჩევნია. საუზმის შემდეგ ისევ ლოგინში. ტანო წავიდა. მე ვიძინებ. თეთრეული უნდა გამოვცვალო, სუნი ასდის უკვე.

ოთხშაბათი

ჯორჯომ დამირეკა და მითხრა, მე და მარტა ვქორწინდებითო. ჰოდა, ძალიან კარგი! ფაბრიკაში საქმე ცუდადაა. გაფიცვის მოწყობას ფიქრობენ. სამუშაო კამერის უფროსისგან გავიგე, ახლა გაფიცვის დრო არ არისო. ყველა გაგიჟდა! შიდა ხელმძღვანელობამ განცხადება ჩამოაკრა. არც კი წამიკითხავს.

პარასკევი

ჯორჯომ დამირეკა, ტანო ჩემი მეგობარი აღარ არისო. იჩხუბეს. როგორ შეიძლება მათ შორის მეგობრობა არსებობდეს, როცა ერთს სალონი აქვს და მეორე უმუშევარია?! სამი დღეა, უკვე აღარაფერს ვჭამთ. ტანო ჩამაცივდა, სესხი გამოიტანე, სესხი გამოიტანეო. მაგრამ ვინ მომცემს?! ყასაბმა უარი მითხრა, ჯერ წინა თვის ანგარიში დაფარეო.

კვირა

ფაბრიკაში გაფიცვაზე ლაპარაკით თავი გამიხეთქეს უკვე. რაღა უნდათ?! ორშაბათს შიდა გამგებლობის კრება იქნება. ამასობაში, ორი დღეა, კუჭიდან ვერ ვმოქმედებ. რა გასაკვირია, იმდენ კარტოფილს ვჭამ!

სამშაბათი

წერილი მივიღეთ, ტანოს მამა კვდებაო. ტანო კალაბრიაში გაემგზავრა. მგზავრობის ფული ჯორჯომ ასესხა. როდის დაბრუნდები? ამბობს, არ ვიციო; ჰო, მაინც აქ ვინ მუშაობს?! თვითონ არა, რა თქმა უნდა. ამბობს, სამსახურს იმიტომ ვერ ვშოულობ, რომ უმუშევრობააო. მაგრამ ამასობაში, ცოლს კი არჩენინებს თავს. გუშინ სამასი გრამი ყაბაყი მოვიხარშე, მაგრამ არაფერი. მუცელი მაინც დოლივით მაქვს გამაგრებული.

ოთხშაბათი

როგორც იქნა, ამ დილით უნიტაზზე ვარ. მეგონა, ხუთ ფუთს მაინც ვიზამდი და გავთავისუფლდებოდი. ფაბრიკაში ყველაფერი ცუდად მიდის. ერთმანეთს ვერ უთანხმდებიან. სინდიკალისტები ჩხუბობენ და ჩვენც მივჩერებივართ. ერთმა გამცემიც კი მინოდა. წადი, შენი-მეთქი! — გულში ვუთხარი. სასადილოში ჩემ გვერდით იჯდა. ახალი ვინმეა, მსუქანი და ქერა. თექვსმეტი წლისაა. გასასვლელში ვის ვხედავ? ჯორჯოს. ორმოცდახუთწრიან ვინილის დისკს მჩუქნის. სიმღერით -„მე შენ ყოველთვის მიყვარდი". რაღაც უნდა ალბათ მითხრას? მე გრამოფონიც კი არ მაქვს. თქვა, ჩემსაზე შეგიძლია მოისმინო სალონშიო. ტანოსი არაფერი ისმის. არავინ იცის, როდის დაბრუნდება.

დეკემბერი. ორშაბათი

მარტა მირეკავს, სადილზე შენთან მოვალო. მაგრამ არ ვიცი, რა შევთავაზო. სახლში არაფერი მაქვს. ამბობს, ყველაფერს მე მოვიტანო. ჰოდა, ძალიან კარგი! მოდის და მოაქვს კვერცხები, ერთ ტუბი მაიონეზი და სამი პატარა ვარდი. ოჰ, რა დახარჯულა! მალე ჯორჯოც მოდის. სამივე ერთად ვჭამთ. [illegible] ცოტა გვქონდა. ვახშმის შემდეგ [illegible] დალია. მე ეს სასმელი მეზიზღება. მერე ლოგინში. სამივე ერთად, რა თქმა უნდა. ვიცოდი, ასე რომ დამთავრდებოდა. კმაყოფილება ვერ ვიგრძენი. მარტა ღერძივითაა გაშეშებული, ჯორჯო კი ძალას ხმარობს. შუაღამის დადგომამდე ორივე გარეთ გავყარე.

სამშაბათი

ფაბრიკაში გაფიცვაზე ლაპარაკობენ ისევ. მეცინება. წლის ბოლოს წასვლას ვაპირებ მაინც. სად ჯანდაბაში მიდიხარ? ტანომ მკითხა. ეშინია, სამსახური რომ დავკარგო და ველარ ვაჭამო. მანიკური მინდა ვაკეთო. მაგ ხელებით?! ხელები დაზიანებული რომ მაქვს, ჩემი ბრალი არაა. გამოდის, მუშაობისას ხელთათმანები უნდა ჩავიცვა. მანიკურის კეთებაზე მოუმნიფებლად ლაპარაკობო, მეუბნება. ვის აინტერესებს ერთი! პროფესორობა კი არ სჭირდება მანიკურს.

ოთხშაბათი

ტანო დაბრუნდა. სახეზე შავი ფერი ედო, იმიტომ, რომ მამამისი არ მოკვდა. მაგრამ რისი იმედი გქონდა? კი იცი, ერთი ლირაც რომ არა აქვს. გაბრაზებულია. არც კი მპასუხობს. არ ვამტყუნებ, ისე. დაურეკეს, სასწრაფოდ ჩამოდი, მამაშენი კვდებაო და სიმართლე არ ყოფილა. ტანო ამბობს, მამაჩემს დანაზოგი ფული აქვსო. მაგრამ რამდენი? ეს აღარ იცის.

პარასკევი

დღეს ჩემს სამუშაო ნაწილებს ქანჩის ექვსი საყელური აკლია. საამქროს უფროსი ისე მიყურებს, თითქოს მე მომეპაროს. ლანფრანკონისთან წადიო, მეუბნება. ლანფრანკონისთან კი ვიყავი, მაგრამ მათი გამოშვება არაა. პროდუქცია ვინ შეუკვეთა? მოკლედ, ერთი ოფისიდან მეორეში მაგზავნიან. ბოლოს, ნინოსთან დავბრუნდი, რომელმაც ამასობაში სხვა საყელურები იპოვა. ორმოცდახუთი წუთი დავკარგე, რისთვისაც ხელფასიდან ჩამომაჭრიან. ეს ნაძირლები!

შაბათი

ხელფასი ავიღე. დაქვითვების შემდეგ ცხრა ათასი ლირა დამრჩა. ფაბრიკაში თქვეს, ყველა თანახმა ვართ დირექტორის ქალიშვილის საქორწინო საჩუქრისთვის თანხის ასაკრეფადო. ვის რაში აინტერესებს ერთი დირექტორის ქალიშვილი?! მე არც არასოდეს მითქვამს, თანახმა ვარ-მეთქი; მაგრამ ფული მაინც წაიღეს, დამაკლეს. მუშების ინიციატივა. ჯანდაბა! ყასაბსა და მეძეხვეს ფული უნდა მივცე. წინა თვის ბინის ქირა უნდა გადავიხადო. ჯორჯო მირეკავს, ტანო ისევ თუ მიემგზავრებაო. შენი სიამოვნებისთვის კი არ წავა. რა სულელია! რომ არ მაწუხებდეს

მასთან ვალში ყოფნა, სალონში სამუშაოდ აყვანას ვთხოვდი. ფაბრიკაში თავს კარგად არ ვგრძნობ. მარტა, მაგალითად, მანიკურს აკეთებს. მაგრამ მე კი ვიცი, არაფერი რომ არ გაეგება. და რა სჭირდება ერთი ასეთი ამ მანიკურს?!

კვირა

ხახვში ჩაშუშული ბატკნის ხორცი გავაკეთე. ტანომ თითქმის მთლად შეჭამა. მე კი მშიერი დავრჩი. მერე ჯორჯო და მარტა მოვიდნენ. განვიხილეთ, თუ რომელი მეთოდი იყო უკეთესი ბაყაყის მომზადებისთვის.

სამშაბათი

მე რომ მივდივარ, ტანოს სძინავს. ის თერთმეტი საათისთვის დგება და სასეირნოდ მიდის. ამბობს, სამსახურს ვეძებო, მაგრამ ვერ მომატყუილებს. აქეთ-იქით დადის მხოლოდ. ელოდება, რომ ვინმემ გააჩეროს და უთხრას: ბოდიში, თქვენ ჩემთან მუშაობა და ტომარა ფულის შოვნა ხომ არ გინდათ? კალაბრიიდან არაფერი ისმის. მამამისი ორი წელია, კიბოთი არის ავად და სიკვდილს მაინც არ აპირებს. ჯორჯო ჩემ წასაყვანად ფაბრიკის გასასვლელთან მოვიდა. რა გინდა? ვეუბნები. მეორე დისკს მჩუქნის. კიდევ ერთი სიმღერა იყო ზედ სიყვარულზე. ვიცი, რაც უნდა.

ხუთშაბათი

მარტა მირეკავს, ჯორჯომ გაფუჭებული კრევეტები ჭამა და ლოგინშია მაღალი სიცხითო. იყოს ახლა ასე! წაიღო ტვინი. მარტა ტირის.

პარასკევი

დრო ელვასავითაა. სულ ახლახან შემოვედი და უკვე უნდა გავიდე. სანამ სახლში ვარ, დაღლილობას ვერ ვგრძნობ. მერე, როგორც კი გავალ, ხელები მიკანკალებს და თავბრუ მეხვევა, თვალებიც მეწვის. სახლში რომ ვბრუნდები, არაფრის თავი აღარ მაქვს, ძალაგამოლეული ვარ.

შაბათი

ფაბრიკის შემდეგ მარტას სანახავად სალონში მივდივარ. ჯორჯოს ძალიან ჯავრობს. მგონი, ტემპერატურა უფრო ემატება. პირველად ვნახე განახლებული სალონი. ოქროსჩარჩოიანი სარკეები, სამი ახალთახალი საშრობი ქუდი... გოგო ჰყავთ კიდევ ერთი, კლიენტი ქალების ფეხებისთვის ცვილს ათბობს. მარტას ხალათის შიგნით არაფერი აცვია. არ გცივა? ოჰ, კარგი რა! ის მხოლოდ ჯორჯოზე ფიქრობს, ცუდად რომ არის. ვსარგებლობ და თმას უფასოდ ვაბანინებ. ჯორჯოს და ცუდი თვალებით მიყურებს.

კვირა

ტანო სახლში სავსე საფულით ბრუნდება. ამბობს, ძირს დაგდებული ვნახე „არისტონის" კინოთეატრთანო. ვინ დაუჯერებს?! ტავერნაში მივდივართ მაშინვე ტალიატელებისა და ხორცის საჭმელად. რაც დაქორწინებული ვარ, ტავერნაში არასოდეს ვყოფილვარ. სახლში ვბრუნდებით და სექსით ვკავდებით. ტანო საყვედურს მეუბნება, მალე ათავებო. ორგაზმის მერე არ მინდა, ტანზე რომ მეკვრებოდეს. მას კი გახურებისთვის დრო აღარ რჩება.

სამშაბათი

ფაბრიკაში არეულობაა. გაფიცვა მოაწყვეს. ჩავშალეთ. იმიტომ, რომ სინდიკატები ერთმანეთს ვერ შეუთანხმდნენ. CGIL-დან ორს სამსახური დაატოვებინეს. მე კი ვეუბნებოდი მათ, უკეთესი იქნება, თუ არ გაიფიცებით-მეთქი. სულელები! ჯერ ვითომ მაგრები არიან და მერე, პირველივე შიშზე შარვალში ისვრებიან. სალაროში ფული აღარ არისო. მერე რა?! ყველა მუშა თავისებურად აზროვნებსო. მერე რა?! ჩვენი შიგა კომისია საზიზღრობაა პირდაპირ!

ხუთშაბათი

ჯორჯო სალონში დაბრუნდა. დამირეკა და მითხრა, უკეთ ვარო. ვიცოდი, ასე რომ იქნებოდა. მეც მქონდა ინსტოქსიკაცია. სამი დღის შემდეგ გადის. განადგურებული რომ არ რჩებოდე ბოლოს, კარგიც კი არის, ისე. მარტამ თმა შეიჭრა. სულ სხვა გეგონება. არ მომწონს. კი ვუთხარი. იტირა.

კვირა

გუშინ ხელფასი იყო. და დღეს ერთი ლირაც აღარ მაქვს. ამ კვირასაც არავითარი ფეხსაცმლის ყიდვა. ტანო არც სადილზე დაბრუნებულა და არც ვახშამზე. ვახშმად ტალიატელები მქონდა, მეზობელმა მომიკითხა. გამათბობელზე გააშრო და ჰქონდა კიდეც ქაღალდის გემო.

სამშაბათი

შავი დღე. ისეთი გაციებული ვარ, სუნთქვა მიჭირს. მარტა კრუსუნებს. ჯორჯო უნახავს ტუალეტში ჩაკეტილი ერთი თვის წინ აყვანილ იმ გოგოსთან ერთად, დეპილაციაზე რომ მუშაობს. ფხლის მეტს არაფერს ვჭამ. ოთხ კილომდე ვიყიდე. ახლა მწვანედ გავდივარ კუჭში.

ოთხშაბათი

ტანომ კიდევ ნახა ძირს დაგდებული ფული. ამჯერად პირში ვუთხარი, მატყუარა ხარ, მოიპარე-მეთქი! არაო, ამბობს. ათას ტყუილს მიყვება. კარგია მუშაობის გარეშე ნაშოვნი ფული. ისევ წავედით ტავერნაში და მერე — კინოთეატრში. სოკო ვჭამე ჩაშუშული და ხბოს ხორცი მილანურად, ზეთიანი ლობიოთი. უბნის კინოთეატრში ომზე გადიოდა ფილმი. ტანოს ჩაეძინა. სახლში რომ მივედით, ისე იყო დაღლილი, ტანსაცმლის გახდა არც კი უნდოდა. პირდაპირ შეწვა ლოგინში. მაგრამ მე ძალით გავხადე და მერე ერთი საათის განმავლობაში გვქონდა სექსი. სამზარეულოში ფხალი კიდევ იყო. ცოტა ამჟავებული, მაგრამ ჭამა მაინც შეიძლებოდა.

პარასკევი

ფხალი დაობდა. იძულებული გავხდი, უნიტაზში ჩამეყარა, რომელიც მერე გაიჭედა. ჯორჯო მირეკავს, შენი ნახვა მინდაო. მაგრამ რა უნდა? სალონში? არა, გარეთო. ფაბრიკის მერე მივდივარ. ტანო სულ გარეთაა და ათი საათის შემდეგ ბრუნდება სახლში. რა უნდა იმ სულელს? სამივე რომ ვიყოთ ერთად: მე, მარტა და ის. უარს ვეტყვი. მაგრამ რატომ? გეზიზღება? ჰო. მაგრამ ტყუილია. მე ის არ მომწონს. და არ ვუთხარი, გული რომ არ მოსვლოდა. ერთ დღესაც, ფაბრიკაში მუშაობას თავს დავანებებ და ვეტყვი, მანიკურის გამკეთებლად მამუშაოს მის სალონში. „ნემსიყლაპია" — ისეთი სახელია, სოფელს მაგონებს. ერთ ყვითელ წიგნში იპოვა. კი მომეწონებოდა „ნემსიყლაპიაში" მუშაობა.

შაბათი

მარტა კმაყოფილია. დეპილაციის გოგონა წავიდა. სხვა სამსახური ნახა, სადაც მეტს უხდიან. ღამით დამირეკა, ეს რომ ეთქ-

ვა. ტანომ გაიღვიძა და ფურთხება დაიწყო. ჯერ მე მომაფურთხა, მერე – ბალიშს, მერე – ტელეფონს. ტანზე გამოვიცვალე, მთლად ნაფურთხებით რომ მქონდა დათხვრილი. გიჟს გავყევი ცოლად.

კვირა

მთელი დილა ლოგინში გავატარე. შუადღე კი – რეცხვასა და უთოობაში. რა საზიზღარი კვირადღეა!

სამშაბათი

ქერა ბიჭი, გამცემი რომ მინოდა, სასადილოში ჩემს გვერდით ჯდება, მაგრამ არ მომწონს. ყვითელი კბილები აქვს და პოლიტიკაზე ლაპარაკობს სულ. იტალიელ პროლეტართა სოციალისტურ კავშირშია ჩაწერილი. სპეცტანსაცმელში ოთხად გაკეცილი გაზეთი უდევს და როცა ჭამს, კითხულობს, ანდა ჩემთან ლაპარაკობს. ამბობს, მუშები დღეს ისე აღარ არიან, როგორც ადრე იყვნენ; ახლა მხოლოდ გამდიდრება, ელექტროტექნიკისა და ახალი ტანსაცმლის ყიდვა აინტერესებთო. მომწონს მასთან საუბარი, იმიტომ, რომ ენთუზიაზმითაა სავსე. მაგრამ მაგიდის ქვეშ ხელს რომ მიჭერს, კი მიჩნდება ეშმაკებთან მისი გაშვების სურვილი. ლამაზი მხოლოდ თმა აქვს, სრიალა და ქერა.

ოთხშაბათი

ორი დღეა, მარტო მშრალ პასტას ვჭამ. ფული გამითავდა. სამი ათასი ლირა მაქვს კიდევ მისაცემი მეძეხვესთვის, ოთხი ათასი – ყასბისთვის. ტელეფონიც უნდა გადავიხადო, რძის ფულიც და ასე, მოვწესრიგდები.

ხუთშაბათი

ტანო მთელი ღამე გარეთ დარჩა. ვინღა ხედავს?! ფანტაზმადაა უკვე ქცეული, ვიდრე ქმრად. გახდა კიდეც. ქორწინების შემდეგ კი იყო გასუქებული, მაგრამ ახლა წონას ისევ კარგავს. სახე დებილივით უხდება და ნერვებს მიშლის. რომ ვეკითხები, სად მიდიხარ და რას შვრები-მეთქი, ფურთხებას იწყებს.

შაბათი

ხელფასი ავიღე. და უკვე ერთი ლირაც აღარ მაქვს ჯიბეში. ფაბრიკაში ველარ ვჩერდები. აღარავისთან ვლაპარაკობ. იმ ქერასაც ვუთხარი უკვე, ნუ შემიწუხე გული-მეთქი. ეწყინა და წავიდა. როცა ვმუშაობ, არაფერზე არ ვფიქრობ. ვმუშაობ მხოლოდ. დროც კი აღარ მაქვს, ავზებიდან თავი რომ ავწიო. მუშაობას როგორც კი ვამთავრებ, მაშინვე სახლში გავრბივარ. ტანო თუ არ არის, არც ვჭამ. ერთ უმ კვერცხს შევისრუტავ მხოლოდ და ლოგინში ვწვები.

კვირა

რომელიმე კვირადღეს საცეკვაოდ მინდა წავიდე, მაგრამ მთა სარეცხი მელოდება სულ. მარტა მირეკავს, სალონში საქმეები ცუდად მიდისო. წინა ღამეს გაქურდეს. ორი თანამშრომელიც ავად გაუხდათ. ჯორჯომ ქირის ფული გადაიხადა.

ორშაბათი

მუცელი მტკივა. ამჟავებული ტომატიანი სპაგეტის ჭამა აღარ შემიძლია. ხორცია საჭირო, თუ გინდა იმუშაო. ჯორჯო ფაბრიკის გასასვლელთან მხვდება. რა უნდა? არაფერი. ისე მოვიდა, ჩემ სანახავად. წავედით. ხელი წელზე მომხვია. რა მოწყენებული ადამიანია! დავპირდი, რომ ერთ დღეს კიდევ გავაკეთებთ სამივე, მარტასთან ერთად, გული რომ არ მოუვიდეს ჩემზე. ის ისეთია, შეიძლება სამსახურში არ მიმიღოს, თუ ვაწყენინე. ვიცნობ მე მას.

ოთხშაბათი

ტანო ახალი პიჯაკით დაბრუნდა. ტყავის იყო, ყავისფერი, სარჩულზე ანგელოზი ეხატა. საიდან გაქვს? რომ გაგიგონ, დაგაპატიმრებენ, ციხეში გამოგამწყვდევენ, და ასე კარგ რამესაც დაიჭერ! არ აინტერესებს. აღარც კი ლაპარაკობს უკვე. იფურთხება სულ. კარგი, იქურდე მაშინ, ვუთხარი, მაგრამ ფული მაინც მოიტანე ნორმალურად სახლში, რომ ფაბრიკიდან წამოვიდე. აღარ შემიძლია იქ მუშაობა. ამ სიტყვებზე ფეხი ისე მომარტყა, რომ მუხლი კინაღამ დამიმტვრია.

ბიბლიოთეკა

ხუთშაბათი

ფაბრიკაში ვკვდები. ისეთი მჟავე სუნი დგას, საშინელი ხველა დამეწყო. კრემისა და ზეთის წასმა მინდება. ხელებზე კანი ხახვის ფურცლებივით მცილდება. დასიებული მაქვს და მჟავასაგან შეჭმული. ხელთათმანები არაფერს შვრება, მჟავა მათ ქვეშაც აღწევს. ვითხოვე, საამქრო გამომიცვალეთ-მეთქი. კარგიო, მიპასუხეს. გამოგიცვლითო, მაგრამ როდის? ამასობაში დრო გადის და მე თავი სულ ორთქლში მაქვს ჩარგული. ხველა მანადგურებს. და ხელები ყოველდღე მიფუჭდება.

პარასკევი

ჯორჯოსთან სახლში. სექსი გვაქვს სამივეს. მარტა, როგორც კი ხელს შეახებს, კვნესის. მე კი ყინვასავით ცივი ვარ. იმიტომ, რომ ჯორჯო არ მომწონს, არც მარტა. ცოტა ხანში აედექი და წავედი. ისინი ჩახუტებულები დავტოვე. ჩემი წასვლა არც კი გაუგიათ. მე მხოლოდ ასაგზნებად მიყენებენ. ეს უნდათ, ვიცი. ჯანდაბამდის გზა ჰქონია ორივეს! არ მომწონს არცერთი. მე მხოლოდ „ნემსიყლაპიაზე" ვფიქრობ, მანიკურის გამკეთებლად მუშაობაზე.

შაბათი

ისევ ნერვების შლა. მშრალი პასტით ვივსებ მუცელს. ბაკალა ხესავით მაგარია. ტანო სახლში მხოლოდ დასაძინებლად მოდის. ცივი საჭმელი ხვდება, მაგრამ არ ჭამს. გარეთ ჭამს. ვინ იცის, სად?! და მე ფაბრიკაში სულელივით დავდივარ, სადაც ყველაფერი ცუდად მიდის. საამქროს, კიდეც რომ მოვკვდე, არ მიცვლიან. ერთ დღესაც ავიღებ იმ მჟავათი ავსებულ ავზებს და თავზე გადავამხობ მათ. მეუბნებიან, უჟმური ხარ, არ ლაპარაკობ, არ მეგობრობ და მუშათა უფლებების დაცვისთვის არ თანამშრომლობო. ვის რაში აინტერესებს ერთი მუშები! მე მაინც არ ვარ მუშა. წლის ბოლოს წასვლას ვაპირებ. მანიკურის კეთებას დავიწყებ მარტასავით.

კვირა

ტანო დაბრუნდა. ასეთი მხიარული კარგა ხანია, არ მინახავს. ათი ათასიანი ბანკნოტი ჩამიდო ხელში. მაშინვე ტავერნაში წავედით და შევუკვეთეთ: ბეკონი ზეთისხილით, ხორციანი ფეტუჩინები, ღუმელში შემწვარი ბატკანი მომჟაო-მოტკბო გემოს ხახვებით, რადიკიოს სალათი, კაჩოტა, კრემ-კარამელი, ბანანი, ღეღვის ჩირი, ყავა, და კიდევ, ერთი ლიტრი წითელი, ტკბილი, ქაფქაფა ღვინო. მაგიდასთან ცხრა საათიდან შუაღამემდე ვისხედით. მეტი აღარ შემეძლო. ბოლოს კი ისეთი ბოყინი აღმომხდა, რომ ბატკნის ხორცის ნამცეცები პირში ვიგრძენი. საჭმელი ყელამ-

დე მქონდა ამოსული. მერე ლოგინში დავწექით. აექსი არაფერი. ტანომ ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო ავრინვა, უნიტაზზე რომ იჯდა.

ხუთშაბათი

ორი დღეა ტანო არ ჩანს. მარტა რეკავს და ტირის. ჯორჯო რას აკეთებს, არ ვიცი. სხვა რამეზე ფიქრობს. ორ დღეში ქირის გადახდის ვადა გაუდით და ფული არ აქვთ. მარტა ამბობს, დედაჩემისგან ვისესხებო. არ მოტყუვდე, ვუთხარი, სალონი მისია; დაქორწინებული კი არ ხარ! მაგრამ ის ტირის. სულელია, სიყვარულზე ფიქრობს მარტო.

პარასკევი

ტანოსი არაფერი ისმის. მარტა მეუბნება, პოლიციაში დარეკეო. მაგრამ მე არც ვაპირებ. თუ რამეა მომხდარი, გამოჩნდება.

შაბათი

ამ საღამოს კარგად ვჭამე. მარტო ვიყავი. გაშლილი ხელის მტევანივით დიდი ბიფშტექსი, ტაფაზე მოთუშული ისპანახი და მოცარელა მივირთვი. ტანო არც ამ ღამით დაბრუნებულა.

კვირა

ჯორჯოსა და მარტასთან ერთად სოფელში, საკროფანოში ნანადირევის საჭმელად: გარეული კურდღელი პიკანტური საწებლით, შემწვარი შიგნეული, კუნთი ნივრითა და წითელი პილპილით, თხელ ნაჭრებად ჩაშუშული სოკო, კრემიანი ნამცხვარი წითელი ბლით. ისინი ხომ სულ კოცნიდნენ და კოცნიდნენ ერთმანეთს! მე განზე ვიდექი, ვჭამდი მხოლოდ. ხვალ დარჩენილი ხელფასით ახალ ფეხსაცმელს ვიყიდი.

ორშაბათი

მარტამ დედამისს ფული გამოაგზავნინა. ჯორჯომ ქირა გადაიხადა. ახლა ყურადღებიანი შეიქნა მის მიმართ, დედამისის მთელი დანაზოგი რომ გამოართვა. თქვა, სალონი უკეთესად მუშაობსო. გაფუჭებული აპარატებიც გააკეთეს. კლიენტიც მოუმრავლდათ.

ოთხშაბათი

ტანო ციხეშია, ერთმა კარაბინიერმა მითხრა. ქსოვილების მაღაზია გაუქურდავს, მგონი. და ექვსი წელი უნდა მისცენო. საღამოს ჩემთან ჯორჯო და მარტა მოდიან. ახლა შეუძლიათ ყირაზე გადავიდნენ. მე მათთან მაინც არაფერს ვიზამ, თუგინდ მოვკვდე. ჯორჯო საჩუქრად დისკს მჩუქნის. ჯანდაბამდის გზა ჰქონია თავისი დისკებითა და მარტათი. ამბობს, ორი ქალი თუ არ მყავს, ორგაზმს ვერ ვაღწევო. და მე რაში მაინტერესებს ერთი! მარტა სამბუკას ეძებს. მაგრამ მეტი აღარ არის. ბოლო წვეთიც თვითონ დალია. თერთმეტი საათისთვის ძლივს ვყრი გარეთ. მეძინება. აბა, დილის ხუთ საათზე ადგომას ვინ მოახერხებს?! ისინი კი სალონში ცხრა საათის შემდეგ მიდიან.



*ალბერტო მორავიასთან ერთად*

ხუთშაბათი

ტანოსთან მივდივარ. მხედავს თუ არა, ფურთხებას იწყებს. ვიღებ ჩემს ნივთებს და გავდივარ. მეძახის. უკან ვბრუნდები. ერთი ადვოკატის სახელს მეუბნება, რომელიც მისი აზრით, სასწაულებს ახდენს. და ჩაო, მეტი არაფერი. გასასვლელთან ჯორჯოსა და მარტას ვხვდები. ამბობენ, ვქორწინდებითო. ძალიანაც კარგი! ტანოს ნახვა უნდათ, მაგრამ უკვე გვიანია, კეტავენ. სახლამდე მანქანით მაცილებენ. ჯორჯოს ეტყობა, ახლა ფულს რომ აკეთებს. მთლად უშნო ხდება. თმების ცვენა ეწყება. მთლიან ქათამს ვჭამ თითქმის. მაგრამ მარტო ჭამით გემო ვერ ვუპოვე. ერთ ჭიქა ცხელ ღვინოს ვსვამ შაქრით. ლოგინში ვწვები. მგონი, გავცივდი. ტემპერატურას ვგრძნობ.

პარასკევი

თირკმლების ისეთი ტკივილით ვიღვიძებ, რომ გულის შენუხებას არაფერი მიკლია. ლოგინში შებრუნებას ვფიქრობ, მაგრამ აბანოში შევდივარ და ტკივილებისგან გაოფლიანებული ტანს ვიბან. ფული მჭირდება. სამი ათასი ლირა სამი ათასი ლირაა. საშუალოდ, დღეში ოთხი ათასი დეტალი მაინც თუ არ გავაკეთე, მშვიდობით მერე! მუშაობისას ნიავი მიბერავდა ალბათ წელზე და მიტომ გავცივდი. ფანჯარასთან რომ იდგნენ, კი ვუყვირე. მაშინვე დაკეტეს, მაგრამ მერე ისევ გააღეს. თქვეს, ცუდი სუნის გამო სუნთქვა გვიჭირსო. გასაგებია. მაგრამ მე ასე პარალიზი დამემართება. ზევით-ქვევით ვწევდი რეზინებს ავზებიდან და ისე დამემართა, რომ ტკივილიც ვერ ვიგრძენი. ვეღარაფერს ვგრძნობდი, მყავას სუნით ისე ვიყავი გაბრუებული. ვერც ის გავიგე, ნამზომიანი კაცი რომ მედგა უკან მფარველი ანგელოზივით.

კვირა

მთელი დღე მძინავს თითქმის. შუადღეზე ვდგები და სამზარეულოში შევდივარ. წინა დღის ქათმის ფრთაა მარტო დარჩენილი, მეტი არაფერი. ვჭამ ამ ფრთას და კუბით გაკეთებულ ცხელ წვნიანს ვაყოლებ. საზიზღრობაა ეს კუბები! პურიც აღარ არის. ლოგინში ეწვები ისევ. ცოტას ვიძინებ. ტანო მესიზმრება და დებილივით მარტო ვათავებ. მთლად გაწუწული ვიღვიძებ.

ორშაბათი

ფეხსაცმელი ვიყიდე. მაგრამ მოვტყუვდი. იაფად მინდოდა,

როგორც ყოველთვის და ერთ დღეში უკვე მოძველებულივითაა. ლამაზი კია, შავი, მაღალი ქუსლით. ფაბრიკაში ერთი ბიჭია, ძალიან მომწონს. ორი დღეა, ჩემთან ერთად მუშაობს ავზებში. ნელი ტიპია. ნაწილებს ხელში კარგად ვერ იჭერს. რამდენიმე დღეა, რაც ფაბრიკაში მოვიდა. ოცი წლისაც არაა. გამხდარია. ერთი კაცის ნახევარი გეგონება. ლამაზია. ძალიან ლამაზი. კი ვხვდები, გოგოები თვალებით რომ ჭამენ. მაგრამ თვითონ არავის უყურებს. ამაყია. დროს როგორც კი იხელთებს, სარკეში იყურება და იპრანჭება. სარკეს ჯიბით ატარებს.

ოთხშაბათი

გუშინდელს აქეთ წვიმს. ბევრი ქალი ფაბრიკაში მთაში ჩასაცმელი დიდი წინდებითა და წითელ-ყვითელი რეზინის ჩექმებით მოდის. ისეთი ფერები აცვიათ, ჭამის სურვილი გაგიჩნდება. მეც მინდა ვიყიდო. როგორც კი გადავდებ გვერდზე რამდენიმე ათას ლირას.

ხუთშაბათი

ისევ წვიმს. ახალი ფეხსაცმელი კარადაში მაქვს შენახული, ტანოს ძველ პერანგში გახვეული. პირველად ვხვდები, რომ ფაბრიკაში მუშაობისას თავის აწევის დროც არ მაქვს. დრო არ მაქვს, რომ იმ ბიჭს შევხედო. ჩემ გვერდით მუშაობს და მხოლოდ სასადილოში შემიძლია მისი მშვიდად ყურება. მაგრამ შორს ჯდება, ფანჯარასთან და ჭამის დროს გაზეთს კითხულობს. თავს ჩემკენ არასოდეს აბრუნებს.

პარასკევი

სახლში ებრუნდები და ლოგინში ვწვები. მეშინია, წელის ტკივილი არ დამიბრუნდეს. მაგრამ უკეთესად ვარ. ხველამაც დამიკლო. მხოლოდ ჩემი ხელებია საზიზღრობა, როგორც ყოველთვის.

შაბათი

ფხალი და მაგრად მოხარშული კვერცხი ვჭამე. რომელსაც მერე ვერც კი ვინელებ. მთელი ღამის განმავლობაში ყელში ამომდის ყველაფერი. დღეს, როგორც იქნა, იმ ბიჭს ველაპარაკე. რომოლო ჰქვია. თქვა, ფაბრიკაში მუშაობა მომწყინდაო. და ვის ეუბნება?! ხვალისთვის სახლში მივიწვიე ვახშმად. ახლა სახლი უნდა მივალაგო, თორემ საშინელებაა! და რაღაც უნდა ვიყიდო საჭმელი. ბატკნის ხორცი მოგწონს? კიო, თავი დამიქნია. ბატკნის მომზადება გადავწყვიტე ძმრითა და როზმარინით. საბედნიეროდ, ხელფასიც ავიღე.

კვირა

ისე ვიყავი აღელვებული, შვიდ საათზე გამეღვიძა. სახლი მივალაგე. იატაკი საპნითა და ცვილით დავაპრიალე. ახლა მე თვითონ მეშინია, არ წავიქცე და თავი რამეს არ მივარტყა. სამაგიეროდ, ოთახები სუფთა მაქვს და ყველგან კრემისა და ხის სუნი დგას. შუადღეზე ტანოსთან. გისოსებს მიღმა მისი დანახვა ჩემში მუცლის ტკივილს იწვევს. ახლა წმინდა იოსებივით აქვს წვერი მოშვებული. უფრო ლამაზიცაა. მეუბნება, თუ რამე ფული მქონდა აქ, ყველაფერი მომპარესო. მაგრამ ვინ? ამხანაგებმა. და შენ ასე აპარვინებ? სულელია! არაფერს ვჭამო, ამბობს, და რომ დილით შარდის მაგვარ რძიან ყავას აძლევენ, სადილზე – ჩახარშულ ლობიოსა და აქოთებულ ხორცს; სალამოს კი – წვნიანს, რომელსაც სხვას ვჩუქნი, რადგან მის სუნზე ღებინება მეწყებაო. საჭმელი მომიტანეო, მეუბნება. მაგრამ მე დრო არ მაქვს. და ფული? ციხიდან გამოსვლის შემდეგ მაღაზიაში, საყიდლებზე შევდივარ. მერე კი სახლში – საჭმლის მოსამზადებლად. ცხრა საათზე ზარის ხმა მესმის. სათვალთვალოში ვიჭყიტები და იმ ორ სულელს ვხედავ – ჯორჯოს და მარტას. თავს ვაჩვენებ, თითქოს სახლში არავინაა. რეკავენ და რეკავენ. ცოტა ხანში ალბათ, მუშტებით კარსაც ჩამოილეწენ. ვაღებ. გავდივარ-მეთქი, ვეუბნები. ვარწმუნებ, რომ სახლში დაბრუნდნენ. მეც გავდივარ ჩემი ნათქვამის დასამტკიცებლად. რომ ვბრუნდები, რომოლო ნასულა მხვდება. კარზე წერილს ვხედავ: „ასე რატომ მეხუმრე?" დასწყევლოს ღმერთმა ისინი! ბატკნის ხორცს მარტო ვჭამ, უგემურად. შიმშილის გრძნობა გამქრალი მაქვს. მუცელი მტკივა. ლოგინზე ვწვები და ცხელი წყლით სავსე ბოთლს ვიდებ. სიბრაზისგან ტირილს ვიწყებ.

ორშაბათი

რომოლოსთან ლაპარაკს ვერ ვახერხებ. სხვა საამქროში გადაიყვანეს. ცუდად ვმუშაობ. ათი დეტალი შემეშალა. მჟავაში დიდხანს მედო და ძალიან შეჭმული გამოვიდა. საამქროს უფროსმა ყველას თვალწინ მიყვირა. ნაწილების ფულს მაინც მე ვიხდი და რა საჭიროა ამდენი ყვირილი. არაა საკმარისი, რა ფულიც მეკარგება?

ოთხშაბათი

მარტა მირეკავს, სალონში მოდიო. ჯორჯოა ცუდადო. მაგრამ რა სჭირს? არაფერი. აბა? ის სჭირს, რომ ყველას უყვირის. და რომ მასთან ქორწინება აღარ უნდა. მაგრამ რატომ? არავინ იცის. რა მომაბეზრებლები არიან ერთი ესენი! თავს მტკენენ პირდაპირ. ტანო ცუდ წერილს მწერს. საჭმელი მომიტანე რამე, აქ მწამლავენო. მაგრამ მე რა უნდა ვქნა? ფაბრიკაში მივდივარ და რომოლოს სასადილოში ვეძებ. ახლა აწყობაზე მუშაობს. თეთრი სპეცტანსაცმელი აცვია და ულამაზესია. ვეკითხები, რატომ არ დამელოდე იმ სალამოს-მეთქი. მიყურებს და არაფერს მეუბნება. მომავალ შაბათს გაწყობს? კიო, ამბობს. სახლში კმაყოფილი ვბრუნდები. მთელი ის დრო, მას რომ ველაპარაკებოდი, ხელები ჯიბეში მეწყო, რომ არ დაენახა.

შაბათი

მოვიდა. ვჭამეთ. დავლიეთ. მერე ლოგინში შევძვერით. თეთრი სხეული აქვს და ცისფერი ვენები კანქვეშ ეროგვარი ნახაზივით უჩანს. ტელეფონის გათიშვა დამავიწყდა. და ყველაზე ლამაზ დროს იწყებს რეკვას. რეკავს, რეკავს. უპასუხე, მეუბნება, ნერვებზე მოქმედებს უკვეო. ვპასუხობ. მარტაა. ამბობს, ჯორჯოს სექსი აქვს ვიღაც კლიენტთანო. რა შემიწუხეს ერთი გული! ამბობს, ვიღაც მსახიობია, ექსელსიორშია დაბინავებული და თავის ოთახში შეჰყავსო. დარწმუნებული ხარ, რომ სექსი აქვს? რა თქმა უნდა. პომადით დასვრილი ვნახე მთლად, შარვლის შესაბნევამდეც კიო. მგონი, არც ახალგაზრდაა. ოქროს საათი აჩუქა ოქროს სამაჯურითო. მეც კი მესიამოვნება ერთ დღეს ექსელსიორის რესტორანში ჭამა, ვფიქრობ. ვერცხლის თეფშებით გაწყობილ მაგიდასთან: შემწვარი გოჭი კარგად დაბრაწული კანით, კიბორჩხალა ჩასაკვნეტი საცეცებით, პოლიპები ჩაშუშული თავისივე შავ

წვენში, მაკარონები ბეშამელათი. ამასობაში, რომოლო კინალამ დამავიწყდა. როგორც ბავშვი, ისე მექცევა სექსში. ტკბილია და მორცხვი.

კვირა

ტანო ბუზღუნებს და იფურთხება. საჭმელი მივუტანე. სახეში მესროლა. ამბობს, გამოსვლა მინდაო. და როგორ? მარტა სულ ფეხებში მედება და კრუსუნებს. ჯორჯო რომ ბრაზდება, საღებავს ძირს აქცევს. ქორწინდებიან? არ ქორწინდებიან? ვინ იცის. ერთ დღეს კის ამბობენ, მეორე დღეს – არას. ისევ ფხალი და კარტოფილის წვნიანი ვჭამე. ერთი ლირაც აღარ მაქვს უკვე. არადა, ყასაბს ექვსი ათასი უნდა გავუსტუმრო, სამი – მეპურეს და ორი – მარტას.

სამშაბათი

ექსელსიორის მსახიობი გაემგზავრა. ჯორჯომ ფეხით სარკე გატეხა. ის სარკე თერთმეტი ათას ლირად ჰქონდა ნაყიდი, ჩარჩოს გარეშე. ერთი კვირის ხელფასი. მარტამ სახე ცხელი ცვილით დაიწვა. ამბობს, ჭრილობა დამრჩებაო და სულ ტირის. მირეკავს, თავი უნდა მოვიკლაო. მესმის, ჯორჯოს მასთან ქორწინება რომ არ უნდა. ძალიან მომაბეზრებელია.

ოთხშაბათი

კუბით მომზადებული წვნიანი, კარტოფილი და მაგრად მოხარშული კვერცხი ვჭამე მხოლოდ. მგელივით მშია. გუშინ საღამოს რომოლო მოვიდა. რა შევთავაზო? არაფერი. ლიქიორიც არ მაქვს. რამდენი წლის ხარო, მეკითხება. ოცდაშვიდის. ის – ჩვიდმეტის. ხელებს ვუჩვენებ, ჩემს დიდ სირცხვილს. არ მაინტერესებსო, მეუბნება. მთელი ღამე ჩემთან დარჩა.

პარასკევი

მარტა მირეკავს, ვქორწინდებითო. ნახევრად დამწვარ სახეს პარიკით დაიფარავს. ძალიანაც კარგი! ამასობაში, ტანო შიგ ჰყავთ. პროცესის კი არაფერი ისმის. კალაბრიადან დედამისი ჩამოდის. დიდ ლოგინში დაძინება უნდა. ორივე მოვთავსდებითო, მეუბნება. მაგრამ მე არავითარი სურვილი არ მაქვს მასთან ერთად დაძინების. ლოგინს ვუთმობ და სამზარეულოში მივდივარ. მეზობლისგან ნათხოვარ ლეიბზე ვწვები.

შაბათი

სამსახურიდან დაბრუნებისას ისეთი არომატული სუნი მცემს ხახვის, რომ ხელახლა დაბადებას ვგრძნობ. ტანოს დედა ვახშამს ამზადებს. სოფლიდან ხახვი, ჭარხალი, ყველი და თიკნის ხორცი ჩამოიტანა. ვჯდები და მაგიდის გასაწყობად არც კი ვდგები. მუშაობა ვაცალე. რა კარგია, როცა სახლში ჩემს მაგივრად ვინმე მუშაობს!

კვირა

ტანოს ერთი სავსე ჩანთა მივუტანეთ, სხვადასხვა საჭმლით გამოტენილი. მაგრამ კმაყოფილი მაინც არ დარჩა. ამბობს, სიგარეტები მინდაო. დედამისი გავიდა და ათი კოლოფი სიგარეტი უყიდა. ტანომ სახეში მიაფურთხა. ამასობაში, კარს კეტავენ. უკვე გვიანია. მგონი, ისინი მართლა ქორწინდებიან. მარტა კმაყოფილია. მიუხედავად იმისა, რომ ნახევარი სახე დამწვრობისგან მოქცეული აქვს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სამშაბათი

ფაბრიკაში ისევ დაიწყეს გაფიცვაზე ლაპარაკი. მე ისე ვიქცევი, თითქოს არაფერი არ ვიცი. როგორც კი ისინი დაქორწინდებიან, „ნემსიყლაპიაში" მანიკურის გამკეთებლად ვთხოვ მუშაობას. და მერე მშვიდობით, ლამაზო ფაბრიკავ!

ოთხშაბათი

ყოველდღე თიკნის ხორცს ვჭამთ, სანამ არ გამოილევა. პილპილში და ნიორში ისე კარგად ინახება, რომ საოცრებაა. ჩემმა დედამთილმა თითებივით გრძელი და წვრილი მახლებიც ჩამოიტანა. მაგრამ ძალიან ტკბილებია. ზეთიც. მანქანის გეგონება, ისეთი გემო აქვს.

ხუთშაბათი

ცუდად მეძინა. ჩემი დედამთილი ისე მაგრად ხვრინავდა, რომ მიუხედავად დაკეტილი კარისა, მაინც მესმოდა. კიდეც დავსტვინე, ვიყვირე. ლოგინზე ქვაბიც დავარტყი, მაგრამ ის არც განძრეულა. ტანო ნაცრისფერი შეიქნა. სიგარეტებს ითხოვს. მე უკანასკნელი ორი ათასი ლირა დავუტოვე.

პარასკევი

ერთი გოგოა, რომოლოს დასდევს სულ. მასთან მუშაობს საამქროში. მაგარია ხარივით. კისერზე ისეთი ძლიერი კუნთები აქვს, რომ მამაკაცი გეგონება. სულ იცინის და რომოლოს ეხება, ხელს ჰკიდებს. საზიზღარი! ტუნიკა ჰქვია. ასეთი სახელი არასოდეს გამიგონია.

შაბათი

ხელფასი ავიღე. ყასაბს მივეცი. ვალი თითქმის ამოვწურე. ტელეფონიც გადავიხადე, გაზიც, მენალეც. თხუთმეტი ათასი ლირა მრჩება მხოლოდ გასასტუმრებელი. შვიდი – ყასბის, ოთხი – მეძეხვის, ორი – მემწვანილის და ორი – მერძევის.

კვირა

ტანო ამბობს, აქ ყველა ანძრევსო. ქალები არ არიან და სურვილი რომ გაუჩნდებათ, ასე იქცევიანო. ჰოდა, იყოს ახლა ასე. რომ დააჭერინა თავი! თიკნის ხორცი, რაც იყო დარჩენილი, მთლად მივუტანე. მაგრამ ამბობს, არ მშიაო. სიგარეტი უნდა მხოლოდ. დედამისი არ მიდის. ჩემს ლოგინში სძინავს. ყველაფერში იქექება და რასაც პოულობს, ჭამს. კბილები არ აქვს, მაგრამ მაინც ყველაფერს ჭამს. ნამცეცს ნახავს, ჭამს. ძირს დაჭყლეტილ ლობიოს ნახავს, ჭამს. რაიმეს ქერქს ნახავს, ჭამს. ყავის ნალექს ნახავს, ჭამს. ყველაფერს ჭამს. და მერე სძინავს. და ხვრინავს.

ოთხშაბათი

რომოლოს ჩემს სახლში უნდა მოსვლა. მაგრამ ტანოს დედაა. გარეთ გვიწევს შეხვედრა, მაგრამ ხელით შეხებასაც ვერ ვახერხებთ. კინოში წავიდეთ? რისთვის? ფული რომ დავხარჯოთ მხოლოდ? მოკლედ, დავდივართ და ტყუილად ვილლებით. სიარულში ბევრს ვლაპარაკობთ. მეუბნება, ქმარი მიატოვე და ჩემთან ერთად იცხოვრეო. მაგრამ მე ამაზე არც კი ვფიქრობ. მასზე შეყვარებული არ ვარ. მომწონს უბრალოდ და მეტი არაფერი.

ხუთშაბათი

დედა ისევ აქაა. საიდანღაც კიდევ დააძრო ხუთი ათასლირიანი ქაღალდის ფული. სად ჰქონდა შენახული, არ ვიცი. ჩემთვის ნათქვამი ჰქონდა, მეტი აღარ მაქვსო. ტანოსთვის რაღაცები ვი-

ყიდეთ. მაგრამ მას მხოლოდ სიგარეტები უნდა. გავიგე, საჭმელს სიგარეტში უცვლის თურმე სხვებს.

პარასკევი

ფაბრიკაში ცუდი შემთხვევა მოხდა. ერთმა ბიჭმა, რომელიც ახალი მიღებული იყო სამსახურში, მკლავი დაკარგა. დაახლოებით ათის ნახევარზე ყვირილი გაისმა. მივვარდით. ძველი გამოშვების T.T.O.-ს აპარატთან სამნი იდგნენ. ბიჭის მთლიანი მკლავი ძირს ეგდო. და ის გამოდებილებული დაჰყურებდა ზემოდან. მერე თვითონაც წაიქცა. მარტას რომ მოვუყევი, ტირილი დაიწყო. ის ხომ მაინც სულ ტირის. კიდევ კარგი, მალე ქორწინდება. მე შესაბამის მომენტს ვეძებ, სალონში სამუშაო ადგილი რომ ვთხოვო ჯორჯოს. ასე თუ გაგრძელდა, ფაბრიკაში მთელ ჩემს ახალგაზრდობას დავტოვებ.

იანვარი. სამშაბათი

სასადილოში მე და რომოლო ვართ. ტუნიკა კი გვერდით გვიზის. რომოლო ამბობს, მისი ატანა აღარ შემიძლიაო, მაგრამ მაინც აკიდებინებს ხელს და სიახლოვის უფლებას აძლევს. დიდი პრანჭია და ამაყი ვინმეა ისე.

ხუთშაბათი

მარტა მიყვება, ტანოს დედა დავინახე, პიაცა იესოს კუთხეში იჯდა და მათხოვრობდაო. მე დაჯერება მიჭირს. ჯორჯოც თავიაზიანი და ყურადღებიანი გამხდარა ამასობაში. დიდი მონდომებით ფიქრობს თურმე სახლზე, ქორწინების მერე რომ უნდა აიღონ, და ავეჯისთვის ფულს აგროვებს. მარტას უნდა, ექსელსიორის ქალის ნაჩუქარი საათი გააყიდვინოს, მაგრამ ჯორჯო არ თანხმდება. ამბობს, აპრილში ვქორწინდებითო.

კვირა

ისევ კვირა. კვირაობით რა ვაკეთო, არ ვიცი. ტანოსთან მისვლის გარდა. რომელიც უკვე სხვას არაფერს ამბობს, მხოლოდ სიგარეტები და სიგარეტები აკერია პირზე. რომოლო ფეხბურთის საყურებლად მიდის. მეკითხება, ექვსი საათისთვის, სადმე თუ გინდა წავიდეთო. მაგრამ სად? ერთხელ ვილა ბორგეზის პარკში გვქონდა სექსი, სკამზე. და კინაღამ შეგვისწრო პოლიციამ. ბალახი მთლად სველი იყო და კიდევ კარგი, რომოლომ ძირს თავისი ლაბადა დააფინა. მერე ვნახეთ, რომ ერთ დიდ მძლნერზე ვყოფილვართ თურმე დაწოლილები. ჯორჯო და მარტა სავახშმოდ მოდიან. ხაჭოიანი ნამცხვრები მოაქვთ. უგემრიელესები. მაგრამ ხაჭოს ცოტა მჟავე გემო დაჰკრავს. მასში ჩატანებული ხილის ჩირები კბილებში მეჩხირება.

სამშაბათი

მგონი, პროცესის მომავალ თვეში გადატანას ფიქრობენ. ტანო მთლად ყვითელი შეიქნა. გიჟდება, ისე უნდა მოწევა და არა, ჭამა. ძალიან ახველებს, ხრინწიანად, ნახველით სავსე ხმით. ჩემსავით. მხოლოდ მე მჟავათი გაჟღენთილი ორთქლის გამო გამიჩნდა ხველა. მას კი სიგარეტის წევით. დედამისმა ერთი კოლოფი ამერიკული სიგარეტი მიუტანა. არ ვიცი, სად იშოვა. ტანოს ვუთხარი, მარტამ იესოს ეკლესიასთან დაინახა, რომ მათხოვრობდა-მეთქი. და რაში მაინტერესებსო, მიპასუხა. რამდენს იღებს? რა ვიცი. მარტა ამბობს, მათხოვრობით დღეში ორი ათასი ლირის შოვნა მაინც შეიძლებაო. ის კი ამბობს, მაგრამ ვინ იცის?!

ოთხშაბათი

მკლავზე მომხდარი შემთხვევის შემდეგ, ფაბრიკაში გადაწყვეტილება მიიღეს: გაფიცვა მაინც უნდა მოეწყოს, მიუხედავად იმისა, რომ სამუშაო კამერა და სინდიკატები თანახმა არ არიან. მართლა თუ გაიფიცებიან, მე ორდღიან დასვენებას ავიღებ და რომოლოსთან ერთად, სადმე სასტუმროში წავალ. სექსი გვექნება. ძვირი კი დაგვიჯდება. მაგრამ არ მაინტერესებს. მაინც სულ ვკინკლაობთ, ნასასვლელ ადგილს რომ ვერ ვპოულობთ და გიჟებივით ვკოცნით ერთმანეთს წვიმაში.

პარასკევი

გუშინ ექიმთან ვიყავი. თავბრუ მეხვევა, თირკმელები მტკივა და ხელები მაქვს მთლად დაზიანებული. მე ვიცი, რომ ყველაფერი მჟავათი გაჟღენთილმა ორთქლმა მიქნა. მაგრამ არაფერი მეშველება, სანამ საარქმროს არ გამოვიცვლი. ყოველ შემთხვევაში, მანამდე ექიმთან მომიწევს სიარული. მხოლოდ, უნდა იცადო და იცადო. ისეთი რიგი დგას, რომ ამბულატორიის კარამდეა ხალხი მისული. მოკლედ, საათნახევრის შემდეგ სამსახურიდან გამოსვლის ნებართვა დამიმთავრდა და ისევ მომიწია ფაბრიკაში დაბრუნება. ექიმის ნახვა მაინც ვერ მოვახერხე.

შაბათი

რომოლო მეუბნება, ჩემთან ერთად უნდა იცხოვროო. მაგრამ ტუნიკასაც აკიდებინებს ხელებს. ერთ დღესაც იქნება, დავითრევ თმებით იმ საძაგელს!

კვირა

ტანო ისე ჩამოხმა, სარდინიული ქაშაყი გეგონება, მარილში გამხმარი. ორი კბილიც ჩამოუვარდა. რომ ლაპარაკობს, შავი ნახვრეტი უჩანს პირის მარჯვენა კუთხეში. აღარაფერს მეუბნება. სიგარეტის მოწევა აინტერესებს მხოლოდ, რისთვისაც საკუთარ დედასაც კი გაყიდის.

სამშაბათი

გაფიცვა ამჯერადაც ჩაიშალა. ყველა თავისას ამბობს, განსხვავებულს. კი ვიცოდი, ასე რომ დამთავრდებოდა. მე ფაბრიკაში არ წავსულვარ. გაფიცვის გამო კი არა. ფეხებზე მკიდია გაფიცვა, არ მაინტერესებს. დრო ვიხელთე და ორი დღე ზედიზედ ვიძინე. სულ მეძინება, რადგან ღამით მახველებს. თანაც ჩემი დედამთილი ხვრინავს. და როცა ვიღვიძებ, ველარ ვიძინებ. დილის ექვსის ნახევარზე კი უნდა წამოვვარდე ლოგინიდან, შვიდ საათზე ფაბრიკაში რომ ვიყო.

შაბათი.

ჯორჯო და მარტა დაქორწინდნენ. მაგრამ უკვე ერთმანეთს ველარ ეთანხმებიან. ჯორჯოს ერთი კლიენტი შეუყვარდა, ყვინთვის ჩემპიონი. სექსი მასთანაც უნდა და ცოლთანაც. ეს ჩემპიონი მე ვნახე. ერთი დაბალი და დაკუნთული გოგოა, სულ გარუჯული, ზამთარშიც კი. კურდღელივით დადის, თმები ძალიან მოკლედ აქვს შეჭრილი და რძისფრად შეღებილი. მარტა ამბობს, მეზიზღებაო. მაგრამ როგორც კი ის ქალი უბრძანებს, ფრჩხილები გამიკეთეო, ამოსუნთქვის გარეშე ეგება ფეხქვეშ. და ერთხელაც არ უჩხვლეტია მისთვის მაკრატელი.

სამშაბათი

რომოლო მიჟინებს, ჩემთან გადმოდიო. მე

ბიბლიოთეკა

არას ვეუბნები. მას კი გული მოსდის. ჩემი დედამთილი, როგორც იქნა, გაემგზავრა. ლოგინს ისეთი მშრალი შარდის სუნი აქვს, რომ სუნთქვა მიჭირს. ჩემს დედამთილს შარდის შეუკავებლობა აწუხებს და ცოტა ყოველღამე ეპარება ლოგინში. ახლა ლეიბი მისი სუნითაა გაჟღენთილი. აივანზე მქონდა დატოვებული მთელი ორი დღით, მაგრამ ამაოდ. ხვალ გადავაკეთებინებ, მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე ათასი ლირა დამიჯდება. რა ვქნა, აბა?! შარდის სუნი არ მაძინებს.

ხუთშაბათი

მარტა მირეკავს, საქორწინო მოგზაურობა სალონის გამო გადავდეთო. აგვისტოში გაემგზავრებიან. ალბათ ახლაა კარგი, სამუშაო ადგილი რომ ვთხოვო ჯორჯოს. ხვალ ან ზეგ დაველაპარაკები. ჯერ ვახშამზე უნდა მოვიწვიო ორივე.

შაბათი

ფული კარის მეზობლისგან ვისესხე და ვახშამი მოვამზადე: ღუმელში გამომცხვარი პასტა, პომიდვრის ჩაშუშული, ინგლისური ნაყინი ვანილისა და ლიმონის კრემით. მარტასთვის საჩუქარც ვიყიდე. ნახევარ საათში დალია ორივემ. ჯორჯომ მერე ხელების ფათური დამიწყო. ძალიან მოწებებული და არასასიამოვნო კაცია. არ მომწონს. მაგრამ მტრად რომ არ გადამექცეს, მის ქმედებებს არაფრად ვაგდებ. მინდოდა გარეთ გამეყვარა, არ გამომივიდა. ვიცოდი, სადამდეც უნდოდათ მისვლა. ლოგინამდე. ლეიბის სუნსა და ჩემს სიცივეს ყურადღებას არ აქცევდნენ. ცოტა ხანში ორივე ჩემს სხეულზე ვიგრძენი. თვალები დავხუჭე. სამუშაო ადგილის გამო გადავწყვიტე, დავთანხმებულიყავი. მაგრამ ჯერ, სალონში მანიკურის გამკეთებლად თუ მამუშავებ-მეთქი, ვკითხე. კიო, თქვა. მეტი არაფერი. მოკლედ, შევუდექით სექსს. ცოტა ხანში მეც გავხურდი და ორგაზმიც ვიგრძენი. თავიდან მეგონა, ვერ მივაღწევდი. ბოლოს ძილი მომერია და მარტას შიშველ მკერდზე სახედადებულს დამეძინა.

კვირა

ტანოს კიდევ ერთი კბილი ჩამოუვარდა. ათი დღე ჯანპუნქტშიც დაჰყო. გადასხმა გაუკეთეს. ოთხი კილო მოიმატა. საპატიმროში რომ დააბრუნეს, ისევ დაეწყო გახდომა.

ოთხშაბათი

ჯორჯოს ველაპარაკე. წინა სალამოს დაპირება შევახსენე. სულელივით მომაჩერდა. არაფერი უთქვამს. მაგრამ რატომ? რამე ისე არაა? მაგრამ შენ მანიკურის კეთება არ იცი, მეუბნება. ვისწავლი, ჰო? და ხელებს რას უზამ? მაგ ხელებით მანიკურს ვერ გააკეთებ. მაშინ თმას დაებან. არა. ორი თანამშრომელი მყავს და ხელფასს ვერ ვუხდი. შენ როგორ მოგცემ?

კვირა

ტანოს ვუთხარი, ჯორჯო ნაძირალაა, კარგად გამოიმუშავებს და სამსახურზე მაინც უარი მითხრა-მეთქი. მან კი, სიგარეტები თუ მოიტანეო. სხვა არაფერი აინტერესებს.

თებერვალი. ოთხშაბათი.

მარტამ დამირეკა და ვახშამზე დამპატიჟა, უარი ვუთხარი გადავწყვიტე, მეტი მათ აღარ შევხვდე. გადაშენდნენ ჩემგან!

ხუთშაბათი

ექიმთან დავბრუნდი. ამჯერად, სამსახურში კიდევც რომ დამეგვიანებინა, მაინც უნდა მომეცადა. ორი საათისა და თხუთმეტი წუთის შემდეგ, როგორც იქნა, შემიშვეს. მითხრა, ხელებსა და ფილტვებზე უნდა იმკურნალოო. მეც კი ვიცი, რომ უნდა ვიმკურნალო, მაგრამ როგორ? რეცეპტი გამომიწერა და ფაბრიკის დირექციისთვის მიმართვა მომცა. შიგ ეწერა, რომ საამქროს შეცვლა იყო საჭირო. მივედი უფროსთან და ექიმის მიმართვა რეცეპტთან ერთად გადავეცი. ჩაიდო ჯიბეში და ნახვამდის!

პარასკევი

ტუნიკა ავადაა. რომოლო ჩემ გვერდით დასაჯდომად მოვიდა, მითხრა, შენს ქმარს თუ არ დატოვებ, თავს დაგანებებო.

კვირა

ტანოს სამი კოლოფი სიგარეტი მივუტანე. და ამით მთელი კვირის ფული დამიმთავრდა. ახლა ვალები უნდა ავიღო.

სამშაბათი

რომოლო მივატოვე. ძალიან მოსაწყენი შეიქნა. ჩემი დედამთილიდან წერილი მივიღე, ხუთი ათასი ლირა იდო შიგ.

ხუთშაბათი

საამქრო შემიცვალეს. როგორც იქნა. ახლა ამწყობ ჩარხთან ქსელზე ვმუშაობ. არ უნდა დავიხარო, სიმძიმე არ უნდა ავწიო, მჟავაში ხელები არ უნდა ჩავყო, მომწამვლელი ორთქლი არ უნდა ვისუნთქო. მაგრამ ერთი და იგივე მოქმედების ხუთი ათასჯერ და ათი ათასჯერ გამეორება, ძილს მგვრის. თვალებს ვეღარ ვახელ. ზოგჯერ თვალგახელილსაც კი მძინავს. ჩემი ხელები მუშაობენ, მაგრამ მე მძინავს.

პარასკევი

ჩემ გვერდით ერთი გოგოა ამწყობ ჩარხზე, რომელიც სამუშაო დროს მორტადელათი გამოტენილ ბუტერბროდს ჭამს. არ ვიცი, როგორ, მაგრამ გამოსდის. ისეთი ყოჩაღია, რომ ერთი ხელით აკეთებს ორი ხელით შესასრულებელს. და ამას ყოველ ოცდაათ წამში ახერხებს. ცალი ხელით კბეჩს და ღეჭავს. საათნახევარში შეუძლია ორი პურის ჭამა, პატარა ლუკმებით კბეჩა და სწრაფად ღეჭვა. მე კი თავის მოსაფხანადაც რომ გავწიო ხელი, სამუშაოდან ოთხი მოქმედებით მაინც ჩამოვრჩები. და მერე ისე სწრაფად უნდა მივყვე ყველაფერს, რომ ოფლშიც კი გავიწურები.

კვირა

ტანოს სამი შეკვრა სიგარეტი მივუტანე. თქვა, არ მეყოფაო. ისეთი ყვითელი, მშრალი და ნაოჭებიანი გახდა, რომ მისი ამოცნობა მიჭირს.

სამშაბათი

სხვა ვნახე. ლიბერიო ჰქვია. ერთ-ერთ ბარში მუშაობს და ლამბრეტა ჰყავს. შაბათს მის სოფელში მივდივართ. დამპირდა. ერთადერთი, რისიც მრცხვენია, ჩემი ხელებია.

ოთხშაბათი

შალის ხელთათმანები ვიყიდე. ლიბერიო მეუბნება, შენს ხელებს ჩემთვის არავითარი მნიშვნელობა არ აქვსო. მასაც აქვს დასიებული, წყალში უწევს სულ ჩაყოფა. მაგრამ ჩემები მართლა საზიზღრობაა. დასიებულის გარდა, გაწითლებული და გადატყავე-

ბულია. ჭრილობებიცაა ზედ, რომლებიც არ ხორცდება. მათგან გადმოსული სითხე ხმება და მუწუკებად იქცევა.

ხუთშაბათი

რომოლო სულ მიყურებს. ტუნიკას ელაპარაკება და მიყურებს. მე არაფრად ვაგდებ. ხანდახან, როცა ვერ ამჩნევს, ვუყურებ და ვფიქრობ, რომ მართლა ლამაზი ბიჭია იმ ცისფერი თვალებითა და თეთრი კანით, ასე რომ უხდება მის სხეულს, და იმ თმით, ერთ მხარეზე რომ აქვს გვირგვინივით გადახვეული. ცოტა არ იყოს, გული მწყდება, რომ აღარ ვხვდები.

შაბათი

პირველი შემთხვევაა, ათი ათასი ლირა რომ მრჩება მთლიანი ხელფასიდან. ხელების კრემი ვიყიდე ვიტამინით. სამი ათას ორასი ლირა გადავიხადე. ოქროს ფასი ერთ ციცქნა კოლოფში. ორი ათასი ლირათი ტანოსთვის სიგარეტი ვიყიდე შავ ბაზარზე.

კვირა

რამდენიმე დღეში პროცესი იქნება. მგონი, მეც უნდა დავესწრო, როგორც მოწმე. მაგრამ რა უნდა ვთქვა?

ორშაბათი

დღეს იმ გოგომ, ჩემთან ერთად რომ მუშაობს, რომოლო და ტუნიკა დაინიშნენო, მითხრა. წირვაზე ერთად ისხდნენ, როგორც ყოველთვის. გოგო იცინოდა. ის კი ხმადაბლა რაღაცას ეუბნებოდა.

სამშაბათი

ლიბერიო სახეზე ძალიან ლამაზი არ არის. მოღუნული ცხვირი აქვს და თვალები – მიახლოებული. მაგრამ ტანი აქვს ისეთი კოხტა, რომ მსგავსი ჯერ არ მინახავს. კანის ფერი რეზინისას უგავს. როცა ოფლიანობს, სასიამოვნო სუნი ასდის, მომჟავო, დაჭყლეტილი ფესვებივით.

ხუთშაბათი

ამ დილით პროცესია. ფაბრიკადან ნებართვა ავიღე. ხუთი საათი მაინც მაცდევინეს კარს მიღმა. მითხრეს, მოწმეებს დარბაზში შესვლის უფლება არ აქვთო. ჩემთან ერთად შვიდი მოწმე იყო, რომლებიც შავ, ფეხებამდე გრძელ ტანსაცმელში ჩაცმულ ადვოკატებს დაბალ ხმაზე ელაპარაკებოდნენ. სამის ნახევარზე დამიძახეს. ისე მშიოდა, რომ ვერაფერს ვხედავდი. თქვენ მეუღლე ხართ? რას აკეთებთ? რას არ აკეთებთ? სად მუშაობთ? იცოდით, რომ თქვენი მეუღლე იპარავდა? და რატომ? და სად? და როდის? და ა.შ. და ა.შ. თავი გამისივეს კითხვებით. ვცდილობდი, ტანო დამენახა, მაგრამ ვერ ვიპოვე. არ ვიცოდი, სად ჰყავდათ. რომ გამოვედი, კი დავინახე. ჩემს უკან ყოფილა.

შაბათი

მარტამ დამირეკა და ტანოს პროცესზე მკითხა. ვუთხარი, ოთხი წელი მიუსაჯეს-მეთქი. ტირილი დაიწყო მაშინვე. ჯორჯომ ტელეფონი გამოსტაცა, და რა საზიზღრობა და უპატივცემულობააო, ჩამძახა. მე გავუთიშე.

კვირა

ტანომ ჭამა დაიწყო. ნაკლებადაც ეწევა. ჩემი ნახვით კმაყოფილი იყო. პირველად ვხედავდი ასეთს.

სამშაბათი

გუშინ, ცხრა საათისთვის, ლოგინში რომ ვიწექი, რომოლო მოვიდა. სექსი გვქონდა. მივხვდი, რომ კიდევ მომწონს.

ოთხშაბათი

სასადილოში. ტუნიკა და რომოლო ერთად ზიან. იცინიან. რომოლო ჩემკენ იყურება და თითებით მანიშნებს, დაგირეკავო.

პარასკევი

ახლა ორი მყავს – რომოლო და ლიბერიო. ლიბერიოსთან ერთად საცეკვაოდ დავდივარ და სექსით გარეთ ვკავდები. სახლში ქმარი მყავს-მეთქი, ვუთხარი. რომოლო კი ჩემთან ორჯერ ან სამჯერ მოდის კვირაში და მთელი ღამე რჩება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვირა

ტანო ვერ ვნახე, კარცერში ჰყავთ გადაყვანილი. ზედამხედველმა მითხრა, საშინელება ჩაიდინაო. მაგრამ რა? ვინმე სხვას მოაყოლეო. სხვებთანაც გავიკითხე. მგონი, საპატიმროში, სადაც ტანო იმყოფებოდა, ერთი ახალგაზრდა ბიჭი შესულა გასარეცხი თეთრეულის გამოსატანად. ესენი, ოთხივე, თავზე დახტომიან და სათითაოდ გაუუპატიურებიათ უკნიდან. ბიჭი საავადმყოფოში გადაუყვანიათ, პატიმრები კი – კარცერში. მისთვის მისაცემი სიგარეტები ვინმე მარიოს დავუტოვე, რომელიც გვერდით საკანში იხდის სასჯელს.

ოთხშაბათი

გუშინ ფაბრიკაში სკამზე დამეძინა. კიდევ კარგი, იმ გოგომ, ჩემთან რომ მუშაობს და ცალი ხელით ბუტერბროდს ჭამს, ისე მიჩქმიტა, რომ შიშისგან ავხტი და მუშაობა განვაგრძე. მაგრამ ამასობაში, ზოგი გაუკეთებელი დეტალი ჩემს უკან მდგარ გოგოსთან მოგროვილიყო, რომელიც ბრაზობდა და შე ბოზიშვილოო, მიყვიროდა. საამქროს უფროსი მოვიდა და დამაჯარიმა.

ხუთშაბათი

ლიბერიო მეუბნება, შენი ქმარი მიატოვე და საცხოვრებლად ჩემთან გადმოდიო. მაგრამ მე ის უკვე მომწყინდა. ძალიან მოწყენებული და მომტირალი კაცია.

პარასკევი

ლიბერიო მივატოვე.

შაბათი

ხელის გამო ღამით ვერ ვიძინებ. საამქრო კი გამოვიცვალე, მაგრამ საწამლავი ფილტვებში მაქვს ჩარჩენილი. რომოლო ბინის წინ მელოდა, მხიარული იყო. ახალი, წითელი პერანგი და შალის თეთრი შარვალი ეცვა ისეთი, რომ მარტო ყურებით გათბებოდი. სექსი ჯერ კიდევ არ გვქონდა დაწყებული, რომ მასთან ჩახუტებულს დამეძინა. დაღლილი ვიყავი. მანაც ძილი მაცალა. უფრო მეტიც, მგონი, მასაც დაეძინა.

კვირა

მთელი დღე ვიძინე. ზოგჯერ ტელეფონის ზარი მაღვიძებდა, მაგრამ ერთხელაც არ მიპასუხია. ლიბერიოა. მეძებს. გუშინაც მომაკითხა ფაბრიკიდან გამოსვლის დროს. რომოლომ დაინახა და გაბრაზდა. ტყუილი ვუთხარი.

ორშაბათი

ორშაბათი საძაგლობაა. ვერ ვიღვიძებ. მცივა და თავიც მტკივა. იმის გაფიქრება, რომ კვირა იწყება, ლებინების შეგრძნებას იწვევს ჩემში.

სამშაბათი

ერთი ლირაც აღარ მაქვს. ტანო ისევ კარცერშია. სიგარეტები კიდევ დავუტოვე. გვერ-

დით მეზობელმა ათასი ლირა მასესხა. კვერცხი და ოთხი კილო კარტოფილი ვიყიდე.

ხუთშაბათი

კარტოფილი და კვერცხი. დღეში თითო-თითოს ვჭამ, შემწვარს. შაბათამდე უნდა მეყოს. სასადილოში, ას ორმოცდაათ ლირად, მუყაოსავით მაგარი ტალიატელების ერთი პორცია ვჭამე და წყალგარეული ლუდიც დავლიე. ტუნიკა დაქორნინდა. მონტაჟზე მომუშავე გოგომ მითხრა. ვინმე კარაბინიერს გაჰყოლია. რომოლო მარტო ჭამს, გაზეთს კითხულობს და მე მიყურებს.

პარასკევი

კვერცხები გამითავდა. კარტოფილის წვნიანი გავაკეთე, კუბილით. ნისიად რძე გამოვიტანე. საპნის ფხვნილისთვის ფული ჯერ კიდევ უნდა გადავიხადო.

შაბათი

როგორც იქნა, ხელფასი. რომოლოს საჩუქარი უნდა ვუყიდო. ხვალ მისი დაბადების დღეა. ლიბერიო ყოველ წუთს მირეკავს.

კვირა

მთელი დღე ვიძინე. რომოლო ფეხბურთის საყურებლად წავიდა. საღამოს ცეკვის სურვილი გამიჩნდა. ლამის ლიბერიოსთვის დამერეკა და სადმე წაყვანა მეთხოვა. მაგრამ მერე ისე მომეწყება, მოშორება გამიჭირდება. ლამაზი ტანი კი აქვს, ისე. გუშინ დავინახე, ქუჩის კუთხეში მელოდა. გამხდარიცაა და ამავე დროს, სავსეც. გრძელი კისერი და ფეხები აქვს, ლამაზი ფერიც, ქერის კანფეტივით.

ორშაბათი

მარტა ბავშვს ელოდება. დამირეკა და ტიროდა. ვერ გავბედე, ცუდად მოვპყრობოდი. ერთი სულელი ვინმეა, სულ ტირის. მაგრამ მაინც მესიამოვნა, რომ დამირეკა. ჯორჯოზე უკეთესია. ის მართლა ნაძირალაა. მარტაზე რომ იყოს დამოკიდებული მხოლოდ, მანიკურის გამკეთებლად კი ამიყვანდა.

ხუთშაბათი

ლიბერიო გერმანიაში გაემგზავრა. სატვირთო მანქანაზე მძღოლობას დათანხმდა. მგონი, კარგ ხელფასსაც დაჰპირდნენ. დასამშვიდობებლად ფაბრიკის გასასვლელთან მოვიდა. ლამბრეტაზე უკან შემოვუჯექი. სანამ მოვუხვევდით, დავინახე, რომოლო გამოდიოდა და შავი, ეჭვიანი თვალებით მიყურებდა. ლიბერიო სახლში მივიყვანე. მისი ახალი სამსახურის შესახებ მოვაყოლე; და მგზავრობაზე, წინ რომ ელოდა. თან ვუყურებდი, ვათვალიერებდი. ვფიქრობდი, ამ ლამაზ სხეულს დღეიდან ველარ ვნახავ-მეთქი. და სურვილი გამიჩნდა, საბოლოოდ მაინც ყოფილიყო ჩემი. პირველად გვქონდა სექსი ლოგინზე. ასე მთლიანად შიშველს პირველად შევხედე მის კარამელივით კანს. ჩვეულებრივ, ქურთუკების, პულოვერების, ნესტიანი მიწისა და ვიწმესგან მალულად ყოფნის გამო სექსს სწრაფად ვილევდით. ამჯერად კი საქმეს უფრო მშვიდად შევუდექით. მაგრამ ლიბერიოს რომოლოსავით არ ეხერხება. ლამაზი, თეთრი ტანი აქვს მხოლოდ, [illegible] რაც უფრო ვუყურებ, მით უფრო ვიხიბლები.

ბიბლიოთეკა

კვირა

ტანო ახლა ისე ტრიალებს ციხეში, როგორც საკუთარ სახლში. მხიარულიცაა. ბევრს ლაპარაკობს. ნაკლებს ეწევა. რასაც აძლევენ, ჭამს. ჩემგან ფული უნდა, მხოლოდ ფული. მითხრა, მე ვიზრუნებ, რისი ყიდვაც მომინდებაო. ერთ ვინმეს დაუმეგობრდა. მანინეს ეძახიან. პატარა ხელები აქვს, მაიმუნივით მოქნილი. როგორც ცოლ-ქმარს, ისე გვიყვარს ერთმანეთიო. და მე? შენ ჩემი ცოლი ხარ გარეთ, მანინე კი – შიგნით. ასე მიპასუხა და სიცილი დაიწყო. რომ იცინის, სახეს აქცევს, ნაკლული კბილების ღრმული რომ დამალოს.

სამშაბათი

ლიბერიომ ჰამბურგიდან წერილი მომწერა. ამბობს, ტემპერატურა ნულს ქვემოთაა და გერმანელები საზიზღრები არიანო.

ოთხშაბათი

რომოლო ეჭვიანია. ყოველ საღამოს მოდის შესამოწმებლად, მარტო თუ ვარ. სულ მეუბნება, ჩემთან გადმოდიო. გამხდარია. ჩონჩხი გეგონება. მე ვუთხარი, ასე თუ გაარძელებ, შენს სილამაზეს დაჰკარგავ-მეთქი.

პარასკევი

ლიბერიომ მწერს, ოთახში რვა იტალიელთან ერთად ვცხოვრობ და მატარებლის კუპესავით ერთმანეთზე აწყობილ საწოლებზე გვძინავსო. ამბობს, გამარჯობის თქმა ჯერ კიდევ ვერ ვისწავლე და საერთოდ, გერმანული ენა საზიზღრობააო.

კვირა

ტანო გასუქდა. კმაყოფილია. იცინის, ლაპარაკობს. ფულს მთხოვს, მაგრამ მე აღარაფერი მაქვს მისაცემი. მთელი კვირის ფული დავხარჯე, რომოლოსთვის შალის ქურთუკი რომ მეყიდა. კვირაა და ორი ათას შვიდასი ლირა დამრჩა მხოლოდ, რაც შაბათამდე უნდა მეყოს.

მარტი. ორშაბათი

ახალი თვე დაიწყო. ლიბერიო მწერს, ერთი გოგო გავიცანი, სახელად კრისტა, და როცა მასთან სექსით ვარ დაკავებული, შენზე ვფიქრობო. მეც ვფიქრობ მასზე, მისი ძირაფივით სხეულსა და ლელვის ჩირივით სურნელზე.

ხუთშაბათი

გუშინ საამქრო ისევ შემიცვალეს. ერთი ჩარხი ჩამაბარეს. მისი ძრავა ჩავრთე და მოულოდნელად, თითი გადავიჭერი. გული შემიწუხდა. გონს ჯანპუნქტში მოვედი, და დავინახე, ექთანი ვენაში ინექციას მიკეთებდა. ათი დღე მომცეს დასვენებისთვის. მაგრამ რაში მაინტერესებს დასვენება. მე დასვენება კი არა, ჩემი თითი მინდა. ისედაც, ხელები დაზიანებული მქონდა უკვე. ეს სიახლე მაკლდა ახლა!

შაბათი

ტკივილის გამო არც მიჭამია და არც მიძინია. რომოლო ყოველ საღამოს მოდის. მაგრამ მე არავის ნახვის სურვილი არ მაქვს. უამრავ წამალს ვსვამ და სულ გაბრუებული ვარ.

ხუთშაბათი

თუ მინდა, წერაც კი შემიძლია, მაგრამ სურვილი არ მაქვს. არაფრის კეთების სურვილი არ მაქვს. ყველაფერმა თავი მომაბეზრა უკვე.

***იტალიურიდან თარგმნა მაია ტურაბელიძემ***

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ახალი საუნჯის“ გამოწერა!

GE59BG0000000210646500

დანიშნულებაში მიუთითეთ: **„ახალი საუნჯე“**, საკუთარი ტელეფონის ნომერი და მისამართი.

## 2019 წლის 8 ნომერი - 16 ლარი

ახალი საუნჯე

ISSN 0134-9846
საუნჯე
9 770134 984002